ISSN 0132—1307

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელოვნება

02
1982

180
1982/3

ჟურნალი გამოდის
1921 წლიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელოვნება

12 / 1982

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გურაბანიძე

სარედაქციო კოლეგია:
აკაკი გაჭრაძე,
ვახტანგ გერიძე,
ნოდარ გაგუნია,
ჯუმბერ თითმერია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
გივი ორჯონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ჭავჭავაძე,
თამაზ ჭილაძე,
ნოდარ ჯანგერიძე.

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
ტელ. 95-10-24, 95-13-24.

მხატვრული რედაქტორი პავლე შევჩენკო
ნომრის მხატვარი ალექსი ბალაბუევი

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 1982.

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მხატვართა X ყრილობას 2

გურამ ენუქიძე —
დღევანდელობის, ხალხის დიადი მიზნების სამსახურში 5

გამოსვლები 12

ხელოვნების, ლიტერატურისა და არქიტექტურის დარგის 1982 წლის
სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები 62

საქინფორმი — 60 65

გივი მაღულარია —
მირზა ფათალი ახუნდოვი 72

ნათელა ურუშაძე —
დრამატურგი ლალი როსება 77

ვასილ კიკნაძე —
დავით კლდიაშვილის თეატრალური სამყარო 92

ნადეჟდა შალუტაშვილი —
ნათელი, უძლეველი და ჩაუქრობელი 107

კონა მიქაძე —
მეგობრობის ალგორითმები 118

ჩვენი პუბლიკაცია

აკაკი ვასაძე —
ჩემი შთაბეჭდილებანი „კომედი ფრანსეზის“ გასტროლებზე . . . 120

ალექსანდრე მიშარინი —
ოთხ საფრანგეთს უდრის (პიესა) 129

ქრონიკა 151

გარეკანის პირველ გვერდზე: ი. **გორდელაძე. პლაკატი.**
გარეკანის მესამე გვერდზე: ა. **მონასელიძე. „ის ურჩევნია მამულსა“...**
გარეკანის მეოთხე გვერდზე: ზ. **გერსენაძე. ბუშვიდობის მტრედები.**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
გამომცემლობის სტამბა,
თბილისი. ლენინის ქ. № 14, ტელ. 93-93-59.



ვ. თოფურიძე ვ. ი. ლენინის პორტრეტი

საქართველოს მხატვართა X ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად მიესალმებიან საქართველოს მხატვართა X ყრილობის მონაწილეებს, რესპუბლიკის ყველა მხატვარს და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებენ მათ.

საქართველოს მხატვრები თავიანთ ყრილობაზე შეიკრიბნენ ღირსშესანიშნავ დროს, როდესაც რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის. ეს კიდევ უფრო ამაღლებს რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა პასუხისმგებლობას იმ ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებიც კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს დაუსახეს სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ.

თანამედროვე ეტაპზე პარტია და საბჭოთა ხალხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მოღვაწეობას, და ეს ბევრად განაპირობებს ამ ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებს. მხატვრები, ისევე როგორც საქართველოს ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები, აქტიურად მონაწილეობენ და ღირსეული წვლილი შეაქვთ იმ დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას.

პარტიისა და მთავრობის გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულება ხელოვნების ოსტატებისადმი, ის მაღალი შეფასება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის მოღვაწეობას მისცა სკკპ ცენ-

ტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, აღაფრთოვანებენ საქართველოს მხატვრებს, კიდევ უფრო მეტი მთავარ-გონებით ასახონ მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის აღმშენებლობითი შრომა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

17983

ჩვენი ხელოვანი ინტელიგენციის დიდი და უპირველესი ამოცანა — დღევანდელობის მოთხოვნებთან საქმიანობის უფრო მჭიდროდ დაკავშირება — მკაფიოდ აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა და ახალ ამოცანებს უსახავს საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს.

საქართველოს მხატვართა IX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს მნიშვნელოვანი წარმატებანი სახვითი ხელოვნების დარგში, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში მისი როლის ზრდა.

მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა მიზანია მშრომელების აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მჭიდრო კონტაქტები ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან ნათლად გვიჩვენებს საქართველოს მხატვართა მოქალაქეობრივ მრწამსსა და დიდ შემოქმედებითს პოტენციალს. ქართველი მხატვრების მხარდამხარ სახვითი ხელოვნების დარგში ნაყოფიერად მუშაობენ აფხაზები, ოსები და ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მათს შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის იდეა, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული და სულისკვეთებით ინტერნაციონალური ხელოვნების ჭეშმარიტ ძალას.

მაღალი პროფესიული ოსტატობა, მოქალაქეობრივი პათოსი, სოციალური სიმახვილე განაპირობებს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დამსახურებულ აღიარებას რესპუბლიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც, მის წვლილს მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

ცხოვრობდეს ხალხის ცხოვრებით, იმყოფებოდეს მოვლენათა შუაგულში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით ასახავდეს საბჭოთა ადამიანების დიად საბრძოლო და შრომითს გმირობას, ქმნიდეს ჩვენი სამშობლოს დღევანდელობის ამსახველ მაღალიდეურ ნაწარმოებებს, უფრო ალამაზებდეს ჩვენს ყოფაცხოვრებას, ამაღლებდეს სახვითი ხელოვნების როლს ხალხის ცხოვრებაში, იყოს პარტიის ერთგული თანაშემწე მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში — აი შემოქმედი ინტელიგენციის, ფუჭჯისა და საჭრეთელის ოსტატთა ყველა თაობის უმთავრესი ამოცანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს მხატვრები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ნიჭსა და უნარს მოახმარენ დიადი ჰუმანისტური საქმის სამსახურს, შექმნიან ჩვენი ეპოქის შესაფერ, ღრმა რევოლუციურობით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კომუნიზმის იდეებისადმი უაღრესად ერთგული მშრომელი ადამიანის აღზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ს. ჭარბელის სახ. სსბ. სსრ
საბჭოთა ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო. ჯიშკარიანი — საქართველო

საქართველოს მხატვართა X ყრილობა

მიმდინარე წლის 16-17 სექტემბერს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს მხატვართა X ყრილობა. საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო მხატვრის ე. ამაშუკელის საანგარიშო მოხსენებაში, სამხატვრო ფონდის, სარეკვიზიო და სამანდატო კომისიების, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირების, ქუთაისის განყოფილების, შემოქმედებითი სექციების თავმჯდომარეთა და მხატვრების გამოსვლებში ღრმად და კრიტიკულად გაანალიზდა საქართველოს მხატვართა მოღვაწეობა განვლილი ხუთი წლის მანძილზე, ფართო სჯა-ბაასი გაიმართა მიღწეული წარმატებებისა და იმ პრობლემათა ირგვლივ, რომელიც სამერმისოდ გადაწყვეტას ითხოვს.

ყრილობაზე სიტყვებით და მისალმებებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა სახელით — ნ. დუმბაძე, კინემატოგრაფისტთა სახელით — ე. შენგელაია, არქიტექტორთა სახელით — ვ. დავითაია, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახელით — გ. მელაძე; მხატვართა მოსკოვის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბ. ალბერტი, ბელორუსიის სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ა. ანიკეევიჩი, თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშა გ. გაჩეჩილაძე, სსრკ სახალხო მხატვარი ნ. კულიჯევი, სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, რსფსრ სახალხო მხატვარი ი. კოროლიოვი.

საქართველოს მხატვართა X ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე და რესპუბლიკის სხვა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ენუქიძის სიტყვას და ყრილობაზე სხვა გამომსვლელთა სიტყვებს, გარდა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ე. ამაშუკელის მოხსენებისა, რომელიც ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღევანდელობის, ხალხის დიადი მიზნების სამსახურში

გურამ ენუქიძე
საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საქართველოს მხატვართა ყრილობაზე დიდი საუბარი გაიმართა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების გზებზე, დღევანდელ პრობლემებზე და, რაც მთავარია, საუბარი პრინციპული და კეთილმოსურნე, გამომდინარე საქმის ინტერესებიდან.

ყრილობა მაღალ დონეზე ჩატარდა.

დაწყებული საანგარიშო მოხსენებით, რომელიც ელგუჯა ამაშუკელმა გააკეთა, ისე კამათში გამომსვლელნი იყვნენ მეტად პრინციპულნი. გამოსვლებში იყო არა ხოტბა-დიდება, არამედ საქმისადმი პროფესიული მიდგომა, ობიექტური კრიტიკა. იყო შემოქმედებითი დამოკიდებულება დღევანდელი ცხოვრებისეული პრობლემებისადმი და სწორედ ეს მიმაჩნია ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად ჩვენი დღევანდელი კულტურული ცხოვრებისა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის.

საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ამაღლდა მშრომელი კაცის სულიერი მოთხოვნილებანი, მისი ინტელექტი. ყოველდღიური შრომა, რომელსაც ჩვენ მივეჩვიეთ, ბადებს ახალ-ახალ გმირებს მათი ხასიათით, მისწრაფებებით, სურვილებით. ყალიბდება ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი სპეტაკი დამოკიდებულება, ხოლო მომხვეჭელობა, მეშჩანური ფსიქოლოგია, თანდათან პოზიციებს თმობს.

წელს შესრულდა 10 წელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, დადგენილება, დასაბამი რომ მისცა დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს ჩვენს რესპუბლიკაში და რომელმაც, უდიდესი ბიძგი მისცა ჩვენი სულიერი ცხოვრების შემდგომ წინსვლას.

ვინც ყურადღებით თვალს ადევნებს ჩვენს კულტურულ ცხოვრებას, არ შეიძლება არ ამაყობდეს ხელოვნების სხვადასხვა დარგის შემოქმედთა მიღწევებით. ჩვენი თეატრალური ხელოვნების წარმატებებით, ქართველ კინემატოგრაფისტთა საყოველთაო აღიარებით, ქართული მუსიკის წინსვლით, ქართული სახვითი ხელოვნების უდავო გამარჯვებებით. ამის დასტურია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახალხო მხატვრის საპატიო წოდებათა მინიჭება, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატების უხვი მოსავალი, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მივიღეთ.

სასიხარულოა, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების მთავარი გმირი სოციალურად აქტიური პიროვნება გახდა — ის ადამიანი, ვისაც ტაიგაში საუკუნის მაგისტრალი — ბამი გაჰყავს, ვინც ფოლადს ადნობს ან ჩაისა და ყურძნის არნახულ მოსავალს იწევს, ვის-

თვისაც ორგანულია კომუნისტური მორალი, ვინც მომავალს მშვიდად უცქერს. როცა უკანასკნელ წლებზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მეტისმეტად მნიშვნელოვან გარემოებას, იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის და შემოქმედებითი კავშირების ურთიერთკონტაქტები სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდებიან. ამითაა განპირობებული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სხვა პარტიულმა ორგანოებმა შესძლეს შეექმნათ ყოველმხრივ მასტიმულირებელი ატმოსფერო მხატვრული შემოქმედებისათვის. თუკი უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, ეს პირველ რიგში გამოიხატა ზრუნვაში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების იდეურ-პოლიტიკურ შეიარაღებაზე, შემოქმედებისათვის ყველა მატერიალური და სულიერი პირობების შექმნაში, მისდამი ნდობის გამოცხადებაში, კეთილმოსურნე, ყურადღებიან დამოკიდებულებაში, რაც რასაკვირველია, მომთხოვნელობის შესუსტებას სრულიად არ ნიშნავს.

პარტიასთან, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან, კულტურის მოღვაწეთა თანადგომის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ დღეს მწერალთა კავშირის სათავეში დგას ნოდარ დუმბაძე, თეატრალურ საზოგადოებას სათავეში უდგას დ. ალექსიძე. კინემატოგრაფისტთა კავშირს ელდარ შენგელაია, რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს რ. სტურუა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს თ. ჩხეიძე, ოპერისა და ბალეტის თეატრს ჯანსუღ კახიძე, კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ რ. ჩხეიძე, სამხატვრო აკადემიას ზ. ნიჟარაძე და, ბოლოს, მხატვართა კავშირს ელგუჯა ამაშუკელი, რომლებიც თავისი შემოქმედებითი აღიარებით და პოტენციით მოწოდებული არიან წინ წაუძღვნენ ეროვნულ კულტურას.

საქართველოს მხატვრები კარგად გრძნობენ იმ მხარდაჭერას და დამოკიდებულებას, რასაც მათ მიმართ იჩენს საქართველოს ცენტრალური კომიტეტი. აქ გამოსულ ამხანაგების სიტყვებშიც კარგად ჩანდა, რომ ეს მხარდაჭერა არ არის მხოლოდ დეკლარაცია, არამედ ჩვენი პარტიული მუშაობის კონკრეტული გამოხატულებაა. მინდა შეგახსენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სიტყვები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს საქმიანობას.

„...ხელოვნის გული, შემოქმედის ფსიქიკა, მისი სული საოცრად მდიდარი, უნიკალური, მაგრამ ამასთან ერთობ მგრძნობიარე, ფაქიზი, ხშირად კი ნაზი მოვლენაც არის. ალბათ პარტიულ მუშაკს ისე არსად მოეთხოვება ფსიქოლოგიის, მეტადრე შემოქმედებისა და შემოქმედის ნატურის ფსიქოლოგიის ცოდნა, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, საერთოდ ინტელიგენციასთან ცოცხალ ურთიერთობაში. ძალზე საჭიროა დროზე შეამჩნიო ხელოვანის წარმატება, მხარში ამოუდგე მას წარუმატებლობის ჟამს, მოთმინებით, კეთილმოსურნედ განუმარტო პარტიის პოზიცია. აგდებულ, ქედმაღლურ ტონს, კომუნისტურ ყოყოჩობას არსად არ მოაქვს ჩვენთვის იმდენი ვნება, რამდენიც კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობაში.

საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარტიულმა, იდეოლოგიურმა მუშაკებმა დასძლიეს პრიმიტივიზმი. ზერელობა კულტურისადმი ხელმძღვანელობაში და გადალახეს გარკვეული მოწყვეტა, განლაგებულობა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისაგან, უფრო თამამად იჭრებიან შემოქმედების რთულსა და სიღრმისეულ პროცესებში“.

ვიწრო პროფესიული საკითხების გარდა, რომლებიც ყოველ დარგში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, სადღეისოდ არსებობს ისეთი პრობლემებიც, რომელნიც ერთნაირია ყველა დარგის შემოქმედთათვის. ეს გახლავთ ჩვენი ხელოვნების იდეური, მოქალაქეობრივი დანიშნულება.

მსოფლიოს ხელოვნების სახელგანთქმული შედევრები თავისი დროის ჭეშმარიტი ქმნილებებია. დიდი ხელოვანნი სრულყოფილ მხატვრულ სახეებში განადიდებდნენ თავის ეპოქას, უკვდავყოფდნენ თავის თანამედროვეთ. მაღალი ჰუმანური იდეებით აღსავსე ჩვენი დღევანდელობა, ხალხის დიადი ამოცანები უდიდესი ძალით მოქმე-

დებს ნამდვილ შემოქმედზე, შთააგონებს მას მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. იყო მხატვარი — ნიშნავს მხარში ედგე შენს ხალხს, ცხოვრობდე მისი სიცოცხლით, ხარობდე მისი სიხარულით. საბჭოთა ხალხის გმირული შემართება სათანადო გამოძახილს უნდა ჰპოვებდეს ფერწერულ ტილოებსა თუ სკულპტურულ კომპოზიციებში.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლების საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე მივლინებით წასვლა. ამ მივლინებების შედეგად შეიქმნა არაერთი პუბლიცისტური ნაწარმოები, მათ შორის სახვითი ხელოვნების ნიმუში. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ნაწარმოებები ჭეშმარიტი მხატვრული ძალით არიან აღბეჭდილნი და არავითარ შემთხვევაში სოციალური თუ სამეურნეო მოვლენების მშრალ ანარეკლს არ წარმოადგენენ; მოკლებულნი არიან ილუსტრაციულობას, რომელსაც, როგორც ცნობილია, ქმედითი პროპაგანდისტული ძალა არ გააჩნია და მაშასადამე მშრომელთა აღზრდის საქმეში სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ბოლო ხანებში შექმნილი პუბლიცისტური ნაწარმოებები, კერძოდ მხატვრების მიერ, უპირველეს ყოვლისა ხელოვნების ნიმუშებია, რომლებსაც ესთეტიკური ეფექტიურობა, ემოციურობა გააჩნიათ და ძალუძთ მნახველზე ზემოქმედება მოახდინონ.

შრომა და ხელოვნება, მათი დაახლოვება დღევანდელი დღისათვის უკვე პრობლემად ვერ ჩაითვლება, ანდა თუკი მაინც ჩაითვლება მხოლოდ ისეთად, რომელიც დადებითად წყდება.

აქ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ მოხსენება და ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში აშკარად ჩანდა ჯანსაღი, შემოქმედებითი პოზიცია. ამავე დროს, მომხსენებელს არ გამორჩენია არცერთი საკითხი, არც ერთი მეტნაკლებად მწვავე პრობლემა, რომელიც დღეს ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა წინაშე დგას.

ასევე უაღრესად საყურადღებო იყო სექციების ხელმძღვანელთა გამოსვლები. მათ ილაპარაკეს სხვადასხვა დარგის მიღწევებზე, გაგვაცნეს ის წარმატებები, რაც მოპოვებულია ბოლო წლების მანძილზე. დამაფიქრებელია ის პრობლემები, რომლებზედაც შეაჩერეს ყურადღება საქმეში კარგად ჩახედულმა პროფესიონალებმა. მხატვართა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გულდასმით შეისწავლოს მათი მოსაზრებები, ხელი შეუწყოს მათ მუშაობის უკეთ წარმართვაში.

საქართველოს მხატვართა X ყრილობაზე ყოველი გამომსვლელის სიტყვაში ჩანდა გულწრფელი დაინტერესება ჩვენი ხელოვნების ხვალინდელი დღით, მისი მომავლით. ხელოვნების მომავალი ხომ ახალგაზრდობაა, რომელიც მოწოდებულია გააგრძელოს თავის სახელოვან წინაპართა საქმე.

ახალგაზრდა მხატვარი სამხატვრო აკადემიის კედლებში ყალიბდება. აკადემიისა, რომელსაც ასეთი შესანიშნავი ტრადიციები აქვს და რომელმაც არა ერთი ბრწყინვალე შემოქმედი აღზარდა. უდავოა, დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნება სწორედ თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილთა შემოქმედების ნაყოფია. ნიჭიერი ახალგაზრდობის აღმზრდელები ჩვენი ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები უნდა იყვნენ. სასწავლო პროცესის უდიდესი სიფრთხილითა და სიყვარულით წარმართვასთან ერთად, პროფესიულ დაოსტატებასთან ერთად, ახალგაზრდა მხატვრები უნდა იზრდებოდნენ მათი მაღალი მოქალაქეობრივი მისიის სრული შეგნებით. ამ სულისკვეთებით, სავსებით სწორი და მართებულია ყრილობის ის მოთხოვნა, რომ იდეურ აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, და ჩვენ ამ მიმართებით წინ დიდი მუშაობა გველის.

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს. უნდა აღვზარდოთ ერის ღირსეული შვილები, ნამდვილი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები.

აქ შესანიშნავად გამოვიდა ახალგაზრდა მხატვარი ლაღიძე. როგორც ჩანს მისი სახით ჩვენ საიმედო ახალგაზრდა გვეზრდება. არა მარტო როგორც ხელოვანი, არამედ როგორც მოქალაქე, როგორც პიროვნება.

მან ხაზი გაუსვა თემის აქტუალობით სპეკულაციას. ასეთი მომენტები დღესაც შეინიშნება და ყველაფერს მართლაც თავისი სახელი უნდა დაერქვას. ამაზე ხაზგასმით ითქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

აქ ჯ. ხუნდაძემ დამაჯერებლად ილაპარაკა ნიჭიერებასა და უნიჭობაზე. ეს საკითხი მეტად მტკივნეულია და მეტი ყურადღება, პრინციპული და კარგად ჩამოყალიბებული მიდგომა სჭირდება.

ახლად არჩეული გამგეობა, მისი პრეზიდიუმი, როგორც წესი, განსაკუთრებული გულისყურით უნდა ეკიდებოდეს ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებს, არ უნდა არსებობდეს აქ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საკითხი. არ დაგვავიწყდეს, რომ მომავალი მათია და ჩვენ ვალდებული ვართ, რომ აღვზარდოთ ღირსეული ცვლა...

ყველა ჩვენთაგანი მოწმეა იმ დიდი წარმატებებისა, რომელსაც მიაღწია ქართულმა მონუმენტურმა ხელოვნებამ. ქართულ შემოქმედთა ღვაწლზე ამ დარგში ბევრი რამ ითქვა, ეს ღვაწლი უაღრესად თვალსაჩინოა.

მონუმენტური ხელოვნება აქტიურად გარდაქმნის გარემოს, ესთეტიკურ ღირებულებას მატებს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს.

ქანდაკების მაორგანიზებელი ძალის წყალობით ქალაქის სხვადასხვა რაიონში გაჩნდა მშრომელთა დასვენების ახალი კერები, მოზარდებისა და ბავშვებისათვის — ჩინებული სათამაშო მოედნები. თემატიკური კომპოზიციები ან ცალკე აღმართული სკულპტურული ფიგურები განსაკუთრებულ შინაარსს, იდეურ გამომსახველობას ანიჭებს გარემოს.

მონუმენტური ქანდაკება დღითი დღე უფრო ღრმა აზრსა და მნიშვნელობას იძენს ქალაქების განაშენიანებაში, რაც ლენინური მონუმენტური პროპაგანდის კონკრეტულ ხორცშესხმად გვევლინება.

ქართველ მოქანდაკეთა საუკეთესო ნამუშევრებში მთელი სისრულით გამოვლინდა ეროვნული პლასტიკის ღირსებები და თავისებურებანი. მათ მიერ შექმნილია მონუმენტები, ძეგლები, რომელთაც ფართო რეზონანსი აქვთ, როგორც წმინდა მხატვრული ღირსებების წყალობით, ასევე მათი მოქალაქეობრივი, იდეური ყღერადობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების განვითარებისათვის ბოლო წლებში შესანიშნავი პირობებია შექმნილი. რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი მშენებლობის პირობებში ხელოვნების ეს დარგი სწრაფად ვითარდება და ამ ვითარებაში დიდი სიფრთხილეა საჭირო მხატვრულ ხერხთა გამოყენებაში. ყოველთვის როდი ექცევა სათანადო ყურადღება გარემოს, პეიზაჟს, თუ ქალაქის იმ კუთხის ხასიათს, სადაც იდგმება ძეგლი. დეკორატიული სამკაულის გამოყენებისას ყოველთვის არ არის გათვალისწინებული არქიტექტურის სპეციფიკა. ამგვარი ზერელე დამოკიდებულება მონუმენტურ-დეკორატიული ნაწარმოებების მიმართ ყოვლად დაუშვებელია, რადგან სწორედ ეს ხელოვნებაა მოწოდებული თავისი სპეციფიკით უშუალოდ და მძლავრად მოახდინოს ზემოქმედება ხალხის ფართო მასებზე.

სამხატვრო საბჭოებმა მკაცრი ობიექტურობით უნდა იმსჯელონ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ყოველი ნაწარმოების შესახებ, რათა შეიქმნას ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდას, მათი გემოვნების ჩამოყალიბებას.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის რეგიონების მხატვრული ცხოვრება აღმავლობის გზაზეა და იგი სულ უფრო საინტერესო ხდება.

საინტერესო საკითხები წამოჭრა თავის გამოსვლაში თ. გოცაძემ. იგი შეეხო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მხატვრის ინტელექტს, მხატვრის აზროვნებას. ეს მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. და აქ არ შემიძლია არა ვთქვა ორიოდე სიტყვა მხატვრული კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ ვერ გაუსწორდა თანამედროვე ცხოვრების დონეს, ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რასაც პარტია აყენებს. ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები მოითხოვს მეცნიერულ გააზრებას, მოპოვებულის ღრმა პროფესიულ შეფასებას, ნაკლოვანებების მხილებას.

დღეს ჩვენ განსაკუთრებული მხატვრული მოვლენების მომსწრენი ვართ და ხელოვნების წინსვლას, მის განვითარებას, ამ პროცესების გაანალიზებას სწორი ინტერპრეტაცია სჭირდება. ჩვენი მხატვრული კრიტიკა კი, სამწუხაროდ, ვერ სცილდება ფაქტების უბრალო კონსტატაციას და თითქოს ერიდება მხატვრულ მოვლენათა ობიექტურ კრიტიკულ განხილვას.

საჭიროა კვლავ განახლდეს მივიწყებული ტრადიცია გამოფენათა ისეთი განხილვისა, როდესაც მხატვრები და კრიტიკოსები პირუთვნელად და გულწრფელად უზიარებდნენ ერთმანეთს ნააზრევს, როდესაც მთავარი იყო ეროვნული ხელოვნების ბედი და ყოველგვარი პირადული და წვრილმანი განზე რჩებოდა. არა გვაქვს განზოგადებული თეორიული ნაშრომები თანამედროვე ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ, საჭიროა ქართული სამხატვრო კრიტიკა ამაღლდეს იმ დონემდე, რომელზეც დღეს არის ქართული ხელოვნებათმცოდნეობა — ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა კავშირში და მსოფლიო მასშტაბით.

მაშინ, როდესაც კრიტიკა აქტიურად ქმედითად ჩაერევა მხატვრულ პროცესში, როდესაც მიღწეული იქნება ურთიერთგაგება ხელოვანსა და კრიტიკოსს შორის, თავისთავად მოიხსნება ბევრი იმ პრობლემათაგანი, რომლებიც ასე მწვავედ დგას ჩვენი ხელოვნების წინაშე და რომლებზეც აქ, ამ ყრილობაზეც, არაერთხელ გაამახვილეს ყურადღება სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა.

როგორც საანგარიშო მოხსენებაში, ისე გამოსვლებშიც ითქვა, დ. თაყაიშვილმაც აღნიშნა მხატვართა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების აუცილებლობა. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. წინა ყრილობიდან დღემდე 160 მხატვარმა მიიღო სახელოსნო, ეს ცოტა არ არის, მაგრამ ეტყობა მზარდ მოთხოვნილებებს მაინც ვერ აკმაყოფილებს. როგორც ჩანს, აუცილებელია მხატვართა კავშირის ახლდარჩეულ ხელმძღვანელობასთან ერთად შევისწავლოთ, ჩამოვაყალიბოთ ყველა ეს მოთხოვნა და დავსახოთ ღონისძიებები, რათა დროულად გადაიჭრას ყველა საკითხი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მხატვართა შრომისა და ცხოვრების, მათი შემოქმედებითი საქმიანობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ერისთავი — რთველი

გმირთა ხსოვნის მემორიალი გამარჯვების პარკში, მოქანდაკე გ. ოჩიაური.

სათვის ყოველმხრივ ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ს. გაბელიამ, ხ. ინაიშვილმა და ბ. სანაკოევმა დააყენეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები. იმედია, კავშირის გამგეობა ყურადღებით განიხილავს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებებს, რომ ყრილობაზე დასმული არცერთი საქმიანი წინადადება არ დარჩეს სერიოზული დამოკიდებულებისა და სათანადო პრაქტიკული რეაგირების გარეშე.

მიმდინარე წელი არის საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი წელი, და, უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხატვრები ღირსეულად შეხვდნენ ამ თარიღს. მათი ნიჭითა და ოსტატობით შექმნილი თანამედროვეობის მხატვრული მატიანე კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის ხალხთა მეგობრობის ამ საყოველთაო დღესასწაულს, სულიერი ძმობის, თანადგომისა და ერთობის იმ სულისკვეთებას, რომლითაც ჩვენ ვემზადებით რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად.

კარგად მოგეხსენებათ ამ 60 წელს სწორუპოვარი მნიშვნელობა აქვს ქართული სახვითი ხელოვნებისათვის. თამამად შეიძლება ლაპარაკი მისი ძირფესვიანი განახლების, უფრო მეტიც — ხელმეორედ დაბადების შესახებ. ქართული საბჭოთა მხატვრობა, რომელსაც დასაბამს აძლევენ ისეთი ცნობილი შემოქმედნი, როგორც ი. ნიკოლაძე, მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე და სხვები, განუხრელი აღმავლობის გზას დაადგა. ნათქვამი სრულიად არ ნიშნავს, რომ იგი წინააღმდეგობებს, სიძნელეებს, დაბრკოლებებს მოკლებული იყო. როგორც ცნობილია, ყოველი განვითარება ბრძოლაა, მაგრამ განუხრელი აღმავლობის ფაქტი ეჭვს გარეშეა და განპირობებულია საბჭოთა სინამდვილით, მრავალეროვანი სოციალისტური ქვეყნის შინაგანი არსით, კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკით. ქართველმა მხატვრებმა დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ერის ესთეტიკური სამყაროს გაფართოებაგანვითარებაში, თანამედროვეობის ასახვაში. შრომის თემა, ბედნიერი ცხოვრების თემა, საბრძოლო გმირობის თემა, მშვიდობისათვის ბრძოლის თემა — აი ის მაგისტრალური მიმართულებები, რომლებმაც მათ შემოქმედებაში მთავარი ადგილი დაიკავეს. ქართველი მხატვრები მუდამ წინა ხაზზე იყვნენ — პირველი ხუთწლედების ხარაჩოები იქნებოდა ეს, დიდი სამამულო ომის სანგრები, ომის შემდგომი სახალხო მეურნეობის აღდგენა თუ კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. ქართველმა მხატვრებმა ღვაწლი დასდეს რუსთავის მეტალურგიულ თუ ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობას, ენგურჰესს თუ სამგორის სარწყავ სისტემას, მადნეულსა თუ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკას,

ჩაის, ყურძნის თუ ციტრუსების მოსავლიანობის ზრდას.

ქართველ ხელოვანთა პრაქტიკული შემოქმედებითი საქმიანობა განუყრელადაა დაკავშირებული დღევანდელი რესპუბლიკის წინაშე მდგარ დიდ ამოცანებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ დაგვისახა. ქართველი მხატვრები ხედავენ და გრძნობენ მათ ირგვლივ საერთო შრომით ენთუზიაზმს, პარტიისა და ხალხის მხარდაჭერას. შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელი დღისათვის, წარმატებებისა და მომავალი მიღწევების რეალურ იმედებს იძლევა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოს მხატვრები ვალში არ დარჩებიან და მომავალ თაობებს დაუტოვებენ თავიანთი თანამედროვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლის ჰეროიკულ სახეს, მთელ თავის ნიჭსა და უნარს წარმართავენ პარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობათა ხორცშესხმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ეშბა გმირთა ხსოვნის ძეგლი გუდაუთში

ბ. ავალიშვილი ვაჟა-ფშაველას პორტრეტი

ბ. სანაკოევი მეგობრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ნარჩემაშვილი პლაკატი

გამოსვლები

დიმიტრი თაყაიშვილი. საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის თავმჯდომარე.

საქართველოს სამხატვრო ფონდი ყოველდღიური საქმიანობით მრავალეროვანი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების საერთო საქმეს ემსახურება, თავისი წვლილი შეაქვს მხატვართა კომუნისტური იდეებით, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. იგი ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქართველ მხატვართა შემოქმედებითი სტიმულირება, მათი ყოფითი, მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა.

ეს მრავალი საშუალებით ხორციელდება: მათ შორის უმთავრესია სხვადასხვა სპეციალობის მხატვართა შრომის სწორი ორგანიზაცია. სამხატვრო ფონდი აწყობს მხატვართა მივლინებებს სათანადო ობიექტებზე, ეწევა სახვითი ხელოვნების ნამუშევართა პოპულარიზაციას, შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და შეკეთებას, არეგულირებს მხატვართა სამუშაოზე მოწყობას სამხატვრო საწარმოო სახელოსნოებში, ეხმარება მათ მატერიალურად, აძლევს გრძელვადიან სესხს, ეწევა მხატვართა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო და საკურორტო მომსახურებას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სამხატვრო ფონდი ყოველ ღონეს ხმარობდა მხატვართა შრომის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

1977-81 წლებში ფონდის საქმიანობა ძირითადად გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში მიმდინარეობდა. ამ ხნის განძილზე მხატვართა კავშირის წევრთა რიცხვი 795-დან 1000 კაცამდე გაიზარდა, ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა გაერთიანება — 340-დან 468 წევრამდე.

ყველასათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ყოველწლიურად სხვადასხვა სპეციალობის 120-მდე ახალგაზრდა შემოქმედს აძლევს რესპუბლიკას, და თუ ამას კიდევ დავუმატებთ თბილისისა და რესპუბლიკის საშუალო სამხატვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომელთა რიცხვი თითქმის ორჯერ ჭარბობს აკადემიის კურსდამთავრებულთა რაოდენობას, ნათელი გახდება საქართველოს სამხატვრო ფონდის წინაშე წლიდან წლამდე მდგარი სირთულეები. ჩვენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით ყველას ვერ უზრუნველყოფთ ნორმალური მუშაობისათვის საჭირო რესურსებით, სათანადო მატერიალური ბაზით, რაც, ცხადია, გარკვეულწილად უარყოფით გავლენას ახდენს მხატვართა კავშირისა და სამხატვრო ფონდის წევრთა შემოქმედებით მუშაობაზე, მათ მატერიალურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობაზე.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის სამხატვრო ფონდმა სამხატვრო-საწარმოო კომბინატები და სახელოსნოები უზრუნველყო მათთვის აუცილებელი და საჭირო მატერიალური რესურსებით, ნედლეულით, მასალებით, კონსტრუქციებით, საწვავით, ხელსაწყოებით, სათადარიგო ნაწილებით, სპეცტანსაცმელით, სამეურნეო ინვენტარით, სხვადასხვა სახის ტექნიკით.

თვით ფონდი ზემოაღნიშნულ მასალას, ძირითადად, იღებდა ცენტრალიზებული წესით, კომბინატებისა და სახელოსნოების მოთხოვნების შესაბამისად.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ სფეროში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და სიძნელეები, რომლებიც საგრძნობლად ამუხრუჭებდნენ უწყვეტ და შეუფერხებელ მუშაობას:

სულ უფრო მწვავედ ვგრძნობთ საღებავების უკმარისობას, არ გვყოფნის ტილო, ბაგეტები, ფუნჯები. მცირე რაოდენობით ვიღებთ ზეთის საღებავებს და რასაც ვიღებთ, იმასაც ძალზე შეზღუდული ასორტიმენტით. ცოტაა ხის მასალა ქვეჩარჩოებისათვის.

ამრიგად, მიუხედავად ჩვენი უდიდესი სურვილისა და მონდომებისა, მაინც არასაკმარისია სხვადასხვა სახის მასალები.

ძალზე გვიჭირს სატვირთო ტრანსპორტი, დღეისათვის არსებული პარკი, სიძველისა და სიმცირის გამო, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მზარდ მოთხოვნებს.

ქანდაკების კომბინატში არ არის საჭირო რაოდენობით კომპრესორები, რაც, ასევე, ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად გვევლინება.

ბოლო დროს დიდი ყურადღება ეთმობა სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგებას. როგორც იქნა, სასიკეთოდ გადაიჭრა სამხატვრო ფონდის ცენტრალური საწყობისათვის შენობის გამოყოფის საკითხი. ამასთან ერთად, აშენდა რამდენიმე ნაგებობა თბილისისა და პერიფერიების სამხატვრო-საწარმოო კომბინატებისა და სახელოსნოებისათვის.

თ. მირზაშვილი — სამხარი

ზ. სამხარაძე — ბარაქა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად გულისხმიერი მხარდაჭერისა, რომელსაც ჩვენდამი იჩენენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, ჯერჯერობით მაინც ვერ ხერხდება სამშენებლო ორგანიზაციებთან საჭირო კონტაქტების დამყარება. ამას უამრავი მიზეზი გააჩნია. ამიტომაც წლების მანძილზე ვერ სრულდება მშენებლობა რიგი ობიექტებისა, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ჩვენი მხატვრების მოღვაწეობას. ერთ-ერთ ასეთ ობიექტს წარმოადგენს წყნეთში მშენებარე, მხატვრების დასასვენებელი სახლი, რომლის აგება უკვე რამდენიმე წელია გრძელდება, არასახარბიელო მდგომარეობაა გაგრის დასასვენებელი სახლის შეკეთების საქმეში. შეკეთებას მოითხოვს სამხატვრო ფონდის მრავალი ობიექტი. ეს საქმეც ჭიანურდება ფონდების სიმცირისა და საჭირო ლიმიტების უქონლობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობის საქმეში უკანასკნელ წლებში გარკვეული წარმატებაა მიღწეული, რაოდენობა მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ფონდის დირექციამ უფრო ენერგიულად და მიზანდასახულად უნდა წარმართოს შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობისა და შეკეთების საქმე — ეს უნდა გახდეს ფონდის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

აქვე არ შეიძლება არ შევჩერდე იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებიც წლიდან წლამდე აბრკოლებენ ჩვენს სწრაფვას მხატვართა პირობების გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მინისტრთა საბჭოს დადგენილება მშენებარე შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის სხვენების გამოყოფის თაობაზე, ქალაქის ხელმძღვანელობას, უმრავლეს შემთხვევაში, უძნელდება ამ დადგენილების შესრულება და, ამიტომაც, მხატვართა კავშირისათვის გამოყოფილი ფართობი, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოა.

ფონდის მუშაობის მეორე, არანაკლებ მტკივნეული საკითხია საწარმოო კომბინატების მუშაობა. აქ მძიმეა ფინანსური მდგომარეობა. გვყავს უამრავი დებიტორი. გაცემულია დიდი ოდენობის თანხა ავანსის სახით, რაც იწვევს მუშაობის რიტმის ჩავარდნას. ზოგჯერ ლიბერალობით სცოდავენ ჩვენი გამანაწილებელი და სამხატვრო საბჭოები. არ არის დაცული მხატვართა შორის დაკვეთების თანაბარი განაწილება, რაც, ბუნებრივია, იწვევს მხატვართა კანონიერ პრეტენზიებს. ამ საკითხს უსათუოდ სჭირდება მოგვარება და ამას, ვიმედოვნებთ, გაითვალისწინებს თავის მუშაობაში ახლადარჩეული ფონდის გამგეობა.

ჩვენს საქმიანობაში კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება ქანდაკების კომბინატის საქმიანობა. ქანდაკების კომბინატს ძალიან მძიმე პირობები აქვს. სახელმწიფო შეკვეთები, უმთავრესად, დიდ, მონუ-

მენტურ ქანდაკებებს ითვალისწინებს. კომბინატი ვერ უმკლავდება ასეთ გრანდიოზულ სამუშაოებს. ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია კულტურის სამინისტროსთან შეიქმნას ახალი კომბინატი, რომელიც მოუვლის ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს.

ეს საკითხი მინისტრთა საბჭომ უკვე დადებითად გადაწყვიტა. საერთოდ, ქანდაკების კომბინატში დღემდე ვერ ჩადგა მუშაობა ნორმალურ კალაპოტში. უაღრესად მძიმეა ფინანსური ვითარება, დირექტორების სისტემატურმა ცვლამ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. ინერტული ხელმძღვანელობით ლამის პარალიზებულია კომბინატი და თუ ზომები დროზე არ მივიღეთ, კატასტროფამდე მივალთ.

იმისათვის, რომ ჩვენს სასიქადულო მხატვრებს, რომელთა შემოქმედებამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ ხელოვნებას, მხარი უსწორონ, მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდებათ ახალგაზრდა მხატვრებს. მართალია, ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ შევუწყოთ ხელი, მაგრამ, ეტყობა, ეს საკმარისი არ არის. მეტი და მეტი ყურადღების გამოჩენაა საჭირო. ახალგაზრდობას ახასიათებს მაქსიმალიზმი, მას სურს დღესვე ჰქონდეს ყოველნაირი პირობა. რჩევის სახით გვინდა ვუთხრათ: მეტი იმუშავეთ საკუთარ თავზე, ნუ ჩამორჩებით ჩვენი ქვეყნის ნურცერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას, უფრო ხშირად გამოფინეთ თქვენი ნამუშევრები გამოფენებზე და თავის დროზე ყველაფერი მოვა. ახალგაზრდობა ჩვენი ხელოვნების მომავალია, და ეს ყირილობაც უკეთეს მომავალს ეძღვნება.

სერგო გაგელია. აფხაზეთის ასსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

საბჭოთა აფხაზეთის სახვითი ხელოვნება, შეიძლება ითქვას, ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს ქვეყანაში. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბოლო ოცწლეულის მანძილზე მხატვართა კოლექტივი ადგილობრივი ეროვნული კადრებით გაიზარდა. ისიც უთუოდ სასიხარულოა, რომ შემოქმედთა ჩამოყალიბება ხდება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კედლებში, აკადემიისა, რომელიც უკვე მშობლიურად იქცა ჩვენთვის.

აფხაზეთის მხატვართა კავშირი ბევრს აკეთებს საზოგადოებაში სახვითი ხელოვნების პროპაგანდის საქმეში. გამოფენები ეწყობა როგორც ჩვენთან, ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთ: მოსკოვში, თბილისში, ჩერკესკში, ცხაკაიაში, ქუთაისში და სხვ. ხდება გამოფენების გაცვლა, ეწყობა პერსონალური გამოფენები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტელევიზია — სახვითი ხელოვნების რედაქცია ცოტას როდი აკეთებს აფხაზეთის მხატვართა შემოქმედების პოპულარიზაციისათვის.

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ 1977 წელს გამოსცა ალბომი „აფხაზეთის მხატვრები“, 1980 წელს კი რეპროდუქციების კრებული „აფხაზეთის ოცი მხატვარი“. კარგი იქნებოდა, რომ მომავალშიც

სიფროშვილი	წერილი
ჯაფარიძე	პა-დე-ტრუა
ავალიშვილი	დ. ალექსიძის პორტრეტი
ნიუარაძე	გაზაფხული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგრძელებულიყო გამოცემა ამგვარი ალბომებისა, აგრეთვე კატალოგების, კარგი აფიშებისა და ბუკლეტების გამოცემა ცალკეულ მხატვრებზე. ვფიქრობთ, საქართველოს მხატვართა კავშირი დაგვეხმარება ამ საქმეში, რამდენადაც მას უკვე აქვს საკუთარი სტამბა.

წელს დასამახსოვრებელ ფაქტად იქცა შეხვედრა ქუთაისელ კოლეგებთან. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, როგორიც იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში. აფხაზეთში ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან. სოხუმის ახლად რეკონსტრუირებულ საგამოფენო დარბაზში ამ მოვლენასთან დაკავშირებით გავხსენით გამოფენა „მიწა და ადამიანები".

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ 1980 წელი ძალზე ნაყოფიერი იყო ჩვენი მხატვრებისათვის. მათი შემოქმედება ღირსეულად გააშუქეს ჟურნალ-გაზეთებმა, აგრეთვე ცენტრალურმა ტელევიზიამ, საქართველოს ტელევიზიამ, სტატიები დაიბეჭდა ჟურნალებში „ტვორჩესტვო", „ისკუსსტვო" და „დრუუბა ნაროდოვ".

ვრცელი, საინტერესო გამოფენა მიეძღვნა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ 60 წლისთავს. ეს გამოფენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ იმაზეც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხატვრები ჯერ კიდევ ვალში არიან ხალხის წინაშე, ტყვარჩელელი მეშახტეებისა თუ ენგურჰესის მშენებლების, მოწინავე ინტელიგენციის წინაშე.

წარმატება ხვდა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენას. ასეთი საანგარიშო გამოფენები უთუოდ დიდად სასარგებლოა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სოხუმის სამხატვრო სასწავლებელს ელემენტარული სასწავლო-შემოქმედებითი პირობები არ გააჩნია. მიუხედავად სიძნელეებისა, სასწავლებელი მაინც ამზადებს კადრებს თბილისის სამხატვრო აკადემიისათვის. სასწავლებლისაღეის შენობის გამოძებნა ამჟამად ერთ-ერთი პირველი რიგის საკითხია.

ჩვენი კოლექტივის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის სახელოსნოები, რომლებიც ჩვენი კავშირის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. ეს სახელოსნოები დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მხატვრული გაფორმებისათვის. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება აფხაზეთში სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების მშენებლობის შესახებ მალე შეისხამს ხორცს. ვფიქრობთ, საქართველოს მხატვართა კავშირის ხელშეწყობით უახლოეს ხანში განხორციელდება, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სურათების გალერეა-მუზეუმის აგება. სასურველი იქნება მხატვართათვის პატარა სახლის აშენება მთიან მხარეში, რათა ფერმწერლებს პირობები შეექმნათ ეტიუდებზე მუშაობისათვის.

აფხაზეთის მხატვართა კავშირი, მისი პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს თავისი რიგების ზრდას, შემოქმედებითი ბაზების განმტკიცებას, იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა მხატვრებს შორის. კარგი იქნებოდა გახშირებულიყო მოძმე რესპუბლიკების მხატვრების შემოქმედებითი შეხვედრები.

ზასან ინაიშვილი. აჭარის ასსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის მუშაობის ხაანგარიშო პერიოდი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და რესპუბლიკაში მოღვაწე მხატვართა შემოქმედებით ცხოვრებაშიც.

აჭარის მხატვრებმა და მოქანდაკეებმა შექმნეს რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის, მათი ისტორიულ-რევოლუციური წარსულის ამსახველი ნაწარმოებები, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. 1980 წელს წარმატებით აღინიშნა აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოსკოვში.

გაფართოვდა ბათუმის საგამოფენო დარბაზი. ქალაქის ცენტრში არსებული ბლაგოევგრადის ქუჩის პირველი სართულები, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის გადაეცა მხატვართა კავშირს, კიროვის ქუჩაზე დამთავრდა ცხრასართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა, რომლის მანსარდებზე ახალგაზრდა მხატვრები მოაწყობენ შემოქმედებით სახელოსნოებს.

საანგარიშო პერიოდში მოვაწყეთ 56 გამოფენა. აქედან 31 იყო სტაციონარული, 25 მოძრავი. თბილისში გაიმართა ბათუმელი მხატვრების შ. ხოლუაშვილისა და შ. ზამთარაძის პერსონალური გამოფენები.

17483

გარდა ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრების გამოფენებისა, ჩვენს ხაგამოფენო დარბაზში ეწყობა, აგრეთვე, საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენები. ამ ხნის მანძილზე 11 საკავშირო და 14 რესპუბლიკური გამოფენა გაიმართა.

ამ გამოფენებიდან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისადმი, სკკპ 26-ე ყრილობისადმი, საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი, დედა-სამშობლო საქართველოსთან აჭარის დაბრუნების 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა გამოფენებმა, აგრეთვე გამოფენებმა: „მხატვარი და ბუნება", „ზემო აჭარა".

საყურადღებო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1980 წელს მოსკოვში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში აჭარის მხატვრების ნამუშევრების გამოფენა. ჩვენი მხატვრები საკავშირო გამოფენებზე ხშირად მონაწილეობენ, მაგრამ ამ გამოფენაზე მოსკოველი დამთვალიერებლების წინაშე ფართოდ იყო ექსპონირებული აჭარის მხატვართა ნამუშევრები. წარმოდგენილი იყო 56 მხატვრის 130 ნაწარმოები, რომლებიც მოიცავდნენ სახვითი ხელოვნების ყველა სფეროს და ჟანრს. ვერნისაჟმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

საანგარიშო პერიოდში სამხატვრო გალერეა გაიხსნა შუახევის რაიონულ ცენტრში, მოვაწყეთ მუდმივი გამოფენა ინვალიდთა და ხანდაზმულთა სახლში. ფინანსთა სამინისტროში და მესაზღვრეების სახლ-კლუბში, აგრეთვე ქალაქ ბათუმის მე-4 საშუალო სკოლაში. ამ ორგანიზაციებში გამოფენილია ჩვენი მხატვრების 100-მდე ნამუშევარი.

თბილისში გამომცემლობა „ხელოვნებამ" 1977 წელს გამოსცა აჭარის მხატვრების ნაწარმოებთა დიდი ზომის ფერადი რეპროდუქციები. ამავე გამომცემლობამ 1980 წელს დაიბეჭდა ალბომი „აჭარის 20 მხატვარი".

საამაყოა, რომ აჭარის მხატვართა კავშირის რიგებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. აქ მოღვაწეობენ რუსი და უკრაინელი, სომეხი და ბერძენი, აფხაზი და ოსი მხატვრები, რომლებმაც ჩვენი კუთხე მშობლიურ მხარედ გაიხადეს და აქტიურად ახახავენ თავიანთ შემოქმედებაში ქართულ თემებს.

საანგარიშო პერიოდში დიდად გაიზარდა მხატვართა რიცხვი. დღეს ჩვენთან აღრიცხვაზეა 87 მხატვარი, რომელთა უმრავლესობა უმაღლესი საგანმანათლებლოა. აქედან მხატვართა კავშირის წევრია 42.

საანგარიშო პერიოდის 5 წელი წარმატებებისა და წინსვლის წლები იყო. თუმცა ხარვეზები და ნაკლოვანებანიც გაგვაჩნდა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი და 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი — ეს საიუბილეო თარიღები გვავალებს შევქმნათ მნიშვნელოვანი, მაღალი პროფესიული დონის ნამუშევრები. ჩვენი შთაგონების მთავარი თემა კვლავაც იქნება ხალხის შრომა, გმირული მოღვაწეობა, ხალხთა დიადი მეგობრობა.

მერაბ ბერძენიშვილი. საქართველო სსრ სახალხო მხატვარი.

გინახავთ კახეთში, გომბორის მთებზე დედამიწისოდენა შავი ღრუბელი, ნელნელა რომ მიიწევს კახთა ზვრებისაკენ? გიგრძვნიათ, რა ხდება მაშინ კახელი გლეხკაცის გულში, სეტყვის მოლოდინში? გინახავთ ბუნების სტიქიასთან ნაომარი კახელი კაცი? თუ არ გინახავთ, ეს ის კაცია, რომელიც ღიმილით შეგოგეგებება, ღვინით სავსე თასს გამოგიწვდის და გთხოვს დაილოცეო. მაშინ მის ღიმილსა და ქარვისფერი ღვინით სავსე თასში მზე ჩადგება და სიცოცხლეს ენიჭება არსი. ეს ის კაცია, რომელიც ქალაქელ სტუმარში ხედავს სიკეთეს, მეგობარს, მასწავლებელს, კაცს, რომელსაც აღსაზრდელად შვილები ქალაქში უნდა გაუგზავნოს. ამაყი და ქვეყნის დოვლათის გამგებელი კაცია და მას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს რჩეული პოეტი, მწერალი, მხატვარი. ჩვენ უერთმანეთოდ არასოდეს გვიცხოვრია, მაგრამ მისი შრომის შესატყვისი საქმით ვუხდით ჩვენ მას? ვუზრდით შვილებს ამაღლებულ და კულტურულ ადამიანებად, ვუქმნით მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, თაობებს რომ საამაყოდ დარჩეთ? მშრომელი გლეხკაცი პოეტს, მხატვარს, მეცნიერს, არქიტექტორს თუ კომპოზიტორს, ყველაწარჩინებულ ინტელიგენტს ერისკაცად თვლის, უყვარს, ამაყობს, ენდობა ყველგან და ყველაფერში. რაკი ეს ასეა, ჩვენ მოვალენი ვართ სრული სიმართლით ვილაპარაკოთ როგორც მიღწევებზე, ასევე ყველაფერ იმაზე, რაც ვნებს ჩვენს მომავალს, რაც ტოლფასოვანი არ არის დღევანდელობისა. მე ქანდაკების ირგვლივ ვიტყვი, სხვამ სხვაზე თქვას. ვიტყვი მის სიკეთეზე, მის ავ-კარგზე.

ქართველ თანამედროვე პოეტს პოეზიის მყარი ტრადიცია დაბვდა, თანამედროვე არქიტექტორს—ღირსეულად ნაშენი ტაძრები, კომპოზიტორს — განუმეორებელი ხალხური სიმღერები, თანამედროვე მხატვრებმაც იგემეს კედელზე შემორჩენილი მშვენიერება ფრესკის სახით, მაგრამ ჟამთა სიავის გამო მრგვალი ქანდაკების ღირსეული ნიმუშები არ

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
საბელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა



გ. ნარმანია — ბლოკები



ბ. გაგნიძე — სტუდენტური დღეები

შემოქმედია და თანამედროვე მოქანდაკე ღაქცეულია, ხავსმოდებული თლილი ლოდების ამარაღა დარჩა.

ტრადიციის გარეშე კი შექმნა ალბ. ლებული ხელოვნება და შეავსო ამ მცირე დროში ის ვაკუუმი, რომელიც სელოვნების ჩვენს დარგს — ქანდაკებას გააჩნია — დაუფასებელი გმირობაა. ჩვენი წინაპრების, იგივე ჩვენი თანამეროვე მასწავლებლების — იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის უდიდესი ღირსებაც სწორედ ის არის, რომ მათ შეძლეს დიდი მხატვრობის შექმნაც და მყარი საფუძვლის დატოვებაც, რაზეც მოელი თაობები აღიზარდნენ. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც კინტოს უხეირო ხუმრობა, ოხუნჯობა უფრო ფასდებოდა, ვინემ მარმარილოში თლილი სიცოცხლე, თბილისში დაარსდა სტუდია.

ეს ის დროა, როცა საქართველოში ქანდაკების მიმართ შიში უფრო ჰქონდათ, ვიდრე სიყვარული, რადგან ქანდაკებები მხოლოდ სასაფლაოზე ენახათ და არავის უნდოდა სიკვდილის ნიშანსვეტისათვის თვალი გაესწორებინა. საოცრებაა! ამაღლებული პოეზიის ხალხს პლასტიკური ხელოვნების, ქანდაკების მშვენიერებისა არა გაეგო რა. არ იცოდა, რომ ქანდაკება მეცნიერებასთან წილნაყარი ხელოვნებაა, რომელიც მარადისობაში გადასული ერის სახის ამოცნობას გვასწავლის. არ იცოდა, რომ მყარ მასალაში იბადება სიცოცხლე, პოეზიად, მუსიკად იქცევა, როცა მას შემოქმედის ხელი შეეხება. როცა ქანდაკება სივრცეში ჰპოვებს ჰარმონიას, მაშინ მისი არსებობის სურვილიც ჩნდება, რადგან ადამიანს ყოველთვის ახლავს სურ-

ვილი უკვდავებისა: წარმოუღგენელი იქნებოდა ქართული კულტურის ფონზე არ წარმოჩენილიყო ხელოვნების ეს მშვენიერი დარგი. ქანდაკება ჩვენი დღევანდელი დღის უტყუარი ძეგლია.

ხაქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე იქვე ათეული წელია და ამ დროში ქართულმა ქანდაკებამ თავისი სიტყვა თქვა. ევროპის ყველა ქვეყანას, რომელსაც ქანდაკების დიდი ტრადიცია გააჩნია, ქართული მონუმენტური ქანდაკება თამამად ამოუდგება გვერდით თავისი თვითმყოფადობითა და მაღალმხატვრულობით. დღეს ჩვენში აღმავლობაა, ქანდაკება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის მოთხოვნილების საგნად იქცა. არ გახსნილა ძეგლი, მემორიალი თუ გამოფენა, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ხელოვანელობას არ მიეღოს მონაწილეობა. ზეიმის სახე აქვს ყოველი გამოფენისა და მემორიალის გახსნას. ამ ყურადღებასთან და სიყვარულთანაა დაკავშირებული ჩვენში მრავალი სიახლე, მიღწევა და გამარჯვების დღე. დღეს, როცა გამარჯვებაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართულ ქანდაკებას ისე ფართოდ არ იცნობენ ჩვენს დიდ ქვეყანაში და უცხოეთში, როგორც პოეზიას, კინოს, თეატრს, ამას აპირობებს თვით მისი სპეციფიკა. იგი არ მიემგზავრება გასტროლებზე და არც ტირაჟით გამოდის, მაგრამ მას ძალზე რთული მისია აკისრია, რომელსაც პირნათლად ასრულებს. ჩვენი რესპუბლიკის ყოველ სტუმარს, საბჭოელს თუ უცხოელს, მონუმენტური ქანდაკება და არქიტექტურა ხვდება მასპინძლად. აქედან იწყება ერის, რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების აღქმა. ქანდაკება არ საჭიროებს უცხოურ ენაზე თარგმნას, მას ურთიერთ ენა გააჩნია, ყველასთვის გასაგები. ამაშია პლასტიკური ხელოვნების უპირატესობა და ამ მისიის მქონე ხელოვნება, ვფიქრობ, დღეს ძალზე ბევრ დატვირთვას იღებს თავის თავზე. თუ წინათ, ხელოვნების დარგების ჩამოთვლისას, რატომღაც ბოლოს ვიხსენებდით მას, დღეს ამის გაფიქრებაც სრულიად გაუგებარი იქნება, რადგან მონუმენტური ქანდაკების დღევანდელი სახე დღევანდელი დღის უტყუარი ძეგლია, გამარჯვების ძეგლი. როცა ჩვენ გვიქებენ აღმავლობას, ვამაყობთ ამით, მაგრამ, ვატყობ, ზომიერებას გადაჭარბებული ყველაფერი მავნეა, ქებაც კი, და ჩემს ოავს უფლებას მივცემ წარმოვაჩინო ის სიუხვეში, რომელიც ვნებს ჩვენს ხაქმიანობასაც და ჩვენს მომავალს.

ჩვენი მომავალი ჩვენი ახალგაზრდობის ხელშია, რომელიც ქმნის და რომელიც აშენებს მას. მახსოვს, წლების უკან, გულგაღეღილი ჭაბუკი ამ ტრიბუნაზე ვიდექი, დღეს კი სიჭაბუკეს შევცქერი სათვალეებით. კანონზომიერია ყველაფერი, სიჭაბუკე ჩვენი ცხოვრების უმშვენიერესი და ურთულესი დროა. როგორც ჩანს, უფროსი თაობა ჩვენთვის მეტს იცლიდა, ფიქრობდა, ჩვენ კი საკუთარი შემოქმედებით გართულნი, ვერ ვამჩნევთ გვერდით და გარშემო მდგომ ახალგაზრდებს, კრიალა თვალებით რომ შემოგვცქერიან და ელიან ჩვენგან კაცურ სიტყვას. ბევრი მათგანი, როცა ამჩნევს ჩვენს მათდამი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას, თვით იძიებს გზას. მათი შემოქმედებითი ნათლობა იწყება სამხატვრო კომბინატებში. მართალია, სამხატვრო კო-

გ. ზაქარაია
ბიჭის პორტრეტი

ა. თომაშვილი
1921 წლის თებერვალი



შ. სამხარაძე — დილა

ა. ტაბიძე — გაზაფხული

მბინატი გამომდინარე წყაროა ეკონომიურ-ფიზიკური არსებობისა, ამიტომ აქ მუშაობას კი არ ვუარყოფთ, ვამბობ, ამ ჯობესად მიმაჩნია ჭაბუკური ენერგია ჯერ საკუთარი თავის ძიებით წარიმართოს, როგორც შემოქმედისა, როგორც მხატვრისა, და ეს რომ ასე მოხდეს, ჩვენ მეტი ყურადღება გვმართებს. მხოლოდ ერთეულები ფიქრობენ ამაზე მძაფრად. — ახალგაზრდული სექციის თავმჯდომარის მამია ახობაძის დაუღალავი შრომითა და მისი წყალობით ახალგაზრდობის ბევრი ნიჭიერი ნაკადი შემოუერთდა ჩვენს რიგებს. ახალგაზრდა მხატვრის ბედის გაზიარება არც ისე ადვილი საქმეა. იგი სათუთია, მგრძნობიარე, ამიტომ სჭირდება მას ზედმიწევნითი ყურადღება, სწორი ინფორმაცია, სწორი მაგალითი, რაიც, საუბედუროდ, ზოგჯერ, პირიქით ხდება.

ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი, როცა სხვის უნიჭობას უქებენ, როცა სამაგალითოდ მედროვეზე მიუთითებენ, მაშინვე ადვილი გზისკენ ისწრაფვის. ადვილი გზა კი უცხოა ნამდვილი ხელოვანისათვის. დიდი ტკივილის გარეშე ღირსეული არაფერი შეუქმნია ხელოვანს. დიდი შემოქმედება განცდების, ფიქრის სამყაროდან მოდის და ამ სამყაროში უაზრო მხიარულებით და ყივილ-ხივილით შემოჭრილი მხატვრობა სასიკეთოს არაფერს მოიტანს.

ბუნებრივია, სადაც არსებობს დიდი ხელოვნება, იქ არსებობს მცირეც. და კიდევ მეტიც, დიდი ხელოვნების გვერდით სოკოებსავით მრავლდება მდარეც. ამ პროცესს ვერც დღეს ავცდებით, ეს ნორმალური პროცესია, ისე, როგორც მშვენიერება და სიძახინჯე ერთმანეთს შესცქერიან თვალებში, მაგრამ მათი აღრევა არასდროს მომხდარა და არც მოხდება.

ასევე უნდა შეგვეძლოს ხელოვნების ნაწარმოების გარჩევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი აღმავლობა დაღმავლობით შეიცვლება. იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდობას და საზოგადოებას ვაწვდიდეთ ღრმა მეცნიერული დონის სტატიებს, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა არის სპეციფიკური ენა მხატვრობისა, რას ნიშნავს თანამედროვე მხატვრობა, რით ვანსხვავებთ მას წარსულისაგან, ჩვენს პრესაში მხოლოდ პრიმიტიულმა, ზედაპირულმა, ინფორმაციული ხასიათის სტატიებმა თავი მოაბეზრეს მკითხველს. აღარ შეიძლება ასე დაუფიქრებლად საზოგადოებას ვაწვდიდეთ მდარე ხარისხის სტატიებს, მითუმეტეს, როცა ვლაპარაკობთ ხელოვნების აღმავლობაზე. არა და არ შეიძლება ერთი და იგივე დაშტამპული სიტყვებით საუბარი ფერმწერზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკეზე, გრაფიკოსზე, პროფესიონალსა და თვითნასწავლ მხატვარზე.

პრესის ფურცლებზე წააწყდებით ისეთ სიტყვათა კორიანტელს, რომ უხერხულობას იწვევს. არის სპეციფიური გამოთქმები, რომლებსაც დიდი მკვლევარები ლეონარდოზე, მიქელანჯელოზე, ტიციანზე საუბრისას მოკრძალებულად ხმაროben. მოკრძალება ჩვენი სტატიის ავტორებს არაფრად მიაჩნიათ და ზოგჯერ წინააღმდეგობაში ვარდებიან თავიანთი უმეცრების გამო.

დროა, დროა მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილი ანალიტიკური წერილების გამოქვეყნებისა, დროა ჭეშმარიტმა მხატვრობამ თავისი შესატყვისი ადგილი ჰპოვოს. დროა საზოგადოებას ვასწავლოთ, რომ ჭრელი ქვაფენილების დაგებას ან რესტორანში ლითონის არშიების კეთებას არ ესადაგება აზრი მაღალი მხატვრობისა, რადგან იგი ისე გაუფასურდა, რომ მოზაიკებს პენსიონერი მძღოლები აგებენ და რესტორნებსა და კაფეებს არქიტექტორები აფორმებენ.

ჩვენ არ ვუარყოფთ არქიტექტორის შესაძლებლობას, მის ნიჭს, მაგრამ კეთილი ვინებოთ და იმ დონით ვაკეთოთ საქმე, როგორც მხატვრობას ეკადრება. ჩვენს საავტომობილო ტრასებზე მხატვრების მიერ შესრულებული შესანიშნავი ავტოსადგურები გაკეთდა, მაგრამ, ამავე დროს, ამავე გზებზე არაპროფესიონალების მიერ შესრულებული ქანდაკებებიც იკავებენ ადგილს.

მიზეზი კი ის არის, რომ ბევრს ლითონში ჩამოსხმული კაცი ქანდაკება ჰგონია. ამ აზრს ბევრჯერ პროფესიონალებიც იზიარებენ და ამიტომაც ვაწყდებით დღევანდელობისათვის არასაკადრის ნამუშევრებს. ხშირია შემთხვევა, როცა ნამუშევრები ძალზე გვანან ერთმანეთს, უფრო მეტიც, ძალზე გვანან მსოფლიოში უკვე ცნობილ ქანდაკებებს, ეს კი სხვისი აზროვნების გაფლანგვაა, რასაც სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

ამას ყველაფერს ხედავს და ამჩნევს ახალგაზრდა. როცა ხედავს რა სირთულებთანაა დაკავშირებული სერიოზული ძეგლის შექმნა, — წლებთან, წვალებასთან, განცდებთან და ტკივილთან, — რა თქმა უნდა, იოლი გზისაკენ ძიდის. იქ იმის შესაძლებლობასაც ხედავს — მაღალი რანგის მხატვართა რიცხვში მოხვდეს, რადგან სწამს, რომ ხელოვნებაში ავისა და კარგის თქმა დროით ისაზღვრება. რა თქმა უნდა, დრო ყოველთვის ყო ყველაფრის ჭეშმარიტი განმსაზღვრელი, მაგრამ ეს იმ ერთეულებს ესადაგება, რომლებიც შედევრებს ქმნიან და დროს წინ უსწრებენ. ჩვენი საზოგა-

ნ. იანქოშვილი
ზინა კვერენჩხილაძის პორტრეტი

ა. კაბზინაძე
კახეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიება უცდის დროს ჭეშმარიტების დასაღგენად და ზოგჯერ ამაოდ.

დრო მეოცე საუკუნის ადამიანისათვის ამაზე არ უნდა იხარჯებოდეს, დროის მოგების მიზნით თანამედროვე ცხოვრებაში ადამიანს მანქანების მრავალი სახეობა ეხმარება. ამიტომ ჩვენი საქმიანობა, ჩვენი წარმატებები და გამარჯვებები სიყალბეში რომ არ ავთქვიფოთ წამითაც კი, დროულად უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას ჭეშმარიტი აზრი, რომელიც სპეციალისტების მიერ იქნება თქმული და არა მაყურებელთა მიერ.

უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: ცუდი ლექსი შეგაძლია არ წაიკითხოთ, მაგრამ ცუდ ძეგლს, რომელიც დგას, ძალაუნებურად უყურებთ. ამიტომ თქვენში გამოწვეული უსიამო გრძნობები საოცრად მავნედ მოქმედებს ფსიქიკაზე, ხოლო ჰაბუკურ სულსა და სხეულს უქვეითებს და უჩლუნგებს ესთეტიკურ გრძნობებს, ართმევს, ფიტავს ყოველივე მშვენიერებისა და ამაღლებული აზროვნების განცდებისაგან. ამიტომ გვმართებს სიფრთხილე.

მომავალი თაობების წინაშე მართლები რომ აღმოვჩნდეთ, ისევე, როგორც ჩვენს წინაშე უფროსი თაობა, რომელმაც საშუალება მოგვცა საკუთარ მშობლიურ ენაზე გკეკითხა შექსპირი, ტოლსტოი, გორკი, პუშკინი და სხვა, ასევე ჩვენც გვმართებს, მომავალი მხატვრობის გამარჯვებისათვის ვიფიქროთ პატარებზე, ჩვენს მომავალზე, დროა ჩვენს საქმიანობაში მხატვრობის ირგვლივ, ახალგაზრდობას შევუქმნათ საშუალება მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ვერონეზე, რეპინი, სურიკოვი, ვაზარი, თანამედროვე ხელოვნებისმცოდნეთა და დიდ მხატვართა აზრები, რომლებიც თქმულა ხელოვნებაზე. ეს სიყრმეშივე ასწავლიდა ხელოვნების არსებობის მიზანს და საწყისშივე შეიგრძნობდა მის სიკეთეს. ამავე დროს, ეს ფაქტი ჩვენი საბჭოური კულტურის კიდევ ერთი გამარჯვება იქნებოდა.

შესაძლოა, ყველაფერი ეს წვეთად ჩანს იმ დიდ გამარჯვებასთან, რასაც ჩვენი მონუმენტური ხელოვნება განიცდის, მაგრამ რადგან თქმულა დიდი პოეტის მიერ „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდებისო" — ვგრძნობ, თქმა დროულია, რათა ჩვენმა მომავალმა უნაკლოდ იზეიმოს, დროულია, რადგან ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა რთულ გზას არ შეუშინდეს. სამშობლოს სიყვარულს უნდა გაუტოლონ თავისი პროფესიის სიყვარული. ბედნიერებაა შრომა, როცა იცი რისთვის იხარჯები.

დღეს, როცა ასე შეკრულია და ერთიანია ჩვენი ქვეყანა, როცა ხელის გარეშე სძინავს ქართველ კაცს, როცა ბის ნიჭზე, ქვეყნის გამარჯვებებზე ლაპარაკობენ, როცა მსოფლიო არენაზე გამოჩნდა ქართული ღვინო, კეთილშობილი ვაზის მრავალი ჯიში, როცა მეცნიერება ხმამაღლა ამბობს თავის სათქმელს, როცა ქართული ლიტერატურა ალაპარაკდა მოძმე ხალხებისა და მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე, ქართული კინო და თეატრი მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული, როცა ქართულ მუსიკას, სიმღერას და ცეკვას მსოფლიოში იცნობენ, როცა ჩვენი სპორტსმენები იცავენ საბჭოთა სპორტის სახელს, ჩვენი ვალია ეს სიდიადე პლასტიკაში გადავიტანოთ, მაღალმხატვრულად, ამაღლებულად, რათა საამაყოდ დავუტოვოთ ჩვენს თაობებს. ჩვენ მართლები ვიქნებით ხალხთან, გულისყურით რომ ხვდება და უცდის ჩვენს გამარჯვებებს. მაშინ ჩვენ მართლები ვიქნებით ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, აგრერიგად ხელს რომ უწყობენ ხელოვნების განვითარებას და აფასებენ ჩვენს შრომას. მაშინ მართლები ვიქნებით იმ მშრომელი კაცის წინაშე, ღვინით სავსე თასს რომ ეკავეული და გვთხოვს — დაილოცეო!

ბორის სანაკოევი. სამხრეთ ოსეთის ასსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირმა ნაყოფიერი მუშაობა გაწია. როგორც ცნობილია, შემოქმედებითი საქმიანობის მაჩვენებელი, პირველ რიგში, გამოფენებია. მათი მაღალი დონე და ქმედითობა განსაზღვრავს ამ მუშაობის ხარისხს. როგორც არასოდეს, სადღეისოდ ჩვენი საგამოფენო დარბაზი მრავალრიცხოვანი ტურისტისა და ჩვენი ოლქის სახვითი ხელოვნების მოყვარულთა ყურადღების ცენტრად იქცა.

სამხრეთ ოსეთის მხატვრები აქტიურად მონაწილეობენ თითქმის ყველა რესპუბლიკურ და ზონალურ გამოფენებზე. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ წარმატება ხვდა აჟარაში სამხრეთ-ოსეთის კულტურისა და ლიტერატურის დღეებთან დაკავშირებით ბათუმში მოწყობილ სამხატვრო გამოფენას, რომელიც ადგილობრივმა პრესამაც აღნიშნა.

ჩვენი კავშირის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მოსკოვში ეამართული გამოფენა. სამხრეთ ოსეთში მოღვაწე მხატვართა შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს ჟურნალებმა „ტვორჩესტვომ", „ისკუსსტვომ", საქართველოს ტელევიზიამ კი გადაიღო მშვენიერი ტელეფილმი. ამჟამად ვაპირებთ ჩვენი მხატვრების შემოქმედება ჩრდი-

ლო ოსეთის მშრომელებს გავაცნოთ. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის 60 წლისთავის იუბილესა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ვემზადებით ახალი გამოფენისათვის.

ჩვენს ოლქში და მის ფარგლებს გარეთ წარმატებით ჩაიარა რამდენიმე პერსონალურმა გამოფენამ, კერძოდ, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ხ. გასიევის (ორჯონიკიძეში, თბილისში), რ. გაგლოევის, ლ. თურმანოვის, რ. ახაევის, ლ. ჯიოევის ნამუშევართა გამოფენებმა.

ოსური სახვითი ხელოვნების საძირკვლის ჩაყრა და განვითარება მეოცდაოდ უკავშირდება შესანიშნავი მხატვრის მახარბეკ ტუგანოვის სახელს. იგი არა მარტო ჭეშმარიტი სახალხო მხატვარი იყო, არამედ დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე. 1937 წელს ოსეთში მხატვართა კავშირისა და ცხინვალის სამხატვრო სკოლის დამაარსებელი. სწორედ ამ სახელოვნებლის აღზრდილები შეადგენენ ძირითად შემოქმედებით ძალას როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთში.

დღეს ჩვენს კავშირში 35 მხატვარია გაერთიანებული, 6 მხატვარი საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდებას ატარებს, ორი კოსტა ხეთაგუროვის პრემიის ლაურეატია, ერთი — პრემიისა „ხუთწლედის მატიანე". მთელი შემადგენლობის თითქმის ნახევარი ახალგაზრდობაა.

ჩვენი მხატვრების შემოქმედებაში ძაფიოდ აისახება თანამედროეობა, ორი ხალხის ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანის მიზანშეიმართული შრომა, ეროვნული კულტურისა და ხელოვნების აყვავება.

მხატვრები ხშირად მიემგზავრებიან ახალმშენებლობებზე, სასოფლო რაიონებში და შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგებიან ხოლმე საზოგადოების წინაშე.

აქტიურ მუშაობას ეწევა ჩვენს კავშირთან არსებული ახალგაზრდა მხატვართა სექცია. შემოქმედებით სახლებში, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლების გვერდიგვერდ ისინი იმაღლებენ ოსტატობას.

სამხრეთ-ოსეთის მხატვართა შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და მათი ხელოვნების პოპულარიზაციისათვის საჭირო ხდება ჩვენი საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქცია-გაფართოება, სათავსების მშენებლობა სახელოსნოებისათვის. მომწიფთა საკითხი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მხატვართა ნამუშევრების პოპულარიზაციისა, მონოგრაფიებისა და ალბომების გამოცემებისა. დიდად სასურველია, რომ ხშირად გვეწვიოს ხელოვნებათმცოდნეები.

კარგი იქნებოდა, ჩვენთან, სადღეს მოსახლეობის ადგილას, აგვეგო რესპუბლიკური საკავშირო მნიშვნელობის შემოქმედებითი სახლი. ვფიქრობ, მომავალი თაობები ამას დიდად დაგვიმადლებენ.

ეჭვი არ არის, სამხრეთ-ოსეთის მხატვრები, საქართველოს მხატვართა დიდი კოლექტივის მხარდამჭერ, კვლავაც თავიანთ წვლილს შეიტანენ მრავალეროვნული სახვითი ხელოვნების შემდგომ წინსვლაში.

რადიო თეატრი. საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანი.

დღეს მსოფლიოს პროგრესული სახვითი ხელოვნების გზას უაღრესად რთული და მძლავრი პროცესები ახასიათებს. ცხარე შემოქმედებითი ძიებანი მიმდინარეობს თანამედროვე ხელოვნების ხასიათის, მისი განვითარების ტენდენციების ირგვლივ. ამ მოვლენებმა ქართულ სახვით ხელოვნებაშიც იჩინა თავი. მთავარი გახდა მხატვრული ფორმა, მისი პლასტიკური მხარე, ამან წინა პლანზე წამოიწია გამომსახველობითი საშუალებების ინტენსიური ძიება, ექსპერიმენტები.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული რეალიზმის შემზღუდველი კანონები სხვადასხვა ჯურის ფორმალისტებად ნათლავდა ყველას, ვინც კი გასცილდებოდა იმდროინდელ დოგმატურ, შაბლონურ აზროვნებას. დრომ მოიტანა ხელოვნების ფასეულობათა გადაფასების აუცილებლობა და აღმოჩნდა, რომ მაშინდელმა ე. წ. „ფორმალისტებმა" გაცილებით მეტი ღირსეული ნაწარმოებები შესძინეს რეალისტური ხელოვნების საგანძურს, ვიდრე იმდროინდელმა, თვით „წმინდა რეალისტებად" აღიარებულმა ზოგიერთმა მხატვარმა.

თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში შეიმჩნევა დაზგური ხელოვნების თანდათანობითი დომინირების პროცესი. გაიზარდა საზოგადოების ინტერესი სამხატვრო გამოფენებისადმი. მნიშვნელოვნად იმატა როგორც რესპუბლიკურ-თემატურმა, ისე ჯგუფურმა, და პერსონალურმა გამოფენებმა, რომლებზედაც მკაფიოდ იკვეთება თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ტენდენციები. რესპუბლიკურ-თემატური გამოფენებიდან მაღალი პროფესიული დონით გამოირჩეოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა, აგრეთვე გამოფენა „დიდება შრომას". საინტერესო იყო აგრეთვე ექსპოზიციები „ფიზკულტურა და სპორტი სახ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით ხელოვნებაში", ბუნების დაცვისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური გამოფენა „მხატვარი და გარემო". ადრეული გამოფენებისაგან განსხვავებით, თემა, უმეტეს შემთხვევაში, არ არის პირდაპირ და სწორხაზოვნად გაგებული. ერთის შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო კონკრეტული მოვლენა ღრმად გაანალიზებულია და განზოგადებული, აშკარად იგრძნობა მკვეთრი შემობრუნება პირობითი დეკორატიული სტილიზაციის ფორმებიდან, კონკრეტული ასახვის დაზგური პრინციპებისაკენ, რამაც თავისთავად გამოიწვია მხატვრის ინდივიდუალური თვისებების, მისი შინაგანი ხასიათის, ტემპერამენტის, პლასტიკის, ფერის, ხაზის, ფაქტურის სუბიექტური შეგრძნების გამოვლენა.

თუმცა სამხატვრო გამოფენებზე ჯერ კიდევ გვხვდება ზერელე-ეფექტური, ყალბი ლიტერატურული შინაარსით დატვირთული, დაბალპროფესიული ნაწარმოებები. ასეთი ნამუშევრებისათვის თემა ერთგვარად სპეკულაციურია.

უნდა აღინიშნოს რესპუბლიკურ-თემატური გამოფენების არადამაკმაყოფილებელი დაფინანსება. კულტურის სამინისტროსათვის ამ გამოფენებიდან შესაძენი ნაწარმოებების ისედაც მცირე თანხის გადაცემა ძალიან დიდი დაგვიანებით ხდება, რის გამო რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ წელს მხატვრებთან ხელშეკრულება ვერ გააფორმა, თუმცა მხატვართა კავშირის შემოქმედებით სექციებს თებერვლის თვეში ესკიზები უკვე განხილული და გადარჩეული ჰქონდათ. ასე რომ, ამჟამინდელი დიდი რესპუბლიკური გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი, მხატვრებთან ხელშეკრულების გაფორმებისა და ავანსირების გარეშე მოეწყო.

ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენების მნიშვნელობა უაღრესად დიდია. აქ განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სახვითი ხელოვნების ყველა დარგის სპეციფიკური პრობლემები. ავტორი მხატვრული ფორმის ძიებისა და ექსპერიმენტის შედეგებს ამ გამოფენაზე ამოწმებს, აქვე ესახება მომავლის ამოცანებიც. ყოველი საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენისათვის ნამუშევრის შესარჩევად საგამოფენო კომიტეტის შემადგენლობა მთლიანად იცვლება, რაც წინაპირობაა იმისა, რომ მეტი თავისუფლება მიეცეს სხვადასხვა სტილსა და მიმართულებას.

საგამოფენო კომიტეტის წევრს მართებს დაკვირვებული და უნარიანი გარ-

ჩევა ღრმა, გულწრფელი, მაღალპროფესიული ნაწარმოებებისა გარეგნულად ეფექტური, მაგრამ შინაგანად ყალბი, ფსევდო-ნოვატორული ნამუშევრებისაგან, რომელიც ხშირად პროფესიული უვიცობის შესანიღბავად კეთდება. საგამოფენო კომიტეტის წევრმა პირადი სიმპათია-ანტიპათიით არ უნდა იხელმძღვანელოს ნამუშევრების შერჩევისას, რათა არ შეიქმნას ერთი სტილისა და მიმართულების დამკვიდრების საშიშროება.

შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც ავტორის მხატვრულ პრინციპებს ნათლად გამოხატავს, — ეს არის მხატვრის ხელწერა და ყველა ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ის საკუთარი და განუმეორებელია, ამიტომ მას დიდი სიფრთხილე და სათუთად მოპყრობა სჭირდება.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1980 წელს ლენინგრადში მოწყობილი საბჭოთა სახვითი ხელოვნების დიდი რეტროსპექტული გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნა ყველა დარგი. ექსპოზიციაზე მკაფიოდ გამოჩნდა ქართული მხატვრობის თვითმყოფადობა, მაღალი კულტურა, მისი სკოლის ჩამოყალიბების რთული გზა. გამოფენას უდიდესი წარმატება ხვდა და ცხოველი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადის საზოგადოებაში.

მხატვართა კავშირის გრაფიკის სექციის ინიციატივით 1981 წელს მოეწყო ქართული საბჭოთა გრაფიკის რეტროსპექტული გამოფენა, რომელსაც მიეძღვნა სპეციალური პლენუმი. ქართველ გრაფიკოსთა წინა თაობების მაღალპროფესიულ ხელოვნებას ღირსეული გამგრძელებლები ყავს. დასანანია, რომ არ დაიბეჭდა ამ გამოფენის კატალოგი და მოხსენება, მითუმეტეს ამის შესაძლებლობა ამჟამად გვაქვს — გაგვაჩნია საკუთარი პოლიგრაფიული სახელოსნო.

წელსვე მოეწყო ქართული გამოყენებითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა. რეტროსპექტული გამოფენების და შემოქმედებითი პლენუმების დარგობრივად მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწოს მისი ფორმა და მაღალპროფესიულად გაანალიზდეს სახვითი ხელოვნების განვითარების ტენდენციები.

დღითიდღე აქტიურდება შემოქმედებითი ცხოვრება აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და ქუთაისის მხატვართა კავშირის განყოფილებებში. გაფართოვდა საგამოფენო დარბაზები და დღეს მათთან წარმატებით ეწყობა როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო გამოფენები. ამ მხრივ აღსანიშნავია ქუთაისის სამხატვრო გალერეა, სადაც პერიოდული გამოფენების გარდა, სრულყოფილა-

ა. მონასელიძე — ბერიკობა

დ. ერისთავი — „კაცია-ადამიანი?!". ილუსტრაცია

ბ. ბერძენიშვილი — სასტუმრო „ევერიის" მოხატულობის ფრაგმენტი

ზ. ნიჟარაძე — ესკიზი მოხატულობისათვის

ლ. შენგელია-აბაშიძე — ნახირი ბრუნდება

და ეექსპონირებული ქართული თანამედროვე სახვითი ხელოვნება.

საანგარიშო პერიოდში მხატვართა კავშირი აქტიურ საშეფო მუშაობას ეწეოდა. მხატვართა ჯგუფები საქართველოს თითქმის ყველა საამშენებლო ობიექტებსა და სოფლის მეურნეობის რაიონებს ეწვივნენ სამუშაოდ. შეიქმნა მშრომელთა პორტრეტები და პეიზაჟები, შეგროვდა სათანადო მასალა, რის საფუძველზეც 1980 წელს თბილისში მოეწყო დიდი რესპუბლიკური გამოფენა.

რეგულარული ხასიათი მიიღო ქართველი მხატვრების სტუმრობამ ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო ნაწილებთან, განსაკუთრებით მესაზღვრეებთან. მათთან ხშირად ეწყობა მოძრავი გამოფენები. წელს კი, სასაზღვრო ჯარების მე-60 წლისთავს მხატვართა კავშირმა მიუძღვნა სპეციალური საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც ექსპონირებული იყო მხატვრის სახლის დარბაზებში.

ქართველ მხატვრებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ დიმიტროვის სახელობის საავიაციო და სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის, საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ მშრომელებთან, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების სტუდენტ-მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ეწყობა შეხვედრები და გამოფენები.

ქართველი მხატვრების ნაწარმოებები უსასყიდლოდ გადაეცა მთელ რიგ ორგანიზაციებს, მათ შორის ნია-გრუზინსკაიას — ბამზე, სადაც განზრახულია სამხატვრო გალერეის მოწყობა.

დიდად გაიზარდა მხატვრობისადმი ინტერესი საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში. უაღრესად პოპულარულია მოძრავი სამხატვრო გამოფენები. მშრომელი ხალხის ესთეტიკურ აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი სამხატვრო გალერეების დაარსებას. რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს სამხატვრო გალერეის გახსნა ცხაკაიას, თერჯოლის, ზუგდიდისა და ცაგერის რაიონებში. ქ. ცხაკაიას სამხატვრო გალერეა, როგორც ნაგებობით, ასევე ექსპონატებით ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში.

1980 წელს თერჯოლის რაიონში მოეწყო მხატვართა საკავშირო პლენუმი. ერთი თვის განმავლობაში თერჯოლასა და მის შემოგარენში მუშაობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და თითქმის ყველა რესპუბლიკის ცნობილი მხატვრები. საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის ცხოვრების ამსახველი სურათები ხშირად იფინება, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ მოწყობილ სამხატვრო გამოფენებზე.

ქართულ სახვით ხელოვნებაში თვალსაჩინო მოვლენად იქცა რამდენიმე პერსონალური და ჯგუფური გამოფენა. მოულოდნელ აღმოჩენად გაბრწყინდა გურამ ქუთათელაძის შინაგანი ლირიზმითა და მელოდიურობით სავსე ფერწერა. დიდი აღიარება მოიპოვა ზურაბ ნიჟარაძის, სერგო ქობულაძის, ვალენტინ შერპილოვის ნამუშევართა გამოფენებმა. ქართველი მხატვრების პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებს დიდი წარმატება ხვდა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასეთი გამოფენების რიცხვი საკმაოდ დიდია და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში საცნაურია პერსონალური გამოფენების ერთგვარი მოჭარბება. ამ გამოფენების საკმაო ნაწილი ავტორთა აჩქარებასა და მოუმწიფებლობას მოწმობს. მხატვართა ერთი ნაწილი კი, რომელთა ნამუშევრები დაბალი პროფესიონალიზმის გამო ვერ ხვდება რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე, პერსონალური გამოფენის მოწყობის რეკომენდაციის მიღებასაც კი აღწევს შემოქმედებითი სექციების ბიუროებიდან, და იბეჭდება პრესაში ამ გამოფენების საქებარი დილეტანტური წერილები, რითაც ავტორებს შეცდომაში შეყავთ ფართო საზოგადოება. რჩება შთაბეჭდილება, რომ სახვით ხელოვნებაზე განუკითხავად ყველას შეუძლია წეროს. საჭიროა მხატვართა კავშირის ხელოვნებათმცოდნეობის სექციამ კონტაქტი დაამყაროს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, რათა შემთხვევითი პირების მოღვაწეობა აღიკვეთოს.

თავისი სპეციფიკის გამო სახვით ხელოვნებას უფრო მეტი დრო უნდა ეთმობოდეს სატელევიზიო გადაცემებში, ვიდრე რადიოში. ფერწერას თვალდახუჭული ვერ აღიქვამ, ფერწერა უნდა იხილო, მუსიკა და ლექსი მოისმინო.

ჩვენს საგამოფენო დარბაზებში ცუდი განათებაა, ღარიბია საგამოფენო რეკვიზიტი. სასწრაფო რეკონსტრუქციას საჭიროებს სამხატვრო გალერეის შენობა. დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ცენტრალური საგამოფენო ნაგებობა ასეთი კეთილმოუწყობელი არ უნდა იყოს. საგანგაშო მდგომარეობაა სამხატვრო გალერეის ფონდსაცავში. გარდა იმისა, რომ გალერეის თანამშრომლებს მუშაობის ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძური უვარგის სარდაფებში ნესტისა და მტვრისაგან ნადგურდება.

თუ არ ჩავთვლით სამხატვრო გალერეებსა და მუზეუმებს, ფართო საზოგადოებას დაზგურ ხელოვნებასთან სხვა კონტაქტი არა აქვს. თანამედროვე არქიტექტურის, საზოგადოებრივი დანიშნუ-

ლების ინტერიერიდან დაზგური ხელოვნება საერთოდ გამორიცხეს. მართალია, მისი გაჯიბრება დღევანდელ არქიტექტურულ მასშტაბებთან შეუძლებელია, მაგრამ ასეთი უგულვებელყოფაც არ შეიძლება.

ევროპის მრავალ ქალაქში დიდი მოცულობის ინტერიერებში შეიქმნა მცირე ფორმის ნოცულობები, დაზგურ ხელოვნებას საარსებო კლიმატი შეექმნა. საჭიროა ჩვენც გავიხსენოთ ერთი ჭეშმარიტება — დაზგური ხელოვნება არსებობს არა ინტერიერისათვის, არამედ ამ ინტერიერში მყოფი ადამიანებისათვის.

ქართველ მხატვრებს შესწევთ ძალა და უნარი იყვნენ თანამედროვე საზოგადოების მაღალი ესთეტიკური მოთხოვნების დონეზე. ამის თავმდებია ქართული სახვითი ხელოვნების უკვე მიღწეული, თუ მომავალი დიდი წარმატებები.

მამია ახრობაძე. ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა გაერთიანების თავმჯდომარე.

ყრილობიდან ყრილობამდე ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც გასაკეთებელი დაგვრჩა.

მხატვართა კავშირში ახალგაზრდები განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით სარგებლობენ. ამის შესახებ თავად უკეთ იციან. მათზე ფიქრი და ზრუნვა, პირველ ყოვლისა, ევალება ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა შემოქმედებით გაერთიანებას. ეს არის მოქმედი ბირთვი, რომელიც პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც ახალგაზრდა შემოქმედის ბედთან იქნება დაკავშირებული მომავალში. ეს ის ახალგაზრდობაა, რომელიც ხვალ-ზეგ შეცვლის უფროს თაობას შემოქმედებით ასპარეზზე. ამდენად, ფხიზელი თვალი მუდამ საჭიროა, მთელი ძალით გვმართებს მათთან შემდგომი მუშაობის გაუმჯობესება.

პრობლემებსა და თავსატეხ საქმეს მხატვართა კავშირში რა გამოლევს, მაგრამ ამ პრობლემათა შორის არსებობს ისეთებიც, რომლებიც განსაკუთრებით მოითხოვენ ყურადღების გამახვილებას. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ახალგაზრდა კადრების შრომითი განაწილებისა და მოწყობის საკითხი. ამ მხრივ კი ძალზე ცოტა კეთდება.

კულტურის სამინისტროს, სამხატვრო აკადემიის კადრების განყოფილებასა და მხატვართა კავშირის კადრების განყოფილებას შორის არ არსებობს არავითარი კონტაქტები. ეს კი დაუშვებლად მიგვაჩნია. ამავე დროს, ამ საკითხით დაინტერესებული უნდა იყოს აგრეთვე ის წარმოება-დაწესებულებები, ვისთვისაც, უწინარესად, მზადდება სპეციალისტები. მხატვარ-დიზაინერის ხელი აკლია ხშირად მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას. რა არის მიზეზი, რომ ახალგაზრდა მხატვრებმა ვერ მოიკიდეს ფეხი წარმოებაში? უპირველესად, იმავე წარმოება-დაწესებულებათა და დარგობრივი სისტემების ხელმძღვანელთა გულგრილი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, საქმისადმი.

ვიდრე შემოქმედებითი ინტერესები არ ამაღლდება წარმოებებში, ვიდრე არ შეიქმნება ნამდვილი სამუშაო პირობები, მანამდე ძნელია დაამაგრო და დაამკვიდრო იქ ახალგაზრდობა. ამას მარტო ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. ამაში ზემდგომი ორგანოები უნდა ჩაერიონ.

ზემოთაღნიშნული პრობლემა პირდაპირ კავშირშია ისეთ მტკივნეულ საკითხთან, რასაც მოსახლეობის გადაჯგუფება ანუ მიგრაცია ეწოდება. როცა ამ საკითხზე დავიწყე ფიქრი, უნებლიედ რატომღაც ჩვენი მაღალმთიანი რაიონები წარმომიდგა თვალწინ, განსაკუთრებით კი, მესხეთ-ჯავახეთი. როგორც ჩანს, თითო-ოროლა ღონისძიება წელიწადში საქმეს ვერ შველის. მიგრაციის მავნე სენმა ეს მხარე საკმაოდ დააზარალა. ამას ისტორიულმა ბედუკუღმართობამაც შეუწყო ხელი თავის დროზე და დანაკარგის ანაზღაურების პროცესი საკმაოდ დიდი ხნით გრძელდება. მართალია, დღეს იქ სულ სხვა ცხოვრება მკვიდრდება, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს ამ მხარის მიმართ. ისიც კარგად ვიცით, რომ კეთდება და უმოკლეს დროში დამთავრდება მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი. აღსრულდება მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის საუკუნოვანი ოცნება. სამხრეთ საქართველო უმოკლესი გზით დაუკავშირდება დედა-თბილისს. კარგია ყოველივე ეს, მაგრამ ჯერჯერობით იგი მაინც დიდი საქმის დასაწყისია.

საღღეისოდ დიდი მისია აკისრია მესხეთის ახალგაზრდულ თეატრს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. ჩვენი აზრით, უახლოეს დროში ამ მხარეში უნდა დაარსდეს მრავალდარგოვანი უმაღლესი სახწავლებელი, სახვითი ხელოვნების და მუსიკის დარგებით, თუნდაც რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე, ისევე როგორც ეს განხორციელდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, როცა მან შეიცვალა პროფილი.

სასურველია იმავე ინსტიტუტებმა, მათმა მესვეურებმა იმაზეც იზრუნონ, რომ ამ რეგიონის სხვადასხვა მხარეში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების ახლოს, აშენდეს ბაზები სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისათვის, სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობისათვის. ამაზე ხელსაყრელ პირობებს სად იპოვის ადამიანი. იგი ხელს შეუწყობს,



აგრეთვე, მესამე სტუდენტური სემესტრის საქმიან დონეზე ჩატარებასაც. თუ რაიონების, სოფლების თავკაცები გამოიჩენენ მეტ ყურადღებას იმ მხრივ, რომ შემოქმედებით ინტელიგენციას შეუქმნან ადგილებზე ნორმალური სამუშაო პირობები, არა მგონია ვინმემ უარი თქვას თავის მამაპაპეულ ნაფუძარზე მიბრუნებასა და იქ დამკვიდრებაზე.

მოგვარებას ითხოვს მხატვართა სახელოსნოების საკითხი. მთავრობის დადგენილება ამ საკითხზე სრულყოფილად არ ხორციელდება ქალაქის აღმასკომებისა და საბინაო სამმართველოების მიერ.

ამაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ მასზეა დამოკიდებული თუ როგორ წარიმართება მომავალში ახალგაზრდა შემოქმედის საქმიანობა. სახელოსნო მისთვის ფუფუნება როდია, როგორც ეს ცალკეულ პიროვნებებს ეჩვენებათ.

რა დასამალია და მომრავლდნენ ისეთი მხატვრები, რომლებმაც სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ვეღარ გაართვეს თავი მათ წინაშე წამოჭრილ ცხოვრებისეულ პრობლემებს და ნაადრევად მოექცნენ გარკვეულ ცდუნებათა სფეროში. საკუთრივ შემოქმედებითი მიზნები კი ჩრდილში დარჩა, გამოსავალი „საქმოსნობაში" იპოვეს. ამას სხვა არა ჰქვია რა, გარდა ხულიგანობა და გზის გამრუდება. ჩვენი მხრივ შემგუებლობა ამ საკითხისადმი დანაშაულია.

გაჩნდნენ მოძალადეებიც, რომლებიც ყველაფერს სჩადიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი წაიღონ მხატვართა კავშირიდან, ისიც, რაც ჯერ კიდევ არ დაუმსახურებიათ და, ეს იმ დროს, როცა ბევრი არაფერი გაუკეთებიათ საერთო საქმისათვის. ჩვენ კი საოცარი სიმშვიდით შევყურებთ ყოველივე ამას.

მომრავლდნენ ისეთი მხატვრებიც, რომლებიც მდარე, დაბალი ხარისხის გამოფენებს აწყობენ. პრესა, რადიო, ტელევიზია იძულებულია გამოიჩინოს მათდამი ყურადღება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ეს ყურადღება გადადის ზედმეტ გულუხვობაში. ამ დროს კი ჭეშმარიტი ნიჭი და ტალანტი მოკრძალებულად, ჩრდილში დგას. არც ამგვარ ფაქტებზე ვახდენთ რეაგირებას. პირიქით, ზოგჯერ ასეთ პიროვნებას მაამებელი სიტყვებითაც კი ვისტუმრებთ. ამგვარ დუმილს და შემგუებლობას ზიანი მოაქვს არა მარტო თავად ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის, არამედ მავნედ მოქმედებს ახალგაზრდა კაცის ფსიქიკასა და შეხედულებებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მხატვართა მრავალი ოაობის საქმიანი კონტაქტები საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტთან, რომლის მხარდაჭერითა და ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე განხორციელდა. კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის ერთ-ერთ მშვენებას საგამოფენო დარბაზი „ფიროსმანი" წარმოადგენს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იქ ჯერჯერობით შესაფერისი მხატვრული ცხოვრება ვერ დავამკვიდრეთ. ამაში ბრალი ახალგაზრდებს მიუძღვით.

როგორც იცით, ამჟამად შენდება პიონერული ქალაქი „მზიური". თუ ახალგაზრდა მხატვრები გამოიჩენენ ინტერესს და სურვილს მიიღონ მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში, ეჭვი არ არის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ამჯერადაც მხარს დაუჭერს მათ.

დიდი წარმატებები აქვთ ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და ქუთაისში. საოცრად გამოცოცხლდა მხატვრული ცხოვრება გორში, ზუგდიდში, რუსთავში, ვეხმარებით და კვლავაც გავუწევთ დახმარებას მათ, როგორც შემოქმედებითი, ისე ეკონომიური თვალსაზრისით.

საქართველოს მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობას მრავალი კეთილი საქმე აქვს განზრახული სამომავლოდ. იმედია, ეს განზრახვანი კარგად შეისხამს ხორცს ცხოვრებაში.

ჯიბსონ ხუნდაძე. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.

ვისაც ჩემი თაობის მხატვრების გამოსვლა ახსოვს ამ ტრიბუნაზე, ალბათ, შემოქმედებით პრინციპებზე, მხატვრულ ფორმ-ებზე გაუთავებელი დავაც ეხსომება. ალბათ ახსოვთ, რომ ამ დაუცხრომელმა ბრძოლამ ჭეშმარიტებისათვის ბევრად შეუწყო ხელი მხატვრულ ღირებულებათა გადაფასებას და განაპირობა დღეისათვის არსებული დონე ჩვენი კულტურის ამ სფეროში. ეს ბრძოლა ჭეშმარიტი ეროვნული ხელოვნებისა და მის ღირსეულ წარმომადგენელთა გადარჩენისათვის ჩვენს თაობას ხვდა წილად. დაცვალადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის ჭეშმარიტად დიდი ხელოვნებისა ჩვენმა თაობამ იკისრა და ხაჭმით გაამაგრა მათი პრინციპები, პოზიციები. ვის არ ახსოვს ბრძოლები ფოტოგრაფიზმის წინააღმდეგ, ახალი ფორმის ძიებით, ფერწერის ენის გამდიდრებით და ფოტოგრაფიზმთან მისი დაპირისპირებით.

ქართული მხატვრობა არასოდეს ჩამორჩებოდა დღეს საქვეყნოდ აღიარებულ ქართულ თეატრს, კინოს, ლიტერატურას, მუსიკას. ჩვენი სახვითი ხელოვნება ამჯერად გზას იკაფავს თეატრისა და კინოს საშუალებითაც და ფართო ასპარეზიც ელოდება.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები ყოველ

ღონეს ხმარობენ, რათა ეროვნული ხელოვნების პოპულარობას შეუწყონ ხელი, მაგრამ ჩვენში გაბატონებული ხნობიზმი, პროტექციონიზმი და მიკერძოება მაინც ხელს უშლის ეროვნულ საქმეს.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა ზრუნვა და მხარდაჭერა ყოველი ახლისა და პროგრესულისადმი იქიდანაც ჩანს, თუ როგორი შემოქმედებითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში გაიხსნა მოსკოვში, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თაოსნობით გამოფენა „მოსკოვი-პარიზი". აქ თავმოყრილია უამრავი ძიება არქიტექტურაში, ფერწერაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში, რომელიც ისტორიაში დარჩა, როგორც დასავლეთის მიერ მონათლული ბოლშევიზმის ხელოვნება. ოციან წლებში შექმნილი პროექტები შრომისა და კულტურის სასახლეებისა, თავისი კონსტრუქციული სტრუქტურის სიახლით წინამორბედი იყო დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტურის იმ ფორმებისა, რომელიც თავისი ინჟინრული კონსტრუქციებით და ფუნქციონალური სიახლით დამკვიდრდა თანამედროვე არქიტექტურაში. ასევე მოხდა ფერწერასა და ქანდაკებაში, რომელიც შემდგომ აბსტრაქციონიზმად მოინათლა. ეს იმ პერიოდში დაბადებული ხელოვნებაა, როდესაც ძველისა და ახლის ჭიდილის დროს ადამიანის გონება, როგორც არასოდეს, განთავისუფლდა არტახებისაგან და იწყო ახალი თვალით სამყაროს შეცნობა. ყველა დროის ადამიანი ახალი ხერხებით უხსოვარი დროიდან ამდიდრებდა და აღრმავებდა ყველა იმ პირობით და აბსტრაგირებულ ფორმებს, რომელიც გვხვდება პირველყოფილი ადამიანის ხელოვნებიდან მოყოლებული ეგვიპტესა და ხირიაში, შემდგომ ანტიკურსა თუ იტალიურ კვატროჩენტოსა თუ ტრეჩენტოში, რითაც დაგვარგვინდა და შეივსო სამყაროს შეცნობისა და მშვენიერების ახალი, დიდი წიგნი, რენესანსად რომ იქნა წოდებული.

წარმოუდგენელია ადამიანის დაუცხრომელი გონების შეჩერება, იგი სულ ახალი სახვითი ენის აღმოჩენაშია, რათა უფრო ღრმად ჩაწვდეს და შეიცნოს სამყარო. ქართველი კაცის ნიჭი ათქმევინებს მას (სამყაროს შეცნობისა და იდუმალ სფეროთა გასარკვევად): „იყო და არა იყო რა", რომელსაც მარტო ზღაპრის დაწყების ფუნქცია როდი აკისრია. იგი იტევს იმ შრეების გამთლიანება-განზოგადებას სამყაროს შეცნობისას, რასაც ადამიანი პირობითობას უდებს საფუძვლად და არ შეიძლება არ გაგვახსენდეს დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის აზრი თანამედროვე ქართული ხელოვნების გადარჩენასა და განვითარებაზე. იგი წერდა, რომ ქართული ხელოვნებისა და კულტურის რენესანსი, რომელიც მე-12 საუკუნეში არსებობდა, შეწყდა ძნელბედობის გამო შემდგომ საუკუნეებში. ამიტომ საჭიროა ევროპულ რენესანსთან მჭიდრო კავშირი და საერთოდ ევროპის თანამედროვე პროგრესულ მხატვრულ აზროვნებასთან თანაგრძობა. ფიქრი ხელოვნების უწყვეტი ნაკადის დინებაზე ქართულ სიტვით ხელოვნებაში და მის გადარჩენა-განვითარებაზე ძალზე აწუხებდა მას და არ შეიძლება, რომ ყურად არ ვიღოთ და ერთბაშად უარი ვთქვათ ხელოვნების ჭეშმარიტ სიახლეებზე, რომლის მაგალითი არის პარიზის პომპიდუს ცენტრში ცნობილი რუსი მხატვრების — შაგალის, კანდინსკის, არხიპენკოს, გონჩაროვას, მალევიჩისა და სხვათა გამოფენა, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ახალი, პროგრესული აზრი ხელოვნებაში გაჩნდა და ჩამოყალიბდა ახალ, პროგრესულ იდეათა ქვეყანაში.

უპატიოსნება მარტო კორუპცია როდია. დაუმსახურებლად, საკუთარი დიდებისათვის გვერდში რომ დაუდგები იხეთ დიდ მხატვრებს, როგორებიც არიან ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე, ესეც უპატიოსნებაა. გუდიაშვილისა და კაკაბაძის გვერდით დგომის უფლება მხოლოდ ღირსეულ მხატვარსა და მოქალაქეს აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება სულიერ სიმაბინჯესთან და ნეგატიური მოვლენების მიმართ წაყრუებასთან, რაც ეროვნული საქმის დალატია.

მე მახსოვს, როდესაც ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე თავის ერთ მოხსენებაში პროტექციონიზმის საკითხებს ეხებოდა, აღნიშნა: „რომ დაეხმარო ნიჭიერ კაცს. ეს არ არის პროტექციონიზმი, მხოლოდ უნიჭოს დახმარება მიმაჩნია მე პროტექციონიზმად, ნიჭიერ კაცს დაეხმარო გზის გაკაფვაში — ეს არის შენი ვალი და ამას პროტექციონიზმად ვერ ჩავთვლით". ბრწყინვალე სიტყვებია, ჩვენც ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ და გზა გადავუღობოთ სულიერ სფეროში მოზღვავებულ ნეგატიურ მოვლენებს. საერთო აღმავლობა, რომელიც არსებობს ქართული ხელოვნების ყველა სფეროში, მარტო ნიჭიერი ხელოვნების დამსახურება როდია, იგი შედეგია საერთოდ ხელმძღვანელ პარტიულ აქხანაგთა ერთობლივი დახმარებისა, რის გამოც დიდი ხნით დაბრკოლებული ხელოვნება განთავისუფლდა დოგმატური არტახებისაგან.

ჩვენი ხელოვნების განვითარებას არანაკლებ ხელს უშლიან მედროვენი. იყო დრო, როდესაც ერთი საეჭვოდ გახმაურე-

ბული დიდი ზომის სურათის ავტორი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ ავტორიტეტულად აცხადებდა: ბოლო უნდა მოვუღოთ წვრილთემიანობას, საჭიროა მსხვილთემიანობა (ის გულისხმობდა დიდი ზომის სურათს), რათა ფორმალიზმში არ გადაიჩეხოს ქართული ხელოვნება.

ვინ არ იცის, რომ ხელოვნებაში მსხვილი და წვრილი თემა არ არსებობს. არის მხოლოდ დიდი და პატარა მხატვრული ფორმის ნაწარმოები. ისე, როგორც დიდი მხატვრული ფორმა არსებობს პატარა ზომის სურათში, ასევე პატარა მხატვრული ფორმა შეიძლება არსებობდეს დიდ სურათში. მხატვრული ფორმისა და ზომის გაიგივება დაბალი აზროვნების შედეგია და გასაკვირი არ არის, როდესაც ამგვარად მოაზროვნე მხატვარი, დროის კარნახით, თავისი სურათების ზომას შეცვლის და პატარა ზომით ერთბაშად წვრილთემიანთა რიგში ამოყოფს თავს, და ავიწყდება თავისი ე. წ. პრინციპი.

ეს დამაფიქრებელია და უურადსაღებია! უპრინციპობა ხელოვნებაში ყველაზე სახიფათო სენია და საშიშია, რომ ამ სენით არ დაავადდნენ ახალგაზრდები, რამეთუ ჯერ ჩამოუყალიბებელი მხატვარი, რომელიც ისმენს ამგვარ მსჯელობას — სახელის მოხვეჭის იოლ, მაგრამ მცდარ გზაზე დგება. ამ შემთხვევაში ჩვენი ვალია, არა ჭკუის დარიგება სიტყვებით, არამედ მტკიცება საქმით! ამიტომ საჭიროა იყო პრინციპული და ერთგული შენი მხატვრული ამოცანებისა, შენი დანიშნულებისა და უანგარო მსახური ხელოვნებისა!

ჩვენს თაობას ჰქონდა ბედნიერება ეცხოვრა და ებრძოლა კიდეც ჭეშმარიტი მხატვრების გვერდით. ჩვენი ვალია არ დაგვერღვეს ხელოვნებისა და მშვენიერებისათვის მებრძოლთა უწყვეტი ჯაჭვი, და ამიტომ მის ყოველ ახალ რგოლს დიდი სიფრთხილითა და სიხარულით უნდა შევხვდეთ, რამეთუ უწყვეტია ჯაჭვი მშვენიერებისა და იგი არ გაწყდება, თუ ჩვენ ერის ამ თვისებებს, რომელსაც ნიჭიერება ჰქვია, მოემატება თავდადება, მოვალეობა, პატიოსნება.

შემოქმედება მშობიარობის პროცესსა ჰგავს, მისთვის არ არსებობს ცუდი და კარგი პირობები, იგი იძულებულია ყოველგვარ პირობებში წარმოშვას სიცოცხლე.

მაგალითი ძალზე ბევრია იმისა, თუ როგორ სხვადასხვაგვარ პირობებში უხდებოდათ დიდ მხატვრებს შედევრების შექმნა. არავითარი შემაფერხებელი ძალები პიროვნებისათვის არ არსებობს!

ს. მელქაძე — გაზაფხული

ი. ალბორთი — წითელი აკვანი

თუმცა, ზოგიერთისათვის უფრო საშიში ფუფუნება და დიდი სახელია.

ცნობილია, რომ იაპონელი მხატვრები, მოიპოვებენ რა დიდ სახელს, იმისათვის, რომ მხატვრული აზრის თავისუფლება არ დაკარგონ, იცვლიან გვარებს და გამოგონილი გვარით კვლავ ქმნიან ხელოვნების ახალ ნაწარმოებებს.

ცხადია, ცხოვრების ელემენტარული პირობები აუცილებელია, მაგრამ იყო დრო, როცა ზოგს ეს ელემენტარული პირობებიც არ გააჩნდა. ცხოვრობდნენ მანსარდაში — სახელოსნოში, სციოდათ და შიოდათ კიდეც, მაგრამ მაინც იბადებოდა ხელოვნება. ჩვენს ახალგაზრდობას და საერთოდ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ფანატიკური სიყვარულის გარეშე არ შეიქმნება ხელოვნება. იგი ყველასაგან ითხოვს თავგანწირვასა და გმირობას.

მახსოვს, 19 წლის რომ ვიყავი, ფარნაოზ ლაპიაშვილმა, ეკატერინე ბაღდავაძემ და იოსებ სუმბათაშვილმა მიმიყვანეს, ჩემი ნამუშევრებით, ლადო გუდიაშვილთან. ბატონმა ლადომ ნამუშევრები რომ ნახა, მითხრა: „საქართველოში ნიჭი, ჩემო ჯიბსონ, ფეტვივით ყრია, შენი ნიჭი რომ გადაარჩინო, გმირობაა საჭირო". მთელი ჩემი სიცოცხლე მახსოვს პირველი შეხვედრა დიდოსტატთან და მისი ბრწყინვალე სიტყვები კი არასოდეს დამავიწყდება, ამის შემდეგ დიდი მეგობრები ვიყავით და ყველა გაჭირვებაში, მისი ძნელბედობის ჟამს, უშიშრად ვუდექი გვერდში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ჩვენი თაობა იმით არის ბედნიერი, რომ ვცხოვრობდით ასეთი თავმდაბალი, ჩრდილში მდგომი გმირების გვერდით, მათგან ვსწავლობდით ბრძოლას და თავდადებას ხელოვნებისათვის. დღეს უფრო ადვილია გმირობის ჩადენა, ოღონდ მომადლებული გქონდეს მშვენიერების შეგრძნების ნიჭი.

შური, გაუტანლობა, გულგრილობა და ცინიზმი, რასაკვირველია, დღესაც არსებობს, მაგრამ ასეთ გარემოში შემოქმედი კვლავ უნდა ინარჩუნებდეს სიმშვიდესა და თავის თავში ჩაღრმავების უნარს, ყურად არ უნდა იღებდეს გარედან მოზღვავებულ წვრილმან სიბინძურეს. მაგრამ დროებითი უსამართლობა, რომელსაც სიბრძნე მაინც გაჰფანტავს, სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ გულზე ხელდაკრეფილებმა ვუცადოთ და დაგვავიწყდეს ჩვენი დიდი წინაპრის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს".

ხელოვნებაში ესთეტიკური ფენომენის, როგორც მხატვრული იდეის, განუყოფელი ნაწილის სრულქმნილ ფორმაში განსახიერება, ახალი ფორმის მთელ რიგ მაღალმხატვრულ ქმნილებებში გვხვდება. მის შემქმნელთა ოსტატობა, თავისი მხატვრული აზრისა და მსოფლმხედველობის სიახლის გამო, ხშირად ძნელად გასაგები იყო ხოლმე. პროფესიონალიზმის ცნების გაგება ხშირად გაიგივებული იყო (და არის ხოლმე დღესაც) ნაცადი ხერხების სპორტულ მომარჯვებასთან.

დიდი ფრანგი რომანტიკოსი მხატვრის ეჟენ დელაკრუას ახალი მსოფლმხედველობისაგან დაბადებული პროფესიული დიდოსტატობა, ცრუ კლასიციზმის აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნების საპირისპიროდ, პრიმიტიულად ითვლებოდა. შემდგომში სეზანი, ვან გოგი, რენუარი და სხვანი, ასევე, არაპროფესიონალ პრიმიტივებად მოინათლნენ, როგორც სალონური აკადემიური ნორმების დამრღვევნი. დღეს ისინი უკვე საქვეყნოდ აღიარებული გენიოსები არიან და სალონის აკადემიკოსების უზარმაზარი ტილოები კი მუზეუმის სარდაფებში ინახება.

მაღალი პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი მხატვრული მეთოდი ახალი მსოფლმხედველობისა და სამყაროს ახლებურად დანახვისაგან წარმოქმნილი მხატვრული ხერხია და არა კლასიკური მეთოდების ნაცადი კანონებისა და ხერხების მექანიკური გამოყენება, რომელიც ხელოსნობის რანგს განეკუთვნება. მაგალითი მრავალია წარსულშიც და ღღესაც. ამას ემატება მხატვრული აზროვნების პრიმატად ეროვნული ხასიათი, რაიც განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების მარადიულ სიცოცხლეს, ამასთან, ხშირად საქმე გვაქვს ეროვნული ფორმისა და ეთნოგრაფიზმის აღწერილობითი ცნების გაიგივება-გაღრკვევლობასთან.

ქართველი ხელოვნებათმცოდნეების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ისინი თავდადებით უნდა იბრძოდნენ ჭეშმარიტი ეროვნული ხელოვნების შემქმნელთა გამოსავლინებლად და დასაცავად. არ უნდა გამეორდეს ისე, როგორც ერთ დროს დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი ბედისანაბარად იყვნენ მიტოვებულნი. ამ მხრივ, მოძმე სომხეთში უკეთ დგას საქმე. ჩვენ მათსავით ენთუზიასტი და თავდადებული ხელოვნებათმცოდნეები ვვაკლია, რომლებიც ეროვნულ საქმეს პირნათლად ემსახურებიან. წარმოუდგენელია, რომ დღეს ქართულ ფერწერასა და ქანდაკებას არ ჰკვებავდეს აკაკის „ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო", ანდა გალაკტიონის „განახავს ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია". ანდა, ქართული მონუმენტური არქიტექტურა, ფრესკა, ანდა დაუოკებელი რიტმი და ქართული ჯადოსნური როკვა, მისი საოცარი ტემპერამენტი, ანდა „ლილეო", „კვირია" თუ ქართლ-კახური სიმღერები და, ბოლოს, გურული სიმღერის პოლიფონიური ყღერადობა, რომელმაც გენიალურ მუსიკოსს იგორ სტრავინსკის ათქმევინა: „ეს მეოცე საუკუნის საოცრებაა და დიდი სიახლეა თანამედროვე მუსიკაშიო". წარმოუდგენელია, რომ ამ მთა-ბარიდან, ამ ჩანჩქერებიდან და კლდეთა ფიქრებიდან წარმოქმნილმა ექვივალენტური არ წარმოქმნას ხახვით ხელოვნებაშიც.

დღეს ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა უსახო, უპიროვნო, ეთნოგრაფიულ ნაჭუჭში ჩასვამს მხატვარს. ამის მაგალითიც მრავალი გვაქვს.

ჩვენი ერის გენიამ ასტრონომიულისა და ადამიანურის ურთიერთკავშირის დიალექტიკური ჰარმონიის შეცნობისას ათქმევინა მას: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემიო".

რაოდენ სიმბოლურია, რომ XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლისა და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული, ჩვენი საყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ნაცვლიშვილი — თბილისობა. მედალი.

გ. წერეთელი — დილა

ვარელი ლადო გუდიაშვილის სახელი ეწოდა ახლად აღმოჩენილ მცირე პლანეტას, რომელიც შორეული სივრციდან ახალი ბრწყინვალეებით მოსავს მის სახელს და თითქოს დაჰნათის თავის საყვარელ საქართველოს, მხატვართა დიდ თავყრილობას.

ანზორ ბურჯანაძე. პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი.

გულახდილად უნდა გითხრათ, უდიდესი კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა, როცა შემომთავაზეს რესპუბლიკის მხატვართა კავშირის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

ის ფაქტი, რომ სოფლის რაიკომის მდივანს რესპუბლიკის მხატვართა კავშირის ყრილობაზე ტრიბუნა დაეთმო, დამახასიათებელი გახლდათ იმ სიტუაციისა და ურთიერთობისა, რაც შექმნილია შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ უკანასკნელ წლებში.

თქვენ ყველანი მოწმე ბრძანდებით, რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, შემოქმედებით ინტელიგენციას.

ამის საუკეთესო დასტურია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული შეფასება საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმმართველი საქმიანობა, რომელმაც კულტურის მუშაკებთან მუშაობაში სწორ ტონს მიაგნო, ეხმარება მათ, აქტიურად უწყობს ხელს შემოქმედებით ძიებას“.

ყველაფრის მომცველი სიტყვებია, სასიამოვნო ჭეშმარიტებაა.

ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიის ხელმძღვანელი როლის მნიშვნელობას, პარტიული მუშაკების დამოკიდებულებას ხელოვნებისადმი, და მიგვითითა, რომ პარტიული მუშაკი მატერიალურთან ერთად სულიერი ღირებულების შექმნითაც უნდა იყოს დაინტერესებული. სულიერი ღირებულება ხომ თავისთავად უწყობს ხელს მატერიალურ ღირებულებათა შექმნას.

„ის ხელმძღვანელი, რომელიც მარტო მატერიალურ ღირებულებათა შექმნით არის დაკავებული, — აღნიშნა მან, — მხოლოდ ნახევრად აკეთებს საქმეს“.

ვხელმძღვანელობთ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებებით, ჩვენ კარგად გვესმის, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ თავის ამოცანად უნდა გაიხადოს არა მარტო სახელმწიფო გეგმების შესრულება, არამედ კულტურული მნიშვნელობის საკითხებიც.

ამ თვალსაზრისით ნება მომეცით მოგახსენოთ, რა კეთდება თერჯოლის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მიერ. რაიონის პარტიულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ ხაზად მიაჩნია იმ ღონისძიებათა გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს არსებითი განსხვავების მოშლას ქალაქსა და სოფელს შორის, სოფლის მოსახლეობის ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

ამ მიმართულებით სერიოზულ ყურადღებას ვუთმობთ შემოქმედებით ორგანიზაციებთან ურთიერთობას. ჩვენი ხშირი სტუმრები არიან მწერლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ვატარებთ ერთობლივ ღონისძიებებს. ჩვენ გვესმის, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის საქმეში მხატვრობას, რაოდენ დიდი და ფაქიზი გავლენა აქვს მას ადამიანის სულიერ სამყაროზე, მის განწყობაზე. ამ მიზნით გადაწყდა რაიონში შექმნილიყო სამხატვრო გალერეა.

სამხატვრო გალერეას, რომელიც 1979 წელს გაიხსნა, აქვს 5 საგამოფენო დარბაზი, 400 კვადრატული მეტრი ფართობით. გალერეის გახსნაში დიდად დაგვეხმარა საქართველოს მხატვართა კავშირი, მისი მაშინდელი თავმჯდომარე, პატივცემული ნოდარ ჯანბერიძე, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, მინისტრი, პატივცემული ოთარ თაქთაქიშვილი. დიდი მადლობა მათ ამისათვის.

თერჯოლაში პიონერთა ქალაქ „საპოვნელას“ ბაზაზე რესპუბლიკის მხატვართა კავშირის ინიციატივით ჩატარდა მეტად საინტერესო ღონისძიება, ეს გახლდათ ხაბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის პირველი პლენერი.

მიაქციეთ ყურადღება, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პლენერი — სოფლის რაიონში, ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის.

ჩვენ, თერჯოლელები, სიამაყით ვიხსენებთ ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის გამოჩენილი მხატვრების ჩამოსვლას რაიონში. ისინი ერთი თვის მანძილზე ცხოვრობდნენ ჩვენთან და ქმნიდნენ მხატვრულ ტილოებს თერჯოლელთა შრომით ცხოვრებაზე, მეზობელ რაიონებზე. სწორედ მათი ნამუშევრების გამოფენით ჩაეყარა ხაფუძველი სამხატვრო გალერეას. ყოველმა მათგანმა გა-

ლერეას საჩუქრად გადასცა თავისი ნამუშევარი.

მხატვართა საკავშირო პლენერი მარტო იმით როდი იყო აღსანიშნავი, რომ იქმნება საუკეთესო მხატვრული ტილოები, არამედ ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებაც, ხალხთა შორის ინტერნაციონალიზმის გამოხატულება.

მოძმე რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები ახლოს გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის, რაიონის მშრომელთა ცხოვრებას, დამყარდა მეგობრული კავშირები. სტუმარ-მასპინძელთა შორის ამ ღონისძიებას სათანადო შეფასება მისცეს გაზეთებმა „პრავდამ", „იზვესტიამ", „სოვეტსკაია კულტურამ".

რაიონის სამხატვრო გალერეაში დღემდე 7 გამოფენა მოეწყო, მათ შორის იყო საკავშირო გამოფენა „ახალგაზრდა გვარდია", „ნატიურმორტი" და სხვა. აქ გამოფენილი ტილოები უკვე 50 ათასმა კაცმა დააოვალიერა.

ამას წინათ რაიონში ბევრი სასურველი სტუმარი გვყავდა შესანიშნავი მწერლისა და მამულიშვილის ჯანსუღ ჩარკვიანის საიუბილეო — შემოქმედებით საღამოზე. სტუმრები მივიწვიეთ სამხატვრო გალერეაში, სადაც საკავშირო გამოფენა იყო მოწყობილი.

პატივცემულმა ირაკლი აბაშიძემ გამოფენის დირექტორს ჰკითხა: სად იყო ეს გამოფენა პირველად და სად მიდის თერჯოლიდანო. გამოფენის დირექტორის პასუხი ასეთი გახლდათ: „ეს გამოფენა თერჯოლაში ჩამოვიდა ქალაქ მოსკოვიდან, აქედან კი წავა ქალაქებში — თბილისში, ერევანში, ბაქოსა და კიევშიო".

ეს პირველი შემთხვევა არ გეგონოთ. რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ თავისი ფილმი „ნატვრის ხე" ჩიკაგოს ფესტივალზე ქართული ფილმების თერჯოლის ფესტივალიდან წაიღო. ცოტა ადრე მოუწია წასვლა თერჯოლიდან და მერე ჯავრობდა, აქ ჯობდაო. აი, მეგობრებო, თანამედროვე ქართული სოფელი.



რაიონში სამხატვრო გალერეას არსებობამ ახალგაზრდობაში გააღვიძა ხელოვნებისადმი სიყვარული და მისწრაფება. ამჟამად სხვადასხვა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში 6 თერჯოლელი ახალგაზრდა სწავლობს, სამხატვრო სასწავლებელში კი 10 ბავშვი ეუფლება მხატვრის ხელოვნებას. რაიონში სამხატვრო აკადემიის 7 კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობს.

უკვე წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ სამხატვრო გალერეამ თავისი ფილიალები გახსნას სოფლებში და იქ ადგილებზე მოეწყოს გამოფენები.

ყოველივე ეს შედეგია იმ კულტურისა, რომელსაც ატარებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ჩვენი ხალხის, სოფლის მშრომელთა კულტურულ-დონის ამაღლებისათვის.

სასიხარულოა, რომ მარტო თერჯოლაში როდია შექმნილი კულტურის ასეთი კერები, უკვე ბევრ რაიონში შეიქმნა სამხატვრო გალერეები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები, შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა ბორჯომში, ცხაკაიაში, აბაშაში, ცაგერში. ბევრ დიდ ქალაქს ტოლს ვერ დაუდებს თავისი მდიდარი სამხატვრო ფონდით თელავის საგამოფენო დარბაზები და მრავალი სხვა.

ახლა ჩვენთან დღის წესრიგში დადგა საკითხი — გაიხსნას სამხატვრო სკოლა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას.

დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადების 120-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მხატვართა კავშირის, მხატვართა ფონდების დახმარებით გაკეთდა მემორიალი, მწერლის ძეგლითა და მისი ნაწარმოებების პერსონაჟებით, რომელიც დაამშვენებს რაიონის ცენტრს. მემორიალის არქიტექტორია გივი თოდაძე, მოქანდაკე — ჩვენი რაიონის მკვიდრი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი ლევან ძხეიძე.

უახლოეს პერიოდში თერჯოლაში ავაგებთ შინმოუსვლელთა მემორიალს და ვ.ი. ლენინის ძეგლს.

ვფიქრობთ, ეს ყველაფერი გაამშვენიერებს და გაალამაზებს ჩვენს რაიონს.

მხატვრობა ხომ დიდ და დაუფასებელ როლს ასრულებს ადამიანის იდეურ-აღმზრდელობით საქმეში, არის სიხარულისა და შთაგონების წყარო, ზნეობრივად ზრდის და აფაქიზებს ადამიანს, უქმნის განწყობას. იწვევს დადებით ემოციას. ამიტომ დღეს არც ერთი რაიონი, არც ერთი სოფელი არ შეიძლება დარჩეს მხატვრის თვალისა და ფუნჯის გარეშე. რაიონს აუცილებლად სჭირდება შემოქმედის პროფესიული თვალი, თუ გნებავთ იმიტომაც, რომ ხშირად ყველაზე გენიალური მხატვრის, — ბუნების მიერ შექმნილ ულამაზეს ადგილებს შეუსაბამო ნაგებობებით ვამახინჯებთ. მხატვარს შეუძლია ფასდაუჭებელი კონსულტაციის გაწევა. ხშირად ისეთ პლაკატებს და ლოზუნგებს ნახავთ, რომ არავითარი ღირსება არ გააჩნიათ, ხალხს კი არ იზიდავს, აფრთხობს. სოფელს მხატვრის თვალი და ფუნჯი სჭირდება იმისათვის, რომ ტილოზე იქნას გადატანილი მისი სიმშვენიერე და გმირული შრომა.

მხატვართა კავშირმა იქნებ განიხილოს შესაძლებლობა, რომ რაიონებში, დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებებში, სამუშაოდ ხანგრძლივი ვადით, შემოქმედებითი შრომისათვის მიავლინოს ცნობილი მხატვრები, ახალგაზრდა ტალანტები. ეს, ალბათ, ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის. რაიონებში არ გაგვიჭირდება შტატის გამოყოფა. ჩვენთან, მაგალითად, 6 კოლმეურნეობას აქვს თავის საფინანსო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია მხატვრის შტატი.

იქნებ, საბჭოთა აკადემიის კურსდამთავრებულთა სოფლად, რაიონში განაწილებაც დავნერგოთ პრაქტიკაში. ბუნებრივია, შევუქმნით იმ პირობებს, რაც ახალგაზრდა შემოქმედს სჭირდება.

კარგი იქნება, თუ სოფელთან ახალგაზრდობის კონტაქტს სტუდენტობიდან დავიწყებთ. შეასრულონ სადიპლომო ნამუშევრები სოფელში. ჩვენ მზად ვართ 30—40 სტუდენტი მივიღოთ რაიონში მთელი თვით, ვკისრულობთ ყველა ხარჯს და პირობების შექმნას, მათ მხოლოდ ხატონ. ასევე შეგვიძლია მივიღოთ ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრები და, რა თქმა უნდა, უფროსი თაობაც.

გეპატიჟებით, მობრძანდით!

ეს კონტაქტები სასურველია. ჭეშმარიტი შემოქმედი ხომ მაშინ აღწევს მწვერვალს, როცა ის ცხოვრების მორევში ტრიალებს.

მინდა ერთი საკითხიც წამოვჭრა: კარგი იქნება თუ სათანადო ორგანოებში რაიაღმასკომებს დართავენ ნებას ჭარბი შემოსავლის გამოყენებით მხატვართა ფონდთან გააფორმონ ხელშეკრულება, რათა შეიქმნას შრომის გმირების, შრომითი გმირობის ამსახველი პორტრეტები და სურათები.

ეს ძალიან დიდი მორალური სტიმული იქნება, ხელს შეუწყობს შრომით აქტივობას და თქვენთან ერთად, ერთობლივად შევიტანთ დიდ წვლილს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. სასურსათო პროგრამას მარტო ფიზიკურად მომუშავე არ ახორციელებს. თქვენი ჩვენს გვერდით ყოფნა და შემოქმედება დიდად დაეხმარება ამ პროგრამის შესრულებაში.

არ შემიძლია ყვერდი ავუარო კიდევ ერთ საკითხს. ჩვენ ძალიან ბევრი ბრწყინვალე შემოქმედი გვყავს, ალბათ, ისინი რამოდენიმე ქვეყანას ეყოფოდა. სუსტია მათი პოპულარიზაცია, ხალხთან წარდგინება. იქნებ, ფართოდ დაინერგოს ჩვენი მხატვრების ნამუშევართა გაპოცეა, ეს ძალიან ნაყოფიერი საქმე იქნება.

ორიოდე სიტყვა რაიონის შრომითი საქმიანობის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა ჩვენი რაიონის შრომით საქმიანობაზე. ჩამორჩენილი რაიონი თანდათან ჩადგა მოწინავეთა შორის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების შედეგად, რაიონმა მთლიანად იცვალა სახე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გაიზარდა 160 %-ით ერთ სულ მოსახლეზე, ფულადი შემოსავალი თითქმის ორჯერ გაიზარდა. იყო — 470 მანეთი, არის 970 მანეთი.

1973 წლიდან რაიონში აშენდა ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1921 წლიდან 1973 წლამდე. თუ 1973 წელს რაიონში 4 საბავშვო ბაღი იყო, ამჟამად არის 24, მარტო მიმდინარე წელს 5 საბავშვო ბაგა-ბაღი შენდება. ამ წარმატებებში, რაიონის მშრომელებთან ერთად, დიდია თქვენი, შემოქმედებითი ინტელიგენციის წვლილი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მიღწეული არ არის, არის აუმოქმედებელი რეზერვები, რომლებიც უნდა ჩავაყენოთ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების სამსახურში, კულტურული მშენებლობის, სოფლის სოციალური განვითარების საქმეში.

ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ, რომ თერჯოლის რაიონის მშრომელები თავს არ დაზოგავენ, რათა იყვნენ ღირსეული წარმომადგენლები თავიანთი მშვენიერი რესპუბლიკისა.

ჯეირან ფაჩუაშვილი. საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე.

განვლილი პერიოდი გამოირჩეოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურისა და ხელოვნებისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მზარდი ყურადღებით. ამან გამოძახილი ჰპოვა მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის საქმიანობაშიც.

საანგარიშო პერიოდში ქუთაისელ მხატვართა შემოქმედებას გაეცნო დედაქალაქის, სოხუმის და ბიჭვინთის საზოგადოება, რიგი მხატვრებისა სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებზე, შეიქმნა პირობები კატალოგების, რეპროდუქციების დასაბეჭდად. გაიზარდა შემოქმედებითი მივლინებების რიცხვი და მათი გეოგრაფიული არე. უაღრესად საინტერესო და პროფესიული ზრდის თვალსაზრისით ნაყოფიერი აღმოჩნდა საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით თერჯოლაში საკავშირო შემოქმედებითი ჯგუფის ცნობილ ფერმწერებთან ერთობლივი მუშაობა.

ქუთაისელ შემოქმედთა აღიარებაზე მეტყველებს პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოები. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა ვალერიან მიზანდარს, დამსახურებული მხატვრისა — გიორგი ნი-

კოლაძეს, ხოლო გრაფიკოსმა გურამ დოლენჯაშვილმა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატობა მოიპოვა.

„იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ს დადგენილების განხორციელებისათვის მხატვართა კავშირის გამგეობა გარკვეულ მუშაობას წარმართავდა — იღვწოდა მხატვართა პროფესიული დაოსტატებისათვის, მათი იდეური მრწამსის ფორმირებისა და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებისათვის.

საანგარიშო პერიოდში დიდად გაიზარდა მხატვართა კავშირის წევრთა რაოდენობა. მოეწყო 60-მდე თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი გამოფენა, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეის მუდმივ ფონდს ქუთაისელ მხატვართა ათობით მაღალმხატვრული ნაწარმოები შეემატა.

სასარგებლო შედეგები გამოიღო შემოქმედებითი მივლინებების დროს ცნობილი მხატვრების ხელმძღვანელობით მუშაობამ და მივლინებათა ანგარიშების მოსმენის პრაქტიკამ.

მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური დონის ამაღლების მიზნით საინტერესო ფორმად დამკვიდრდა მხატვართა კავშირის გამგეობისა და მსხვილ საწარმოთა კოლექტივებს შორის ხელშეკრულების დადება. შედეგად, ქუთაისელ მხატვართა შემოქმედებას საწარმოო თემაზე შექმნილი მრავალი მაღალმხატვრული ტილო შეემატა, ხოლო შრომით კოლექტივებში მშრომელთა ზნეობრივი სახის ფორმირების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების კარგი საშუალება გამოინახა. ამან ერთგვარად ხელი შეუწყო მშრომელთა მობილიზებას სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებისათვის, რითაც სახვითი ხელოვნების მუშაკებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონის პირველ, ხოლო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალაქის მერვედ გამარჯვებასა და ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით განხორციელებაში.

რაიონისა და ქალაქის პარტიულ ფორუმებს მხატვრებმა სპეციალური გამოფენები უძღვნეს.

სახვითი ხელოვნების პროპაგანდის საქმეს ემსახურება შემოქმედთა შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან, ღია კარის დღეები მხატვართა სახელოსნოებში, გამოფენების მოწყობა წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ქალაქის მშრომელებმა

ლ. ქველიძე მედალი

გ. ყანდარელი კახეთი



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიყვარეს ტრადიციად ქცეული „მხატვრის კვირეული“.

საანგარიშო პერიოდში გაღრმავდა საქმიანი კონტაქტები ქალაქის სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებთან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალის დაარსებამ წარმოაჩინა ქუთაისელ გრაფიკოსთა ხელოვნება, გაიზარდა სპექტაკლების გამფორმებელ მხატვართა რიცხვი.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფრო ნაყოფიერი გახდა ახალგაზრდა მხატვრებთან მუშაობა.

მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გააქტიურებისა, მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგეობის საქმიანობაში ბევრი ნაკლიც შეინიშნება. მიგვაჩნია, რომ კვლავაც სრულყოფას მოითხოვს შემოქმედთა პროფესიული დოსტატებისა და მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის მიმდინარე მუშაობა, ჯერ კიდევ გვხვდება უშინაარსო, ხელოსნური და პრიმიტიული ნამუშევრები.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია საგამოფენო კომიტეტის ობიექტურობის ამაღლება, გამოფენათა საჯარო განხილვების მოწყობა, ხელოვნებათმცოდნეების, რესპუბლიკური პრესის გააქტიურება.

კარგი იქნება, თუ კულტურის სამინისტრო უფრო კონკრეტულად დაინტერესდება ქუთაისის სამხატვრო სკოლის მშენებლობით და ერთხელ კიდევ გადახედავს საკითხს სამხატვრო სასწავლებლების გახსნის თაობაზე, რომელიც დასავლეთ საქართველოს რეგიონებს გაუწევს მომსახურებას.

რევაზ ჯაჯაბაძე: საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე.

ყოველ დროს, ყოველ ეპოქას თავისი მოთხოვნები მოაქვს და ამ მოთხოვნების შესაფერის ამოცანებს უყენებს როგორც საერთოდ ხელოვნებას, ისე თითოეულ მხატვარს, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს შემოქმედის ბუნება, შემოქმედებითი მრწამსი, ესთეტიკური შეხედულებები, ერთი მთავარი მიზანი ყოველთვის უცვლელია — სულიერი საზრდოს შექმნა ხალხისათვის, მისი ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა. ეს არის ყოველი ჩვენგანის უპირველესი მოწოდება, მთავარი მოქალაქეობრივი ვალი.

ჩვენმა დღევანდელობამ, მრავალფეროვანმა თავისი სახით, განსაკუთრებულმა თავისი რიტმით, სიახლეებითა და ძვრებით, ახალი ამოცანები წაუყენა მხატვრობას გადასაჭრელად.

ახალი ცხოვრება ახალი ფორმებისა და გამოსახვის ხერხების ძიებას მოითხოვს. მხატვრობა ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ჰეშმარიტი თანამგზავრი გახდა. დეკორატიულმა და გამოყენებითმა

ზ. დავითაია

ახალი უბანი

ხელოვნებამ, მონუმენტურმა ქანდაკებამ და ფერწერამ არნახული გაქანება და მასშტაბები ჰპოვა. ესთეტიკურ საზრდოს დღევანდელი ადამიანი უკვე არა მარტო მუზეუმებსა და სალონებში იღებს, არამედ მოედნებსა და ქუჩებშიც. მისასალმებელი და სასიხარულო ფაქტია, რადგან საბჭოთა ხელოვნების მთავარი მისია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასების სამსახურში იდგეს და ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყოს.

მაგრამ სწრაფვამ დეკორატიულობისაკენ და გამოყენებითი ფუნქციების წინა პლანზე წამოწევამ, ცოტა არ იყოს, დაგვაცილა დაზგური ფერწერის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და რომელთა შეცვლა და განახლება დიდ სიფრთხილესა და დაფიქრებას მოითხოვს ჩვენგან. დეკორატიულობის ტენდენციამ, რომელიც დღეს ჩვენს ფერწერაში შეიმჩნევა, ვფიქრობ, გააღარიბა ხელოვნების ეს დარგი. ფერწერა — ფერითი ჰარმონია ისეთ კომპონენტებს მოიცავს, როგორიცაა სივრცე, დინამიკა, შინაგანი ემოციური დატვირთვა. დეკორატიულობა კი ამ სპეციფიკურ თვისებებს ერთგვარად უარყოფს და ფერის მხოლოდ გარეგან მხარეს უსვამს ხაზს. ფერწერული ტილო თუ მხოლოდ გარეგნულ ეფექტს მისდევს, არ არის შინაგანად დატვირთული და არ იძლევა ჩაღრმავების საშუალებას, მაშინ ის არაფრისმთქმელია და მხოლოდ რიტმისათვის შექმნილ ლაქებს მოგვაგონებს.

ფორმაში თუ შინაგანი არსი არ იკითხება, იგი არ შეიძლება ხელოვნების ნიმუშად იქცეს. სხვა საქმეა თუ რას მოიცავს ეს შინაგანი არსი, რა მიმართება აქვს მას, რა საფიქრალი ამოძრავებს მხატვარს, ანუ რა აქვს სათქმელი. სწორედ სათქმელი განსაზღვრავს მხატვრის, როგორც მოქალაქის, პოზიციას, ხოლო პროფესიული უნარის განმსაზღვრელი ის არის, თუ როგორ ამბობს ამ სათქმელს მხატვარი.

ამიტომაც, ჭეშმარიტ მხატვრულ დონეზე შესრულებული, ნატიურმორტი იქნება ის, პეიზაჟი თუ პორტრეტი, ისევე შეიძლება იქცეს მაღალი ხელოვნების ნიმუშად, როგორც მრავალპლანიანი და მრავალფიგურიანი სურათი. ამის მაგალითი ჩვენ ფერწერის ისტორიიდანაც ბევრი გვაქვს და ქართულ საბჭოთა ხელოვნებაშიც.

ცხადია, თემატურ-სიუჟეტური ხურათი საშუალებას იძლევა, რომ მხატვარმა უფრო დიდი შემოქმედებითი ამოცანებიც დაისახოს და უფრო სრულადაც წარმოაჩინოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, პროფესიული უნარიც.

მაგრამ ზოგიერთი მხატვარი იმის სურვილით, რომ აქტუალურ თემას გამოეხმაუროს, დაუფიქრებლად, მოუმზადებლად ასრულებს სიუჟეტურ ტილოს, შაბლონური ფორმით ასახავს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენას და დარწმუნებულია იმაში, რომ მან დროის მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვნებს უპასუხა, და რომ მისი ნამუშევარი მეტად დაფასდება, ვიდრე მსატვრისა, რომელმაც შეიძლება ნატიურმორტი ან პორტრეტი დახატა, მაგრამ მთელი სიყვარული, შემოქმედებითი მრწამსი და პროფესიული ოსტატობა ჩააქსოვა მასში.

რეალიზმის ცნება ცხოვრების არსში ღრმად ჩაწვდომას გულისხმობს და ყალბი პათეტიკურობით გაჟღენთილი, თემატურად აქტუალური, მაგრამ შინაგანდ არაფრისმთქმელი სურათები გამოფენაზე გზას ვერ უნდა იკვლევდნენ. მნახველი ხომ მხატვრის შემოქმედებით ცდილობს აღიქვას ცხოვრებისეული მოვლენები, ჩაწვდეს იმ მშვენიერებას, რომელიც მხატვრის თვალმა შენიშნა გარემოში და ტილოზე გადაიტანა. მშვენიერება კი მხოლოდ გარეგნული სილამაზით არ გამოიხატება არც ცხოვრებაში და არც ტილოზე.

დღეს უკვე თვალნათლივ იგრძნობა საზოგადოებისა და ხელოვნების კონტაქტების გაღრმავების, უფრო მეტად დაახლოების საჭიროება. მე ვფიქრობ, და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, დადგა დრო შეიქმნას თანამედროვე ქართული ხელოვნების მუზეუმი, სადაც მნახველს საშუალება ექნება სრული წარმოდგენა შეიქმნას ჩვენი მხატვრობის დღევანდელ სახეზე. ეს კარგ სამსახურს გაუწევდა ხელოვნებისმცოდნეებსაც, რომლებიც ქართული ხელოვნების ისტორიას საკმაოდ საფუძვლიანად, მაღალპროფესიულ დონეზე აშუქებენ და თანამედროვე ხელოვნებაზე კი ათასში ერთხელ თუ დაწერენ, ისიც არაპრინციპული და არა ანალიტიკური, ზოგადი მიმოხილვის სახით. დღევანდელი სახვითი ხელოვნება კი იმსახურებს ფუნდამენტურ გამოკვლევას, ჩვენი მხატვრები ღირსეულად აგრძელებენ ქართული ხელოვნების დიდებულ ტრადიციებს, ღვაწლმოსილ, ფუნჯის აღიარებულ ოსტატთა გვერდით ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ქართველ მხატვართა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

სოსო ძოწიავა: საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის თავმჯდომარე.

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე საზოგადოებრივი პროგრესი ხელოვნების პროგრესიც იყო. ხშირ შემთხვევაში, ხელოვნება მედროშედაც მიუძღოდა მას. ასეა ახლაც. დღეს უკვე იმდენი სულიერი სიმდიდრეა შექმნილი კაცობრიობის მიერ, რომ ხელოვანს დიდ ნიჭთან, ღრმა ერუდიციასთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად უნდა ჰქონდეს დიდი ადამიანური და მოქალაქეობრივი გაბედულება, რათა შემოქმედებას მოჰკიდოს ხელი.

დრომ ძველებური „უნივერსალიზმი" თითოეულ საგანსა და მოვლენაში შეცვალა სიღრმისეული წვდომით, ერთსა და იმავე დროს დიფერენციაციითა და ინტეგრაციით. დღეს შემოქმედი აღარ შეიძლება ცალმხრივად ან ზედაპირულად აზროვნებდეს, რადგან მაშინ იგი კაცობრიობის სულიერ კულტურას ესთეტიკურად ღირებულს ვერაფერს შემატებს.

ხელოვანმა თავის ძირითად „ხელობასთან" ერთად კარგად უნდა იცოდეს ხელოვნების ყველა დარგი და ჟანრი. საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ფილოსოფიის, ისტორიის, მითოლოგიის, სოციოლოგიის, ესთეტიკისა და ეთიკის პრობლემებში. ამ პრობლემების სოლიდური ცოდნა არის დღევანდელი „უნივერსალიზმი", რაც ესოდენ აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში.

დგას თუ არა დღეს ასე ხელოვანის შემოქმედების განვითარების საკითხი და როგორი პრაქტიკული შედეგები გვაქვს ამ პასუხსაგებ და სახელმწიფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში, გამომდინარე პარტიის ბრძნული დებულებებიდან, რომ „ტალანტი — ეროვნული სიმდიდრეა"?

დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ყურადღება და მზრუნველობა თვალსაჩინოდ გამოიხატა ჩვენი მხატვრული ეროვნული კულტურის განვითარების ყველა სფეროში. ქართული თეატრის ტრიუმფი საკავშირო და საერთაშორისო არენაზე, კინოხელოვნება, ლიტერატურა და მუსიკა, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, მეცნიერება, სპორტში ოლიმპიური მწვერვალები, ქართველ ქალთა მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში ჭადრაკში, ქართული ფეხბურთის საერთაშორისო აღიარება და სხვა და სხვა, ადასტურებს იმას, რომ აღორძინების ეს ეტაპი წინამძღვარია შემდგომი გამარჯვებებისა.

წელს ქანდაკების შემოქმედებითი სექციის ანგარიშება-არჩევნების დროს კრებამ ღრმა ანალიზი გაუკეთა განვლილი პერიოდის მუშაობას. წარმოადგინა მრავალი პრობლემატური წინადადება და მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ლენინი აღნიშნავდა, რომ „ხელოვნება ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებებს, რომ ხელოვნებაში საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს".



ქანდაკება მიეკუთვნება ხელოვნების იმ დარგს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ინტენსიურად განვითარდა, და რომელშიც განსაკუთრებული დამჯერებლობით აისახა ჩვენი საზოგადოების რომანტიკა, სოციალიზმის გამარჯვება და ნათელი მომავლის რწმენა. მაგრამ მონუმენტურ ქანდაკებასთან შედარებით დაზგური ქანდაკება უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჩვენი სახელოვანი დიდოსტატები ნაკლებად მონაწილეობენ გამოფენებზე. იყო ერთი პერიოდი, როცა მცირე ზომის დაზგური ქანდაკება ერთი ზომისა და ერთმანეთის მსგავსი იფინებოდა. ამჟამად გამოფენაზე ვხვდებით საკუთარი ხელწერის მქონე, ახალი თაობის მოქანდაკეებს: გ. ჯაფარიძეს, გ. დარჩიას, ა. მონახელიძეს, ო. რუხაძეს, ჯ. ჯიქიას, რ. ხასიას და სხვებს. ამ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა საინტერესო ახალგაზრდა მოქანდაკე გ. ზაქარაია. სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ამხ. დემიჩევის წინადადებით გ. ზაქარაიას სადიპლომო ნამუშევარი უნდა დაიდგას საკავშირო კულტურის სამინისტროს ვესტიბიულში.

განვლილ პერიოდში წლის საუკეთესო ნამუშევრებად აღიარებულ იქნა მოქანდაკეების — რ. გაჩეჩილაძის, კ. ტაბატაძის, ლ. ქველიძის, ჯ. შანშიაშვილის, ჯ. რუხაძის ქანდაკებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოდ არ ფასდება საგამოფენო ნამუშევრები, არ იძენენ მათ. უფრო მეტიც, მხატვრები ჰონორარს წლიდან წლამდე ელოდებიან. ეს საკითხი მეტად მტკივნეულია და მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას. ამასთან თემატურ გამოფენებზე მხატვრებთან ხელშეკრულებების გაფორმება თითქმის მთლიანად შეწყდა. ყოველივე ეს გამოფენის დონეზე მოქმედებს. კულტურის სამინისტრო, როგორც „შემკვეთი", მოვალეა მხატვრებთან სისტემატიურად გააფორმოს ხელშეკრულებანი და გაზარდოს შეძენის თანხები. რაც შეეხება სამხატვრო ფონდს, იგი „საგაზაფხულო" და „საშემოდგომო" გამოფენებიდან იძენს თითო-ოროლა ნამუშევარს.

ქანდაკების სექციის ბიურომ ვერა და და ვერ შეძლო მოქანდაკეებზე რეკომენდაციების გაცემა — იმ ძეგლების შესაქმნელად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ვინაიდან დადგენილებამდე ძეგლებს, უმეტეს შემთხვევაში, უკვე ყავს ავტორები. კულტურის სამინისტროს მონუმენტური ქანდაკების სამხატვრო საბჭოს სხდომებზე არა ერთხელ გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი საპროექტო მოცემულობები და ესკიზების მხატვრული დონე ძალზე დაბალია.

ქართული მონუმენტური ქანდაკების განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მემორიალურ ძეგლებს უჭირავს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საოცრად ამაღლდა მემორიალური ძეგლების მხატვრული დონე. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი სახელოვანი მოქანდაკეების — მერაბ ბერძენიშვილისა და ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი საბრძოლო დიდების მემორიალები, გ. ოჩიაურის დიდების მემორიალი — თბილისში (გამარჯვების პარკი), ამიერკავკასიის ახალგაზრდობის მეგობრობისადმი მიძღვნილი სიმბოლური სკულპტურული კომპოზიცია „სიცოცხლის ხე", რომლის ავტორია მოქანდაკე გ. ჯაფარიძე, სკულპტურული კომპოზიცია თბილისში — „ბერიკაობა" მოქანდაკე ა. მონახელიძის, შრომის დიდების მემორიალური კომპლექსი — ქუთაისში, ავტორი — არქიტექტორი ვ. დავითაია და სხვ.

ახლო მომავალში გაიხსნება საინტერესო მონუმენტური ქანდაკებები. ქ. ცხაკაიაში — სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი (მოქ. ვ. მელიქიშვილი), თბილისში — „დედა ენა" (მოქ. ე. ამაშუკელი), მისივე „ვეფხი და მოყმე", დ. კლდიაშვილის სკულპტურული ფიგურა — კლდიაშვილის სამშობლოში (მოქ. ლ. მხეიძე), „ნ. მუსხელიშვილი" — თბილისში (მოქ. თ. ღვინიაშვილი), კ. გამსახურდიას ძეგლი თბილისში (მოქ. თ. კიკალიშვილი) და სხვ.

ძალზე საჭიროა კონკურსების სწორი ორგანიზაცია, რაც აქამდე თითქმის არ არსებობდა. ახალგაზრდობას არ ეძლევა თავისი შესაძლებლობების სათანადოდ გამოვლინების საშუალება.

ახლოვდება რუსეთთან საქართველოს შეერთების საიუბილეო თარიღი. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელთან დაკავშირებით საქართველოს მინისტრთა საბჭომ დაუკვეთა სამუშაოები მოქანდაკეთა გარკვეულ ნაწილს. რა თქმა უნდა, თითქმის ყველა მოქანდაკეს ჰქონდა სურვილი მონაწილეობა მიეღო ამ ღონისძიებაში.

ქანდაკების სექციას მიზნად აქვს დასახული ქანდაკების პლენერზე გამოფენა, რაც დღემდე ვერ განხორციელდა. პლენერზე მომუშავე მოქანდაკეებისათვის ყოველწლიურად უნდა იქნას გამოყოფილი თანხები ხელშეკრულების გასაფორმებლად. პლენერის ქანდაკებები გამოიფინება ქალაქის ერთ-ერთ უბანში, რომელიც დასვენებისა და დათვალიერების ადგილი გახდება. მოქანდაკეთა ენთუზიაზმი ამ საქმეში დიდია.

მ. მალაზონია
„შუშანიკის წამება“. ილუსტრაცია

ი. კაზანცევი
სიუბუკე

დღეისათვის, ახალგაზრდა მოქანდაკეთათვის ყველაზე მტკივნეულია შემოქმედებითი სახელოსნოების უქონლობა. მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საქართველოს მხატვართა კავშირი თუმცა ბევრს ფიქრობს და ზრუნავს, შედეგი მაინც მცირეა. რაც შეეხება სარდაფებში სახელოსნოების მოწყობას, ასეთი სათავსები საამისოდ არ გამოდგება, თუმცა სარდაფების მიღებაც, საუბედუროდ, ათას წინააღმდეგობას შეიცავს.

ქართველ მოქანდაკეთა მუშაობას წარმართავს საქართველოს სამხატვრო ფონდი და ქანდაკების კომბინატი. მაგრამ აქ ცუდი სამუშაო პირობებია. უკიდურესად ცუდადაა მასალებით მომარაგების საქმე, კომბინატში არ არის სასმელი წყლისა და კვების ნორმალური ორგანიზაცია. სახელოსნოებში მუშაობის პირობები ძალზე მძიმეა, ბრინჯაოში სამუშაოს შესრულებას სარისხი დაბალია. ამ ხაკითხზე გაუთავებელი ლაპარაკი და მსჯელობაა როგორც ქანდაკების ხექციის ბიუროზე, ასევე, მხატვართა კავშირის გამგეობაზე, სამხატვრო ფონდის გამგეობაზე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ახდენს რადიკალურ ცვლილებებს მუშაობის გაუმჯობესების მხრივ.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდება და მომავალში ქართველი მოქანდაკეები უფრო მეტ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს შექმნიან.

თემო გოცაძე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

ყოველი საუკუნე და ყოველი საზოგადოება ასაზრდოებს თავის ცხოვრებისეულ საზრისს, ისწრაფვის თავისი მიზნისაკენ. ხელოვნება და ლიტერატურა მუდამ გამოხატავს იმ იდეებს, საზოგადოებაში რომ იქმნება, ამიტომაც ხელოვნებასა და ლიტერატურას ყოველთვის, უპირატესად, თანადროულობა მოეთხოვება.

თანამედროვე ადამიანი ვერ იტანს ვერავითარ შელამაზებას, ამიტომ კვლავ დაუბრუნდა ხელოვნებასა და ლიტერატურას, თვით ცხოვრებას უკომპრომისო პიროვნებათა ამბოხი. ხელოვნებაში, ლიტერატურაში მიწიერ-შეუნიღბავი და შეულამაზებელი სინამდვილე გამეფდა. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, მოურიდებელი, მკაცრი, ზოგჯერ გამანადგურებელი, მაგრამ მაინც სიმართლე ამჯობინა თანამედროვე ადამიანმა ილუზიებს, შეფერადებულ ჭეშმარიტებას.

ჩვენც თანამედროვენი ვართ და ამიტომ მივცემთ ჩვენს თავს უფლებას,

რათა მოურიდებლად მკაცრი სინამდვილე წარმოვაჩინოთ.

ახალგაზრდა მხატვართა ცხოვრებაში არ არსებობს იმაზე დიდი ამოცანა, რასაც პროფესია გულისხმობს, იმაზე დიდი, რაც უშუალოდ პროფესიას, შემოქმედებას, მხატვრობას ეხება. ამ საკითხებში გარკვევა ჩვენის აზრით, ყველაზე აუცილებელი პირობაა. სიცხადე, ყოველ შემთხვევაში, პირუთვნელი აზრი, ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს ყოველ მათგანს.

ახალგაზრდა მხატვართა ჩამოყალიბება მიმდინარეობს საერთოდ მხატვრობისა და განსაკუთრებით ქართული თანამედროვე მხატვრობის განვითარების პარალელურად.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველსავე წლებში საჭირო გახდა ამ უდაო ჭეშმარიტების სახელმწიფო ტრიბუნიდან თქმა, რათა არავის ჰგონებოდა, თითქოს, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთი სახითა და ერთი ფორმით არსებობს. ლუნაჩარსკი ამბობდა: „ხელოვნების მთელი ისტორია ცხადყოფს, რომ რეალიზმი არ შეიძლება გაყინული ფორმულა, ურყევი კანონი იყოსო. რეალიზმი — ეს შემოქმედებითი საშუალებაა, რომელიც მუდამ მოძრაობაში იმყოფება, თავისუფალი შემოქმედებითი ფანტაზია რეალიზმს აოავისუფლებს ყოველგვარი ვიწრო ჩარჩოსაგან, რომელიც მის განვითარებას აფერხებსო".

ამიტომ არის საინტერესო 20-იანი და 30-იანი წლები ხელოვნების ყველა დარგში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო გაფართოვდა რეალიზმის ჩარჩოები. ხვალინდელი ხელოვნების საფუძველი დღეს იქმნება და საინტერესოა რამდენად იზიარებს და კვალში მისდევს თანამედროვე მოთხოვნებს დღევანდელი ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედება.

მხატვარი არ ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი, განმარტოებული ცხოვრებით. მისი ინტერესები სამყაროსთან თანაარსებობას დაემთხვა, იგი ისწრაფვის ფართო სივრცეებისაკენ, სუფთა ჰაერისაკენ. ინფორმაციის რაოდენობა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, განსაზღვრავს თანამედროვეობას.

პალიტრის განახლებას არ მოჰყოლია ასეთ შემთხვევაში აუცილებელი განვითარებადი პროცესი, არ განახლებულა სიუჟეტთა, იდეათა რკალი. არ გაეცა პასუხი ყოველ დროულ კითხვებს, რომლებიც თან ახლავს, ან უნდა ახლდეს ეროვნული ხელოვნების განვითარების პროცესს (ვგულისხმობ 70-80-იან წლების ტენდენციებს). პირიქით, ისევ ყველას გასაგონად, კულუარებში, თუ პირად საუბარში ხმამაღლა იყო საუბარი სიუჟეტური სურათის დრომოჭმულობის შესახებ. რომ განვითარების ამ ეტაპისათვის იგი საჭირო აღარ არის (რომ სიუჟეტი ლიტერატურაა, ფსიქოლოგიაა, პიროვნული დრამა თუ სხვა ცხოვრებისეული მდგომარეობაა, ესე იგი, შინაარსი უცხო სხეულია ფერწერისათვის. საჭიროა ფორმალური ძიებანი, ჩაღრმავება ფერის, ხაზისა და ფორმის ფუნქციაში). მე ადამიანების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ხდება ის, რაც მოსახდენია, რაც მოსახდენი არ არის, არ მოხდება". სოკრატეს ეს აზრი ეხება ობიექტურად არსებულ რეალობას, მაგრამ მის მიღმა იგულისხმება კითხვები, რომლებიც პასუხს თხოულობენ.

ბოლო დროს რიგმა გამოფენებმა ცხადყო ახალგაზრდა მხატვრების ერთი მეტად დამახასიათებელი ნიშანი: მათთვის თითქოს აღარ არსებობს პრობლემატიკა, ურთულესი ცხოვრებისეული პრობლემების დასმისა და გადაწყვეტის ცდა. იშვიათობად იქცა დაზგური სურათი, როგორც აღქმის ყველაზე ღრმა და ყველაზე პიროვნული ფორმა. ახალგაზრდების ხელოვნება შემოიფარგლა ვიწრო პიროვნული, წუთიერი განწყობით. სხვათაშორის, ამ მდგომარეობის გაღრმავებას ხელი შეუწყო ჩვენი გამოფენების რიცხობრივმა ზრდამაც. ქალაქში ფუნქციონირებს 10 საგამოფენო დარბაზი: 10-14 დღეში იცვლება გამოფენები. ასეთ ვითარებაში მაყურებელს არ რჩება დრო ფიქრისათვის, სურათთან ურთიერთობისათვის. ამან განაპირობა მაყურებლის შეჩერება ხედვითად დეკორატიულობითა და პახტოზური, მაღალი, ჭრელი ფერწერით გამორჩეული ფერადოვანი სურათების წინ. ცხადია, არ დააყოვნა შესაბამისმა რეაქციამ, იმრავლა ეგრეთწოდებულმა დეკორატიულმა, ფერადოვანმა „ორიგინალურმა" ნამუშევრებმა. მოხდა უკვე მოძებნილი მხატვრული მანერების გამეორება, გამოფენები და მხატვრებიც ტყუპის ცალებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა მხატვართა ჩამოყალიბების პროცესში გამორიცხული არ არის გავლენა, მაგრამ იგი უნდა ატარებდეს შემზადების, რაღაცასთან მისვლის შუალედურ დატვირთვას და არ არ უნდა საღდებოდეს როგორც საკუთარი შეხედულება. რამდენადაც ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი და რთულია, მხატვარი ხშირად გადადის მაყურებლის გემოვნების მოსაყიდვაზე, რასაც, სხვათა შორის, უდიდესი ნებისყოფისა და შრომისუნარიანობის საფუძველზე აღწევს კიდეც. ამ პროცესს ახალგაზრდა მხატვარი მიჰყავს დეკორატიულობის გაზრდასთან და ფორმისა და ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაარსის ურთიერთობის ზედაპირულობასთან. ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც ფერწერის შინაარსობრივი განახლების პროცესი ფაქტიურად დაწყებულია კავშირის მასშტაბით. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დაზგური სურათი თავის თავში ატარებს მაყურებელთან ხანგრძლივი დიალოგის ფორმას, ანალიზის მომენტს, ღრმა დაფიქრებას და რამდენჯერმე ნახვას მოითხოვს.

ამგვარად, გამოფენიდან გაქრა ჩვენი დროის ტკივილები, ჩვენი დროის ფიქრები. სამწუხაროდ, ჩვენმა მხატვრებმა იწამეს ამ მდგომარეობის პრიორიტეტი და თვითდაჯერებულები გახდნენ. არც კამათი, არც დაპირისპირებული აზრი, რამდენიმე საკავშირო გამოფენაზე წარმატებით გამოფენამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს მდგომარეობა.

მთელი სამოცდაათიანი წლები საქართველოსათვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ხელსა და თვალს შუა იცვლებოდა ნორმები საზოგადოების ცხოვრებაში, მყარდება წესრიგი ყველგან და ყველაფერში. ეს პროცესი არ შეიძლებოდა ახალგაზრდა მხატვრებსაც არ შეხებოდა. აუცილებელი გახდა გარკვევა საკუთარ სულიერ ძირებსა და ჭეშმარიტი ადამიანური ფასეულობების ძიების სფეროში. იყო დრო, როდესაც ეს ძიებანი სუფთა პლასტიკურ სფეროში წყდებოდა, ახლა დგება იმის აუცილებლობა, რომ ეს პროცესები სულიერ სფეროსაც შეეხოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შემდგომი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი თვალით არის გადასახედი მთელი მსოფლიოს ხელოვნებისადმი ჩვენი დამოკიდებულება, რათა ცხადვყოთ, რომ ჩვენ თანამონაწილენი ვიყავით და ვართ აზიისა და ევროპის ხელოვნებათა განვითარებისა.

სამეცნიერო-ტექნ კურმა რევოლუციამ გამოსახვის უაზრავი ახალი საშუალებები მოიტანა: ფილიგრანული ფოტოგრაფია, ჰოლოგრაფია, ყოველგვარი მხატვრული პროცესის მექანიზაც ა. გააადვილა ძალიან ბევრი შემოქმედებითი პროცესი, შექმნა ახალი იარაღები, ურომლისოდაც დღეს წარმოუდგენელია შემოქმედებითი ცხოვრება. ყურადღება გაამახვილა, სხვათაშორის, ისეთ ხერხებზე, რომელიც ხელოვნებას წარმოშობისა და განვითარების ადრეულ ხანაშიც ახასიათებდა, კერძოდ, სხვადასხვა ეროის შეთავსება ერთ სივრცეში, რომლის შედეგადაც სულ სხვა დროის სტრუქტურას ვღებულობთ; დოკუმენტურობა და მასთან წმინდა სულიერი ხილვებისა და მდგომარეობათა დაკავშირება. სხვათაშორის, აზროვნების ეს ფორმა დამახასიათებელი იყო 20-30 წლების საბჭოთა ხელოვნებისათვის და, თუ არ ვცდები, იგი „რომანტიული მონტაჟის" ტრადიცია გახლდათ. გაჩნდა აუცილებლობა ფაქტის კონკრეტიზაციისა, კონკრეტულობისა, თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ასახვისა, აქვე წამოიჭრა თანამედროვეობის ყველაზე მტკივნეული საკითხი — პიროვნების თვითშეგნების ჩამოყალიბება. ეს ურთულესი პროცესი განპირობებულია ცხოვრების მრავალი თავისებურებით, სულიერი სტრესებითაც კი, ვიმეორებ, სულიერი სტრესებით, რომელიც თავისთავად კავშირშია სოციალური განვითარების იმ ტენდენცი-

ზ. დეისაძე — გაბაფხული

ჟ. კაკაბაძე — მედალი

ზ. ფორჩხიძე
„შეუვარებულთა თვითმკვლელობ
ციურ ბადეთა კუნძულზე". ილუს
ტრაცია

გ. წერეთელი — ცისარტყელა

ებთან, რომელსაც წარმოშობს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია.

ცხოვრების მატერიალური დონე განუხრელად იზრდება. ამას ახლავს უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის პროცესი. უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციას ტირაჟირებაც მოჰყვება. ესთეტიკის სფერო კი მტკივნეულად განიცდის ხელოვნების ტირაჟირებას. ერთი მხრივ, შეიმჩნევა საყოველთაო სწრაფვა მოდურისაკენ, მეორეს მხრივ, განაწყენებულთა წინააღმდეგობა, რასაც მივყავართ პრეტენზიულ ექსტრავაგანტურობამდე. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ყველაფერი ეს უცხოა ჩვენი ახალგაზრდობის ხელოვნებისათვის? თუ თანმიმდევრულად გავყვებით ანალიზს, არა მგონია!

რაში გამოიხატება ეტაპის პოზიტიური შინაარსი? მე მგონია, დაკვირვებაში ცხოვრებაზე და უფრო მაღალი დონის აზროვნებაზე გადასვლაში. აქ არაფერია საწინააღმდეგო იმასთან, რაც ხდებოდა ჩვენს გამოფენებზე გუშინ ან 20 წლის წინ. მოვლენები მიმდინარეობს ფეხდაფეხ მსოფლიო სახვითი ხელოვნების განვითარების პარალელურად. სწორედ, რომ დაკვირვების შესუსტებამ თავისთავად დააყოვნა უფრო მაღალი დონის აზროვნებაზე გადასვლა. როგორც ყოველთვის, აქაც შეინიშნებოდა გამონაკლისები საერთო მდგომარეობიდან.

პარალელურად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღინიშნა შემობრუნება ტრადიციული თემატურობიდან შინაგანი სულიერი პრობლემებისაკენ, აქ არ შეიძლება არ ითქვას ახალგაზრდობის უდიდეს პოზიტიურ წვლილზე მოცული კავშირის მასშტაბით.

შეინიშნება ორი ტენდენცია: პირველი: ჩვეულებრივი ცხოვრების რომანტიზირება, მეორე — ჩვეულებრივი ცხოვრებისადმი დაჟინებული ინტერესი. მაგრამ ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ხელოვნების განვითარების გრძელ პროცესში შეინიშნება სხვა სისტემათა წყობაც, რომლებიც, გარკვეულ პირობებში, პასუხობენ თანამედროვე სულიერ მოთხოვნებს. ეს არის სახვითი ხელოვნების სრულიად განსხვავებულ საწყისებზე აგების ცდები. ამ „სისტემის" მხატვართა შემოქმედებაში გაჭრა ცხოვრების ასახვა იმ სახით, როგორც არსებობს მათ წინაშე. გაჩნდა სივრცე, როგორც დამოუკიდებელი, ტოლფასოვანი ელემენტი, რამდენიმე დრო. საკმარისია დავასახელოთ ბოლო წლების საკავშირო ახალგაზრდული გამოფენების მონაწილე რამდენიმე მხატვარი: ფილატჩევი, ტამმიკი, რისუხინი, ოვსეპიანი, ტახტაევი, სილვაში, ტულუპბაევი, მამედოვი, ბორდაი.

საკმაოდ საინტერესო გეოგრაფიაა. იგი მოიცავს მთელ საბჭოთა კავშირს. აღმოჩენებისა და მოდის კანონმდებელი ცენტრი აღარ არის, ჩვენც ჩამოგვერთვა ამის უფლება. მან გადაინაცვლა შუა აზიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბალტიისპირეთში. სამწუხაროდ, ბოლო საკავშირო გამოფენაზე შეიმჩნეოდა ჩვენი ექსპოზიციის სიღარიბე სწორედ ამ ახალი ტენდენციებით ჩამორჩენას თავისი მიზეზები აქვს. ჩვენ შევეცდებით თქვენთან ერთად გავერკვეთ ამ მიზეზებში.

სად შეიძლება თუ არა გამოფენის ეარ-



ჩევაზე პირუთვნელი, გულწრფელი საუბარი. ეს შესანიშნავი ფორმა მხატვართან და საერთოდ საზოგადოებასთან მხატვართა საზოგადოების ურთიერთობისა ფაქტიურად დავკარგეთ. არადა, პირადად ჩემი თაობა გაიზარდა ასეთ გარჩევებზე, რომელთა სულისჩამდგმელები იყვნენ იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც „50-იანელები" ეწოდათ. სად უნდა მოისმინოს ახალგაზრდა კაცმა მის შესახებ ნათქვამი სწორი თუ არასწორი სიტყვა? ასეთი ადგილი დღეს მხატვართა კავშირში არ არსებობს.

ნუ შეგვეშინდება ამ სურათისა. ამას, ალბათ, თავისი ობიექტური მიზეზი აქვს. ვფიქრობ, ისინი, ვისი პროფესიაც გახლავთ თანამედროვე რთულ შემოქმედებით პროცესში გარკვევა, თავს არიდებენ ასეთ საქმეს. შეფასებას მოკლებულია თითქმის ყველა პერსონალური, რესპუბლიკური, საშემოდგომო თუ საგაზაფხულო გამოფენა. ეს ფორმა ურთიერთობისა აუცილებლად აღსადგენია.

ერთი პერიოდი ეწყობოდა შემოქმედებითი სემინარები, თეორიული ხასიათის კონფერენციები. ამ მხრივ აღსანიშნავი გახლავთ გორის სემინარი, რომელმაც ძალიან საინტერესო სურათი მოგვცა. დავკარგეთ განხილვის შესანიშნავი ფორმა. ბევრჯერ ითქვა პლენუმის ტრიბუნიდან ამის შესახებ, მაგრამ ქმედითობა არ ჩანს.

მოიკოჭლებს ქართული სახვითი ხელოვნებისა და, კერძოდ, ახალგაზრდა მხატვართა ხელოვნების პროპაგანდა. ჟურნალები, გაზეთები, რადიო და ტელევიზია სისტემატურად უნდა აკეთებდეს ამას. მე მგონი, ამ პროცესს აკლია მხატვართა კავშირის წარმმართველი ხელი. იქნებ საჭირო იყოს რაიმე ჯგუფის შექმნა, ვისაც დაევალება არა მარტო კონტროლი, არამედ დიდი პერიოდისათვის ჩამოყალიბებული გეგმის შეიგენა და ძირითადად ჟურნალებით — „დროშა", „საბჭოთა ქალი", „საბჭოთა ხელოვნება", „ფრესკა" და ტელევიზიით მისი პროპაგანდა.

მე მგონი ამ მხრივ საინტერესო აზრი აქვთ ტელევიზიის მესვეურებს და ურიგო არ იქნებოდა ამ საკითხის ერთმანეთთან შეთანხმებით გადაწყვეტა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა მხატვრის ურთიერთობა კომბინატთან. ეს ურთიერთობა იწყება სტუდენტობის პერიოდში. სამუშაო გაფორმებულია წესის დაურღვევლად, მხატვარზე, მაგრამ ამ სამუშაოს ასრულებენ აკადემიის სტუდენტები. უკვე დაირღვა დისტანცია, დაირღვა პიროვნული, საკუთარი თავის მიმართ ეთიკა, სწავლის პროცესში თუ მიეცი საკუთარ თავს შემოქმედების უფლება, საერთოდ აზრი არა აქვს სწავლას. აქედანაა, როგორც იტყვიან, „ფულის გემო". ცხადია, ეს სტუდენტი, როგორც კი დაამთავრებს აკადემიას, კომბინატისაკენ მიდის. არადა, მე ვიცი მხატვრები, ვინც მართავენ დღევანდელი, ქართული მხატვრობის პროცესებს და ისინი კომბინატთან მივიდნენ 20-25 წლის შემდეგ აკადემიის დამთავრებიდან. ეს შემთხვევითობა არ არის. ნასწავლს გამაჯრება უნდა, ხოლო როცა ჩამოყალიბდება საკუთარი შეხედულებები, მაშინ რა სამუშაოც არ უნდა ვაკეთოთ, როგორც წესი, მაღალმხატვრული და მაღალპროფესიული იქნება. ასე იქმნება უამრავი ნამუშევარი, რომლითაც მოფენილია მთელი საქართველო. არადა, ძალიან ცუდ სამუშაოს ვუტოვებთ მომავალ თაობებს, როცა ისინი იძულებული იქნებიან აიღონ ის ნაწარმოებები, როგორც ეს ახლო წარსულში მოხდა საქართველოში. სამხატვრო საბჭოს ამ პროცესის მართვა ძალიან უძნელდება. ვფიქრობ, დროული და სერიოზული ჩარევაა საჭირო.



თავის დროზე ძალიან დიდმა ღონისძიებამ, რაც გულისხმობდა აკადემიის, როგორც უმაღლესი სასწავლებლის, შენარჩუნებას, ერთიანად გაიზარდა მხატვართა რაოდენობა იმ ფაკულტეტების ხარჯზე, რომლებიც, ფაქტიურად, უნდა ამზადებდნენ მხატვარ-შემსრულებლებს ჩვენი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობისათვის. რამ განაპირობა ეს? სწავლის პროცესი ამ ფაკულტეტზე, ძირითად დისციპლინებში, რომლებიც აუცილებლად საჭიროა მხატვრის აღსაზრდელად, ზედაპირულია და არ არის სათანადო დონეზე, ყურადღება გამახვილებულია მასალაზე, მისი შესაძლებლობის მთლიან გამოყენებაზე. ეს უკვე თვისობრივად სხვა სპეციალისტის მომზადებაა, რომელსაც შემოქმედებასთან ნაკლები კონტაქტი აქვს. სპეციალიზირება რომ ხდებოდეს ძირითადი მხატვრული პროცესის გათვალისწინებით, მაშინ რა გვეშველის, არადა, ეს ამდენი ცრუ ეროვნული ჭედურობა და ხეზე ჭრა, ან ზუსტად გამეორებაა იმისა, რაც შექმნილია საუკუნეების მანძილზე, უკეთეს შემთხვევაში, ხელოსნობაა.

ჩვენ საერთოდ ყველგან და ყველაფერში გვიჭირს სპეციალისტი, საქმის მკეთებელი, შემსრულებელი. იქნებ, საჭირო იყოს ამ ფაკულტეტებს ერთი ინსტიტუტის სტატუსით გაერიანება, რომელიც მოამზადებს მხატვარ-შემსრულებლებს ჩვენი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობისათვის. ეს კიდევ ერთს ნიშნავს: ასეთი მხატვარი საქართველოს მხატვართა ფონდისა და კომბინატის წინაშე

წარსდგება, როგორც მხატვარი-შემსრულებელი, რომელიც ასე უჭირს ჩვენს მხატვრულ საზოგადოებას. მოხდება გამიჯვნა შემოქმედისა და შემსრულებლის. იქნებ ამან შეაჩეროს ის შემოტევა, რასაც განიცდის მხატვართა ფონდი. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ აღნიშნული კათედრები შეუერთდეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრებს. ეს მისცემს საშუალებას, განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს, სპეციალობის მასალის ათვისების შემდეგ, სწავლა განაგრძოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, როგორც უმაღლეს სკოლაში.

ყოველგვარი სწავლების ამოსავალი უნდა იყოს ეროვნული ფენომენის მაქსიმალური გაღვივება, საერთო საკაცობრიო იდეათა შეცნობის პარალელურად. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჭიროა სასწავლო პროგრამების თვისობრივად განახლება.

დღეს, ფაქტიურად, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ღრმა მეცნიერებაზე არ არის დაფუძნებული სწავლების პროცესები. იგი არ უტოლდება თანამედროვე სტანდარტების დონეს. სახელმძღვანელოების უქონლობა თითქმის ყველა დარგში უსტარულ დონეზე აყენებს არა მარტო სტუდენტს, არამედ პედაგოგსაც.

ახლა გადავხედოთ საკავშირო გამომცემლობების კატალოგს. ხელოვნების ყველა დარგში არსებობს ფუნდამენტური გამოკვლევები, გამოცემული წიგნებად. ჩვენ ვერ ვიყენებთ მათ, რადგან ზოგს უჭირს რუსული წიგნით სწავლა. ალბათ, საჭიროა ამ წიგნების თარგმნა. ვინ უნდა აკეთოს ეს? მე მგონი დაინტერესებულმა დაწესებულებამ. განსწავლული კადრი სხვანაირად ვერ გაიზრდება. ყველაფერს სჭობია საკუთარი ლიტერატურის შექმნა. სხვათა შორის, ყველა კათედრა მეცნიერულ მუშაობასაც უნდა ატარებდეს, რაც სახელმძღვანელოების შექმნაში გადაიზრდება, სასწავლო დაწესებულება გულისხმობს დაგროვილი გამოცდილების დაჯამებასა და მეცნიერულ ანალიზს.

იკარგება უბრწყინვალესი ადამიანებისა და პედაგოგების ცხოვრებისეული ნაღვაწი. არადა, როგორი საინტერესო იქნებოდა მ. თოიძის, ი. შარლემანის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, ლ. გრიგოლიას და ბევრ სხვათა შემოქმედებითი გამოცდილების ამსახველი ნარკვევები, სასწავლო სახელმძღვანელოები. ერთი დაგვრჩენია მხოლოდ, მათი ნაღვაწის განზოგადება დღესაც შეიძლება, უნდა მოიძებნოს ამის განხორციელების გზები.

მაქვს რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სტუდენტის მაღალ პროფესიონალად ჩამოყალიბების რთული პროცესი. ეს პროცესი აერთიანებს დაწყებით სპეციალიზებულ სკოლას, საშუალო სპეციალურ სასწავლებელსა და სამხატვრო აკადემიას. ყურადსაღებია კონსერვატორიისა და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების ერთმანეთზე დამოკიდებულების პრინციპი. არსებობს დაწყებითი მუსიკალური სკოლის დიდი ქსელი, თითქმის ყველა საშუალო სკოლაში. თუ არ გაიარე დაწყებითი შვიდწლიანი სწავლების კურსი, ვერ მოხვდები საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში. კონსერვატორიაში სწავლა თითქმის გამორიცხულია ტექნიკუმის დამთავრების გარეშე, ესეც სათუოა, იმიტომ, რომ კონსერვატორიასთან განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისათვის არსებობს „ნიჭიერთა ათწლედი". ძირითადი შევსება კონსერვატორიაში მოდის აქედან. კონსერვატორიის პედაგოგები თავიდანვე არიან დაინტერესებულები და, სხვათაშორის, ღია გაკვეთილებს ატარებენ ამ ათწლედში იმ ბავშვებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან ნიჭიერებით. ასეთ მჭიდრო ურთიერთობაში, ვფიქრობ, ჩამოყალიბების პროცესი ბევრად ადვილი სამართავია.

არ იქნება ურიგო ამ გამოცდილების გადაღება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გაიზარდოს დაწყებითი სპეციალიზებული სკოლების ქსელი. რომ შვიდწლედში ბავშვმა მოათავოს მთელი კურსი თაბაშირისა, ეტიუდისა და ნატურმორტისა. ამ ცოდნით ტექნიკუმში უნიჭიერესები მივლენ. ტექნიკუმი უნდა იყოს სწავლების ყველა მეთოდის, ყველა ფორმის მიმტანი ახალგაზრდებამდე. ესე იგი, მთელი ის პროგრამა, რასაც ახლა გადიან აკადემიის პირველ, მეორე და მესამე კურსებზე, — უნდა ისწავლებოდეს ტექნიკუმში.

აკადემიაში 6 წელს სწავლა უნდა გულისხმობდეს დაზგური სურათების შექმნას. აქ სურათი, ფაქტიურად, კეთდება მხოლოდ სადიპლომო კურსზე. ცხადია, ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს. მითუმეტეს, როდესაც ამისი ტრადიცია არ გაგვაჩნია, რუსეთივით.

ტექნიკუმი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს აკადემიასთან, მის პედაგოგიურ საბჭოსთან. ფაქტიურად, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა წყდებოდეს მომავლის გათვალისწინებით, ესე იგი, აკადემიის ინტერესების გათვალისწინებით.

ჩემის აზრით, აკადემიაში სწავლის დღევანდელი წესი შესაცვლელია. მიმაჩნია, რომ პირველი კურსიდან ბოლო კურსამდე სახელოსნოს უნდა უძღვებოდეს ერთი ჯგუფი მხატვრებისა, ოსტატის

ს. გაბელია — ზამთრის პეიზაჟი

მ. ახობაძე — სიმღერა საქართველოზე



ხელმძღვანელობით. აკადემია უნდა არსებობდეს მისი კლასიკური იერით, იმ ხუთი ფაკულტეტით, რაც წარმოდგენილია სხვითი ხელოვნების ქვაკუთხედს. ამ შემთხვევაში ძალიან მცირე დროში გამოვლინდება ტრადიციასთან უფრო მყარი კავშირი, ჩამოყალიბდება სტილები და სკოლები, რაც ასერიგად აკლია დღეს ქართულ ხელოვნებას და რაც მას გაჩნდა მთელი მისი განვითარების მანძილზე. აკადემიაში უნდა არსებობდეს ისტორიული ჟურათის სახელოსნო, ასევე — მონუმენტური ხელოვნების, პორტრეტის, პეიზაჟის და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სახელოსნოები.

ცვლილებები, რომლებიც, ჩვენის აზრით, თვისობრივად შეცვლიდა მხატვრის ჩამოყალიბების პროცესს, ალბათ, ცალკე თემაა, დასახვეწია იმასთან ერთად, ვინც უნდა აკეთოს ეს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი საერთოდ დაწყებულია და იმედია, ალბათ, აკადემიამდეც მიაღწევს.

დღეს არა მგონია არსებობდეს უფრო დიდი და უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე ფიქრი და ყველაფრის კეთება მომავალი თაობებისათვის, ახალგაზრდობისათვის, რომელიც მოდის მტკიცედ, საკუთარი შეხედულებითა და საკუთარი სურვილებით.

ხოლო გინდოდეს უფრო მეტი, უფრო მაღალი და უფრო მშვენიერი, ეს დიდი სიცოცხლის საწინდარია.

ნანი შალიკაშვილი: საქართველოს მხატვართა კავშირის გრაფიკის სექციის თავმჯდომარე.

თანამედროვე ქართული გრაფიკა რთული მოვლენაა. მის აქტიურ განვითარებაში დიდ ადგილს იკავებს მასალაში შესრულებული ნამუშევრები: ლინოგრავიურა, ლითოგრაფია, ოფორტი. გარდა ამისა, კვლავინდებურად განაგრძობს განვითარებას შერეული ტექნიკა და ფანქრიო ნახატი.

ჩვენი გრაფიკოსები წარმატებით გამოდიან როგორც რესპუბლიკურ, საკავშირო, ისე საზღვარგარეთ გამართულ გამოფენა-დათვალიერებაზე, სადაც ერთხელ დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და სხვა სახის ჯილდოებით.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია გამოფენა, რომელიც მოეწყო 1979 წელს „მხატვრის კვირეულთან" დაკავშირებით. ეს იყო გრაფიკის რეტროსპექტული გამოფენა.

გამოფენაზე „საბჭოთა წიგნის მხატვრობა და ესტამპი" ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის დასურათების საუკეთესო ნიმუშები. ექსპოზიცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. თარხან-მოურავი მშენებლები

თ. მირზაშვილი მინდორში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ქველიძე
მეფრინველე

ა. ამირანაშვილი
სტუდენტის პორტრეტი

გ. დოლენჯაშვილი
ბელომორის ფარდა

ლ. შენგელია-აბაშიძე
პორტრეტები

მ. ბერძენიშვილი
ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო. ჭოჩაიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე ..ჰაკი აძბას" დეკორაციის ესკიზი

შ. შანიძე თბილისი, 1921 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. თოიძე ძველი თბილისი

რ. თორდია სახლი გარეუბანში



ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. შხვაცაბაია	გაზაფხული
გ. ჯაფარიძე	ბიჭის პორტრეტი
დ. ერიხთავი	რბოლა
ო. თევზაძე	კვირადღე
გ. ღლონტი	მარტი



ჯ. მირზაშვილი. თ. ფიცხელაური
მტრედები

ო. გაგნიძე ზაფხული



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტროსპექტული იყო, დამთვალიერებლებმა იხილეს ქართული გრაფიკის ფუძემდებლების — იოსებ შარლემანის, ლადო გუდიაშვილის, იოსებ გაბაშვილის და მათი მომდევნო რამოდენიმე თაობის ნამუშევრები.

მეორე გამოფენა, რომელიც 1989 წელს სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა, იყო ნახატის რესპუბლიკური გამოფენა (ფანქარი, კალამი, სანგინი, ნახშირი). ასეთი ჩანახატები ფანქრით, სანგინით, ნახშირით, ჩვეულებრივად, ჩვენთან განიხილება როგორც დამხმარე ნამუშევრები. ამ გამოფენაზე კი ჩვენ ვნახეთ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული დამოუკიდებელი ნაწარმოებები. ამიტომაც ექსპოზიციამ სრულიად სხვა ჟანრებში მომუშავე მხატვრებიც მიიზიდა.

ამ ორმა გამოფენამ მკაფიოდ გვიჩვენა დღევანდელი ქართული გრაფიკის დონე.

წელს მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართველი მხატვრების მიერ დაზგური გრაფიკის შემოქმედებით-ექსპერიმენტულ სახელოსნოში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა სახელოსნოს არსებობის 25 წლისთავს. ამ სახელოსნოში 70-ზე მეტმა მხატვარმა იმუშავა. მათი ნამუშევრები სახვითი ხელოვნების ბევრ გამოფენას ამშვენებდა. მაგრამ, აი, რა ხდება, მხატვრები მუშაობენ ძალზე მძიმე პირობებში, ზამთარში — საშინელ სიცივეში, ზაფხულში კი აუტანელ სიცხეში. არავინ იცის როდემდის გაგრძელდება ეს. ვიცით მხოლოდ, რომ სამხატვრო ფონდის ხელმძღვანელობას ეს ნაკლებად აინტერესებს. სახელოსნო, რომელმაც წლების მანძილზე შემოიკრიბა ლითოგრაფიაში მომუშავე მხატვრების მუდმივი ჯგუფი და დაამკვიდრა ქართული ესტამპის გამოშვება — ასეთ პირობებში არ უნდა იყოს. მხატვრები დაიფანტებიან და ყველაფერი ახლად იქნება გასაკეთებელი.

მხატვრის სახლში მოეწყო აგრეთვე აკვარელით მომუშავე მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა.

ბოლო წლებში ყურადღება მიექცა ექსლიბრისს, რომელიც ჩვენთან მივიწყებული იყო, თუმცა, ჩვენს მხატვრებს ამ დარგში ისეთი წინამორბედი ჰყავდათ, როგორც იყო ლ. გრიგოლია, რომლის ექსლიბრისს 30-იან წლებში საერთაშორისო პრემია ხვდა. ადრე ექსლიბრისის ჟანრში მუშაობდნენ ლ. ქუთათელაძე, დ. ციციშვილი, ი. წილოსანი; ახლა კი იმდენი ექსლიბრისი კეთდება, რომ მოსკოვში საგანგებო გამოფენაც კი მოეწყო 1980 წელს, სადაც ჩვენი მხატვრების მიერ შესრულებულმა ექსლიბრისმა უურადღება მიიქცია თავისი ჩანაფიქრით და შესრულებით, ეს პრესაშიც აღინიშნა.

ამ პერიოდში საგულისხმო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სერგო ქობულაძის ნამუშევართა პირველი გამოფენა. როდესაც ერთად თავმოყრილი ვნახეთ მისი ფერწერა, თეატრის მხატვრობა, გრაფიკის სხვადასხვა სახეობა, მკაფიოდ გამოჩნდა ამ დიდოსტატის ხელოვნება.

1978 წელს ქალაქ მოსკოვში გაიმართა მხატვარ-გრაფიკოსების ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოფენაზე მონაწილეობა მიიღეს: გ. წერეთელმა, ზ. დეისაძემ, ა. თევზაძემ, გ. ღლონტმა, ლ. ზამბახიძემ, ლ. შენგელიამ, ც. ტერელაძემ. პერსონალური გამოფენები მოაწყვეს: ლ. შაბარშინამ, ნ. ფოფხაძემ, ლ. ცუცქირიძემ, თ. მირზაშვილმა, ლ. სვანიძემ, ტ. შეყილაძემ, მ. ვარდიშვილმა, ე. ბურჯანაძემ, ნ. ლაფაჩმა, ა. რიჟანაშვილმა, ა. ბალაბუევმა.

1981 წელს მოსკოვში გაიმართა ესტამპის საკავშირო გამოფენა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ამ გამოფენაზე 22 ქართველმა გრაფიკოსმა მიიღო მონაწილეობა. ამავე წელს რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია „ხუთწლედის მატიანე" მიენიჭა გრაფიკოს გოგი წერეთელს.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყველა მხატვარს აწუხებს. ეს არის სამხატვრო გალერეის ფონდების მდგომარეობა. გალერეის ფონდების შენობა არ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებას, შენობა პატარაა. ყოველწლიურად იზრდება ფონდი. რაც არ უნდა ეცადონ გალერეის თანამშრომლები, ნამუშევრებს დაზიანების საფრთხეს ვერ ააცილებენ.

ნანა კიკნაძე: საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ-გამოყენებითი სექციის თავმჯდომარე.

საქართველოს მხატვართა კავშირის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სექცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ბირთვია როგორც წევრების რაოდენობით, ისე მრავალდარგობრივი საქმიანობით. იგი აერთიანებს კერამიკის, ლითონის, ხის, ქსოვილის, მინის, მინანქრისა და სხვა სპეციალობის 196 მხატვარს. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების უპირველესი ნიშან-თვისება — ერთის მხრივ მხატვრულ-ესთეტიკური, მეორეს მხრივ ფუნქციონალურ-გამოყენებითი დანიშნულება მას განსაკუთრებით აქტიურს ხდის, იგი ღრმად იჭრება ადამიანის საქმიანობაში, ქმნის მის გარშემო სამყაროს, რომლის ესთეტიკურ ღირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებაზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის გემოვნების ჩამოყალიბება. ეს ხელოვნება უძველესია ხელოვნებათა შორის, მაგრამ მუდამ რჩება ახალგაზრდად და თანამედროვედ.

ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს ჭეშმარიტად მაღალი შემოქმედებითი ნიჭის მხატვრები, რომლებმაც არა მარტო დასაბამი მისცეს ქართულ საბჭოთა გამოყენებით ხელოვნებას, პრინციპულად ახალ მოვლენას, არამედ ძალუძთ დღევანდელ ეტაპზეც გაუძღვნენ მას.

წინა ყრილობიდან განვლილი დრო, შემოქმედებითი თვალსაზრისით, არცთუ დიდი დროა, მაგრამ დასკვნების გამოსატანად საკმარისია: ამ პერიოდში უველაზე მეტად შესამჩნევი ძვრები განიცადა კერამიკამ. 60-70-იანი წლების ჩამოყალიბებულ სისტემაში მძლავრად იჭრება ახალი გააზრება, მხატვრული ხერხი, მასალა. კერამიკის მხატვრულ სახეს ხან ფერწერასთან, ხან პლასტიკასთან, ხან ორივესთან სიახლოვე განსაზღვრავს. ყოველივე ეს სოლივით იჭრება მასში, აჩენს ბზარს და, ამავე დროს, აფართოებს მის შესაძლებლობებს, მრავალფეროვნებას ანიჭებს მას. ეს კანონზომიერია. ახალი თაობა დაუინებით მოითხოვს თავისი მხატვრული აზროვნების დამკვიდრებას, უფრო თამამია თავის შემოქმედებაში. მაგრამ თუ არა წინამორბედ თაობათა შრომა, ისინი დღეს ასე თამამნი ვერ იქნებოდნენ. ეს უნდა ახსოვდეს ამ თაობას და ახლის ძიებით გატაცებამ არ უნდა მოსწყვიტოს ფესვს, რაც თაობათა ესტაფეტის შეწყვეტას ნიშნავს.

ნიშანდობლივია, რომ პირველი აღიარება და ჯილდოები კერამიკოსებს 60-იანი წლების დამდეგს ხვდათ, მერე 70 წელს და სულ ახლა — 1982 წელს. აშკარად ჩანს კანონზომიერება — ყოველ ათწლეულში კერამიკის ხელოვნებაში ხდება თვისობრივი ძვრები, რაც საინტერესო მოვლენად ყალიბდება. დღეს ჩვენ სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, — დასაბამს იღებს კერამიკის კიდევ ერთი ეტაპი.

გობელენის ხელოვნების განვითარებაში ნაკლები დაძაბულობა შეიმჩნევა. მე ვიტყოდი, მთავრდება მისი მხატვრული



ნ. შალიკაშვილი
საუბარი

სახის კრისტალიზაცია. როგორც დამოუკიდებელი დარგი, ჩვენში იგი თხუთმეტი წელია ვითარდება და ფაქტიურად პირველი თაობის მიერ შექმნილი მხატვრული სახე და პრინციპები განაპირობებს მას. აქ ჯერჯერობით, არ შეიმჩნევა ახალი ნაკადის მოძალება, თუნდაც ექსპერიმენტის სახით მაინც. 60-იანი წლების გობელენის მხატვრებმა დიდი საქმე გააკეთეს, მათი შემოქმედების საფუძველზე შეიქმნა „ქართული გობელენი", რომლის ეროვნულმა სახემ ყველგან აღიარება ჰპოვა. ახლა სიტყვა ახალ თაობას ეკუთვნის, მითუმეტეს, რომ ხელოვნებათა სინთეზის პროცესში გობელენს დიდი სამოქმედო ასპარეზი და გაქანება აქვს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიშანთვისებას კარგად აუღო ალღო

„საქმიანმა ხალხმა“ და უკვე აქცია იგი კომერციული მოგების ერთ-ერთ ძირითად, წყაროდ, რაც გობელენს ჭედური ხელოვნების მსგავს სავალალო ხვედრს უმზადებს.

ჭედური ხელოვნების განხილვისას არ შეიძლება გულისტკივილით არ გაიხსენო ის თვალსაჩინო მიღწევები, რაც ათეული წლის წინათ მოიპოვა, არ გაიხსენო ის გადამწყვეტი როლი, მან რომ ითამაშა ამ დარგის განვითარებაში მთელი კავშირის მასშტაბით. მაღალი რანგის ოსტატების ხელში იყო ეს ხელოვნება! დღეს კი გვიპირს თავი დავაღწიოთ მის აგრესიულ განვითარებას და მასშტაბს. ჭედურობის მასობრივი ანტიესთეტიკური განვითარება ორი გზით მიმდინარეობს: საქმოსნების მეცადინეობით გახსნილ უამრავ საწარმოდან გამოსული შტამპური წესით დამზადებული, დაბალი მხატვრული დონის ნაწარმით, რომელსაც, საუბედუროდ, ქართული სუვენირი ჰქვია და მეორე, მოხერხებული, ანუ საქმიანი მხატვრების მიერ შემოთავაზებული გიგანტომანიით: ახლა მოჭედილია საზოგადოებრივ ნაგებობათა ინტერიერის თუ ექსტერიერის ყოველი მეტრი. ჭედურობამ დატოვა საგამოფენო დარბაზების ინტერიერები, დაქვეითდა მისი პროფესიონალური დონე, გამომუშავდა რაღაც სტანდარტული სტერეოტიპები, ხერხები და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, არ ჩანს ახალი ძალები, რომლებიც წინ აღუდგებიან ამ მოვლენებს. ეს მაშინ, როდესაც თითქმის ყველგან შემოქმედებითად ეძებენ და პოულობენ ამ უძველესი დარგის ახალ, საინტერესო მხატვრულ შესაძლებლობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული მინა პარადოქსულ ფენომენს ქმნის. ერთის მხრივ, გამოფენაზე მინას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მეორეს მხრივ, იგი უსახლკაროა. ამ დარგის განმტკიცება-განვითარებას საფუძვლად უდევს მცირერიცხოვან მხატვართა შემოქმედება. აქ ჯერ არა გვაქვს თაობათა გამოყოფის საშუალება. პედაგოგები და მათი აღზრდილები ერთი და იგივე მხატვრული სტილის მიმდევრები არიან. ისინი ძირითადად თანამედროვე ხელოვნების პრინციპებს იზიარებენ.

მხატვრულ მინას ჩვენში, ისევე როგორც კერამიკას, ათასწლოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მის გარეგნულ სახეში ამ ტრადიციას ნაკლებად ვგრძნობთ, იგი უფრო კერამიკის გავლენას განიცდიდა (პირველ ხანებში მაინც), რის გამოც მაინც ეროვნული ელფერი ჰქონდა. ბოლო წლებში კი მიმდინარეობს ძიება საკუთრივ მასალის მდიდარი მხატვრული შესაძლებლობების აღმოსაჩენად. როგორც წესი, მხატვრული ჩანაფიქრის მასალაში შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ.

რაც შეეხება გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგებს, როგორიცაა ხის, მინანქრის, ქსოვილის სხვადასხვა ხერხებით მხატვრული დამუშავება, ოქრომჭედლობა, მათ ჯერ კიდევ ვერ შექმნეს დამოუკიდებელი მხატვრული სახე, თუმცა ამ

ბერძენიშვილი

სტუმრო „ივერიის“ მოხატულობის ფრაგმენტი



დარგებში ბევრი ნიჭიერი მხატვარი მუშაობს.

დღევანდელი დეკორატიულ- გამოყენებითი ხელოვნების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია გამოფენები, რომელთა შორის მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენად იქცა ამ გაზაფხულზე კერამიკასა და გობელენის პირველი რესპუბლიკური გამოფენა. უკანასკნელ ოთხ წელიწადში თბილისში მოეწყო საინტერესო პერსონალური გამოფენები: რევაზ ნატროშვილის (ხის მხატვრული დამუშავება), მერი ქსოვრელის (ქსოვილი, მოდელირება, კერამიკა), მურთაზ აბაშიძის (კერამიკა, კარიკატურა), გარეგინ მირზოევის (კერამიკა), ელა რეშენიუკის (კერამიკა), ლ. ნასარიძის (მინა), ძმები გახარიების (გობელენი), ბელა მარგულიანის (უქსოვადი გობელენი), ცნობილი სომეხი მხატვრის რიფსიმე სიმონიანის (კერამიკა) და სხვა. მოსკოვში საინტერესოდ ჩატარდა გივი ყანდარელის (გობელენი), ა. ფოჩხუას (მინა, ბზა) და ალდე კაკაბაძის (კერამიკა), გამოფენები პოლონეთში, ფინეთში, საბერძნეთში ნანა ბოტკოველის (კერამიკა) გამოფენა. შვეიცარიაში გობელენის საერთაშორისო გამოფენაზე საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო მხოლოდ გივი ყანდარელის ნამუშევრით „ფიროსმანი". ამ დარგის მხატვრები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. ნიშანდობლივია, რომ საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების შეფარდება ასეთია: 14 სახვითი ხელოვნება, ხოლო 16 დეკორატიულ-გამოყენებითი, ეს კი მშობლიური ხელოვნების დიდი პოპულარიზაციაა და მასთან ერთად ქვეყნის კულტურასთან ზიარებას ნიშნავს. ამას ემატება სხვადასხვა ბაზრობაზე, კონკურსებზე, სიმპოზიუმებზე მონაწილეობა. გასაგებია ის წვლილი, რაც ამ ხელოვნებას შეაქვს ერის სულიერი და მატერიალური კულტურის საგანძურში. საამაყოა მიღებული ჯილდოებიც: ა. ხარებავას მიენიჭა რესპუბლიკური პრემია „ხუთწლედის მატიანე" მეტროს სადგურ „კომკავშირელის" მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობისათვის, გ. ყანდარელის ნამუშევრები დიპლომებით აღინიშნა ერფურტის და ლოძის გამოფენებზე. თ. ნუცუბიძეს, რ. ცუხიშვილს, ო. ხუბულურს, რ. ფერაძეს საქართველოს მხატვართა კავშირის მედლები სდადათ წელიწადის საუკეთესო ნამუშევრისათვის, ო. ვეფხვაძეს — ვერცხლის მედალი ქ. ვალორისის (საფრანგეთი) კერამიკოსთა საერთაშორისო კონკურსზე და დიპლომი ერფურტში.

მხატვრის შემოქმედებისათვის დიდმნიშვნელოვანი პირობაა სად, რისგან, რა საშუალებით ქმნის ნაწარმოებს. სამხატვრო ფონდის ბაზაზე არ არსებობს არც ერთი გამოყენებითი ხელოვნების პროფილის შემოქმედებითი უბანი, ეს მაშინ, როდესაც წარმოუდგენელია მისი არსებობა საწარმოო ბაზის გარეშე. მომარაგების წესი დარღვეულია, მასალები კი ძირითადად ლიმიტირებულია, მათი შოვნა ხერხდება მხოლოდ სპეკულაციურ ფასებში. ადვილი წარმოსადგენია ასეთ ვითარებაში რამდენი იდეა რჩება განუხორციელებელი. ჩვენ კოლეგებს სხვა რესპუბლიკებში აქვთ შემოქმედებითი ძიების, საკუთარი და საერთო ხელოვნების ზრდის კარგი პირობები. ყველაზე სავალალოა ის, რომ ახლად ჩამოყალიბებულ დარგებს უკვე ჭკნობის ნიშნები ემჩნევა. ამის მაგალითად მხატვრული მინა გამოდგება. რა ზღაპრული სილამაზის და შესაძლებლობების მქონე მასალა სდუმს ჩვენს ყოფაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იქნა და ვერ მოება თავი ფერადი მინის ერთი საწარმოს ჩამოყალიბებას, ან მინის არსებულ ქარხნებში მხატვრისათვის საკადრისი ადგილის განმტკიცებას. ჩვენში აღზრდილ, მინის სპეციალობის მხატვრებს არც აკადემიაში სწავლის პერიოდში აქვთ საშუალება მასალაზე მუშაობისა, არც შემდეგ. ყველას იმედის თვალი მიუპყრია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებისაკენ. (საკუთარი მეცადინეობით და ხარჯით). ასეთ ვითარებაში წლების მანძილზე თითო-ოროლა ნამუშევარს თუ მივიღებთ.

ცალკე საკითხად უნდა წამოიწიოს პრობლემა წარმოებაში მხატვრის როლის, ადგილის, უფლებების შესახებ. დღეს ჩვენში წარმოება და მხატვარი, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირდებიან. სამეურნეო მუშაკები ბოლომდე ვერ გარკვეულან იმ ჭეშმარიტებაში, რომ მხატვრის შემოქმედებაზე ბევრად არის დამოკიდებული ნაკეთობის ხარისხი, დონე, და, ბოლოს, რეალიზაციის საკითხიც. მხატვრის შემოქმედება სცილდება ესთეტიკურ სფეროს, წარმოებაში შექმნილი პროდუქციით იგი სახელმწიფოებრივ-იდეურ ფუნქციას ასრულებს. დახლზე ჩაწოლილი საქონელი არა მარტო წყალში გადაყრილი მატერიალური და ფულადი რესურსებია, არამედ დანაკარგი ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

ყურადღების ღირსია თანამედროვე მხატვრების შუა საუკუნეების უსახელო მხატვართა სტატუსამდე დაყვანის საკითხი. ამ მანკიერების სათავე დაკვეთებისა და სამუშაოთა განაწილების მანკიერ წესებში უნდა ვეძიოთ. ფონდში თუ კომბინატში რაიმე სამუშაოზე განაცხადი თითქმის ყოველთვის პერსონიფიცირებული მოდის. ამ პერსონებს ჰყავთ საკუთარი სამუშაოს შემსრულებელი ბრიგადები. ამის შედეგად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვრები გარიყულნი რჩე-

ბიან. თანამედროვე არქიტექტურა თავისი ფუნქციონალური და რაციონალური ხასიათით მოითხოვს მოკავშირეს. ეს მოკავშირე, პირველ რიგში, სწორედ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებაა. საქმოსნის ხელში ჩავარდნილი ეს დარგი ხელოვნებისა მხოლოდ მოგების წყაროდაა გადაქცეული. ასეთი მეცადინეობით ავტორიტეტი საკმაოდ შეელახა ჭედურობას, იგივე ემართება გობელენს, მინას, კერამიკას. დამკვიდრდა შეუწყნარებელი სტანდარტი, შტამპი. კეთდება ეკლექტიკური ფორმისა და დეკორის უზარმაზარი ლარნაკები, გობელენები, ანტივიტრაჟები და ხხვ. ამ მოვლენებს მკაცრად უნდა შეებრძოლოს ჩვენი მხატვრული საზოგადოებრიობა.

ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გამოცემები, რომლებშიც გაანალიზებულია ამ დარგების განვითარება, ცალკეულ მხატვართა შემოქმედება, პრესაში კი ძირითადად დილეტანტური სტატიები იბეჭდება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოფენებს, როგორც პერსონალურს, ისე ჯგუფურს. კიდევ უფრო საინტერესო ნაყოფს გამოიღებდა რეგულარული გაცვლითი გამოფენები. გამოფენების მოწყობა შეიძლება არა მარტო საგამოფენო დარბაზებში, არამედ დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რაც ესთეტიკური აღზრდის კარგ ფორმას წარმოადგენს. სასურველი იქნებოდა ყოველწლიურად მასობრივად გამოშვებული პროდუქციის გამოფენების მოწყობა, სადაც საუკეთესო ნიმუშების ავტორებს და საწარმოს ჯილდო გადაეცემოდათ. ეს ბევრად აამაღლებდა პროდუქციის მხატვრულ დონეს, და, ბოლოს, ვფიქრობთ, ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად იქცა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის შექმნა.

ლევან ლაღიძე: მხატვარი.

იცვლებიან მხატვართა თაობები. იცვლება ესთეტიკური ნორმები. ყოველ ახალ თაობას ფორმისა და მისი არსის შეგრძნების საკუთარი პრინციპები აქვს. მხატვრის ამოცანა კი უცვლელი რჩება — შეიცნოს სამყარო, შენიშნოს ყველაზე მთავარი გარემოსა და მოვლენაში და მოგვცეს საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული, განზოგადებული სახე ამ მოვლენებისა. ანუ მთელი ცხოვრება იდგეს ზღვარზე სინამდვილესა და ოცნებას შორის და ქმნიდეს ხატს — ცხოვრებისეულს.

დღეს ამ ტრიბუნიდან ახალგაზრდა მხატვართა სახელით გამოვდივარ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენი თაობა მზად არის მთელი არსებით, მოვლენების ღრმა შეგრძნებით ემსახუროს ქართულ ხელოვნებას, მის დღევანდელ მოთხოვნილებებს.

მე არ ვაპირებ ჩვენი თაობისათვის დამახასიათებელ რაღაც გარკვეულ მხატვრულ პრინციპებზე საუბარს და არც ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედების საერთო ნიშანთვისებებს შევეხები, რადგან ასეთ პრინციპებზე და ნიშანთვისებებზე ლაპარაკი ვფიქრობ, ჯერ ადრეა. ადრეა არა მარტო იმიტომ, რომ ეს პრინციპები ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია, არამედ იმიტომაც, რომ დღეს იმდენად რთულია თითოეული შემოქმედის, მითუმეტეს ახალგაზრდა შემოქმედის ბუნება, იმდენად მრავალწახნაგოვანია მისი სულიერი სამყარო, რომ საერთო ესთეტიკური კრედოს ჩამოყალიბება მეტად ძნელია.

დღეისათვის ახალგაზრდა მხატვრის სატკივარი არ განისაზღვრება მხოლოდ სპეციფიკური, წმინდა ხელოვნებისეული პრობლემებით. მართალია, დღეს ბევრი რამ კეთდება საქართველოში იმისათვის, რომ ახალგაზრდა კაცს საშუალება ჰქონდეს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, მაინც ყოფითი პრობლემები ისევ მწვავედ დგას. მაგრამ მე ერთ რამეს დავაკვირდი: თუ მხატვარი მთელი არსებით შემოქმედებით პროცესშია ჩართული, თუ მისი ყოველი დღე დატვირთულია აზრობრივად, მას ნაკლებად რჩება დრო სამუშაო პირობებზე ფიქრისათვის (ხომ იქმნებოდა სარდაფებსა და მანსარდებში ხელოვნების ნამდვილი ნიმუშები). მაგრამ ამას ისე ნუ გავიგებთ, თითქოს შემოქმედებისათვის თავდადებულს სახელოსნო აღარ სჭირდება. მე, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ნამდვილი მხატვარი ყოველნაირ პირობებში მხატვარია, თორემ, ცხადია, პირობები უკეთესი სჯობს.

ჩვენ, ახალგაზრდები, კარგად ვგრძნობთ და ვაფასებთ იმას, რომ ხელოვნებაზე და მის ფუნქციებზე ჩვენთან ჯანსაღი აზრი დამკვირდა, რეალიზმის ცნება ფუნქციურად შეიცვალა და გაცილებით გაფართოვდა. მაგრამ გამოფენაზე აქაიქ მაინც შევხვდებით ხოლმე თემის აქტუალობას ამოფარებულ, დაბალი დონის ტრაფარეტულ ნამუშევრებს. მე პირადად, ასეთი ნამუშევრების ხილვისას, იმდენად მათი შესრულების დონე კი არ მაკრთობს, რამდენადაც მათ უკან მდგარი შემსრულებელი, მისი პიროვნება, განსაკუთრებით, თუკი ის ახალგაზრდაა. ალბათ, ასეთებს არასოდეს არ განუცდიათ მხატვრის მოვალეობის გრძნობა, რომელიც მოქალაქეობრივი ვალისაგან განუყოფელია. ჭეშმარიტად, ნახატების მკეთებელი სულაც არ ნიშნავს, რომ ის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარია და მხატვრის წოდებას ვერავითარი საგამოცდო კომისია ვერ მოგანიჭებს, თუ თავად არ მოიპოვე იგი, საკუთარ ხულში არ მოიძიე და არ დაამკვიდრე, ხშირად ბევრ რაიმეზე უარის თქმის ფასად.

მხატვრობაში ყველაზე სავალალო აქტუალური თემით სპეკულაციაა. არ შეიძლება მხატვარმა განიცადო სინამდვილე, დრო, აღმშენებლობა და ყალბი ტრაფარეტული ფორმით გადმოსცე იგი. ამიტომ ნაკლებად მჯერა მე იმ მხატვართა გულახდილობისა, რომლებიც ზედმეტი პათოსით, მაგრამ დაბალ მხატვრულ დონეზე ასრულებენ თემატურ ტილოებს.

დღევანდელმა დღემ, თავისი მრავალფეროვნებით, დატვირთულმა ახალი, რთული პრობლემებით, სოციალური ძვრებით, შემოქმედს, როგორც პიროვნებას, წაუყენა საკუთარ თავში უფრო ღრმად ჩახედვის, თვითშემეცნების, თვითგანსჯის, ანალიტიკური უნარის გაღრმავების მოთხოვნა. საკუთარ თავში ჩაღრმავება ხულაც არ ნიშნავს გარე სამყაროსაგან მოწყვეტას. პირიქით, რაც უფრო გამახვილებული აქვს მხატვარს თვითშემეცნების უნარი, მით უფრო მოკლებულია მისი შემოქმედება ფუჭ, გარეგან ეფექტებს და უსაფუძვლო პარადოქსულობას, მით უფრო საღად ხედავს იგი სინამდვილეს.

დღეს ხელოვნების ნიმუში არა მარტო იმაზე უნდა პასუხობდეს, თუ რა შეუძლია მხატვარს, არამედ, პირველ რიგში, იმაზე, თუ რა გააჩნია მას. ფორმის განზოგადება უნდა ხდებოდეს არა ეფექტისა და ორიგინალობისათვის, არამედ ხაგნის არსში ჩასაწვდომად, რათა ისეთი სპეციფიკური პრინციპებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, ფერწერაში სპექტრისა და კონტრასტის პრინციპი, არ იქცეს ხელშეუხებელ დოგმად. ფერის ფიზიკურმა მხარემ არ უნდა დაგვაცილოს მთავარ იდეას, ფერი უნდა მსახურებდეს იდეას და არა პირიქით, ფერწერა არ ნიშნავს მხოლოდ ფერადოვნებასა და ულერადობას.

შესაძლოა ამგვარი მიდგომით ფერწერასთან ჩვენს ნამუშევრებს დავუკარგოთ სანახაობრივი მხარე, მაგრამ ფერწერა ხომ სანახაობა არ არის.

რა გვაღელვებს ჩვენ ვან გოგისა ან ფიროსმანის ნამუშევრებში? პირველ რიგში, მათი სულიერი დატვირთვა, ხოცარი სიცოცხლისდამამკვიდრებელი შინაგანი ნათება, ანუ წმინდა პიროვნული თვისებები. ხელოვნების ნიმუში ხომ სარკეა შემოქმედის შინაგანი ბუნებისა და ვერავითარი შიშველი ფერადოვნება და ულერადობა ამ თვისებებს სრულად ვერ წარმოაჩენს.

სხვათაშორის, ამ მხატვართა ყოველი

ტილო ზუსტად იმის მაჩვენებელია, უპირველესად, თუ „რა გააჩნდათ“ მათ და არა იმისა, თუ „რა შეეძლოთ“.

პროფესიონალიზმი, მარტივად რომ ვთქვათ, იმის ჩვენების უნარია, თუ რა გვაქვს სათქმელი და მე არ მესმის მათი, ვინც დღესაც პროფესიონალიზმს მხოლოდ კეთების უნარით განსაზღვრავს, ანდა ყველაფრის და ყველანაირად ხატვის უნარით.

რომ შექმნა, უნდა რაღაც გაწუხებდეს. ნამდვილ მხატვარს კი არ შეიძლება ყველაფერი ერთნაირად აწუხებდეს, ერთნაირად აღელვებდეს და ყოველნაირად ხატავდეს.

ყოველი მხატვარი თავისი ცხოვრებით დროსა და სივრცეში არსებული უხილავი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია და მისი შემოქმედებითი თვისებებიც, ერთგვარად, გენეტიკური მემკვიდრეობითაც განისაზღვრება. ასევე, ყოველი თაობა ტრადიციების მემკვიდრე და გამგრძელებელია. ჩვენი თაობაც, ახლო წარსულიდან თუ ავიღებთ მაგალითს, სამოციანი წლების ქართველ მხატვართა მიერ განმტკიცებულ საფუძველზე დგას. ამ მხატვრებმა თავის დროზე არ უღალატეს თავიანთ შემოქმედებით მრწამსს და საშუალება მოგვცეს ასე შორს გახედვისა.

მადლობა მათ ამისათვის.

ხოლო უფრო შორს თუ წავალთ, ჩვენ იმ დიდებული და განუმეორებელი სულიერი განძის შემქმნელთა მემკვიდრეები ვართ, ვინც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ქართულ ხელოვნებას, ეს ,,ოქრო“ გვახსოვდეს.

დღეს აქეთ-იქიდან გვესმის — თანამედროვე ახალგაზრდობა უფრო კარჩაკეტილია, ვიდრე წინამორბედი თაობებიო. ეს ჩვენი მინუსია.

ამიტომ, მოდით, ჩვენი თაობის მხატვარ ახალგაზრდობას შევუქმნათ პირობები, რათა შესაძლებლობა გვქონდეს საკუთარი ტკივილების დაძლევისა და ვიყოთ ყველანი თანამოაზრენი შემოქმედებით საქმიანობაში.

Ი. კოროლიოვი, სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი, რსფსრ სახალხო მხატვარი, ტრეტიაკოვის სახელმწიფო სამხატვრო გალერეის დირექტორი.

საბჭოთა ხელოვნება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ცხოვრებასთან, იგი ხალხს სამყაროს უკეთ შეცნობაში ეხმარება, შთაგონებს მას მის სწრაფვაში კომუნიზმისაკენ. ბოლო ხანებში საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატებმა შექმნეს არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებშიც მკაფიოდ აისახა ჩვენი თანამედროვის საუკეთესო თვისებები, მისი გმირული მოღვაწეობა. საბჭოთა მხატვრების ღირსეულ შემოქმედებით ანგარიშად იქცა საკავშირო სამხატვრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. გრიგოლია ცისფერი სივრცე

მ. მიქაბერიძე მედალი

ზ. ნიჟარაძე
გურამ ქუთათელაძის პორტრეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“, რომელიც სსკპ XXVI ყრილობას მიეძღვნა.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 60 წლის მანძილზე ჩვენმა ხელოვნებამ დიდი და რთული გზა გაიარა. მის მთავარ ნოვატორულ ღირსებად მრავალეროვნულობა იქცა, ის ერთიანობა, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ერთმანეთთან ეროვნულ მხატვრულ სკოლებს. განვლილი ათწლეულების მანძილზე მოწმე გავხდით მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში სახვითი ხელოვნების ინტენსიური ზრდისა, რამაც საბჭოთა ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების პროცესში ხელი შეუწყო ახალი ნიშნების გამოვლენას. ყველა რესპუბლიკის მხატვართა შემოქმედებითი მოღვაწეობა ორგანულად ერწყმის ხალხის ცხოვრებას, განვითარებული სოციალიზმის ამოცანებსა და პერსპექტივებს. ამ ღრმა ერთიანობაში ჰპოვებს გამოხატვას კოლექტივიზმი, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მეთოდს რომ ახასიათებს.

ჩვენი ქვეყნის მხატვრები ამჟამად ახალ შემოქმედებით მიჯნებზე დგანან, ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სახვითი ხელოვნებაც, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს ქართულ კულტურას საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. ამას მოწმობს ქართველ მხატვართა მონაწილეობა ბოლო წლების საკავშირო გამოფენებზე — „ლენინის გზით“, „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“, ქართული ხელოვნების გამოფენები სოციალისტურ ქვეყნებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ ქართველი მხატვრებისგან ასეთივე აქტიურობას ველით მომავალ გამოფენაზე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება.

50 წელი გავიდა საქართველოს მხატვართა კავშირის დაარსებიდან და თქვენს კოლექტივს ბევრი საამაყო აქვს. ქართველმა მხატვრებმა დიდი წვლილი შეიტანეს მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში. აქ მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ქართული სახვითი ხელოვნების გზის გამკვალავთა სახელები: იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, დავით კაკაბაძე, უჩა ჯაფარიძე და ბევრი სხვა ოსტატი, რომელთა შემოქმედებამ დიდება მოუტანა რესპუბლიკის სახვით ხელოვნებას. ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა, მონუმენტური და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ღღევანდელი თაობა ღირსეულად აგრძელებს ქართული პლასტიკური კულტურის მაღალ ეროვნულ ტრადიციებს.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული იყო ყოველმხრივი, საქმიანი ანალიზი ხუთი წლის მანძილზე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა. მოხსენების მახალა ლაპარაკობს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც გაუწევია გამგეობას და მის თავმჯდომარეს.

მე მოხიბლულმა დავრჩი საქმისადმი იმ ეულწრფელი და მხურვალე დამოკიდებულებით, რაც აქ გამომსვლელთა სიტყვებში ჩანდა. ეს იმის თავმდებია, რომ გადალახული იქნება ყველა არსებული ხიძნელე.

ჩემს გამოხვლაში მინდა შევეხო იმ პრობლემებსა და ამოცანებს, რომლებიც საერთოა საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, ეხება ყველა თაობის შემოქმედსა და ეროვნულ სკოლას.

პირველყოვლისა მინდა აღვნიშნო თემატური სურათის პრობლემის შესახებ. სურათისადმი ჩვენს ინტერესს განსაზღვრავს თანამედროვეობის მოვლენათა ფართოდ აღქმის, ჩვენი თანამედროვის სახის სრულყოფილად ხორცშესხმის უდიდესი შესაძლებლობა.

გასული წლები შემოქმედების ამ სფეროში ახალი სერიოზული ნამუშევრების შექმნით აღინიშნა. მათ შორის საუკეთესონი ჩვენი ხელოვნების ნიშანსვეტებად, ხალხის სულიერი ცხოვრების ნაწილად იქცა. ასეთი ნაწარმოებების ავტორთა რიცხვში არიან ქართველი მხატვრებიც.

სწორედ თემატურ სურათში აისახება ჩვენი ეპოქის მხატვრული მატიანე. ქართველ მხატვართა საუკეთესო ქმნილებებში ყოველივე ეს სისრულით გამოჩნდა.

მაგრამ, როცა ჩვენი საერთო მიღწევების შესახებ სიხარულით აღვნიშნავთ, დუმილით გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ ნაწარმოებები, რომლებიც ხელოვნების მოვლენებად იქცევა, სულ უფრო იშვიათად ჩნდება. რიცხობრივად ყველაზე მეტი თვალსაჩინო ნამუშევარი ამ ჟანრში შექმნილია 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ ეს უფრო არა რიცხობრიობას ეხება, არამედ, პირველყოვლისა, თემატურ დიაპაზონს, სურათების შინაარსის სიღრმეს და მრავალფეროვნებას.

დღეს, როცა სავსებით სამართლიანად ვლაპარაკობთ მხატვრული ოსტატობის, პროფესიული კულტურის ზრდაზე, ამავდროულად ყურადღებას მივაპყრობთ თემატიკურ შეზღუდულობას დაზგურ სურათში, შემოქმედებითი ძიების ერთგვარ ზერელობას, რიგ შემთხვევებში, ფორმის მოძიების მეორადობას.

დღეს ძალზე საჭიროა აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებშიც სახიერად შე-

ისხამს ხორცს ჩვენი საზოგადოებრივი წყობის ისტორიული მონაპოვარი; ნაწარმოებები, რომლებიც დაამკვიდრებენ მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეებს. ამ მხრივ კი საქართველოს მხატვრები მუდამ პირველ რიგებში იყვნენ, მათი სურათები, სიხარულსა და აღტაცებას რომ იწვევდნენ, ახალ შემოქმედებით აღმოჩენას წარმოადგენდა.

ქართული სახვითი ხელოვნებისათვის მუდამ ნიშანდობლივი იყო რომანტიკული ზეაწეულობისა და დიდებული მონუმენტურობის ელემენტები. მხატვართა ქმნილებებში ამ საშუალებებით წარმატებით წყდებოდა ეროვნული მემკვიდრეობის თანამედროვედ გამოყენების პრობლემები. შეიძლება ვიფიქროთ, სწორედ თქვენთან არსებობს ნაყოფიერი ნიადაგი საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო ყღერადობის ტილოების შესაქმნელად. როცა გასული წლების გამოფენებს ვიხსენებთ და იქ მხატვართა სახელებს, ვინც ამგვარ თემებს ამუშავებდა თავის ტილოებში, დღეს ამ ყანრის განვითარების მაუწყებელს ვეღარ ვხედავთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს პრობლემები ყველა სხვა რესპუბლიკაშიც არსებობს. წლიდან წლამდე სულ უფრო ძნელდება საკავშირო გამოფენების მიზანი. სწორად იყო აღნიშნული, რომ მხატვრები ვერ გაიაზრებენ აქტუალურ თემას, რომელიც აუცილებელია ჩვენი გამოფენებისა და ჩვენი ხალხისათვის, და ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებას იმით, რომ მნიშვნელოვანი თემა, მოქალაქეობრივი, პარტიული, მაგრამ მაღალი მხატვრული ფორმის გარეშე არ შეიძლება იქცეს ხელოვნების ნაწარმოებად.



ვ. ბასიაშვილი

გაზაფხული

სკკპ XXVI ყრილობამ საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატებს მოუწოდა არქიტექტურისა და პლასტიკურ ხელოვნებათა სინთეზის იდეურ-მხატვრული კონცეპციის დამუშავებისკენ, მონუმენტურ ნაგებობათა პროექტირებისა და აგებისკენ, რომლებიც არქიტექტურული ანსამბლების იდეურ-ემოციურ ცენტრად იქცევა.

პირველ პლანზე წამოწეულია ესთეტიკური გარემოს ჩამოყალიბების ამოცანა, გარემოსი, რომელშიც ცხოვრობს საბჭოთა ადამიანი და რომელიც გავლენას ახდენს მის მსოფლშეგრძნებაზე, გემოვნებაზე, კულტურაზე, შრომასა და ყოფაზე.

მინდა მთელი გულით მოგილოცოთ ის დიდი წარმატებანი, რასაც თქვენ მიაღწიეთ მონუმენტურ ხელოვნებაში.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ხელოვნებათა სინთეზს, გარემოს ჩამოყალიბებისადმი კომპლექსურ მიდგომას. თქვენთან თვალსაჩინო მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ ძეგლთა და მონუმენტთა აღმართვისათვის, არამედ ერთიანი მხატვრული ანსამბლების შესაქმნელადაც. ძალზე ფასეულია საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივა ენგურჰესის, ქალაქების — რუსთავისა და წყალტუბოს მხატვრული გაფორმების გენერალური გეგმის დამუშავებაში. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ათწლეულში მონუმენტური ხელოვნება რესპუბლიკაში თითქმის წამყვან ყანრად იქცა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობამ განსაზღვრა საზოგადოებრივ ნაგებობათა, კულტურის სასახლეების, სასოფლო მუზეუმებისა და სხვათა მშენებლობის კოლოსალური გაქანება. ყოველივე ამან კედლის მოხატულობათა, რელიეფის, მოზაიკის, ვიტრაჟის, ქანდაკების, ჰედურობის სამუშაოთა ფართო ფრონტი წარმოქმნა. მხატვრები,

არქიტექტორებთან ერთად, წარმატებით წყვეტენ ჰარმონიული გარემოს შექმნის პრობლემას როგორც ქალაქად, ისე სასოფლო დასახლებებში.

ამ დროის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშუშევრებს შორის გვინდა დავასახელოთ გაგრის, ბიჭვინთის სასტუმროების, შარჯანიშვილის თეატრის, ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მოხატულობანი, თბილისის მეტროპოლიტენის გაფორმება, დიდებული ძეგლი-მემორიალები გურჯაანში („ჯარისკაცის მამა"), მარნეულში („კიდევაც დაიზრდებიან"), ფოთის დიდების მემორიალი, „მეგობრობა" აზერბაიჯანის საზღვართან, გორში, თბილისში, ქუთაისში ახლახან გახსნილი მემორიალები და ბევრი სხვა.

ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ბოლო წლებში სწორედ მხატვარ-მონუმენტალისტებს მიენიჭათ ლენინური, სახელმწიფო და რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება.

ბოლო პერიოდში წარმატებით ვითარდება თქვენთან, აგრეთვე, გობელენის ხელოვნება. ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციაზე აღმოცენებული ეს დარგი უცილობლად არის ხოლმე წარმოდგენილი ყველა საკავშირო გამოფენაზე, გობელენებით ფორმდება საზოგადოებრივ ნაგებობათა ინტერიერები. ორნამენტული გობელენი თანღათან იქცა ქართველი ხალხის ყოფის ამსახველ თემატურ გობელენად, ქართული გობელენის წარმატებაზე მეტყველებს ისიც, რომ თანამედროვე ხალიჩის საერთაშორისო ტრიენალეზე ლოზანაში მიწვეული იყო თქვენს რესპუბლიკაში გობელენის ხელოვნების ამაღორძინებელი გივი ყანდარელი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ ქართულ კერამიკას. მასალის კეთილშობილება, ფორმათა მოხდენილობა გამოარჩევს მას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მრავალრიცხოვან გამოფენებზე, დამსახურებულად მოიპოვებს მაყურებელთა აღიარებასა და თაყვანისცემას. ბოლო დროს მხატვარი-კერამიკოსები მუდმივი მონაწილენი გახდნენ საფრანგეთში (ვალორისში) გამართული გამოფენებისა. ეს არის მსოფლიო მნიშვნელობის ყველაზე წარმომადგენლობითი კონკურსი და, აი, სულ ახლახან ამ კონკურსზე ოქროსა და ვერცხლის მედლები ხვდათ რევაზ მეტრეველსა და ახალგაზრდა კერამიკოსს ოთარ ვეფხვაძეს.

მოგილოცავთ ყველას ამ წარმატებას.

მრავალეროვნული საბჭოთა სცენოგრაფიის მიღწევები მჭიდროდაა დაკავშირებული ნიჭიერი, მაღალპროფესიული ქართველი მხატვრების მოღვაწეობასთან. მხატვრებისა, რომლებიც თავიანთ შემოქმედებით პრაქტიკაში გონივრულად იყენებენ გამომსახველობის თანამედროვე ხერხებსა და საშუალებებს და, ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობენ მის ფორმირებაში. შარჯანიშვილის, რუსთაველის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა თეატრების სპექტაკლები კოლოსალური წარმატებით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ქალაქებში გასტროლების დროს, ღრმა ინტერესს იწვევს თეატრის მოყვარულთა შორის საზღვარგარეთ. მე თვითონ გახლდით მოწმე იმისა, თუ როგორი რიგები იყო გამართული, როცა იქ ქართული სპექტაკლები იმართებოდა. ეს ძალზე სასიამოვნო იყო.

ქართველი სცენოგრაფები, კინემატოგრაფისტები ღრმა გაგებას იჩენენ თეატრალურ და კინოხელოვნებაში მიმდინარე იმ პრობლემებისა, რომელიც დგას ამ დარგის მხატვრების წინაშე ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხალხური მხატვრული შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, უახლოეს დრომდე ხალხური ხელოსნობის ბევრი ტრადიციული სახეობა გაქრა და მხოლოდ ახლა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობით ზოგიერთი მათგანი ხელახლა აღორძინდა. საქართველოს მხატვართა კავშირმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს ხალხური სარეწების აღდგენას და ყოველნაირად შეუწყოს ხელი თავისი ხალხის სულიერი სიმდიდრის შემდგომ აღორძინებას.

სოციალისტური რეალიზმის დიდ ტრადიციებს ღირსეულად ავითარებენ ახალგაზრდა მხატვრები. მათ ნაწარმოებებში სულ უფრო ხშირად ვხედავთ სწრაფვას დროის მოვლენების ფართო განზოგადებისაკენ, მისი აქტუალური პრობლემების ასახვისაკენ.

კომკავშირის ყრილობისადმი მიძღვნილმა საკავშირო გამოფენამ ნათელყო, რომ შემოქმედებითი ახალგაზრდობა სოციალურად აქტიური, პოლიტიკურად მომწიფებული ძალაა. ამ ექსპოზიციამ დაგვანახა ახალგაზრდობის უჩვეულო აღმაფრენა, ემოციური აფეთქება. თუმცა ნაადრევი იქნებოდა ჭეშმარიტ მხატვრულ მონაპოვარზე საუბარი, მაგრამ როცა თვალს ავლებ გამოფენას, აგაღელვებს ცხოვრებისადმი მათი დამოკიდებულება, ფერწერული პოზიცია, მოქალაქეობრივი პოზიცია.

სსრკ მხატვართა კავშირის ამასწინანდელი პლენუმი თვლის, რომ ეს გამოფენა არ არის შემთხვევითი, არამედ აქტიური მუშაობისა და ახალგაზრდა მხატვართა აზროვნებაში ახალი თვისებების წარმოჩე-

ნის მაუწყებელია, ამასთან ახალი მიჯნებისა თანამედროვე მხატვრული ფორმის ძიებაში. შესაძლოა ეს ეტაპის დასაწყისიც იყოს საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.

უფრო ფართოდ, უფრო გაბედულად უნდა ჩავაბათ ახალგაზრდები ხელოვნების დიდი საზოგადოებრივი და პროფესიული ამოცანების გადაჭრაში, ეს გზა კონკრეტულად და ნათლადაა მონიშნული სკკპ დადგენილებაში „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ". საქართველოს მხატვართა კავშირს ამ მიმართულებით სერიოზული პოზიტიური გამოცდილება აქვს.

ГИОРГИ ГУНИА. საქართველოს მხატვართა კავშირის თეატრალური მხატვრობის სექციის თავმჯდომარე.

უკანასკნელ ხანებში თეატრსა და კინოს მხატვრებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი.

ორ ყრილობას შორის პერიოდში სსრკ სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ ს. ვირსალაძეს, გ. მესხიშვილს — თეატრალურ მხატვრობაში, ქ. ლებანიძეს და კ. ხუციშვილს — კინომხატვრობაში, რუსთაველის სახელობის პრემია ხვდა მ. შველიძეს, მარჯანიშვილის სახელობისა — შ. ხუციშვილს, საკავშირო გამოფენაზე „სცენოგრაფიის პრაღის კვადრიენალე" თ. ნინუას კოსტუმების ესკიზებს — ოქროს მედალი. სხვათაშორის, ეს გახლდათ პრაღის კვადრიენალეზე ქართველი მხატვრის მიერ მიღებული მეორე მედალი. პირველად, 1967 წელს იგი მიენიჭა იოსებ სუმბათაშვილს. საერთოდ კი საინტერესოა: პრაღის კვადრიენალეს მთელი ისტორიის მანძილზე საბჭოთა კავშირის მხატვრებმა სამჯერ დაიმსახურეს ეს ჯილდო, აქედან ორი — ქართველ მხატვრებს ხვდათ.

რა განაპირობებს თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის მიღწევებს?

60-70-იან წლებში ახალგაზრდა მხატვართა თაობის მოსვლა თეატრში ახალი ფორმის, სასცენო სივრცის მოდელირების ხერხების ძიებით აღინიშნა. თანამედროვე დეკორაცია მაყურებლის ყურადღებას არ უნდა იპყრობდეს. სპექტაკლის სახვით ფორმად უნდა იქცეს პლასტიკური სახეები, რომლებიც მაყურებლის ფანტაზიას და ასოციაციური აზროვნების უნარს ითხოვს. დღევანდელი სცენოგრაფია „თანდასწრების ეფექტსა" და „თანაგანცდას" საჭიროებს სცენასა და დარბაზს შორის.

ახალგაზრდა მხატვართა მიერ თანამედროვე სცენოგრაფიის ამოცანების ორმაგგებამ და ნამუშევრებში ნიგბივრმა რეალიზაციამ, აქტიურმა საგამოფენო საქმიანობამ, რომელსაც თეატრისა და კინოს სექცია წარმართავს, ჩვენი თეატრების მრავალრიცხოვანმა გასტროლებმა განაპირობა ქართული თეატრალური მხატვრობის პოპულარობის ზრდა.

დღეს საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც თეატრალურ მხატვრობას იკვლევენ, ხშირად ხმარობენ ტერმინს „სცენოგრაფიის ქართული სკოლა", და არა მხოლოდ ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში, 1980 წელს თეატრალური მხატვრების საერთაშორისო ასოციაციის ჟურნალ „ინტერსცენაში" დაიბეჭდა სტატია სწორედ „სცენოგრაფიის ქართულ სკოლაზე".

ამ სკოლით დაინტერესება და მისი აღიარება იმან განაპირობა, რომ ქართველმა მხატვრებმა შეძლეს აეცილებინათ შუაევროპული სტანდარტების გავლენა, რომელმაც 70-იან წლებში ბევრი შემოქმედი მოიცვა, შეძლეს შეენარჩუნებინათ თავისი სახე, თავისი ეროვნული მსოფლაღქმა, და, ამავე დროს, აგრძელებენ თანამედროვე ძიებათა კალეიდოსკოპით სვლას.

ეს აღიარება მშვენივრად იხატება იმაშიც, რომ ქართველი მხატვრები უამრავ სპექტაკლს აფორმებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ: ლოძსა და დიუსელდორფში, საარბრიუკენსა და ვარშავაში...

საზღვარგარეთ მოწყობილი საბჭოთა სცენოგრაფიის ყოველი გამოფენა, როგორც წესი, შეიცავს ქართველ მხატვართა ნამუშევრებს. ასე იყო ბრაზილიაში, ინგლისში, ბულგარეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, კიპროსზე, ავსტრიაში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვ.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს მხატვართა კავშირთან არსებულმა თეატრალური მხატვრობის სექციამ ოცამდე გამოფენა მოამზადა. თავისი დონითა და ხარისხით ეს გამოფენები განსხვავებული იყო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თეატრისა და კინოს მხატვართა 1979 წლის რესპუბლიკური გამოფენა, რომელმაც თავისი მასშტაბითა და შემოქმედებით ინდივიდუალობათა მრავალფეროვნებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. საინტერესო იყო ვილნიუსში, კიევში, ტაშკენტში, კიშინიოვსა და რიგაში გამართული ჯგუფური გამოფენები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც აქ ჩატარებულ განხილვებზე და პრესაშიც შეფასებულ იქნა, როგორც მოვლენა ამ ქალაქების მხატვრულ ცხოვრებაში, როგორც ქართული თეატრისა და ეროვნული სახვითი ხელოვნების ზეიმი. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ის დიდი წარმატება, რომელიც ხვდა ქართული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, შესანიშნავი მხატვრის პეტრე ოცხელის პერსონალურ გამოფენას, თბილისის შემდეგ ლენინგრადსა და მოსკოვში რომ გაიმართა. თბილისის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია გოგი მესხიშვილისა და მამია მალაზონიას ნამუშევართა პერსონალურმა გამოფენებმა. უახლოეს ხანში მათს გამოფენებს მოსკოვსა და ლენინგრადშიც გაეცნობიან.

რა თქმა უნდა, ქართული სცენოგრაფიის გზაზე სიძნელეები და პრობლემებიც იჩენს თავს.

აი, უკვე რამდენი ხანია ამ სფეროში ახალი სახელები არ გამოჩენილა. ეს დამაფიქრებელია, რამდენადაც ახალგაზრდულ სწრაფვას ფასეულობათა გადაფასებისაკენ ხელოვნების მარადიული განახლება მოსდევს, ხოლო მხატვრებს მიღწეულზე შეჩერებას აცილებს.

ძალზე მწვავედ დგას თეატრის მხატვართა სახელოსნოებით უზრუნველყოფის საკითხი, უმრავლესობას იგი არ გააჩნია.

დაბალ დონეზეა ქართველ სცენოგრაფთა შემოქმედების პოპულარიზაციის საქმე. დღემდე არ არის გამოცემული უმდიდრესი ტრადიციის მქონე ქართული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ისტორია. არ არსებობს გამოკვლევა ქართულ კოსტუმზე, არ გაგვაჩნია თანამედროვე სცენოგრაფთა ნამუშევრების ალბომი, რომ აღარაფერი ვთქვათ გამოცემებზე ცალკეულ მხატვართა შემოქმედების შესახებ. გამომცემლობა „ხელოვნებაში" უკვე მესამე წელია დევს ილუსტრირებული სტატიების კრებული, რომელიც ეძღვნება ქართული სცენოგრაფიის მონაპოვარს ბოლო ათი წლის მანძილზე, მაგრამ გამოცემას პირი არ უჩანს.

ჩვენი აზრით, დროა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხაზით ქართული სცენოგრაფიის გამოფენები საზღვარგარეთ გაიგზავნოს, ამაზე უკვე დიდიხანია არის ლაპარაკი, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

ქართული სცენოგრაფიის მიღწევები და აღიარება იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ დადგა დრო თბილისში მოეწყოს თეატრის მხატვართა საკავშირო ტრიენალე, რომელიც შემდგომში გადაიზრდება საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში „სცენოგრაფიის თბილისის ტრიენალე", თავისი ჯილდოებითა და პრემიებით, საორგანიზაციო კომიტეტით, ჟიურითა და საერთაშორისო სიმპოზიუმით. ვფიქრობთ, ასეთი დათვალიერება დიდ წვლილს შეიტანს მრავალეროვნული საბჭოთა სცენოგრაფიის განვითარებაში, საბჭოთა რესპუბლიკების ინტერნაციონალური ძმობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

ელგუჯა ამაშუკელი (საბოლოო სიტყვა):

ყველა ორატორის გამოსვლას ყრილობის ტრიბუნაზე, იყო ეს გამოსვლა ინფორმაციული თუ კრიტიკული ხასიათისა, თან სდევდა რწმენა, რომ ქართველ მხატვრებს შესწევთ ძალა და უნარი უპასუხონ იმ დიდ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ჩვენი პარტია და მთავრობა, ჩვენი საზოგადოება უყენებენ შემოქმედს — თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ინტერესებიდან, მისი მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციიდან გამომდინარე.

ყრილობამ გვიჩვენა განვლილ საანგარიშო პერიოდში საქართველოს მხატვართა კავშირის მუშაობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი წმინდა შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული მუშაობის თვალსაზრისით, რათა ჩვენი მხატვრულ-შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო შინაარსიანი და პროგრესული გზით წარიმართოს.

ამ ყრილობაზე ერთხელ კიდევ გამოჩნდა, თუ რაოდენ დიდი სიძნელეებია გადასალახავი, რათა ქართველ მხატვართა უზარმაზარ არმიას ჰქონდეს ცხოვრებისა და შემოქმედების ნორმალური პირობები, ჰქონდეს შესაძლებლობა, ბოლომდე გამოამჟღავნოს ის დიდი პოტენციური ძალა, რომელიც თითოეულ ნიჭიერ მხატვარს, საერთოდ ჩვენს დიდ შემოქმედებით კოლექტივს გააჩნია დღეს.

აქ გულწრფელად იყო საუბარი იმ სიძნელეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება, როგორც გადაულახავი ბარიერი ჩვენი მუშაობისა, საქართველოს ხამხატვრო ფონდის, კავშირის მუშაობისა. ეს ეხება ხელფასისა და მასალების ფონდის ნაკლებობას, საწარმოო კომბინატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მხატვართა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, შემოქმედებითი სახელოსნოების მშენებლობას და მრავალ მტკივნეულ სასიცოცხლო პრობლემას.

იყო საუბარი წმინდა შემოქმედებით საკითხებზე, იმაზე, რომ გამოფენებზე ჯერ კიდევ ვხვდებით დაბალ მხატვრულ-იდეურ დონეზე შესრულებულ ნამუშევრებს; რომ საგამოფენო კომიტეტი და საქხატვრო საბჭოები მომთხოვნელობით, პრინციპულობით ყოველთვის არ დგანან საათანადო დონეზე; რომ ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით არ ვეკიდებით იმ დიდ ეროვნულ საქმეს, რასაც დროსა და სივრცეში მონუმენტური ხელოვნების ხიცოცხლე ჰქვია. დღემდე ვერ ვირწმუნეთ, რომ ძეგლი, სიმბოლური თუ კონკრეტული პიროვნებისა, მონუმენტური პანო — არქიტექტურული ინტერიერისა თუ ექსტერიერისა, სახვალიოდ ჩვენი სამშობლოს დღევანდელი სულიერი ცხოვრების ღონის ისტორიული გამოხატულებაა და შთამომავლობის წინაშე — ჩვენი რაობის განმსაზღვრელი ფაქტიც. სამწუხაროდ, ყოველთვის არ ვავახლოვს ეს ჭეშმარიტება და ადვილად ვაძლევთ მწვანე ეზას საეჭვო ღირებულების ე. წ. „ქმნილებებს". მართალია, უკანასკნელი პერიოდის ქართველ მხატვართა მიღწევები სახვითი ხელოვნების ყველა დარგში ოვალსაჩინოა და საყოველთოდ ცნობილი, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ვირწმუნებთ, რომ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა — სხვათა ნაღვაწისადმი მართალ, გულწრფელ და კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს. ხელოვნება უასაკოა და იგი უშეღავათო მიმართებას ითხოვს, ქმნის ნაწარმოებს უკვე ცნობილი, ხანდაზმული, სახელმოხვეჭილი ოსტატი თუ ახალგაზრდა, ჭაბუკი ხელოვანი.

აქ საქმიანი, შინაარსიანი საუბარი იყო ახალგაზრდებზე. არა გვგონია, საქართველოს სხვა რომელიმე შემოქმედებით ორგანიზაციაში უფრო მეტი იყოს ნიჭიერი და ორიგინალური შემოქმედი, ვიდრე ჩვენთან. ალბათ, ახლადარჩეული გამგეობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის, ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს მათ ნიჭსა და შესაძლებლობას და უფრო დიდ, ნათელ შემოქმედებით გზაზე გაიყვანს.

ჩვენ მივიღებთ ყრილობის დადგენილებას, მაგრამ ვიცით, როგორი შინაარსიანი დადგენილებაც არ უნდა მივიღოთ. ეს საქმეს სწრაფად ვერ გამოასწორებს, მაშინვე წინ ვერ წასწევს. საჭიროა მომავალში, როცა ხმამაღლა ვილაპარაკებთ კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირის, სამხატვრო ფონდის, თუ სხვა ორგანიზაციების მუშაობის [illegible] ობიექტურად შევხედოთ აღმოცენებულ ცხოვრებისეულ სიძნელეებს და ნუ დავკარგავთ კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემის, სიმართლისა და ნდობის, რაც მთავარია, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის, ობიექტური დამოკიდებულების გრძნობას, თორემ ძალიან გაგვიძნელდება სხვების დარწმუნება საკუთარი სიძნელეებისა თუ წარმატებების სიმართლეში.

არა გვგონია, სადმე, რომელიმე სხვა რესპუბლიკაში ხელოვანის, შემოქმედი ადამიანის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ და უცხადებდნენ მას ნდობას ზემდგომი ორგანოები, ვიდრე ჩვენთან. არა გვგონია, რომ ქართული ხელოვნების ყველა დარგის ბოლო პერიოდის მიღწევები იქნებოდა ამ დონეზე, თუ არა ის ნათელი დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა, პირადად ამხანაგ ედუარდ შევარდნაძე იჩენს ხელოვან შემოქმედ ადამიანთა მიმართ.

ნიჭიერების მალვის დრო დამთავრდა. სამზეოზე, სააშკარაოზეა ყველა შემოქმედის შესაძლებლობა, და თუ ჯერ კიდევ ვინმე ებრძვის საკუთარ სულში, საკუთარი ინიციატივით აგებულ ქარის წიხქვილებს, ეს არ ცვლის საქართველოს შემოქმედებითი, მხატვრული ცხოვრების ობიექტურ სახეს, რომელსაც ვისი ნიჭის აღორძინება, აღზევება ჰქვია.

გვჯერა, ქართველი მხატვრები მომავალში კიდევ უფრო დიდ სიმაღლეებს დაიპყრობენ, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ ეროვნული მხატვრობის სახელსა და ავტორიტეტს, საბჭოთა მხატვრობის სახელსა და ავტორიტეტს, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენენ თავის ნიჭსა და უნარს.

ვიყოთ თითოეული ჩვენგანი საკუთარი შესაძლებლობისა და რწმენის დონეზე. ამას მიწიერ ურთიერთობაში სულიერი სიმშვიდე, ჰარმონია ჰქვია, ხოლო შემოქმედებაში — გამარჯვების საწინდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1982 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ: საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, მოქანდაკე **ელგუჯა ამაშუკელს**, საქართველოს სსრ დამსახურებულ არქიტექტორს **ვახტანგ დავითაიას** — ქალაქ გორში გამარჯვების მონუმენტისათვის და ქალაქ

გამარჯვების მონუმენტი ქ. გორში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

ფოთში გმირ მეზღვაურთა დიდების მემორიალისათვის; სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, მხატვარ-მონუმენტალისტს **ზურაბ წერეთელს** ქალაქ მოსკოვის სასტუმროს კომპლექსის „იზმაილოვოს“ არქიტექტურის ერთ-ერთ ავტორს.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ქართველ ხელოვანთ ამ დიდ ჯილდოს და ახალ წარმატებებს უსურვებენ შემოქმედებაში.

გმირ მეზღვაურთა დიდების მემორიალი ქ. ფოთში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასტუმროს კომპლექსი „იზმაილოვო“ ქ. მოსკოვში



ჯვარი

საქინფორმი — 60

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმს დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა.

დიდი და საპატიო მისია აკისრია საინფორმაციო სააგენტოს. ასე იყო მაშინაც, სამოცი წლის წინათ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტით დაარსდა იგი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს სრულიად კავკასიის განყოფილების საქართველოს სამმართველო დროული, სწორი, პირუთვნელი ინფორმაციით ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა რევოლუციას, ეხმარებოდა მას ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის მასების დარაზმვაში.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო სამოცი წლის მანძილზე უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით ქმნიდა საბჭოთა საქართველოსა და მოძმე საბჭოთა რეს-



ქვევრები
მშენებლები
პალმები
მცხუნვარე მზეზე
ქალთა ცეკვა

რეპეტიციაზე
სერგო ზაქარიაძე
დიდების მემორიალი

პუბლიკების ხალხთა ბრძოლის, ცხოვრების, შრომის ვრცელ და საინტერესო პანორამას. ჩვენი რესპუბლიკის საინფორმაციო სამსახურის მუშაკები მუდამ იყვნენ ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენების თვითმხილველნი, თავიანთ ინფორმაციებში ზედმიწევნითი სიზუსტით ასახავდნენ და ფართო მასებისთვის მისაწვდომს ხდიდნენ მათ.

ასეა ახლაც, როდესაც საქინფორმი, როგორც მას 1972 წლიდან ეწოდა, თავისი მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების საშუალებით, საკდესის არხებით გადასცემს ინფორმაციას საბჭოთა საქართველოს მიღწევებსა და მომავლის ამოცანებზე, პრობლემებზე, მოწინავე ადამიანებზე, აშუქებს ჩვენი ცხოვრების ძირითად ტენდენციებს, თვალნათლივ და დამაჯერებლად უჩვენებს მთელ მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიად ძმობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საქინფორმის 60 წლის იუბილემ, რადგან იგი დაემთხვა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ამჟამად საქინფორმის სატელეტაიპო აპარატები ჩვენს რესპუბლიკაში გადასცემენ საზღვარგარეთიდან საშუალოდ სამოცდაათ ცნობას, სსრ კავშირის ყოველი კუთხიდან ასამდე, ხოლო ოცამდე რესპუბლიკურ და ახალ ამბავს. ეს დაახლოებით ათიათას სიტყვას შეადგენს. მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავს საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს. აი, ისინიც — საბჭოთა და უცხოელი მკითხველები, რადიომსმენელები, ტელემაყურებლები, რომლებიც ყოველდღიურად, მოვლენათა კვალად ელიან და იღებენ კიდეც საქინფორმის კორესპონდენტთა გადაცემებს. საქინფორმის ხელისმომწერია ოცდაორი რესპუბლიკური, შვიდი საოლქო, თერთმეტი სოფლაქო და სამოცდაექვსი რაიონული გაზეთი.

საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა 27 სექტემბერს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში. საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, საკდესის გენერალური დირექტორი ს. ლოსევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ენუქიძემ. სხდომაზე წაკითხულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება საქინფორმისადმი. საკდესის გენერალურმა დირექტორმა ს. ლოსევმა მიულოცა საქინფორმის კოლექტივს 60 წლის იუბილე. საქინფორმის წინაშე დასახულ ამოცანებზე ილაპარაკა საქინფორმის დირექტორმა თ. სტეპანოვმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ტ. რო-





სტიაშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ბედინეიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარის კოლმეურნეობის მეჩაიე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. თალაკვაძე, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი მ. ხაჩატრიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ჩარკვიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი მ. ტორაძე და ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავსა და საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავს მიეძღვნა რუსთაველის პროსპექტზე საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ფერადი ფოტოგრაფიის გამოფენა „ერთიან ოჯახში“. გამოფენაზე ეკრანებზე სპონირებულია საქინფორმის თანამშრომელთა ნამუშევრები, რომლებიც ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან ცხოვრებას, წარმოაჩენენ ფოტოკორესპონდენტთა ოსტატობას და მაღალპროფესიულ დონეს.

საიუბილეო ფოტოგამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა ე. შევარდნაძემ, ს. ლოსევმა, გ. ენუქიძემ, თ. მენთეშაშვილმა, ს. ხაბეიშვილმა, ნ. ჯანბერიძემ, ნ. ენდელაძემ, ნ. გურგენიძემ.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ ჩვენი საინფორმაციო სააგენტოს მუშაკებს, ქართული კულტურის მუშაკთა მეგობრებს, სახელოვან იუბილეს და უსურვებენ წარმატებებს.



მაღლივი კაშხალი
ფიათურა
მემონტაჟეები
მეტეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა ფათალი ახუნდოვი

გივი მაღულარია

170 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მირზა ფათალი ახუნდოვი დაიბადა და 100 წელზე ცოტა მეტი, რაც გარდაიცვალა, მაგრამ მისმა შემოქმედებითმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ იმდენად დიდი როლი ითამაშა აზერბაიჯანისა და საერთოდ წინა აზიის ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში, რომ მის ღვაწლს თუ შეემატა რამე, თორემ არაფერი დაკლებია. მირზა ფათალი ახუნდოვი იყო თავისი დროის მოწინავე პიროვნება, დიდი საზოგადო მოღვაწე, აზერბაიჯანელი ხალხის განმანათლებელი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, პირველი აზერბაიჯანელი კრიტიკოსი და, რაც მთავარია, აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელი. თუ აზერბაიჯანში თეატრალურ ხელოვნებას საფუძველი ჩაეყარა და აუცილებელი შეიქნა პროფესიული დასის ჩამოყალიბება, ეს სწორედ მირზა ფათალი ახუნდოვის დამსახურებაა. აზერბაიჯანის პროფესიული თეატრის ისტორია იწყება 1873 წლის 10 მარტიდან, როცა ბაქოში პირველად დაიდგა მირზა ფათალი ახუნდოვის კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“.

მირზა ფათალი ახუნდოვმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისში გაატარა. აქ ეზიარა იგი რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, აქ გაიცნო მოწინავე ქართველი, რუსი და სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლები, აქ მიიღო ევროპული განათლება, აქ დაიწყო ბრძოლა ისლამის რელიგიური ფანატიზმისა და აღმოსავლური დესპოტიზმის წინააღმდეგ, აქედან ექომაგებოდა ყველა დაჩაგრულ და გაჭირვებულ თანამემამულეს, აქ დაიწერა ყველა მისი პიესა, ლექსი და ფილოსოფიური თხზულება. თბილისმა გააცნო მისი სახელი რუსეთსა და მეზობელ ხალხებს, თბილისშივე თარგმნა უკვე გახმაურებული კომედიები და აქვე დაბეჭდა 1853 წელს ცალკე წიგნად. თბილისში ნანახმა სპექტაკლებმა მისცა მას სტიმული შეექმნა თავისი ხალხისათვის ევროპული სტილის დრამატული ნაწარმოებები და საფუძველი ჩაეყარა ეროვნული დრამატურგიისათვის, რაც იმდროინდელ მუსულმანურ სამყაროში უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირზა ფათალი ახუნდოვი დაიბადა 1812 წელს შაქში, ახლანდელ ნუხში. მშობლები ადრე გარდაეცვალა და მისი აღზრდა თავს იდვა ბიძამ, ჰაჯი ალექსერმა, რომელიც შეძლებული კაცი იყო და სურდა ძმისწულის შვილიშვილი სასულიერო პირი გამხდარიყო. მაშინ შაქში თურქულ-სპარსული ცხოვრების წესი იყო გაბატონებული, ხოლო განათლებას არაბულ ენაზე იძენდნენ. ეს განათლება ძირითადად რელიგიური ხასიათისა იყო და ვიწრო მიზანს ისახავდა — ესწავლებინა შეგირდისათვის არაბული წერა-კითხვა და ყურანის სურების განმარტება. ჰაჯი ალექსერს შაქის სასწავლებლის დონე არ აკმაყოფილებდა და მირზა ფათალი ახუნდოვი განჯის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანა. განჯაში ახუნდოვი დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ აქ იგი შეხვდა ცნობილ პოეტსა და მოაზროვნეს მირზა შაფი ვაზეჰს, რომელიც სემინარიაში სპარსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ეს ის შაფი ვაზეჰია, რამდენიმე წლის შემდეგ შესანიშნავი ლექსი რომ მიუძღვნა თბილისს. სწორედ მან შთააგონა მირზა ფათალი ახუნდოვს ხელი აეღო რელიგიურ მოღვაწეობაზე და ენებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგების შესწავლას შესდგომოდა. ახუნდოვმა ყურად იღო შაფი ვაზეჰის რჩევა და შეუდგა ენებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების შესწავლას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ იცოდა სპარსული, თურქული, არაბული და რუსული ენები.

1834 წელს მირზა ფათალი ახუნდოვი თბილისში ჩამოდის — მაშინ თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო — და სამსახურს იწყებს მეფისნაცვლის კანცელარიაში აღმოსავლური ენების თარჯიმნად. ცოტა მოგვიანებით სპარსულ და თურქულ ენებს ასწავლის თბილისის სამაზრო სასწავლებელში. თბილისში იგი უკვე თითქმის სრულყოფილად ეუფლება რუსულ ენას. პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდა რუსული ენის კერძო გაკვეთილებს იღებს. საინტერესოა ის ამბავი, რომ ერთ პერიოდში იგი სპარსულ ენას ასწავლიდა კავკასიაში გადმოსახლებულ ცნობილ დეკაბრისტს ბესტუჟევ-მარლინსკის, ხოლო მისგან რუსულ ენას სწავლობდა. რუსული ენის ცოდნამ ახუნდოვს საშუალება მისცა გასცნობოდა რუსულ და რუსულ ენაზე თარგმნილ ევროპულ ლიტერატურას. მირზა ფათალი ახუნდოვმა ლიტერატურული მოღვაწეობაც თბილისში დაიწყო. პერიოდულ პრესაში ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს, ლექსებს, კრიტიკულ ნარკვევებს. დიდი გამოხმაურება ჰპოვა მისმა ელეგიურმა პოემამ „პუშკინის გარდაცვალებაზე“, რომელიც რუსულად ითარგმნა და რამდენჯერმე დაიბეჭდა. მოყოლებული 1850 წლიდან, სუთ წელიწადში დაწერა ექვსი კომედია: „მოლა იბრაჰიმ ჰალილი“, „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი“, „ყაჩაღის დამჯაბნელი დათვი“, „ლენქორანის ხანის ვეზირი“, „ძუნწის თავგადასავალი“ და „კანონის დამცველები ქალაქ თავრიზში“. მისმა შემოქმედებამ განსაკუთრებით მას შემდეგ მოიპოვა პოპულარობა, როცა პიესები რუსულად ითარგმნა და გამოიცა. მირზა ფათალი ახუნდოვმა პროზაშიც სცადა ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელი არც ამჯერად მოეცარა. მისი მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“ აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო სატირულ ნაწარმოებად ითვლება. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მირზა ფათალი ახუნდოვი ფილოსოფიამ გაიტაცა და სპარსულ და აზერბაიჯანულ ენებზე დაწერა ტრაქტატი „ქამალ-უდ-დოვლეს წერილები“. ამ თხზულებამ მას დიდად გაუთქვა სახელი წინა აზიის მუსულმანურ ხალხებს შორის. მირზა ფათალი ახუნდოვი გარდაიცვალა თბილისში 1878 წელს და დაკრძალულია ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, მუსულმანურ სასაფლაოზე.

მირზა ფათალი ახუნდოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, ბევრ მათგანს პირადად იცნობდა და დიდად აფასებდა. განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა იგი გამოჩენილ ქართველ კომედიოგრაფს გიორგი ერისთავს. მართალია, მისი პიესები უფრო ადრე გასცდა კავკასიის საზღვრებს და რუსულ ენაზე პეტერბურგშიც კი დაიდგა, მაგრამ გიორგი ერისთავის ღვაწლს იგი მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: „დრამატული თხზულებების წარმოშობა აღმოსავლურ ენებზე (ქართულსა და თათრულზე) არაჩვეულებრივი მოვლენაა ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის მატიანეში. კომედიების შექმნაში პირველობა ეკუთვნის დიდად პატივცემულ თავად გიორგი ერისთავს და მე არ მაქვს უფლება თავი მოვიწონო ჩემს მიერ გაწეული შრომის ღირსებით. მე მხოლოდ ვამაყობ, რომ მუსულმანთაგან კომედიების პირველი მწერალი ვარ“.

დიდად აფასებდა მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედებას აკაკი წერეთელი. იგი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც 1898 წელს თარგმნა და „კრებულში“ დაბეჭდა ახუნდოვის კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“. ეს პიესა იმავე წელს დაიდგა თბილისში ქართულ ენაზე. მირზა ფათალი ახუნ-

მირზა ფათალი
ახუნდოვის ძეგლი თბილისში

დოვის შემოქმედების შესახებ აკაკი წერეთელი წერდა: „ეს პიესა დაწერილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ. ახუნდოვი იყო ვორონცოვის დროის მწერალი. ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა ჩვენს გიორგი ერისთავთან ერთად და თავი გამოიჩინა. მის ნაწარმოებში ისე ნათლად

მოსჩანს ცხოვრება, როგორც სარკეში“.

მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და შემოქმედება ყველაზე სრულად გააცნო ქართველ მკითხველს ჩვენმა სასიქადულო პოეტმა და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა.

მირზა ფათალი ახუნდოვის კომედიები ძირითადად მიმართულია უმეცრების, უხამსობის, უზნეობის, უპასუხისმგებლობის, ისლამის რელიგიური ფანატიზმის და აღმოსავლური დესპოტიზმის წინაღმდეგ. მას მიაჩნდა, რომ დრომოჭმული ფეოდალური წყობილება და დახავსებული რელიგიური ადათ-წესები მშრომელ ხალხს ხრწნის და აჩლუნგებს. ფეოდალიზმი და ისლამი ეწინააღმდეგება ახლის დამკვიდრებას, განათლებას, თავისუფლებისაკენ სწრაფვას, ხელს უწყობს მუსულმანთა იზოლაციას სხვა ხალხებისაგან. ამ გზით პრივილეგირებული ფენა და რელიგიის თაღლითი მსახურნი უფრო ადვილად ახერხებენ ხალხის გაბრიყვებას და გაყვლეფას. მირზა ფათალი ახუნდოვი კი მთელი სიცოცხლე მშრომელი ხალხის ქომაგი და დამცველი იყო. ამ თემაზე მას არაერთი პუბლიცისტური წერილი დაუბეჭდავს პერიოდულ პრესაში.

მირზა ფათალი ახუნდოვის პირველი კომედიაც სწორედ ცრუმორწმუნეობისა და რელიგიის მსახურთა თაღლითობის წინააღმდეგ ილაშქრებს. პიესაში „მოლა იბრაჰიმ ჰალილი“ დრამატურგი ამხელს იმ სასულიერო პირებს, რომელთა მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გაბრიყვება და იოლი გზით გამდიდრებაა.

მეორე კომედიაში „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი“ მირზა ფათალი ახუნდოვი ერთმანეთს უპირისპირებს იმ ჩამორჩენილ ყოფას, რომლითაც მისი თანამემამულენი ცხოვრობენ, და ევროპულ ცხოვრების წესსა და კულტურას.

კომედიაში „ყაჩაღის დამჯაბნელი დათვი“ მირზა ფათალი ახუნდოვი ილაშქრებს იმ უკულმართი ჩვეულების წინააღმდეგ, აზერბაიჯანში რომ მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ყაჩაღობა, ძარცვა, კაცის კვლა იმდენად გახშირდა გაუთავებელი ომებით გაპარტახებულ კავკასიაში, იმდენად გაუჯდა სისხლში აღგილობრივ მოსახლეობას, რომ სახელოვან საქმედ და გმირობადაც კი ითვლებოდა. ძარცვის გზით გამდიდრება კი მამაკაცებს უსაქმურობას აჩვევდა და აჩლუნგებდა. ასეთი ადამიანებისაგან ახუნდოვი სასიკეთოს არაფერს მოელოდა და ცდილობდა ხალხი გამოეფხიზლებინა, დაენახვებინა თანამემამულეებისათვის, თუ რა მავნე შედეგი მოაქვს ასეთ ზნე-ჩვეულებებს.

პიესაში „ლენქორანის ხანის ვეზირი“ მირზა ფათალი ახუნდოვი მწარედ დასცინის აზერბაიჯანში გაბატონებულ ფეოდალურ წყობას და ილაშქრებს მუსულმანური ეთიკისა და მართლმსაჯულების საფუძვლის — შარიათის წინააღმდეგ, ამხელს აღმოსავლელი მმართველების დესპოტიზმს, აღვირახსნილობასა და გონებრივ სიჩლუნგეს. შარიათის საკითხს ეხება იგი აგრეთვე თავის უკანასკნელ დრამატულ ნაწარმოებში „კანონის დამცველები ქალაქ თავრიზში“. ახუნდოვს ძალზე აწუხებდა ის ამბავი, რომ მაჰმადიანურ სამყაროში ჯერ კიდევ მოქმედებდა მუსულმანური კანონმდებლობა, რომელიც რელიგიურ მოძღვრებას ეყრდნობოდა და თავისი სისასტიკით შუასაუკუნეობრივი იყო. ამგვარი მართლმსაჯულება თაღლითებსა და გამომძალველებს ხალხის მოტყუების, გახრწნისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყვლეფის დიდ საშუალებას აძლევდა. ალალი და მშრომელი ხალხი რომ ამგვარი მართლმსაჯულებისაგან დაეცვა, ახუნდოვი არა მარტო აკრიტიკებდა მას, არამედ უფრო ახალი, ქმედითი და სამართლიანი მართლმსაჯულების შემოღებას მოითხოვდა.

მირზა ფათალი ახუნდოვის ყველა ნაწარმოები იმდროინდელ მწვავე სოციალურ პრობლემებს ეხება. იგი იბრძოდა ყოველივე დრომოჭმულის, ჩამორჩენისა და უგუნურობის წინააღმდეგ. სოციალური საკითხია დასმული აგრეთვე კომედიაში „ძუნწის თავგადასავალი", მაგრამ აქ იგი უკვე გვიხატავს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ახალჩასახული ბურჟუაზიის წარმომადგენლის, მევახშეობით გამდიდრებული ჰაჯი-ყარას სახეს. იგი იმდენად ძუნწი და ხარბია, იმდენად აქვს სისხლში გამჯდარი მომხვეჭელობა, რომ საკუთარ ოჯახსაც კი აშიმშილებს და კონტრაბანდისტობასაც არ ერიდება. იგი იმათვე მიჰყვება სპარსეთიდან აზერბაიჯანში კონტრაბანდის შემოსაზიდად, ვისაც პროცენტით ფულს ასესხებს და სწორედ აქ გაებმება მახეში. ამავე კომედიაში მწერალი გვიხატავს აგრეთვე ფეოდალური სისტემის რღვევასა და გაღარიბებული ბეგების მორალურ ხრწნას.

ამგვარად, თავის დრამატულ ნაწარმოებებში მირზა ფათალი ახუნდოვი ილაშქრებდა ფეოდალურ-პატრიარქალური წყობის, ისლამის ფანატიური გავლენის, დესპოტიზმის, დრომოჭმული ადათ-წესების, ძარცვის, თაღლითობის, ცრუმორწმუნეობის, უმეცრებისა და გონებრივი სიჩლუნგის წინააღმდეგ. ყოველივე ამას იგი საკუთარი თვალით ხედავდა, ანზოგადებდა, საჭსკავროზე გამოჰქონდა და სწორედ ამან დაუმკვიდრა მას აზერბაიჯანულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის სახელი. აქედანვე იღებს სათავეს მისი განმანათლებლური მოღვაწეობაც და ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლიდა ხალხის, როგორც სოციალური, ასევე კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას.

მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი ობილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრამაჯურგი ლალი როსება

ნათელა ურუშაძე

უფრო ხშირად პიესა ჯერ ბეჭდურადაა ხოლმე ცნობილი. დრამატურგი ლალი როსება კი თეატრში დაიბადა. სამივე მისი პიესა — „პრემიერა", „პროვინციული ამბავი", „სიყვარულის მზე" — ჯერ სცენაზე დაიდგა. სამივე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სამივე რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ დადგა. ამ თეატრს და ამ რეჟისორს ეკუთვნის ახალი ქართველი დრამატურგის ლალი როსებას სცენური „აღმოჩენა". იშვიათია ამგვარი „აღმოჩენები". დრამატურგისადმი ასეთი ერთგულებაც. თავისთავად იბადება კითხვა — რას წარმოადგენს ის ლიტერატურა, ერთი თეატრის ამდენ სპექტაკლს რომ დაედო საფუძვლად, ასეთ ძლიერ ნაკადს რომ ქმნის ერთი რეჟისორის შემოქმედებაში, ამდენი მსახიობის ბიოგრაფიაში რომ შევიდა, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი?

წავიკითხოთ ლალი როსებას უკვე სპექტაკლებად ქცეული პიესები, მით უფრო, რომ დღესაც მხოლოდ „პროვინციული ამბავია" დაბეჭდილი, ისიც მხოლოდ რუსულად (ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზია". 1982. № 4). დრამატურგი ყველაზე კარგად მაინც სცენაზე იკითხება სწორედ როგორც მწერალი — პიესა ხომ იმისთვის იწერება, რომ სცენაზე გაცოცხლდეს!

რა თავისებურებისაა ლალი როსებას პიესები? სპექტაკლის პროგრამიდანაც ნათელია, რომ დრამატურგი „არ ჩქარობს": „პრემიერა" და „პროვინციული ამბავი" სამმოქმედებიანი პიესებია, „სიყვარულის მზე" — ორმოქმედებიანი. არც ხალხმრავლობისაკენ მიისწრაფვის: „პრემიერაში" ათი მოქმედი პირია, „სიყვარულის მზეში" — რვა, „პროვინციულ ამბავში" — ხუთი. არცერთ პიესაში მოქმედების ადგილი არ იცვლება — მოქმედ პირთა ცხოვრება მათსავე ბინაში მიმდინარეობს.

ვინ არიან ეს ადამიანები? მსახიობები, რეჟისორები, ჟურნალისტები, მხატვრები, პოეტები, მუსიკის მასწავლებელი... უპირატესად, სულიერ ფასეულობათა შემქმნელი ადამიანები, ოღონდ, არა გამორჩეული ნიჭისა და უკვე მოპოვებული წარმატებისა. ისინი ისწრაფვიან ასეთი წარმატებისაკენ.

რა ხდება მათ ცხოვრებაში? არაფერი განსაკუთრებული — აქ არც სამეფოს იყოფენ, არც ტახტისათვის იბრძვიან, არც სამშობლოსათვის სწირავენ თავს. საქვეყნო საქმე მათ არ ევალებათ. მათი მიზნები, სურვილები და მისწრაფებანი პოეტური ქმნადობის სფეროშია — სურთ ითამაშონ როლები, დადგან სპექტაკლები, წერონ ლექსები და სურათები. ჭეშმარიტი სიყვარული სწყურიათ. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი-

„პროვინციული ამბავი“ ლეო — ო. მეღვინეთუხუცესი

ზიზი — ნ. ჩიქვინიძე

სკენ ილტვიან. ადამიანთა სწრაფვა ამაღლებულისაკენ — აი, რა იპყრობს ლალი როსებას ყურადღებას. მას არ იზიდავს წარმტაცი ფაბულა, თავისთავადაც რომ იწვევს ინტერესს და იპყრობს მკითხველისა და მაყურებლის ყურადღებას. მისი გმირები ხელჩართულად არ იბრძვიან. ისინი ეძებენ სულიერ საზრდოს. ზოგჯერ პოულობენ. შემდეგ ისევ კარგავენ. იპყრობთ შიში, სასოწარკვეთა. კვლავ უჩნდებათ იმედი... დრამატიზმიც აქ აღმოცენდება — ქმნადობის ყოვლისმომცველ წყურვილში, ურთიერთდამოკიდებულებათა სირთულეებში, მოულოდნელი რაკურსით რომ შემობრუნდება ხოლმე უცებ. საკმარისია ეს შემობრუნება, რომ ყველაფერი, რაც მანამდე იყო, სულ სხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგეს. ლალი როსებასათვის დამახასიათებელი ეს თვისება თანდათან უფრო სიღრმივი ხდება, უფრო ფაქიზი. „სიყვარულის მზეში“ კი იმდენად ფაქიზი, რომ ფიქრობ— სულის ის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობანი, რომელთა მიმოქცევებზეცაა აგებული ამ პიესის გმირთა ცხოვრება, გადმოიცემა დღევანდელი თეატრისთვის ჩვეული ხერხებით?

ლალი როსებას გმირები ჩვენი დროის ადამიანები არიან. მოვლენებიცა და ვითარებებიც ნაცნობია. ოღონდ არა პირდაპირი ანალოგიებით, არამედ ასოციაციებით, რაც ბუნებრივია მხატვრული ნაწარმოებისთავის საერთოდ. მუდამ აშკარადაა გამოკვეთილი ის მოვლენა, უშუალოდ რომ წინ უძღოდა პიესის დასაწყისს და ყველა მისი უმნიშვნელოვანესი მოვლენის მსვლელობას განაპირობებს. ასე, „პროვინციული ამბავი“ იწყება მურმანის — ადრე ამ ქალაქსა და თეატრში კარგად ცნობილი მსახიობის — ჩამოსვლით. ჩამოვიდა თუ არა, ის გახდა პირველი კაცი თეატრშიც და ლეო ვანელის ოჯახშიც, სადაც მოიყვანა იგი ლეოს ცოლმა, ადრე მურმანის თანაკურსელმა ნინომ. ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდება, მურმანის ჩამოსვლასთანაა დაკავშირებული: ლეომ დაკარგა სასურველი როლი ახალ პიესაში, ნინოს და ზიზის პირიქით — სასურველი როლების მიღების იმედი გაუჩნდათ; უსახელო ლოთს ლეო ვანელის ოჯახში შემოსვლა ეღირსა — ლეომ ის ცოლისა და ცოლისდის ჯიბრზე მოიყვანა; მურმანს კი ჩაესახა იმის იმედი, რომ შეიძლება ცხოვრება ხელახლა დაიწყოს. ასე რომ, პიესის დრამატურგიული „ზამბარა“ მურმანის მოულოდნელ ჩამოსვლაშია. მაგრამ ეს ჩამოსვლა „ზამბარად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქცეს, თუ დამხვდურებიც, თავის მხრივ, შინაგანად არიან მომზადებული იმისათვის, რაც უნდა მოხდეს. ლალი როსებასთვის ადამიანი იმ მომენტშია საინტერესო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმანი — კ. მახარაძე

ნინო — გ. გაბუნია

როდესაც მასში სავსებით მომწიფებულია გარკვეული შინაგანი მზაობა. მაშასადამე, ამოქმედებისათვის ბიძგია მხოლოდ საჭირო. ის იმ დროს ხსნის ფარდას, როდესაც კონფლიქტი მომწიფებულია და ვნებებიც დუღს, თუმც გარედან, შესაძლოა, ეს არც იყოს შესამჩნევი; როცა მდგომარეობა აუტანელია და ადამიანებმა რაღაც უნდა მოიმოქმედონ. ასე, მურმანის ჩამოსვლისთვის ლეოც, ნინოც და ზიზიც უკვე გატანჯული არიან შემოქმედებითი შიმშილით. ამიტომ მურმანის ჩამოსვლა, ახალ პიესაში მთავარი როლის მისთვის მიცემა (რომ არ ჩამოსულიყო, ამ როლს ლეო მიიღებდა) და კონფლიქტის ბუნებრივი აღმოცენება ერთია. ლეო იწყებს ბრძოლას და აიძულებს მურმანს წავიდეს აქედან. ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა.

გმირთა ცხოვრების წრიული მდინარება დამახასიათებელია ლალი როსებისათვის. სამივე პიესაში ბოლოს ყველაფერი ისევ თავის ძველ ადგილს უბრუნდება. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ გარეგნულად და არა შინაგანად. ლალი როსებას ვმირები არ მშვიდდებიან იმის გამო, რომ თავისი ცხოვრების წრე ვერ გაარღვიეს. არ ურიგდებიან იმას, რომ არაფერი შეცვლილა. ხვალ ისინი ისევ აუცილებლად შეშფოთდებიან. გამოსავალის მონახვას შეეცდებიან. მიეცემიან ოცნებას.

ლალი როსება დრამატურგია, მისი უმთავრესი იარაღი ადამიანთა მიერ თქმული და არათქმული სიტყვების მონაცვლეობაა. ამ ადამიანებს სიტყვის საკუთარი მარაგი აქვთ, თავისებური ლექსიკა. ზოგჯერ სათქმელს იმნაირად გამოხატავენ, მოულოდნელი უხამსობა შეგაკრთობს კიდეც. განსაკუთრებით „პრემიერაში“, სადაც უხამსი სიტყვა ზოგჯერ უხამსობადვე რჩება. „პროვინციულ ამბავსა“ და „სიყვარულის მზეში“ ასე არაა. აქ მოულოდნელი უხამსობა სულიერი მდგომარეობის გამოხატვაა. ასე მაგალითად, ზიზი, ნიჭიერი, პოეტური, მეოცნებე ზიზი, რომელსაც მოთხოვნილებად აქვს ქცეული კლასიკური მუსიკის მოსმენა და არაფერი სურს ჭეშმარიტი შემოქმედებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა, მურმანს ბოლო შეხვედრისას გამომწვევად ეუბნება: „მართალი ხომ არ გეგონა, რაც მაშინ აქ გელაპარაკე? არიქა, მსახიობი ვარ და მიშველეთ! როგორ ვერ მიხვდი, რომ გორაობა მინდოდა შენთან და სხვა არაფერი“. რატომ ამბობს ამას? სხვა უხამსი სიტყვა ხომ არასოდეს წარმოუთქვამს! იმიტომ, რომ ამ წუთში სურს თვითონ გათელოს ის ულამაზესი გრძნობა, მურმანის მიმართ რომ გაუჩნდა და ასე უწყალოდ რომ დაუმსხვრიეს. იქნებ, მოეშვას, იქნებ, ამით მაინც მოიპოვოს სიმშვიდე. ამიტომ ეს ორი სიტყვა, მი-

სგან თქმული, არც პერსონაჟის, არც დრამატურგის უხამსობა არაა—სასოწარკვეთილ ხატია იგი. რამდენიმე წუთის შემდეგ, რემარკის მიხედვით, მაგიდასთან უძრავად მჯდომი, წელგამართული და დარბაზისკენ პირდაპირ მაცქერალი, სპექტაკლში კი კვარტგაუშლელი ტოტით ხელში ფეხზე მდგარი, ოვალცრემლიანი ზიზი ოცნების ნანგრევებზე ხელახლა აღმოცენებულ იმედად წარმოგვიდგება. ისევ გაჩნდა იმედი იქ, სადაც ის თითქოს არ უნდა იყოს.

ლალი როსებას გმირები იმდენად ნამდვილი ადამიანები არიან, მათი ურთიერთობანი და ვნებები იმდენად ჭეშმარიტია, რომ გარემოსაც ასეთს საჭიროებენ — კონკრეტულსა და ზუსტს. ეს გარემო ან ოჯახურია („პრემიერა“, „პროვინციული ამბავი“), ან იმდენად ახლომეზობლური, რომ მაინც თითქმის ოჯახურია („სიყვარულის მზე“). მოქმედების ასეთი ადგილი ზედმიწევნით კომპაქტურია. შეზღუდული და ძალზე დაკავშირებული მოქმედ პირებთან — საცხოვრებელი ხომ მათია, ყველაზე მეტად ხომ შინ ავლენს თავს ადამიანი, მით უფრო, რომ ერთ ბინაში უახლოესი ადამიანები ცხოვრობენ. ლალი როსებასაც უახლოეს ადამიანთა შორის არსებული შინაგანი, უმეტესად დაფარული სიროულეები იზიდავს. ისინი ყველაზე მეტად ვლინდებიან ოჯახში, ყოველდღიურ ყოფაში.

ლალი როსებასთვის ყოფა არ ნიშნავს ნივთიერი გარემოცვის მართლმაგვარობას. ყოფა მისთვის ყოფნაა, ადამიანთა არსებობის ნამდვილობა, ანუ მათი ცხოვრების სისტემა. — რა არის უმთავრესი მისი გმირების ყოველდღიურობაში? რა გადადის ერთი დღიდან მეორეში დაუსრულებლივ?— გაჭირვება, დაღლა, უკეთესის მოლოდინი, ბრძოლა, წაგება, ისევ ბრძოლა, ისევ იმედი, ისევ ოცნება, ისევ სწრაფვა უჩვეულოსა და ამაღლებულისკენ. ესაა მთავარი. და რადგან არ შეიძლება ამ მოვლენებისგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ, აშკარაა, რომ გარემოს მართლმაგვარობის ხაზგასმული მოთხოვნა ლალი როსებასთვის თვითმიზანი არაა, თეატრალური ხერხია. განა ყავის ფინჯანი, რომელსაც ზიზი სამკითხაოდ მოიმარჯვებს, ყოფითი ფუნქციის მქონეა? ისე კი, ფინჯანზე უფრო ყოფითი რაღა უნდა იყოს?

განსაცვიფრებელია ის კავშირები, რომლებიც შეიმჩნევა ლალი როსებას გმირებსა და მათ გარემომცველ საგნობრივ სამყაროს შორის: მეორე მოქმედების დასაწყისში რეზოს მოტანილი თაიგული, რომელსაც შემდეგ, რემარკის მიხედვით, ჩუმად ამოიღებს ლარნაკიდან კატო და ოთახში მარტო დარჩენილი უფრო თავისთვის, ვიდრე მაყურებლისთვის წარმოთქვამს აქტის დამამთავრებელ სიტყვებს — „რა მშვენიერი რამაა მასხარას ხელობა!“ („პრემიერა“). გასაღები, რომელიც ნანამ დატოვა და წავიდა. შემდეგ ამ გასაღებს გოგი აიღებს, ხელში შეათამაშებს და კარადის უჯრაში ჩააგდებს („სიყვარულის მზე“) და კიდევ მრავალი სხვა. საგნობრივი სამყარო ლალი როსებას პიესებში არაა მშვიდი. ეს საგნები თრთიან, ნერვიულობენ, როგორც ზიზის მიერ თოკიდან ჩამოგლეჯილი სარეცხი, იატაკის საწმენდი ჯოხი მარგოს ხელში „პრემიერის“ დასაწყისსა და მის დასასრულს, თეჯირი, სკამი, ბოთლი... ყოველი მათგანი აქტიურადაა ჩართული პერსონაჟთა ცხოვრებაში, რაღაცას გამოხატავს, აღვიძებს მაყურებლის წარმოსახვის უნარს, მაშასადამე, ხელოვნებას აზიარებს. ყოველდღიურ სახმარ საგანთა ასეთი ემოციური ჩართვა ადამიანთა ცხოვრებაში და მათი ხაზგასმით გამომხატველობითი დანიშნულება შე-



ზიზი — ნ. ჩიქვინიძე, მურმანი — კ. მახარაძე

უძლებელს ხდის ნივთიერი გარემოს გაბატონებას. ამიტომ არაა ლალი როსება ყოფის აღმწერელი.

იგივე ითქმის სამოსელზე. ავტორს უმნიშვნელოვანესი დეტალის დაზუსტება უყვარს: „მარგო ხისქუსლებიან ქოშებს იცვამს... შემოდის შავ კაბაში გამოწყობილი". „ადა ჩაცმულია გემოვნებით, ხაზგასმული უბრალოებით, სახლში კი კარვა გაქონილ ხალათში ვხედავთ". „კატო უზარმაზარ ხალათშია ჩაფლული" („პრემიერა"). „მერი ხანშიშესული ქალია... ოცდაათი წლის წინანდელი კინოვარსკვლავის კარიკატურას მიაგავს, აცვია მუქი ფერის საშინაო კაბა, საკმაოდ რთული ფასონის— არშიამოვლებული. ფეხსაცმელი — მაღალქუსლიანი". „ცოტნე — მაღალი, ხუჭუჭთმიანი ყმაწვილი „დიპლომატით" ხელში. ჩაცმულია ზედმიწევნით მოდაზე, როგორც ეს სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს სჩვევიათ". „ნინა! აცვია გრძელი, სწორი ეფერმა, ქამრიანი საწვიმარი, საგანგებო ჩექმები. საყელო აწეული აქვს, ყველა ღილი შეკრული. ჩვეულებრივ ხელები ჯიბეებში აქვს, მხრები ოდნავ აწეული" („სიყვარულის მზე"). „ზიზი შემოდის პატარა სამგზავრო ჩანთით ხელში. ფეხსაცმელი წვიმაში აქვს გალუმპული და ჭუჭყიან ნაკვალევს ტოვებს". ზღურბლზე დგას ლეო... მის გვერდითაა და ადგილზე ქანაობს მთლად გალეწილი, პატარა, გამხდარი კაცუნა... აცვია შავი საწვიმარი, მთლად ტალახში ამოსვრილი. ლეო, ალბათ, სულ ერთი-ორჯერ თუ წაიქცა. ტანსაცმელი შედარებით წესრიგში აქვს". „შემოსვლისას ნინო იხსნის გრძელ კაშნეს, იხდის ფეხსაცმელს და ყველაფერ ამას გამწარებით ისვრის" („პროვინციული ამბავი").

იმის გამო, რომ ლალი როსებას გმირები უახლოესი ადამიანები არიან და „საცხოვრებელი ფართობიც" შეზღუდული აქვთ (როგორც წესი, ერთი ოთახი), მათ შორის მანძილი ძალზე მცირეა, — ისინი ერთმანეთის პირდაპირ დგანან და თვალი თვალში აქვთ გაყრილი. ასეთი სიახლოვე იმასაც აგრძნობინებთ, რაც შორ მანძილზე დაფარულია. მით უფრო, რომ ისინი ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს და, ამავე დროს, ემოციური, უკიდურესად მგრძნობიერი ადამიანები არიან. ასეთი „საკრავებისგან" შედგება ყოველი მისი პიესის ჯერჯერობით მხოლოდ კამერული ორკესტრი, რომელსაც ავტორი რთული პარტიტურის შესრულებას აკისრებს. ეს პარტიტურა მრავალხმიანია, ცენტრალური თემითა და მისთვის დაქვემდებარებული ცალკეული შენაკადებით, ერთმანეთს რომ ერწყმიან.

ლეო — ო. მელვინეთუხუცესი
ნინო — გ. გაბუნია, ზიზი — ნ. ჩიქვინიძე, მურმანი — კ. მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედ პირთა ზედმიწევნითი სიახლოვის გამო, მათ შორის კავშირების აღმოცენებისათვის ერთი შეხედვა, წარბის ოდნავი მოძრაობაც საკმარისია. ასეთი ვითარება, ცხადია, ტექსტუალური მასალის თავისებურებასაც განაპირობებს. ლალი როსებას გმირები სიტყვას მხოლოდ მაშინ წარმოთქვამენ, თუ ამას მეორე ადამიანზე თქმული სიტყვით ზემოქმედების აუცილებლობა მოითხოვს. ხოლო ვინაიდან ეს ადამიანები ახლობლები არიან, სათქმელის ნაწილიც საკმარისია იმისათვის, რომ ერთმანეთს გაუგონ. ამიტომ წინადადება შეიძლება ძალიან მოკლე იყოს, შეიძლება წარმოითქვას მხოლოდ მისი დასაწყისი ან რომელიმე ერთი სიტყვა. საკმარისია იგი იმიტომ, რომ თქმულთან ერთად მუდამ იგრძნობა ის უთქმელი, წინ რომ უძღვის რეპლიკას ან მოსდევს მას. ისიც იგრძნობა, თუ მდუმარების მომენტში აღმოცენებულმა აზრმა, მიხვედრამ ან გადაწყვეტილებამ როგორ შეაცვლევინა უცებ ადამიანს მოქმედების გეზი და ახალი „სვლა" გააკეთებინა. ასე მოხდა, როდესაც უაღრესად აღელვებულმა ზიზიმ შეჰყვირა დას „ესეც ბავშვს გავს? იქნებ მეც ვგავარ ბავშვსო"... ნინო შედრკა, როგორც ჩანს, იგრძნო რა შეიძლება მოიყვანოს ზიზიმ ბავშვობიდან მისი გამოსვლის საბუთად და უცებ „განზე გაუხვია" — „არა, ჩემო ბრაზიანო გოგო. შენ პატარა ზღარბს გავხარ..." ასეთი მოულოდნელი გადახვევები განსაკუთრებულ სიძლიერეს ანიჭებენ მოქმედი პირის სათქმელ სიტყვას. ოღონდ, უთუოდ მოითხოვენ მსახიობისგან იმის განცდასა და გააზრებას, რამაც ეს გადახვევა გამოიწვია.

პიესა, რომლის ტექსტუალური ზედაპირი მის ქვეშ არსებულ სიღრმეებს ეფუძნება, ამოკითხვისა და ამოცნობის საშუალებასაც იძ-

ლევა და მოითხოვს კიდეც ამას. საკმარისია დაადგე ასეთი წიაღსვლის გზას, რომ მოქმედ პირთა შინაგანი ცხოვრების უმთავრეს შიგაღინებებში აღმოჩნდე. ლალი როსებას პიესებში ხშირად ხილულ ტექსტუალურ ზედაპირსა და უხილავ ემოციურ დინებებს შორის დიდი განსხვავებაა—შედარებით მშვიდი ზედაპირი მშფოთვარე დინებათა უძლიერეს შეხლა-შემოხლის ფარავს. სწორედ ამის გამო ყველაფერი ხილული მრავალმნიშვნელოვანი შინაარსით იტვირთება და წვრილმანად აღარ აღიქმება. განა იმ პატარა ეპიზოდში, სადაც ზიზი ნავთქურაზე ყავას ხარშავს მურმანისათვის, ეს ნავთქურა და ყავის სახარში ჭურჭელია მნიშვნელოვანი? ჩვენ ვერც ერთს ვამჩნევთ, ვერც მეორეს, ვინაიდან ვგრძნობთ — იმ რამდენიმე საყოფაცხოვრებო შინაარსის რეპლიკაში, რომლებითაც ეს გმირები ერთმანეთს მიმართავენ, არსებითად მიმდინარეობს ცდა იმ მღელვარების მოთოკვისა, ორივეს რომ დაუფლებია და მომდევნო ეპიზოდში დაუფარავ გრძნობად გადმოიღვრება. ასეთ შემთხვევებშიც ყოფითი მართლმაგვარობა ადამიანთა შინასამყაროში მიმდინარე რთული სულიერი პროცესების თავისებური გამატარია.

პირველი წაკითხვით ლალი როსებას ნაწარმოები არ ტოვებს შეთხზულის შთაბეჭდილებას. უფრო ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვიღაცის ბინის ფანჯარასთან დგახარ, ისინი შენ ვერ გხედავენ, ვერც შენ ხედავ მათ. მაგრამ გესმის ყველა სიტყვა, რომელსაც ეს უხილავი ადამიანები წარმოთქვამენ, თავისუფლად, ძალდაუტანებლად. ეს სიტყვა ყველაფერს იტევს — თქმულსაც და ფარულსაც, ვითარებასაც, რომელშიც ახლა იმყოფებიან მოქმედი პირები, მათ გუნება-განწყობილებასაც, სურვილებსაც და ერთმანეთისადმი დამოკიდებულებასაც. ისიც ნათელია, რომ აბსოლუტურად ყველა პერსონაჟი, სიტყვიერი მასალის მოცულობის მიუხედავად, თავისებურად მნიშვნელოვანია და აუცილებელი მოქმედების განვითარებისათვის. ლალი როსებას ადამიანთა ცხოვრების ახლო მანძილიდან დანახვა უნდა. მისი ნიჭი აღსარებითი გამოვლინებისკენაა მიდრეკილი — გულის გახსნა სურს, იმის თქმა, რაც ძნელად ითქმის. მით უფრო, თუ „მოძღვარი“ — რამდენიმე ასეული უცნობი ადამიანია. ალბათ ამიტომ, მის პიესებში ჯერჯერობით არც წამყვანი ჩანს, არც ქორო, არც ავტორისმაგიერი. მის პიესებში ცხოვრობენ მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მიმდინარე მოვლენებთან. მოვლენები კი იმდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ უაღრესად აქტიურებს ხდის. ესაა იმის მიზეზი, რომ მათი ცხოვრება შეუნელებლად მიედინება დასასრულისკენ.

ძალიან უცნაურია, მაგრამ დრამატურგად დაბადებულ ლალი როსებას ვრცელი რემარკა უყვარს. მიმართავს რემარკის ყველა სახეობას: მოქმედების დასაწყისშიც, რეპლიკის წინაც, შუა ტექსტშიც, მის დასასრულსაც და პაუზის დროსაც. მათ შორის უმრავლესობა მოქმედი პირის საქციელის აღმწერელია. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის რემარკებია, მოქმედების დასაწყისს რომ უძღვის წინ. ეს რემარკები პიესის ტექსტიდან რომ გამოვაცალკევოთ და თავიდან ბოლომდე წავიკითხოთ უწყვეტლივ, თავისებურ ნოველას მივიღებთ. წავიკითხოთ ასე „სიყვარულის მზის“ რემარკები:

„ეს არის ბინა ორ-სამ სართულიან ძველ, მტკიცედ ნაგებ სახლში — სადმე პატარა ქუჩაზე თბილისის ცენტრალურ რაიონში.



„სიყვარულის მზე“
გოგი — ი. უჩანეიშვილი,
ჯილდა — გ. ემხვარი

გოგი — ი. უჩანეიშვილი,
ლია — ქ. გეგეშიძე

ნანა — ნ. ხომასურიძე,
გოგი — ი. უჩანეიშვილი

ბინა ორი ოთახისაგან შედგება.

მოქმედება სწარმოებს დიდ ოთახში.

მეორე მარცხნივ, საკუჭნაოსაკით პატარაა. კარები ღიაა. პირდაპირ მოჩანს სამზარეულო, მარჯვნივ — სააბაზანოა.

იგრძნობა, რომ ეს ბინა — ნაწილია ოდესღაც ძალიან დიდი ერთიანი ბინის.

ოთახი, რომელშიაც მოქმედება ხდება, მაინც იძლევა რაღაც თითქმის დიდებულ შთაბეჭდილებას, მით უმეტეს, რომ აქ ვხედავთ ნამდვილ ძველებურ, მძიმე ავეჯს; უზარმაზარი კარადა, ტაძარივით გრანდიოზული, თავისი მარმარილოთი, შუშებით და ჩუქურთმებით ..

შუაგულ ოთახში — დიდი მაგიდაა, 3-4 თავისივე სკამით. აქვეა რამდენიმე უფრო ახალი და უფრო იაფფასიანი სკამიც. ახალი ნივთები, რომლებიც აქაიქ ურევია, არ არის მთლად გემოვნებით შერჩეული.

ბინას დაულაგებელი არ ეთქმის, თუმცა მაინც ვამჩნევთ მარტოხელა მამაკაცის ბინისათვის დამახასიათებელ ნიშნებს — ყავის ნარჩენებიანი ფინჯანი სადღაც ტახტის ქვეშ, ჭრელ ჟურნალთან ერთად, გადაუყრელი საფერფლეები, უადგილო აღგილას მიგდებული ტანსაცმელი... ცოტა არ იყოს, მტვერიც იგრძნობა — დიდი ხნის ნაყიდ, მძიმე ფარდებში, ნოხში, გაცრეცილი სურათების ძველებურ ჩარჩოებში.

გარდა ამისა, ჩანს, რომ ბინის პატრონს ხატვა უყვარს. ნახატები მოფენილია კედლებზე — ხშირად ცალი კუთხით-ღა არიან მიმაგრებული .. კარადის შუშებშიც ჩანან. ესაა უმეტესად ნახშირით ნ სანგინით ვატმანზე შესრულებული ესკიზური პორტრეტები, საკმაოდ სწრაფი და ზუსტი ხელით, თუმცა მაინც იგრძნობა ის ზედაპირულობა და ერთფეროვნება, რომელიც მოყვარულს პროფესიონალისაგან განასხვავებს.

პორტრეტებზე თითქმის სულ ქალთა სახეებს ვხედავთ. ერთ-ერთი ნახატი, საწერ მაგიდასთან მიმაგრებული, ჩანს ახალი დაწყებულია. ოდნავ არის დამჩნეული ვატმანზე ახალგაზრდა ქალის მომრგვალო მომღიმარი სახე. რატომღაც ავტორი აქ უფრო ხშირად ხმარობდა საშლელს, ვიდრე ჩვეულებრივ.

ოთახის სიღრმეში მოლბერტი დგას — ზედ დიდი ტილოა საგულდაგულოდ გადაჭიმული, დაგრუნტული... მთლად სუფთაა, ქათქათა.

სააბაზანოს კარი შეღებულია. ისმის წყლის ხმაური. ფარდის ახდასთან ერთად დერეფანში მერი შემოდის — ხელში ვარდების დიდი თაიგულით. იცინის — ბავშვური მაღალი ხმით და ამაოდ ცდილობს თავი შეიკავოს.

მერი ხანში შესული ქალია, ფერმკრთალი, შავგვრემანი სახე. ამოღამებული, მაგრამ ცეცხლოვანი თვალები, მუქი პომადა თხელ ტუჩებზე და მოკლედ შეკრეჭილი თმა. ცოტა ოცდაათიანი წლების კინოვარსკვლავის კარიკატურას მიაგავს. აცვია მუქი ფერის საშინაო კაბა, საკმაოდ რთული ფასონის, არშიამოვლებული. ფეხსაცმელი — მაღალქუსლიანი.

მას ფეხდაფეხ ბუხუტი მოყვება, უმცროსი ძმა. ისინი თითქოს გვანან ერთმანეთს — სახის ნაკვთებით, შავგვრემანობით, მაგრამ ბუხუტი მერისაგან განსხვავებით, ჩამჭრალია, ჩია, მუდამ უგუნებო. უფერული ტანსაცმელი, ხელში თავისი შლიაპა და პორტფელი უკავია. ჩერდება ზღურბლზე და ირონიული გამომეტყველებით უთვალთვალებს დას, რომელიც ყვავილებს ლარნაკში ათავსებს და კუთხეში, პატარა მაგიდაზე დგამს...

... იგივე ბინა რამდენიმე საათის შემდეგ. ყველაფერი აყრილ-დაყრილია. ნოხი აკეცილია. შუა ოთახში მტვერსასრუტი დგას“.

როგორც ვხედავთ, დრამატურგი მშვიდად, დაწვრილებით აღწერს გარემოს, სადაც მის გმირთა ცხოვრება მიმდინარეობს. ამ აღწერაში მათი ცხოვრების ატმოსფეროც იგრძნობა და ავტორის სრულიად აშკარა დამოკიდებულებაც. ნოველასაც, ალბათ, ამიტომ მოგვაგონებს. მაგრამ საკმარისია რემარკიდან თვით პიესის ტექსტზე გადავიდეთ, რომ ნათელი გახდეს — თხრობითი ელემენტი აქ არ არსებობს. ლალი როსებას პიესის ენა ძუნწია, ზედმიწევნით დატვირთული შინაარსით და ძალზე შეკუმშული. ამ სიტყვას მოქმედი პირის სულში ღრმად მიმალული მოტივებისაკენ მივყავართ. იმ მოტივებისაკენ, მათ საქციელს რომ იწვევენ. სწორედ ესაა მომხიბვლელი — ასეთი უბრალო, ყოველდღიური, ჩვეულებრივი სიტყვა (ლამაზად ამაღლებულად ისინი არ ლაპარაკობენ) და ასეთი საინტერესო. რაშია მიმზიდველობის საიდუმლო?

ცოტნე — გ. ბურჯანაძე, მერი — ე. ყიფშიძე

დალი — ნ. ჩიქვინიძე, ჯილდა — გ. ემხვარი, გოგი — ი. უჩანეიშვილი, ლია — ქ. გეგეშიძე, ნანა — ნ. ხომასურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი — ე. ყიფშიძე,
ლალი — ნ. ჩიქვინიძე

ვფიქრობთ, იმ უდიდეს ნდობაში, რომელსაც უცხადებს ავტორი ყველას, ვინც წაიკითხავს მის ნაწარმოებს, ვინც განახორციელებს და ვინც სცენაზე იხილავს მას — ლალი როსებას სჯერა, რომ მისი ადრესატი ყველაფერს მიხვდება, ყველაფერს გაუგებს. ალბათ ამიტომ, არც არაფერს ქადაგებს, არც მიგვითითებს — ეს კარგია, ეს კი — ცუდია. მისი გმირები ცხოვრობენ: ლაპარაკობენ, სდუმან, ფიქრობენ, ხან ამკარად, ხან კი ფარულად და ავტორის სატკივარს ასე ავლენენ. დასკვნა? დასკვნა თვითონ გამოიტანოს იმან, ვინც ამ ცხოვრებას გაეცნობა. ასეთი მიმნდობი ბუნების შემოქმედება იმთავითვე გათვალისწინებულია ადრესატის თანამოაზრეობაზე, მის ემოციურ აქტიურობაზე. იქნებ ამიტომ, საკანგებოს არაფერს იგონებს. არ ცდილობს წეროს ისე, სხვას რომ არასოდეს დაუწერია. მისთვის მთავარია პრობლემა — ადამიანის უშრეტი წყურვილი ჭეშმარიტი სიყვარულისა, ჭეშმარიტი შემოქმედებისა. სულ არ ფიქრობს იმაზე, მისი აღმოჩენილია ეს პრობლემა, თუ სხვისი, გაბედულია იგი თუ არა. მას აღელვებს ეს პრობლემა. სწამს, რომ აღელვებს სხვებსაც. ამიტომ წერს.

ადამიანის სულის ძლიერების პრობლემა უმთავრესი პრობლემაა დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრისთვისაც. მისი აქტიური ინტერესი ლალი როსებას შემოქმედებისადმი იმისი ნამდვილი საბუთია, რომ სწორედ ეს დრამატურგი აძლევს საშუალებას რეჟისორ მედეა კუჭუხიძეს თავისი სათქმელი თქვას. ასეთი სიყვარული არ შეიძლება იყოს ცალმხრივი. მხოლოდ თეატრსა და რეჟისორს არ სჭირდება ასეთი დრამატურგი — დრამატურგსაც სჭირდება ასეთი თეატრი, ასეთი რეჟისორი, ასეთი მსახიობი.

მართლაც, ლალი როსებას ნაწარმოები ხომ ლიტერატურაა. გადაიქცევა თუ არა იგი სათეატრო ნაწარმოებად, ეს სცენის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. იმაზე, თუ რა აზრებს ამოიკითხავენ, სანახაობრივ შესაძლებლობათა რა საბადოებს აღმოაჩენენ ისინი ამ დაწერილში. იმაზეც, თუ თავის ბრივ რას ჩააქსოვენ მასში. თუ რეჟისორის არჩევანი ამა თუ იმ პიესაზე შეჩერდა, არ შეიძლება მხოლოდ იდეა იყოს მიმზიდველი — ამ პიესის სივრცობრივი, რიტმული და ხატოვანი გადაწყვეტის პოტენციური შესაძლებლობებიც მიმზიდველია. მედეა კუჭუხიძის ბეჯითი ინტერესი ლალი როსებას შემოქმედებისადმი გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ სადღეისოდ სწორედ ასეთი დრამატურგიაა მის რეჟისორულ ძიებათათვის ახლობელი. პირველ ყოვლისა, ადამიანთა შორის არსებული რთული და შორს მიმალული კავშირები, მედეა კუჭუხიძეს საერთოდ მძიმე ცხოვრებაში შემოპარული ნათელი სხივი უფრო იზიდავს, ვიდრე ჭაღით გაჩირაღდნებული ცხოვრება. ძალიან აშკარად ეს დიდი ხნის წინ გამოვლი-

ნდა მის მშვენიერ სპექტაკლში „ანა ფრანკის დღიური“ (გრიბოედოვის სახელობის თეატრი). საბოწარკვეთაში აღმოცენებული იმედის სხივი, ტანჯვაგამოვლილი ადამიანის უეფექტო ოპტიმიზმი, ადამიანის სულის ძლიერების ამგვარი გამოვლინება იშვიათია: და ამიტომაც ძვირფასია. ამას ეძებს იგი რეპლიკებშიც, მათ შემაერთებელ ქსოვილშიც, რომელშიც უნდა შეიჭრას, ვინაიდან სულის ტანჯვა მუდამ სიტყვით არ გამოიხატება. მისი სურვილია მაყურებელი თანაგრძნობით განაწყოს იმათ მიმართ, ვისაც ჯერჯერობით არ გაუმართლდა ცხოვრებაში, ააღელვოს მათი ბედით, დააფიქროს... მაგრამ იმისთვის, რომ ეს მოხდეს, ეს ადამიანები სცენაზე უნდა გაცოცხლდნენ. გენიოსი მწერალიც ვერ მოიპოვებს სცენურ სიცოცხლეს, თუ ის წარმოდგენილი არ იქნება ისეთი კოლექტივის მიერ, ისეთი მსახიობების მიერ, ვინც ამ ავტორის ემოციურ ტალღაზე შეიძლება იყვნენ მომართული. თუ ეს მოხდა, შესაძლოა, მსახიობმა სცენაზე უფრო ღრმად და შთამბეჭდავად წარმოაჩინოს ესა თუ ის მოქმედი პირი, ვიდრე თვით ავტორმა პიესაში. ეს არაერთ დრამატურგს უღიარებია.

რას სთავაზობს ლალი როსება მსახიობს? რა შესაძლებლობათა მომცველია მის მიერ დაწერილი როლი და რას მოითხოვს იგი მსახიობისაგან? ლალი როსებას პიესებში როლები კარგადაა დაწერილი. იმიტომ, რომ დრამატურგი ყოველ მოქმედ პირს ინდივიდუალური ხასიათის პატრონ ადამიანად წარმოგვიდგენს და ისეთ ვითარებს უქმნის, რომელშიც იგი უთუოდ ჩაიდენს ამა თუ იმ, მისთვის ბუნებრივ საქციელს. ყველა მისი პერსონაჟი ნამდვილად მოქმედი პირია ამ სიტყვის პირდაპირი და ზუსტი მნიშვნელობით. სცენისგარე პერსონაჟებიც კი (ჩიჩია, თაზიევი, ნაზიკო, სამხატვრო საბჭოს წევრები და სხვანი), რომლებიც მხოლოდ მოიხსენიებიან, აქტიურად არიან შემოჭრილი იმათ ცხოვრებაში, ვინც სცენაზეა.

კავშირი ადამიანის ხასიათსა და იმ ვითარებებს შორის, რომლებშიც აღმოჩნდებიან ისინი ლალი როსებას პიესებში, მუდამ ორგანულია, ცხოვრებისეულად მართალი, შესაძლებელი. ხასიათის თვისებები კი, რომლებსაც ამ ვითარებაში მყოფი ადამიანები გამოავლენენ, აუცილებელია ნაწარმოების უმთავრესი მოვლენის წინ წასაგდებად. როგორც წესი, ასეთი ბიძგია ის სურვილი, რომელიც უძლიერესია ამ მომენტში, უძლიერესი სურვილით აღჭურვილი ვმირია ყველაზე მეტად აქტიური, მიშასადამე, მიმდინარე ამბის წარმმართველიც.

ლალი როსებას პიესა ცალკე როლებად რომ წავიკითხოთ რიგრიგობით — უთუოდ შევნიშნავთ, რა მწყობრია ყოველი პერსონაჟის ცხოვრების მიმდინაობა. არასოდეს — სწორხაზობრივი. პირიქით — დინამიკური ტეხილებით კლაკნილი. ყველას აქვს სცენა, სადაც იგია წამყვანი. რაც უფ-

„აოეძიეოა". ძაოგო — ე. ყიფეძიძე, ჯაკო — ნ. ჩიქვინიძე

რეზო — ი. უჩანეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მეტადაა გმირის ცხოვრება დატვირთული ემოციებით, მით უფრო ზუსტადაა აგებული როლი ენერგიის ხარჯვის განაწილების თვალსაზრისით. ლალი როსება კარგად იცნობს თეატრს და იცის, რომ გრძნობების ხარჯვა სცენაზე ლიტერატურულ პირველწყაროში იმთავითვე, უცდომელ სტრუქტურულ საფუძველს მოითხოვს.

თუ კარგად დავაკვირდებით ლალი როსებას პიესების ტექსტოლოგიურ აღნაგობას, იმასაც შევნიშნავთ, რომ სწორად შერჩეული ვითარებები პერსონაჟებს აღმოუცენებენ მოთხოვნილებას წარმოთქვან სიტყვა. ეს სიტყვა მის წინა მდუმარებაში ნაფიქრის გაგრძელებაა, არა მარტო მაშინ, როდესაც ტექსტის აზრი ფარულია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ უგულწრფელესი ლაპარაკიც უამრავი ართქმულითაა ხოლმე დატვირთული. მაშინაც კი, როდესაც ადამიანი არაფერს ფარავს, მუდამ არსებობს შინაგანი სიცოცხლის ის ნაწილი, რაც სიტყვით არ ვლინდება, ან ამ მომენტში საერთოდ არ ვლინდება არანაირად. მოგვიანებით კი შეიძლება გამოვლინდეს (ვთქვათ, ეჭვი, მიხვედრა და ა. შ.). აი ეს, რაც შემდგომ გამოვლინდება, უთუოდ თავისებურ ელფერს ანიჭებს ხოლმე იმას, რაც ახლა ხდება და ჩვენ ვგრძნობთ. მაგალითად, მურმანისა და ლეოს ბოლო დიალოგში, სადაც ლეო შორიდან კი იწყებს ლაპარაკს, მაგრამ შინაგანად უკვე ჭეიმობს უცილობელ გამარჯვებას. ამიტომ არ ჩქარობს — იცის, რომ იგი გარდუვალია და ამის რწმენა ნეტარებას განაცდევინებს.

ლალი როსებას პიესაში მუდამ ყველაფერი შემზადებულია ხოლმე იმისათვის, რომ დაიბადოს სიტყვა — დიალოგი ან მონოლოგი. დიახ, მან დაუბრუნა ქართულ პიესას თითქმის უკვე მივი-

წყებული მონოლოგი. მარტო ზიზის მონოლოგი რად ღირს „პროვინციული ამბიდან“:

„მართლაც, გავიქცეთ ერთად! შეყვარებული წყვილი! ჩემი ბედის ვარსკვლავს გავყვეთ.... თუმცა რა სისულელეა, ბედი რა შუაშია! ბედს ნურაფერს დავაბრალებთ, ჩვენ თვითონ ვართ ყველაფერში დამნაშავე. იმას ვიმკით, რაც დავთესეთ, ყოველთვის. სულ ვფიქრობთ — ჯერ დრო ბევრია... გავსინჯოთ ცოტა, ჭუჭყი რა არის, რა გემო აქვს... ჩავწვეთ ცოტა ხნით, მოვასწრებთ მონანიებას. ღმერთო ნუ გვიწყენ, გვადროვე... ცოტა კიდევ. რამდენი ჭუჭყია... ნუთუ არც კი გავსინჯოთ? ამასობაში დრო გადის... გარბის... როგორ? ღმერთო! ჯერ ნუ დამსჯი, მაპატიე... როგორ, ასე მალე? ჯერ მზად არა ვარ! მაპატიე, ღმერთო, არა, გათავდა დრო. იყავი ახლა მაგ წუმპეში. ასე, (მურმანს) ნეტავი შემეძლოს რამე ვიღონო... მაგრამ აღარ მაქვს დრო... გათავდა ყველაფერი...“

დააბრუნა დიდი მოცულობის დიალოგიც. თავისი ბუნებით ეს დიალოგები ნამდვილი ორთაბრძოლებია — მხარეები სასიცოცხლო ინტერესებისათვის იბრძვიან, როგორც მაგალითად, ლეო და მურმანი „პროვინციული ამბის“ მეორე მოქმედებაში. სწორედ აქ, ამ საუბარში აიძულა ლეომ მურმანი წასულიყო ამ ქალაქიდან.

ასეთი დიალოგებია დრამატურგ ლალი როსებას პიესებში. იმიტომ, რომ ის გატაცებულია არა მარტო გმირთა საქციელით და სიტყვებით, არამედ მათი ფიქრებითაც. თუ შეიძლება ასე ითქვას — მდუმარებასაც წერს. ეს ყველაფერი მსახიობის ხელოვნების იარაღია. ლალი როსება ხომ თეატრის რეალურ ძალებს ეფუძნება, პირველ ყოვლისა, უმთავრესს მათ შორის — მსახიობის ხელოვნებას. მსახიობსაც ამიტომ უნდა მის

კატო — ნ. ჩიქვინიძე, ირაკლი — ი. ტრიპოლსკი



რეზო — ი. უჩანეიშვილი, მარგო — ე. ყიფშიძე

ადა — გ. გაბუნია, ნელი — ზ. იოსელიანი, თემო — ნ. მგალობლიშვილი, მარგო — ე. ყიფშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ დაწერილი როლის თამაში— საშუალება ეძლევა აამოქმედოს ის სპეციფიკური გამომხატველობა, მხოლოდ მისი ხელოვნების საკუთრებას რომ შეადგენს. სულ არაა შემთხვევითი ის გამარჯვებები, რომლებიც უკვე მოიპოვეს მსახიობებმა ლალი როსებას პიესებში. ვის შეუძლია დღეს წარმოიდგინოს ელენე ყიფშიძის შემოქმედება მარგოს გარეშე, გურანდა გაბუნიასი ნინოს გარეშე, ნანა ჩიქვინიძისა კატოსა და ზიზის გარეშე, ოთარ მეღვინეთუხუცესისა— ლეო ვანელის, კოტე მახარაძისა — მურმანის, გიზო სიხარულიძისა — უსახელო სტუმრის გარეშე და ა. შ.

ლალი როსებას დრამატურგიასთან, კერძოდ, „პროვინციულ ამბავთან“, ერთი საინტერესო მოვლენაა დაკავშირებული — სპექტაკლმა ტელეკამერით გამოცდას გაუძლო. ეს გამოცდა რთულია. საქმე ისაა, რომ სათეატრო სანახაობა მრავალრიცხოვან მაყურებელთან ცოცხალ კონტაქტზეა გაანგარიშებული, მუდამ გარკვეული მანძილის გათვალისწინებით სცენასა და დარბაზს შორის. ეს მანძილი, კინოს ენას თუ მივმართავთ, წარმოდგენას საერთო და საშუალო ხედით აწოდებს მაყურებელს. ამიტომ ზოგჯერ მსახიობის შინაგანი სიცარიელე, შესაძლოა, არც გამოჩნდეს. ტელეკამერას კი სპექტაკლი ჩვენ ბინაში შემოაქვს და უმთავრესად მსხვილი ხედით გვაწოდებს. ასეთია მისი თავისებურება.

ვისაც „პროვინციული ამბავი“ უნახავს სცენაზე, ის დამეთანხმება, რომ სატელევიზიო გადაცემის დროს ზოგჯერ მსახიობი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე იმ სპექტაკლში, თეატრში რომ გვინახავს. ეს იმიტომ, რომ მანძილი ჩვენსა და მსახიობს შორის შემცირდა ისე, როგორც ეს მხოლოდ ტელეკამერას შეუძლია. ზედმიწევნითმა მიახლოებამ ღაგვანახა მისი თვალები, ის შინაგანი თრთოლვა, რომლის შემჩნევა პარტერის პირველი რიგიდანაც კი ჭირს. ძალზე იშვიათია ამგვარი რამ სცენაზე, ძნელად მისაღწევი, მაგრამ ლალი როსებას პიესის გაცოცხლება ჭეშმარიტი შინაგანი თრთოლვის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია;

მისი ნაწარმოები იმითაცაა რთული, რომ მეტისმეტად სადაა და გარეგნულად ძალზე ჩვეულებრივი. განა ადვილია საინტერესო და ამაღელვებელი გახადო ყოველდღიური ცხოვრება რიგითი ადამიანებისა, რომლებიც არც თავს იკლავენ, არც სხვას კლავენ, არც შეთქმულებას აწყობენ, თა-

„პროვინციული ამბავი“, სტუმარი — გ. სიხარულიძე



ნამდებობისოვისაც კი არ იბრძვიან — შემოქმედება სურთ, სიყვარული ჭეშმარიტი, ადამიანური ღირსების დაცვა! ადვილია უარი თქვა მკვეთრად დრამატულსა და კომედიურ სიტუაციებზე და მთელი ყურადღება გადაიტანო უიღბლო, ბედისაგან გაუნებივრებელ ადამიანებზე, რომლებსაც, ამასთანავე, ისეთი შეცდომებიც ჩაუდენიათ, ვერც გამოსწორებას ახერხებენ, ვერც დავიწყებას. რომლებსაც ერთმანეთი სძულთ კიდევაც, კიდევაც უყვართ. უჭირთ ცხოვრება, ზოგჯერ იმ ზომამდე, რომ უკვე ყვირიან ამის შესახებ, მაგრამ მაინც სჯერათ, რომ შექმნიან მშვენიერ ლექსს, ითამაშებენ როლს, დადგამენ სპექტაკლს, ეწვევათ დიდი სიყვარული, არ დასცემენ კაცის ღირსებას... ასეთია ლალი როსებას ნაწარმოებთა ემოციური აგებულება. მისეული ოპტიმიზმის თავისებურებაც — რწმენა და იმედი მომავლისა ყველაფრის მიუხედავად. შენც გჯერა მისი, იმიტომ, რომ თავის სათქმელს განსაცვიფრებელი გულახდილობით გიზიარებს, ამით გაიძულებს შენც ბოლომდე იყო გულახდილი საკუთარი სინდისის წინაშე მაინც. იქნებ ამიტომ უყვარს ასე პიესის მრავალწერტილით დასრულება — თავს არ გახვევს საკუთარ აზრებს. არც შენ გაჩქარებს გასცე პასუხი, იფიქრო, მოგიწოდებს, საკუთარ [illegible]ზე, სხვებზე, შენს გარშემო მყოფ ჩვეულებრივ ადამიანებზე. ისინი ძალიან ბევრნი არიან. მათ ეკუთვნის ლალი როსებას ყურადღება და სიყვარული. და ვინაიდან ამ ადამიანთა ცხოვრება რთულია, მძიმე, მოუსვენარი, — პიესებიც ასეთია, მშფოთვარე ფიქრით და ტკივილით სავსე. ასეთი დრამატურგია ბევრს მოითხოვს თეატრისგან. ადამიანისადმი გულგრილი ხელოვანი სცენაზე მას ვერ გააცოცხლებს ვერანაირი პლასტიკური და მუსიკალური საშუალებებით. ეს შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ბუნებას დიდი, წრფელი განცდის უნარი მიუნიჭებია, ვინც ამ უნარს დაუზოგველად გასცემს ყოველ სპექტაკლზე იმ უცნობი ადამიანებისათვის, თეატრის დარბაზს რომ ავსებენ, რათა თეატრიდან წასულებს თან გაატანოს სურვილი უყვარდეს მოყვასი თვისი, გაუგოს მას, თანაუგრძნის...

ამისათვისაა დაწერილი ლალი როსებას პიესები.

ამისთვის დაიდგა ისინი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

„პროვინციული ამბავი". ზიზი — ნ. ჩიქვინიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დავით კლდიაშვილის თეატრალური სამყარო

ვასილ კიკნაძე

დავით კლდიაშვილი დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ქართულ თეატრზე.

თეატრმა იპოვა მდიდარი ეროვნული პლასტიკის პირობითი თეატრალური წყარო, ახალი თვალით დაინახა ქართველი კაცის მოუსვენარი ბუნება და ტრაგიკომიკური გაორება გაჭირვების ჟამს.

კლდიაშვილის სამყაროში ყველაფერი მოძრაობს, თამაშობს და თვით ცხოვრებაც არტისტულად განიცდება. მისი გმირები ცხოვრების დიდი ღა უცნაური არტისტები არიან. ესთეტიკურად ამაღლებულია მათი თამაშის წესი — სულ ერთია, რა როლებსაც არ უნდა ასრულებდნენ. მუდამ დაცულია ეთიკური ნორმები. საერთოდაც, კლდიაშვილის გმირები დიდ როლს ანიჭებენ ურთიერთობათა ეთიკას. მოუწყობელსა და დიფერენცირებულ საზოგადოებაში ეთიკური უკავშირდება პიროვნების ღირსების გრძნობას.

იუმორი და ტკბილი სიტყვა პარადოქსულ ერთიანობას ქმნიან, ერთდროულად კანიცდება როგორც ერთის უპირატესობა მეორეზე, ისე მოყვასის გამხნევება და წახალისება. ამ უცნაურ სინთეზშიც არის კლდიაშვილის გმირთა სპეციფიკური ურთიერთობა.

დ. კლდიაშვილის გმირები საოცარი ძალით მიიზიდებიან ურთიერთისაკენ. კენტად დარჩენის ეშინიათ უთუოდ. ვინ იცის, რა დროიდან ჩასახლდა მათ სულში მარტოობის გრძნობა? რა პირობებმა მოაქცია ამგვარ მდგომარეობაში უხსოვარი დროიდანვე მებრძოლი ხალხი? მხოლოდ გაძვალტყავებული ცხენები და ღირსების გრძნობა შემორჩათ გუშინდელ რაინდებს. არა და, იყო დრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ტარიელისა და ავთანდილის „ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს“. რა შორს დარჩა რაინდული წარსული! რა დიდი გზა გაიარა და მაინც პლატონსა და სოლომონს ფარივით იცავს მათი „ტაიჭი“. მხოლოდ ფორმა შემორჩა წარსულიდან და ამიტომ არის სასაცილო იგი. მერე და, როგორ ჰგვანან პატრონები თავიანთ „გამაკეთილშობილებლებს“ — გაღატაკებულებს და ცხოვრებისგან გალახულებს.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები არ არის ერთნიშნა. მრავალი შრეა ჩაფენილი და მისაკვლევი მის სიღრმეებში. ქართული თეატრი გულმოდგინედ ეძებს და კითხულობს მას.

მასალა, რომელსაც კლდიაშვილი ეყრდნობა, თეატრალური იყო თავისი ფორმით. ეს მომენტი კარგად შენიშნეს 1920 წელს (გაზ. „სახალხო საქმე“ № 965): „მკითხველსა და მაყურებელს სიცილს ჰგვრის მხოლოდ ის თეატრალობა, რომლითაც ცხოვრობს დასავლეთ საქართველო. აქ, ამ თეატრში იკარგება წოდებრიობა და კლასი. ყველას აერთებს მისწრაფება თავისი მწირი ცხოვრება სიტყვით მაინც გააშინაარსოს, სხვასთან თავი გამოიჩინოს... იმერეთის ცხოვრება იმდენად სიცოცხლიანია, ასე ვთქვათ თეატრალური, რომ აქ ხელოვნება და ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული, შედუღებული“.

აი, სწორედ ეს ქართული ფენომენი ზოგადდება კლდიაშვილის შემოქმედებაში. მწერალი საოცარი სიმსუბუქით ხატავს ყველა კარგის „სხვისთვის ჩვენების“, სხვასთან გაჯიბრების არტისტული პოზის ქართულ კომპლექსს. არტურ ლაისტის თვალს არ გამოჰპარვია, რომ საქართველოში ცხოვრობენ დონ კიხოტები და დონ კიხოტის ნათესავები. დ. კლდიაშვილმა გამოხატა ისინი, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის კლდიაშვილი! მის შემოქმედებაში არის სხვა ძლიერი ნაკადი. არის სულის შემძვრელი დრამატული ხასიათები და სიტუაციები. იგი მოქცეულია მოთხრობებში: „ქამუშაძის გასაჭირი“, „მიქელა“, „მსხვერპლი“, „შერისხვა“, „უბედურება“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვ. სიცოცხლის დაცვის მაგია ტრიალებს მათში. ბედისწერას აუტანია ადამიანები. მათი თითქოსდა პრიმიტიული ცხოვრება საოცრად რთულია და ღრმა.

ქართული თეატრი ორივე ნაკადს დაეწაფა. დ. კლდიაშვილის თეატრის ახალი ძიებანი, რომლებიც 60-იან წლებში „დარისპანის გასაჭირის“ მ. თუმანიშვილისეული დადგმით დაიწყო, — ფართო მასშტაბით იშლება 70-იან წლებში.

ამ ძიებათა პირველ პლანზეა შ. გაწერელიას დადგმები. რეჟისორი ტელევიზიაში დგამს დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორებს“ და „ირინეს ბედნიერებას“, მოზარდ მაყურებელთა თეატრში „ქამუშაძის გასაჭირს“ და „ირინეს ბედნიერებას“. ეს ძიებანი ქართული თეატრის განმაახლებელი ტენდენციების ნაწილია.

მაგრამ ვიდრე ამჟამინდელ ძიებათა ხანა დადგებოდა, დ. კლდიაშვილის თეატრმა გაიარა განვითარების რთული პროცესი. ეს გზა ზიგზაგობრივი იყო. წარმატებების გვერდით, იქმნებოდა უსახური სპექტაკლები, მათ არანაკლები ზიანი მოუტანეს კლდიაშვილის თეატრს, ვიდრე იმ წარმოდგენებმა, სადაც პოზიციური ხასიათის შეცდომები იყო.

დავით კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება“ პირველად 1901 წლის 23 სექტემბერს დაიდგა ვ. აბაშიძის რეჟისორობით. იმავე წელს დადგა ქუთაისშიც ლადო მესხიშვილმა. თბილისში წარმოდგენა დამარცხდა. ქუთაისში წარმატება ხვდა. ამ მოვლენაში ზუსტად გამოვლინდა ქართული თეატრის წიაღში მიმდინარე ღრმა პროცესი. ერთის მხრივ, ბრძოლა ფსიქოლოგიური რეალიზმისათვის, მეორეს მხრივ, გ. ერისთავის კომედიური თეატრი და მისი ცდა თავისი გავლენის სფეროში მოექცია კლდიაშვილი, რაც ერთობ ანიველირებდა კლდიაშვილის მხატვრულ თავისებურებას.

დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედება, მისი თეატრის ისტორია არსებითად ამ ტენდენციათა შორის ფარულ თუ საჯარო წინააღმდეგობათა ბრძოლის ისტორიაა.

კლდიაშვილის თეატრში შეიქმნა არაერთი საინტერესო აქტიორული სახე. მას რამდენადმე ერთსახოვანი გზა ჰქონდა 20-იანი

წლებიდან მოყოლებულ დადგმებს, ვიდრე 60-იან წლებამდე.

თეატრში თითქოს ორი დ. კლდიაშვილი იყო. ერთი მხიარული კომედიების, ვოდევილების, სატირულად მამხილებელი ნაწარმოებების ავტორი და მეორე ის, ვინც ხატავდა ღრმა სოციალურ უკუღმართობასა და პიროვნებას შორის წარმოქმნილ კონფლიქტს.

რევოლუციამდელ ქართულ თეატრში იყო ცალკეული აქტიორული მიღწევები დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა დადგმებში. მხედველობაში გვყავს, უპირველესად, ვ. შალიკაშვილი და ვ. ბალანჩივაძე. ისინი ფსიქოლოგიური რეალიზმის პრინციპებს იცავდნენ თეატრში. საინტერესო მოვლენა იყო ა. ფალავას დადგმები. 1925 წ. ჟურნალ „ხელოვნებაში" დაიბეჭდა ა. ფალავას მიერ შედგენილი ცნობები 1920 წლიდან 1924 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო დრამის (ანუ რუსთაველის თეატრის) სცენაზე რომელი პიესა რამდენჯერ დაიდგა. დასახელებული რეპერტუარის 62 პიესიდან ყველაზე მეტჯერ დადგმულა „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება". ასე რომ, დ. კლდიაშვილის შემოქმედებისადმი ინტერესი თითქმის ყოველთვის იყო.

ჩვენ დეტალურად არ შევეხებით 20-იანი წლების შემდგომი პერიოდის ცალკეულ აქტიორულ თუ რეჟისორულ წარმატებებს. ის კი უნდა ითქვას, რომ დ. კლდიაშვილის ბედი მაინცდამაინც დიდად გამონაკლისი არ ყოფილა 30-40-50-იანი წლებისა თეატრში. იგი თითქოს გარკვეულ შესაბამისობაშიც კი იყო იმ ტენდენციებთან, რომლებიც იმჟამინდელ თეატრში ხდებოდა. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურება განსაზღვრავდა ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების პირობებს. როგორიც არის დრო, ისეთია მისი თეატრიც. ამ უდავო ჭეშმარიტების მიღმა, რასაკვირველია, ძალიან რთული და მრავალპლანიანი თეატრალური ტენდენციებია მოქცეული. მათ შორის დ. კლდიაშვილის თეატრიც. შემთხვევითი არც ის ფაქტი იყო, რომ „შემოდგომის აზნაურებს" (რეჟ. კ. პატარიძე) დიდი წარმატება ხვდა 30-იან წლებში და არც ის იყო მოულოდნელი, რომ იგივე სპექტაკლი მაყურებელმა „მოხსნა", როცა 50-იანი წლების ბოლოს აღდგენილი იქნა. თეატრს უარყოფითი ხასიათის წერილები მოსდიოდა. ახალმა მაყურებელმა არ გაიზიარა სპექტაკლის გადაწყვეტა!..

სცენა სპექტაკლიდან „სამანიშვილის დედინაცვალი" პლატონი — გ. გეგეჭკორი, კირილე — რ. ჩხიკვაძე.

60-70-იანი წლების ქართული თეატრის ლექსიკური განახლება და მეტაფორული აზროვნება გარკვეულწილად დ. კლდიაშვილის შემოქმედებისგანაც არის იმპულსირებული. ქართველმა რეჟისორებმა ერთობ დიდი გაბედულებით მოჰკიდეს ხელი კლდი-

აშვილის ნაწარმოებებს. ყოველთვის დიდი წარმატება არ ჰქონია სიახლეთა ძიებას, ზოგჯერ თვითმიზნურ ორიგინალობას სტილიზაციამდე მიუყვანია თეატრი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მარტო დადგმების უბრალო დასახელებაც საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ თუ რა დიდია კლდიაშვილისადმი ინტერესი: „ირინეს ბედნიერება“ დადგეს ა. ვასაძემ, ლ. იოსელიანმა, შ. გაწერელიამ, თ. აბაშიძემ, გ. ქავთარაძემ; „დარისპანის გასაჭირი“ — მ. თუმანიშვილმა, ლ. იოსელიანმა, ო. ჩხეიძემ, გ. ქავთარაძემ, შ. ინასარიძემ, ა. ქვანიამ; „უბედურება“ — თ. ჩხეიძემ, ი. კაკულიამ, ს. მრევლიშვილმა; „სამანიშვილის დედინაცვალი“ — თ. ჩხეიძემ და რ. სტურუამ, ს. ცომაიამ, გ. ლაღიძემ, ვ. მჭედლიძემ; „ქამუშაძის გასაჭირი“ — შ. გაწერელიამ, გ. სებისკვერაძემ, შ. კობიძემ, ვ. ჩიგოგიძემ; „ბაკულას ღორები“ — მ. თუმანიშვილმა; „მსხვერპლი“ — მ. თუმანიშვილმა, ი. კაკულიამ; „სოლომონ მორბელაძე“ — თ. მესხმა, ო. გვიჩიამ, — ეს მარტო დრამატულ თეატრში. ამავე პერიოდში შეიქმნა ფილმები „კარდაკარ“, „მიქელა“, „უბედურება“, „ბაკულას ღორები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“. ქართულ ტელევიზიაში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“ (ორჯერ), „ბაკულას ღორები“. აი, ასე ფართოდ წარმოსდგა დ. კლდიაშვილის შემოქმედება ქართული თეატრის, კინოსა და ტელევიზიის რეპერტუარში. დ. კლდიაშვილის თეატრის ფორმირებაში მონაწილეობდა თითქმის ყველა თაობის რეჟისორი და საუკეთესო ფიცარ-ორული ძალები. დ. კლდიაშვილის შემოქმედებიდან დაუდგმელი დარჩა „შერისხვა“, „წრფელი გული“ (მ. გეგიამ მოთხრობის საფუძველზე შექმნა პიესა, რომელიც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა!), „მიქელა“, „თავადი პეტრე“, „როსტომ მანველიძე“, „მშობლის ნუგეში“ (ბოლო სამი მოთხრობა სულ 15 გვერდია!). გვჯერა, რომ

სცენა საარბრიუკენის თეატრის სპექტაკლიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“.

თეატრი ამ ნაწარმოებებსაც მოუძებნის სცენურ ფორმას. განსაკუთრებით საინტერესოა მემუარები, სადაც ნამდვილი დრამატიზმით აღსავსე სურათებია გადმოცემული.

ერთობ ახლობელი გამოდგა დავით კლდიაშვილი თანამედროვე ქართული თეატრისათვის. ჩვენ მოწმე გავხდით ნიღბოსანთა საკარნავალო სერობისა (ახმეტელი ფიქრობდა დაედგა „კლდიაშვილის ნიღბები“!). ჩვენს წინ გაიარეს ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პლატონ და ბეკინა სამანიშვილებმა, სოლომან მორბელაძემ; დარისპან ქარსიძემ, ეკვირინემ და მართამ. დრამატული ბედის ქალებმა: კაროჟნამ, ირინემ, ნატალიამ, მარინემ და სხვებმა. სცენაზე გაერთიანდა დ. კლდიაშვილის პროზა და პიესა, რამეთუ ორივე დიდი დრამატურგიაა

სცენა სპექტაკლიდან „უბედურება“.

ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. პროზასა და პიესებს აერთიანებთ არა მხოლოდ მწერლის სტილი, მისი მსოფლშეგრძნება, ხატვის მანერა და ეთიკური პრინციპები, არამედ დიდი სიახლოვე თვით ხასიათების ბუნებაში, დიალოგების წყობის სისტემაში, ფქტიურ ქმედებაში, მოთხრობის გმირები თითქოს პიესებში აგრძელებენ სიცოცხლეს და პირუკუ. ამ ერთიანობამ თეატრს საშუალება მისცა კლდიაშვილის ნაწარმოებებისათვის მოეძებნა სცენური ფორმა ისე, რომ პიესაცა და პროზაც წარმოგვედგინა, როგორც ერთი მთლიანი თეატრალური სამყარო. ამიტომ არ იგრძნობა პროზისა და დრამატურგიის გამთიშველი საზღვრები (რაც ასე საცნაურია სხვა შემთხვევებში ინსცენირების დროს!) „ბაკულას ღორების“, „ქამუშაძის გასაჭირის“ ან „მსხვერპლის“ დადგმის დროს.

შ. გაწერელიას რეპერტუარშია ტელედადგმები „ბაკულას ღორები“ და „ირინეს ბედნიერება“, ხოლო თეატრში — „ქამუშაძის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“. ოთხი დადგმა ნათლად ავლენს რეჟისორის ბოლო წლების ძიებათა ხასიათს, მის მხატვრულ ორიენტაციას. მოზარდ მაყურებელთა თეატრში უფრო ადრე თ. ჩხეიძემ დადგა „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“. ასე რომ, თეატრში უკვე შეიქმნა დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა დადგმის გარკვეული ტრადიცია, სპექტაკლებმა გააძლიერეს ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროსადმი თეატრის ინტერესი, გამოიწვიეს ახალი შემოქმედებითი იმპულსები. შ. გაწერელიას „ქამუშაძის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ არსებით როლს ასრულებენ თეატრის მხატვრული კრიტერიუმის შემუშავებაში თეატრის ახალ ძიებათა მიჯნაზე!

კლდიაშვილისადმი ქართული რეჟისურის გამორჩეული ინტერესი დიდხანს გაგრძელდება, რაკი მან იპოვა ახალი თეატრალური ვერსიების შექნის მდიდარი წყარო. ყოველი მათგანი თანადროულ ყღერადობას იძენს. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ პრობლემას, ადამიანური ცხოვრების თანაგანცდას, არამედ იმასაც, რომ შ. გაწერელიას სპექტაკლები საზოგადოებრივი აზრის მღელვარებასა და აზრთა სხვაობას იწვევენ.

„ქამუშაძის გასაჭირი“ „რეჟისორულ არტახებში“ მოქცეული, მკაცრად შეკრული სპექტაკლია. ნატიფ სცენურ ფორმებში დიდი ადამიანური დრამაა გადმოცემული. ფორმის ლაპიდარობა, მე ვიტყოდი, — თავისებური „იმერული ელეგანტურობა“, გარკვეულ სიმსუბუქეს ანიჭებს წარმოდგენას. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში არაფერი არ არის ზედმეტი, ზუსტია ყოველი ფრაზა, ჟესტი, პაუზაც კი. მცირე პლასტიკურ ფორმებში მუდამ დიდი აზრია მოქცეული. რეჟისორი თანამიმდევრულად არკვევს ხასიათებს, მოვლენებს, ხსნის სულის სიღრმეებს, ყველაფერს უჩენს თავის ადგილს. მთელი წარმოდგენა მის ნებას ემორჩილება. თითქოს ერთობ ხაზგასმულიცაა რეჟისორის ხელის ძალა, ზემოქმედების უნარი, მისი კონცეფციის ხასიათი, მაგრამ არსად არ იკარგება მსახიობი და მისი სცენური სოციალური გარემო. გაწერელიასთან მეტაფორა არ არის ერთნიშნა ხატი, სადაც მსახიობი დეკორის ფუნქციას ასრულებს. ამის მიღწევა კი არ არის ადვილი იქ, სადაც თავს იჩენს ტოტალური რეჟისურის ძალა!..

„ქამუშაძის გასაჭირი“ მრავალპლანიანი სპექტაკლია, რეჟისორს ბრწყინვალედ აქვს გადაწყვეტილი სიკვდილისა (ქელეხი) და სიცოცხლის (ქორწილი) მონაცვლეობის მე-

ტაფორული ხატი. სცენის სიღრმეში, ქელეხის გრძელ მაგიდასთან დგანან სტუმრები, მათი მდუმარე სილუეტები იკითხება მხოლოდ. შესანდობარს სვამენ. იგივე მაგიდა და იგივე ხალხი იმავე სცენურ კომპოზიციაში ქორწილის სურათს ქმნის. ყოველივე ეს ერთობ ეფექტურია და გარკვეული თეატრალური სიურპრიზის შთაბეჭდილებას ახდენს. ამ სურათს წინ უძღვის გმირთა რთული ცხოვრება, მაყურებელმა დაინახა მათი ტანჯვის გზა, ღრმა სოციალურ პროცესებში ამოიხსნა დ. კლდიაშვილის გმირთა ცხოვრების წესი და ხასიათების თავისებურება. რომ ეს არა, დასახელებული სურათი ლამაზი კომპოზიციის მხოლოდ პლასტიკური ილუსტრაცია იქნებოდა (მეტაფორული სპექტაკლები ხომ უხვად მიმართავენ „ლამაზ ილუსტრაციებს"!.). შ. გაწერელია ბეწვის ხიდზე გავიდა, რაკი სწორი იყო მსახიობთან მუშაობის მეთოდოლოგიური პრინციპი. მთავარი ეს არის. როცა მსახიობ-გმირის შინაგანი ბუნება ზუსტად იკითხება, ნათელია მისი გამოხატვის ფორმაც. რეჟისორი „ქამუშაძის გასაჭირში" ქოლგებით მოფარფატე ადამიანებიდან ქმნის საინტერესო სოციალურ ფონს. ზოგჯერ თავისებურ ქოროდ იქცევა სოფელი, რომელიც ხან თანამგრძნობია გმირთა ტკივილისა, ხან მოხითხითე ჭორიკანაა. სოფლის ჭორი და პროვინციული კოკეტობა აბლაბუდასავით ახვევია ოტიას, ეკვირინეს, სონიას. სცენაზე მოხეტიალე ქორო ხშირად დუმს, მაგრამ მისი სათქმელი ნათელია. მწერალი სონიაზე ჭორს ასე გადმოსცემს: „შხამიანი დედაკაცი" მკვნესარინეს მიახლის: „— ვისი იმედით ბრძანდებით, ვისი იმედით? შენი რძლის საყვარლის იმედით? დაგიდგა თვალი! რა მაღლა მოგაქვთ თავ•"! ეკვირინე ამ ქვეყნად აღარ იყო ამის გამგონე და შეეპასუხა: „ვინ ამბობს მაგას? ვინ? ვინ?" „—ვინა და თელი სოფელი!.. თელი სოფელი" — მოესმა შემზარავი ხმა. ასე დაცოფეს ტყუილუბრალოდ სონია. მწერალი უღრმესი ტკივილით გადმოგვცემს ამ სურათს.

შ. გაწერელიამ მწერლის სიტყვა თეატრის ენაზე გადაიტანა, გააცოცხლა და იმასვე მიაღწია ქოროს მოძრაობით, ჟესტით, აქა-იქა რეპლიკებით, რასაც მიაღწია მწერალმა სიტყვით. ასევე თეატრალურ ენაზეა გადატანილი ოტიას მიწას მოწყვეტის ფსიქოლოგიური მოტივები.

დ. კლდიაშვილმა ფართო მასშტაბში გამოხატა ქართველი კაცის მიწისგან მოწყვეტის ტრაგედია. რა საოცარი ძალით არის გადმოცემული სოფლიდან ქალაქისაკენ დაძრული ხალხის განცდა. ოტია მიწისადმი უნაზესი სიყვარულით ეთხოვება თავის გარემოს. მეტი გზა აღარ იყო, ოტია უნდა გასცლოდა სოფელს. როგორც კი ეს ვადაწყვიტა, უცებ წამოვარდა, რაღაცა ძალამ შესძრა მისი სული, ააფორიაქა, „გადმოვიდა აივნიდან და მიიარ-მოიარა ეზო. რაღაც უცნაური

სცენა მობარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „ქამუშაძის გასაჭირი".

სევდით შეჰყურებდა ამ ღამეში ყოველ საგანს, რაც წინ შეხვდებოდა, რაღაც სიყვარულით აჩერდებოდა სათითაოდ ყველაფერს, რაც მის საკუთრებას შეადგენდა. მისი გული საკვირველად დუღდა, გმინავდა. ამ ღამეში, ამ ბნელში გაჭირვებული ოტია ემშვიდობებოდა აქაურობას, ესალმებოდა ამ მიდამოს, რომელიც დევნიდა და იძულებულს ხდიდა, თავისი კეთილდღეობა სხვაგან ეძია". თითქოს ოტიასა და მის მსგავსთა მიერ მიტოვებულ სოფლებზე წერდა დ. კლდიაშვილი ერთ-ერთ წერილში (კ. აბაშიძისადმი მიწერილი)... „სად წავიდა ამოდენა ხალხი? სად აიჩინა ბინა? და ეს არემარე ჩაჩუმებული, ჩადუმებული, ოხრად მიტოვებულ სამარეს დამგვანებული, რაღაც საბედისწერო დუმილს მოუცავს, დუმილს რომელსაც თუ დავაკვირდებით, თუ ყურს დაუგდებთ, თავზარდამცემ სიმფონიით არის სავსე, ხოლო როცა ამ იდუმალებით მოცულს და სიჩუმეში ნაშობ სიმფონიას დაარღვევს ხოლმე ხანდისხან შიმშილით გაძვალტყავებული ძაღლის ყმუილი — ბუნებაში უცნაური ქვითინი ისმის."

სულის გმინვასავით ისმის მწერლის ხმა. მან ადრე ჩამოჰკრა საგანგაშო ზარი. ადრე შენიშნა თუ რა მოჰყვებოდა შემდეგ მიწის გაუცხოებას. აღარ შემოესმოდა მიწის ყივილი და აქედან—ყველა შედეგი. გავა წლები და ქვეყანას კვლავ დასჭირდება ზარის შემოკვრა, რათა აღარ გამრავლდეს ჩამჭრალი ბუხრები, თუ ნასოფლარები. ტრაგიკულია არა მხოლოდ ის, რასაც ოტია განიცდიდა, როცა თავის კარმიდამოს ეთხოვებოდა, არამედ ისიც (და ეგებ უფრო მეტად), როცა გულარხეინად, წარბშეუხრელად, ხალისით სტოვებს კაცი თავის ეზოს და ქალაქისაკენ მიდის. რთული, შორსგამიზნული პრობლემა წამოჭრა მწერალმა „ქამუშაძის გასაჭირში". ჩვენ იგი ვიგრძენით შ. გაწერელიას სპექტაკლშიც, ოღონდ, უფრო შერბილებულ ტონებში...

შ. გაწერელიას სპექტაკლი „ქამუშაძის გასაჭირი" გარკვეულ გავრძელებას პოულობს „ირინეს ბედნიერებაში". საკითხი ეხება გმირისა და მასის, მხატვრული ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობას, პლასტიკური აზროვნების ხასიათს, კომპოზიციებს, მხატვრობას. ერთი სიტყვით, რეჟისორის ხელწერას. „ირინეს ბედნიერება" რეჟისორის შემოქმედებითი რისკის მაგალითია. ჩანს, რომ გაწერელიას [illegible] დაოსტატდა კლდიაშვილის ნაწარმოებთა დადგმებში, იმდენად ბევრჯერ მოსინჯა სხვადასხვა პლანები და ვერსიები, რომ შესაძლებლად მიიჩნია წასულიყო უფრო შორს სიღრმეებში. იგი გაიტაცა კლასიკის უსასრულობის განცდამ, პიესაში მანამდე წარმოუჩენელი ტენდენციების მიკვლევის ჟინმა და „ირინეს ბედნიერების" ახალი გადაწყვეტა შემოგვთავაზა. აქამდე თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო „ირინეს ბედნიერებაში". შეიქმნა პიესის დადგმის გარკვეული მოდელიც. ჩვენ ვკამათობდით მსახიობთა შესრულების ხასიათზე, წარმოდგენის მხატვრულ დონეზე, მაგრამ იშვიათად — რეჟისორულ კონცეფციაზე. აგერ ოთხმოცდაერთი წელია, რაც „ირინეს ბედნიერება" იდგმება და მას აქეთ რამდენმა ირინემ, აბესალომ, ფილიპემ გაიარა სცენაზე. შეიქმნა მნიშვნელოვანი აქტიორული სახეები. იყო რეჟისორული მიგნებები, გონებამახვილური სცენები, მაგრამ ყველა დადგმას ჰქონდა საერთო — ირინეს ბედნიერების (ანუ უბედურების) ჩვენება. გასაგებიც არის. პიესას ხომ „ირინეს ბედნიერება" ჰქვია! მაშ, რაღა საჭიროა პიესის სხვა სცენური ვერსია? ხომ არ ხდება რეჟისორული კონცეფციის თავსმოხვევა? პიესის მოდიფიკაციის მაგალითები ცოტა არ არის, მაგრამ რამდენად შეითვისებს მათ დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა სული? გაუგებს (ან მოუთმენს!) კი თეატრს მაყურებელი? შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს კითხვები. საბაბიც გვაქვს ამგვარი კითხვებისათვის და, ბოლოს, არსებობს კამათის ცნობილი ხერხიც: მწერალს აბესალოს უბედურების გამოხატვა რომ სდომებოდა, თავად დასწერდა „აბესალოს ბედნიერებას"!..

შ. გაწერელიას სპექტაკლში აბესალოს დრამაა უმთავრესი. ფინალში აბესალო კვდება. გული გაუსკდება. მაშ ასე, შეიცვალა „ირინეს ბედნიერება"! ვიდრე უშუალოდ სპექტაკლს შევეხებოდეთ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

არსებობს „ირინეს ბედნიერების" ვარიანტები. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს აბესალოს თემისადმი მწერლის დამოკიდებულება. ჩანს, რომ მწერალი ამოწმებს ყოველ ფრაზას, ეძებს ყველაზე ზუსტ სიტყვას. და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგენილ ტექსტში შეაქვს ახალი ფრაზები, ცვლილებანი თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ მაინც იგრძნობა. „ირინეს ბედნიერება“ რომ დაიდგა, პრესაში მან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შენიშვნის ობიექტი გახდა არა ირინე, არა ფილიპე ან ვიქტორი, არამედ უპირველესად აბესალო. მისი განხილვა ძირითადად ტარიელ მკლავაძის („ჩვენი ქვეყნის რაინდი“..), ერემია წარბას („პირველი ნაბიჯი“) და დათიკოს („გლახის ნაამბობი“) სახეთა გათვალისწინებით ხდებოდა. კლასობრივი მდგომარეობით განებივრებული ეს ტიპები ქმნიდნენ გარკვეულ ერთიან მოდელს, რაკი ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ამ ვნებიანმა „რაინდებმა“ ქალზე ძალადობის მთელი ინსტიტუტი შექმნეს. პირველი ღამის უფლება ძვალსა და რბილში გაუჯდათ. ასე გაგრძელდა დიდხანს. როცა ამგვარ ქმედებას იურიდიული საფუძველი გამოეცალა, ფსიქიკაში მაინც დარჩა მისი გამოძახილი. აბესალოს გამოჩენამ კრიტიკის ყურადღება მიიქცია, მაგრამ მისთვის მისაღები აღმოჩნდა მხოლოდ ის, რითაც აბესალო უკავშირდებოდა იმ „რაინდების ტრადიციას“. აბესალო მოქეიფე, მოჩხუბარი, სოფელში წარმოჩენილი, ფიზიკურად ძლიერი და მოსაწონი თავადიშვილია, აი, ის ძირითადი ნიშნები, რითაც იქცევდა იგი ყურადღებას. „აბესალომებით არის სავსე ქუთაისის სასტუმროები — წერდა „კვალი“ — უაბესალომოთ არ ჩაივლის არც ერთი სოფლის დღესასწაული, არც ერთი ქორწილი კეთილშობილ ოჯახში“. ეს ტიპიური დახასიათებაა. თეატრშიც მეტწილად ასეთად იყო მოაზრებული აბესალოს სახეც. თითქოს აქ სადაოც არაფერია. პიესის პირველ მოქმედებაში აბესალო მართლაც თავზეხელაღებული, თავნება ახალგაზრდაა. ჩანს, რომ მან ქალებთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება შეიძინა. ოცდარვა წლის მოქეიფე, წარმოსადეგ თავადიშვილს უკვე ბევრი რამ მოუსწრია. ირინე პირველად დაინახა ახალი თვალით. მანამდე არ შეუმჩნევია ირინეს მომხიბვლელობა. „არ დავკვირვებივარ დღემდინ და იმიტომ არაფრად მიმაჩნდა, დღეს ამეხილა თვალები“. გულწრფელია აბესალოს სიტყვები. „მომაჯადოვა, მომაჯადოვა მაგ დაწყევლილმა“ — ეუბნება ვიქტორს. ვნებითაა გახელებული აბესალო. ლამის თვალები წამოსცვინდეს ირინეს მზერით. „რასაც ვაპი-

შესრულდა 120 წელი ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის დაბადებიდან.

ამ მნიშვნელოვან თარიღს მრავალი ღონისძიება მიეძღვნა. საიუბილეო ზეიმი მოეწყო 16-17 ოქტომბერს მწერლის სამშობლოში — თერჯოლის რაიონში. სოფელ ზემო სიმონეთში საზეიმოდ გაიხსნა დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი, თერჯოლაში — მწერლის ძეგლი. მიტინგი გახსნა თერჯოლის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: ჯ. ჩარკვიანი, ე. ამაშუკელი, ვ. კიკნაძე, რ. ჯაფარიძე, ლ. სანიკიძე, ს. კლდიაშვილი და სხვ.

ძეგლი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. ძეგლის ავტორები არიან თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, რეპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ლ. მხეიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი გ. თოდაძე.

რობ, კიდევაც შევასრულებ“... ამბობს აბესალო და იწყება საწადელის აღსრულების პროცესი. არავის სიტყვას არ შეისმენს იგი და ძალით იმორჩილებს ირინეს. ფეხქვეშ გათელავს როდამიშვილის თავმოყვარეობას, ჩამოაშორებს მას საცოლეს და ირინეც პატრიარქალური მორჩილებით ნებდება „ბედნიერებას.“ დ. კლდიაშვილს აქ რომ დაესვა წერტილი, ან შეენარჩუნებინა აბესალოს „ხასიათის მთლიანობა“, მაშინ აბესალოც ის იქნებოდა, რაც დათიკო ან ტარიელ მკლავაძე იყო. მაგრამ დ. კლდიაშვილი სულ სხვა ხასიათის მწერალია. იგი დიდი ფსიქოლოგია, მის სახელს უკავშირდება ახალი დრამის პრობლემა საქართველოში, ამდენად, გასაგებია აბესალოს ხასიათის ფსიქოლოგიური სიღრმე და მრავალპლანიანობა. თეატრი და კრიტიკა „ძველი არშინით“ ზომავდა აბესალოს ქცევას. აბესალოს „გაორება“ გააკრიტიკა „ივერიამ“ (1902 წ. № 46), „სწორედ მოგახსენოთ, მთელი ის სცენა, როცა აბესალო კლავს ირინეს, ყოვლად წარმოუდგენელი და გაუგებარია“, ი. იმედაშვილის აზრით, „აბესალო ჰკლავს ირინეს და როდამაშვილს კი არაფერს უშავებს“. თეატრშიც ხშირად „კლაკნენ ირინეს“. ამ მომენტმა გარკვეულად ხელი შეუწყო აბესალოს ხასიათის შესახებ თვალსაზრისის შემუშავებას. ფსიქოლოგიურად გასაგებიცაა თუ როგორი უნდა ყოფილიყო „ირინეს მკვლელი.“ იგი არსებითად გამორიცხავდა (როგორც ყოველი მკვლელი!) მისადმი რაიმე სიმპათიას. ძლიერი აღმოჩნდა ინერციის ძალა. თითქოს ისტორიის სიღრმეებში ჩაიძირა აქა-იქ გაელვებული აზრი პიესის ორიგინალური, სპეციფიური ბუნების შესახებ, მხილებული იქნა აბესალოს გაორება და მისი ეჭვიანობის კომპლექსი, როგორც მწერლის „შეცდომა“. ამდენად, სრულ მივიწყებას მიეცა მეორე მოქმედებაში ასე ძლიერად გამოვლენილი ტენდენცია. ი. ნაკაშიძე წერდა: „ჩვენმა სიმპატიურმა ავტორმა აირჩია ძველი თემა, ძველი განზრახვა, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ სანახევროდ განაახლა იგი. პირველი მოქმედება მის ნაწარმოებში სიცოცხლით სავსეა. მეორე კი სუსტი“, მაგრამ კრიტიკოსმა მაინც იგრძნო, რომ პიესას „ორიგინალობის ბეჭედი აზის“. მან ვერ ამოხსნა თუ რაში იყო „ორიგინალობის ბეჭედი“, პირველ რიგში იგი ხომ აბესალოს სახის გადაწყვეტაში გამოვლინდა? თეატრის პრაქტიკამ არ გაიზიარა აბესალოს ხასიათის სიახლე და მეორე მოქმედებაც ისეთად გადაწყვიტა, როგორც პირველი. ასე გაგრძელდა ათეული წლობით.

„ირინეს ბედნიერებაში“ ეჭვიანობის კომპლექსი, დღემდე არავის აუყვანია გარკვეული რეჟისორული კონცეფციის რანგში. იგი არ ქცეულა მხატვრულ პოზიციად. თეატრში შ. გაწერელიამ პირველმა მოიაზრა ასეთად. წარმოდგენაში უპირველესი გახდა აბესალო. მის ირგვლივ დატრიალდა ყოველი მოვლენა, ყოველი სცენა. აქ სხვა არაფერია გამორჩეული. აბესალოს ბედსა და მოქმედებას. მის გარემოს მიეძღვნა მთელი წარმოდგენა. სპექტაკლში ყველაფერი ისეა აწყობილი, იმდენად ზუსტად არის დაპროგრამებული თემა, ისე თანმიმდევრულად, სპირალურად ვითარდება მოვლენები, რომ სპექტაკლი ერთგვარი მონოდრამის ხასიათს იძენს. ხალხის ჭორი გარსივით აკრავს ირინესა და აბესალოს. მის ნიადაგზე ჩნდება აბესალოს ეჭვიანობაც და ეს მაშინ, როცა თავად არის პირველადი წყარო ასე გავრცელებული ჭორისა. მძაფრად დრამატიზირებულია აბესალოს ეჭვიანობა. იგი ვნებასავით იმონებს, ცეცხლივით მოედება მის სულს და რაც უფრო ბობოქრობს, მით უფრო ალდება. სავსებით გაქრა დათიკოსა თუ ტარიელ მკლავაძისებური ძალადობის მოტივი. აბესალოს სულის სიღრმიდან მოდის ახალი ნაკადები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მის რთულ ფსიქოლოგიურ სამყაროს. აბესალო აღარ არის კლასობრივი მდგომარეობით თავსგასული ვნებიანი ახალგაზრდა. მისი ვნება უფრო ღრმაა, უფრო ზოგადი და ადამიანურია. ეს არის ირინეზე გულწრფელად შეყვარებული კაცის ვნება. მისი ეჭვიანობა მოტივირებულია არა ქარაფშუტობით, არამედ საკუთარი რწმენის ძალით. ამას კი თავისი ფსიქოლოგიური ახსნა აქვს. აბესალომ ვერ გაითავისა ირინე, სულიერად ვერ დაიმორჩილა და „ვინც მძლავრობით ეუფლება სამყაროს: აქედანვე ვჭვრეტ —ვერ მიაღწევს საწადელს“ (ლაოძი). მოხდა ისე, რომ „მდედრი თვინიერებით იმორჩილებს მამრს“ (ლაო-ძი). აბესალო თავად გახდა ირინეს მორჩილი, მაგრამ ეს არ არის ქალის მიერ კაცის პირდაპირი, ჩვეულებრივი (ბევრჯერ რომ გვინახავს თე-

ატრში) დამორჩილება. პროცესი კვლავ დაფარულ ფსიქოლოგიურ შრეებში მიედინება. ხშირად ქვეცნობიერ სახეს იძენს აბესალოსა და ირინეს ურთიერთობა.

აბესალოს ეჭვიანობაც რომ არ დაეწყო, მაინც მშფოთვარე იქნებოდა მისი სული: თავმომწონე ვაჟკაცი, მუდამ გამარჯვებას ჩვეული თავადიშვილი, ირინეს არ აპატიებდა გულგრილობას. არ აპატიებდა მისი კაცური ღირსების შელახვას, მისგან სულიერ გათიშვას და განმარტოებას. მით უფრო მძლავრდება აბესალოს ბობოქრობა, როცა წარმოსახვაშიც იმას ხედავს, რასაც ფიქრობს.

... სცენა მაქსიმალურად სადადაა მოწყობილი. რეკვიზიტისგან განტვირთულია, მარცხენა მხარეს, მოფარებულ ადგილას არტისტების რეკვიზიტია. სცენის ცენტრში ერთი პატარა მაგიდა დგას. ალბათ, აქ დროდადრო ჩაის მიირთმევდნენ ხოლმე სტუმრები. სცენის ორივე მხარე (მარჯვენა და მარცხენა) მოშიშვლებულია. პირობით გარემოს ქმნის ოდნავ მომწვანო სივრცე. სილრმეში კედელზე რამდენიმე სურათია მიხატული. თითქოს კეთილი ანგელოზი იმზირება, პატარა ბავშვი წამოგორებულა (ბავშვის თვალები იყურებიან სპექტაკლ „ქამუშაძის გასაჭირშიც“!), სამი თვალი დასცქერის სოფელს. ეს ჭორიანი სოფლის თვალებია (ჭორს დიდი თვალები აქვს!). მხატვარი მ. შველიძე ძუნწად, სახიერად ქმნის აზრიან გარემოს, რომელიც საოცრად ნატიფია. ყველაფერი მსახიობთა სამოქმედოდ არის გამოჩენილი. მათ დიდი სივრცე სჭირდებათ და მხატვარიც გულუხვად სთავაზობს. დროდადრო იგი ივსება ქორეოგრაფიული მოძრაობით (ი. ზარეცკი), ადამიანთა მეტყველი სახეებით. საწყის სიტუაციაშივე იკვეთება აბესალოს (ა. მახარობლიშვილი) მზერა. იგი როდამიშვილს (თ. შამათავა) მისჩერებია, თვალგაშტერებული უყურებს. გამოჩნდება ვიქტორის (მ. ლორია) სახეც. სამი ადამიანი დგას პირისპირ სამკუთხა კომპოზიციაში. მთელ სცენას იჭერს სამი კაცი. აბესალოსა და პავლეს შეპირისპირების ჟამს ჩნდება მათი გამზავებელი ვიქტორი (მოარული სიკეთე!). მათ გარშემო აწრიალდება ხალხი. სცენა გაივსება. კონფლიქტი ჩასახულია და ცნობისმოყვარე სოფელი ცხოველი ინტერესით ელის მის განვითარებას. ხალხი თითქოს გასართობად მოსულია. თითქმის ყოველ სცენაში სიმღერა და ცეკვაა. პროვინციელები ვალსს ცეკვავენ და თან ჭორაობენ. ისე ელეგანტურად უჭირავთ თავი, რომ ნამდვილ არისტოკრატებს შეშურდებათ, ეს არ არის დაჩაჩანაკებული (როგორც აბესალო ამბობს) როდამიშვილების სამყარო, არც გაღატაკებული იმერული სოფელია. აქ ყველაფერი კოპწია და დახვეწილია, პლასტიკურად ჭვენიერია, ჰაეროვანია. ეს დავით კლდიაშვილის სამყაროა თავისი არსით, თავისი შინაგანი ბუნებით. რეჟისორმა გმირებს მოხსნა „ისტორიის ჩენჩო“, მაგრამ სული დაუტოვა.

ა. მახარობლიშვილი ზუსტად გადმოსცემს აბესალოს ექსტაზს. იგი ატაცებულია და თავბრუდამხვევად ტრიალებს მოქეიფეთა შორის, რათა ირინე (თ. ლოლაშვილი) ცოლობაზე დაიყოლიოს, თ. ლოლაშვილის ირინე ხაზგასმულად მოკრძალებულია, ჩანს, რომ მას არ შეუძლია წინ აღუდგეს აბესალოსა და მამის—ფილიპეს (ნ. ცერცვაძე) სურვილს. საამისოდ შესაფერი ტონიც მოუძებნია მსახიობს. თითქოს შებორკილია განცდების გამოხატვის დროსაც. მორჩილების იდეა თანსდევს მის ყოველ სცენას. ზოგჯერ საერთო პლანში ნიველირდება კიდეც ირინეს სახე, რაკი რეჟისორს ირინეს „ბედნიერება“ კი არა, —აბესალოს დრამა აინტერესებს უპირველესად, სტრუქტურულადაც ისეა სპექტაკლი აგებული, რომ ირინე მეორე პლანზე ინაცვლებს. ამ მისიას წარმატებით ასრულებს თ. ლოლაშვილი. იგი იმდენად ერთგულია წარმოდგენის კონცეფციისა, იმდენად მორჩილია მისი (და არა მარტო აბესალოსი!), რომ ერთგვარად ფერმკრთალდება კიდეც ირინეს სახე ფინალში. უკვე სულ სხვა აზრს იძენს მისი სიტყვები: „აი, ჩემი ბედნიერება, მამა!.. ხომ ხედავ?.. ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ა?“ თავის მნიშვნელობას ჰკარგავს სამსონის სიტყვებიც: „რა ქენ, შე უბედურო, რა ქენი ეს? ქალი მოჰკალი განა?!“ „ნეტავი მართლა მოვეკალი“... ამბობს ირინე. აქ ირინეს დრამატული სიტუაცია ადვილდება. აქ აბესალოს ბედი უფრო გვაღელვებს და გვიტაცებს, ვიდრე ირინესი!..

ა. მახარობლიშვილის აბესალოს პირვე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „უბედურება“.

ლი აშკარა შეჯახება როდამიშვილთან ამ უკანასკნელის მიერ ცაში რევოლვერის გასროლით მთავრდება. რეჟისორმა სრულიად არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა აბესალო და პავლე. პავლე მეტწილად კომიკურ ტიპსა ჰგავს. ჩანს, რომ რეჟისორისათვის ამოსავალი გახდა აბესალოს ფრაზა: „ვიღაც ჩანჩურა როდამიშვილის გულისათვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ!“ პავლეს სახის ანალიზი სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ იგი მართლა „ჩანჩურაა“. პავლე როდამიშვილი ვაჟკაცობით აბესალოს არ ჩამოუვარდება, მას არც გულადობა აკლია და არც მომხიბვლელობა, მაგრამ უფრო თავდაჭერილია, უფრო ზრდილია და მოკრძალებული, ვიდრე აბესალო. ირინესა და როდამიშვილის სიყვარულიც, ალბათ, ამ მორჩილ სულთა ერთობაზეა დამყარებული. და კიდევ იმაზე, რომ ორივე მშვენიერი ახალგაზრდაა და წოდებრივადაც თანასწორნი არიან.

როდამიშვილი ტოლს არ უდებს აბესალოს. როდამიშვილი აბესალოს აფრთხილებს: „გიჯობთ, თავი შეიკავოთ და წინდახედულად ილაპარაკოთ“. აბესალოს სასაცილოდაც არ ჰყოფნის როდამიშვილის გაფრთხილება. როდამიშვილი კვლავ მიმართავს: „ტყუილა იქაჩებით... თქვენი არავის არ ეშინია, ამაზე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ“. თავის ძალაში დაჯერებული როდამიშვილი არ შეუშინდება აბესალოს და მასზე გაიწევს კიდეც. ვიქტორი აშველებს მათ. როდამიშვილს კი მიმართავს: „პავლე, ჭკუაზე მოდი! ყმაწვილო, ამას მოველოდით შენგან!“ აი, აქ არის სათავე როდამიშვილის ხასიათის ე. წ. „სირბილისა“. მისგან არავინ არ ელოდება უტაქტობას, დებოშს, საზოგადოებისათვის შეუკადრებელ საქციელს. აბესალოსგან კი ყოველდღე ითმენენ ამგვარ რამეს. „ირინეს ბედნიერების“ ვარიანტებში არის ასეთი მინაწერები: როდამიშვილი ეუბნება ვიქტორს: „აქედან დღეს ან მე ან აბესალო ცოცხალი ვერ წავალთ, თუ მაგ მხეცმა თავი არ შეიკავა!.. კმარა, რაც მაგას უსაქციელობა ჩაუდენია... ღმერთმანი კმარა! მართალია განთქმული ვაჟკაცია და თავი მოაქვს, მაგრამ მე არ მივხედავ მაგის დევგმირობას“. მწერალს სახე უცვლია აზრისთვის და მიუწერია: „მაგ შეჩვეულია ყოველგვარ სისაძაგლეს და გათავხედებულია, რომ ყველა ერიდება და ხმას არ სცემს... მაგრამ დღეს მე მოთმინებიდან გამომიყვანს, ვატყობ და ან მე ვიქნები და ან მაგ... მე არ მივხედავ, რომ ვაჟკაცობით მოაქვს თავი!“.. საბოლოოდ კიდევ უფრო შერბილდა და დაიხვეწა როდამიშვილის ტექსტი, რაც ბოლო ვარიანტშია წარმოდგენილი. მაგრამ სული მაინც უცვლელი დარჩა. როდამიშვილი მზად არის ირინესათვის თავი გასწიროს, მაგრამ დრო, სიტუაცია, ირინეს მამის აქტიურობა და სოციალური პირობები აიძულებს გულში ჩაიკლას დარდი. ეს არის

სცენა საოპერო სპექტაკლიდან „დარისპანის გასაჭირი“ (ქუთაისი).

უაღრესად რთული ხასიათის პიროვნება და ერთობ რთულ სიტუაციაშიც უხდება ცხოვრება. სპექტაკლში კი როდამიშვილის ხაზი გამრუდებულია. პავლეს მიერ რევოლვერის სროლა, აბესალოსთან მამლაყინწობა და საერთოდ მთელი მისი ქცევა ექსცენტრიულია და სასაცილო. მაყურებელიც იცინის. ზუსტია მისი რეაქცია, მაგრამ სპექტაკლის საერთო ატმოსფეროსთვის სრულიად შეუფერებელია იგი. როდამიშვილის სახის რეჟისორულ გადაწყვეტაში შეგნებულად არის დაშვებული გადახვევა (განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში), რაც წარმატებით არის აქტიორულად რეალიზებული. ამის გამო ერთობ მძიმე სიტუაცია იქმნება ფინალში. როდამიშვილი მიდის აბესალოსთან. მთელმა სოფელმა შეიტყო აბესალოს გახელების ამბავი. სიტუაცია კულმინაციურია. რეჟისორი შ. გაწერელია და წარმოდგენის ყველა მონაწილე წარმატებით ქმნიან საფინალო სცენას. როდამიშვილის გამოჩენა ნამდვილ ვაჟკაცობას ნიშნავს. მისი ბუნების კაცისგან სხვას არც უნდა ველოდეთ (პიესაში ხომ ნათლად ჩანს თუ რა ძლიერსა და კეთილშობილ პიროვნებასთან გვაქვს საქმე!). და, აი, დადგა მომენტი, როცა თავდებად უნდა დაუდგეს ირინეს პატიოსნებას. როდამიშვილი ოჯახის უფროსს მიმართავს: „ჩემი აქ მოსვლა სრულიად შიშის ნიშანი არ არის თქვენი შვილის დამუქრების წინაშე, რომ ცოცხალს არ მარონიებს დედამიწაზე!.. სინდისი მეუბნევა და ამაში არ უნდა ვიყო შემცდარი, რომ ჩემი გაჩუმება, სხვანაირად მოქცევა, გარემოების წაყრუება — შეფერებათ მიიღება და ამით მე მართლა და საბუთი მივცე, დააჭეშმარიტოს ის, რაშიც ბრალს მდებს თქვენი შვილი“. ამას მოსდევს როდამიშვილის ვაჟკაცური ფიცი, რომ აბესალოს მოჩვენების მსგავსი არაფერი არ მომხდარა მასსა და ირინეს შორის. სპექტაკლში მსახიობი თ. შამათავა ცდილობს გულწრფელად ჩაატაროს ეს მონოლოგი, უთანაგრძნოს თავის გმირის ბედს, მაგრამ შედეგი არ ჩანს, რადგან თავიდანვე სულ სხვა ხაზით განვითარდა პავლეს სახე. თითქოს გამართლდა ერთ-ერთი კრიტიკოსის სიტყვები: „არც ისაა ვგონებ წარმოსადგენი, რომ ახალგაზრდა კაცი მივიდეს ოჯახში, სადაც მას მოსაკლავად არ დაინდობენ და გამოუცხადოს საჯაროდ ქმარს, მე შენ ცოლს არ ვყვარობო“. ეს ითქვა ამ ოთხმოცი წლის წინათ. ითქვა საკმაოდ მარტივად და ისე, როგორც ეს იყო შესაძლებელი იმ დროს, როცა არ ითვალისწინებდნენ დ. კლდიაშვილის მხატვრულ თავისებურებას, მაგრამ დღეს სრულიად შეუსაბამოა მისი ინტერპრეტაციის ნახვა!..

წარმოდგენაში ფსიქოლოგიურად ღრმად არის მოტივირებული მახარობლიშვილის აბესალოს ცხოვრების გზა — ექსტაზიდან სულიერ დეპრესიამდე. რეჟისორის ჭკვიანი თვალი არ შორდება აბესალოს. მისთვის

მნიშვნელოვანია ყოველი დეტალი და თვით უფაქიზესი ნიუანსიც კი. თითქოს ძლიერი ჭოგრიტით იცქირება აბესალოს სულის უფსკრულში და ცდილობს უცნაურად რთული და მრავალპლანიანი კომპლექსის ამოხსნას. არაფერი ძალდატანებით აქ არ ხდება. ამაოდ დაუწყებთ ძიებას არაბუნებრივ ინტონაციებს, ანალიტიკოსის მშრალი გონებით შეთხზულ კონცეფციას. ყველაფერი ემყარება აბესალოს სახის ანალიზს, განცდათა ბუნებას, დ. კლდიაშვილის ნაწარმოების სიღრმეების წვდომას. რეჟისურა და მსახიობთა ხელოვნება, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება (დ. გურგენიძისა) საოცრად ჰარმონიულია, მთლიანია თავის მოქმედებაში, თანმიმდევრულია სათქმელის გამოვლენაში.

ჰქონდა თუ არა ფსიქოლოგიური საფუძველი აბესალოს ეჭვიანობას? რასაკვირველია, ჰქონდა, თუკი მის პოზიციას გავიზიარებთ. როგორც კი ვნება დაიცხრო, წინა პლანზე წამოვიდა ცოლქმრული ურთიერთობის სხვა მოტივები. ირინე დარჩა გულდახურული, შინ გამოკეტილი, მარტვილივით გარესამყაროს მოცილებული ქალი. აბესალოს, რომელსაც სოფელში ვაჟკაცის სახელი ჰქონდა, არ ასვენებდა როდამიშვილის არსებობა. მან ირინეს სიყვარული წაართვა, სანაცვლოდ ირინეს თავისი თავი შესთავაზა, მაგრამ მისთვის გაუცხოებული აღმოჩნდა. აბესალოს სულს არყევდა ამაზე ფიქრი. ვიქტორი ეკას ეუბნება: „რამდენადაც მე გავიგე... აბესალო იმ ყმაწვილთან ეჭვობს ირინეს, ქე რომ წაართვა... ურთმევა იყო, აბა რა იყო!.. იმასთან ეჭვობსო... ასე მითხრეს...“ მაშ ასე. სოფელში უკვე ხმა დარხეულა. აბესალოს ეჭვიანობა „სალაპარაკო გამხდარა“. რა საფუძვლით ალაპარაკებულა სოფელი? რატომ წრიალებენ ასე უდარდელად და ირონიული ღიმილით ქოლგიანთა წყვილები? რატომ ნათდება ფართოდ გახელილი თვალები კედლიდან, როცა სცენაზე ჭორი იბადება? ამის პასუხს ვიქტორი იძლევა: „მინდოდა მენახა და მეთქვა ერთი-ორი სიტყვა, თორემ ნამეტანი მითქმა-მოთქმაა და უარესი ის არის, რომ აბესალოსაგან ეძლევათ სალაპარაკო... უნდა მოისპოს ეს უცნაური და უხეირო ლაპარაკი! აბესალოკია დამნაშავე ყორისფელში... (ხაზი ჩვენია — ვ. კ.). ეს ხდება მეორე მოქმედების პირველ გამოსვლაში. ვიქტორი ჩქარობს, რათა გაფანტოს გაუგებრობის ნისლი, აბესალოს გონებას რომ ბანგავს. მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდება. აბესალო ხომ ძლიერი ემოციის კაცია (ეს შესანიშნავად არის აქტიორულად გამოვლენილი). მისთვის არასოდეს არ ყოფილა სანახევროდ რაიმე. ყველაფერს ეძლეოდა მთელი გულით, გატაცებით და ასევე გაჰყვა ჭორის ტალღებსაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ ქეიფში აღარ მოუთმინეს

სცენა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „ირინეს ბედნიერება“

მის ახირებას და მიაძახეს: „ჩემზე რომ ასე თვალი გიჭირავს, უკეთესი იქნებოდა ცოლისათვის გედევნებინა აგრე მარჯვედ თვალიო!“... ესღა აკლდა აბესალოს და იგი ვეფხვივით გამძვინვარდა. მისი შეჩერება აღარავის შეეძლო. ვიქტორი, როგორც სპექტაკლის გონების ხმა, ფხიზელი აზრის სიმბოლო, კვლავ ცდილობს კონფლიქტის განელებას. „შეურცხვა მაგას ყმაწვილკაცობა! გამოაჭენა ქალი ასე ტყვილა უბრალოდ! ყველამ გაიგო, ყველა მიახვედრა, რომ ცოლს ეწამება“... სოფელს კი უყვარს „რომანტიკული ჭორი“! უყვარს ფუსფუსი საოჯახო დრამებზე და ბევრმაც გამოგონილი სინამდვილედ მიიღო. რა შესანიშნავად არის მოცემული მთელი ეს პროცესი სპექტაკლში. საოცარი ტაქტითა და ზომიერებით ვლინდება მასის კომენტარები. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“ — ოდითგან თქმულა სოფელში და თითქოს მის გასამართლებლად სეირნობენ თუ ცეკვავენ ასე გულგრილად. აბესალო და ვიქტორი კი ცხარე დისკუსიას მართავენ, ვიქტორი აწრიალებული დასდევს აბესალოს, ხშირად სიტყვის დასრულებასაც ვერ ასწრებს. მახარობლიშვილის აბესალო და ლორიას ვიქტორი შესანიშნავად ავლენენ ამ ბორიალის მიღმა ჩაფენილ სულიერ თრთოლვას. აზრი და ემოცია უპირისპირდება ერთმანეთს. გონიერების ხმისა და გრძნობამორეულ აბესალოს შეპირისპირება უკეთ ავლენს წარმოდგენის რთულ ფსიქოლოგიურ ნაკადებს. ხაზს უსვამს მის მრავალფეროვან ბუნებას. „ცრუ წარმოდგენას აყოლიხარ“, — ჩასძახის ვიქტორი, მაგრამ ამ ხმას უკვე ძალა აღარა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარობლიშვილის აბესალო მოჩვენებების ტყვეობაშია. ფიქრით ხედავს თუ როგორ ცეკვავენ ირინე და როდამიშვილი (აქ დამაჯერებელია თ. შამათავა). ირინე თანდათან შიშვლდება მის წარმოსახვაში და აუტანელი ხდება აბესალოს ცხოვრება. ცრემლები ერევა, გრძნობა იმონებს, უაზროდ წრიალებს, შესაბრალისი ხდება. აბესალოსა და ირინეს მოტივს ხშირად გიტარის ნაღვლიანი ხმა ერწყმის. აბესალოსა და ირინეს ჯვრისწერის საინტერესო ცერემონიალს თან სდევს დრამატული ინტონაცია. აბესალოს ფიქრი გაექცა როდამიშვილზე და უმალ დაწყვილებული ეხატება ირინე და პავლე. გოლგოთასავით მტანჯველი აღმოჩნდა აბესალოს გზა, მაყურებელი თანაგრძნობით მიჰყვება მის გზას და წამითაც არ შორდება მას. რეჟისორი ფსიქოლოგიურად ასაბუთებს აბესალოს მოქმედების ყოველ ეტაპს და ბოლოს მისი გაბედული კონცეფციის თანამოაზრედ გვხდის. რამდენად უცნაური, შოკში ჩამგდები და მოულოდნელიც არ უნდა იყოს აბესალოს სიკვდილი, სპექტაკლში იგი გამართლებულია. შ. გაწერელიას აქვს დიდი რეჟისორის სითამამე, სიჯიუტე და თანმიმდევრობა თავისი კონცეფციის გამოვლენაში. იგი ძლიერია, რად-

სცენა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „ირინეს ბედნიერება“.

გან ღრმად სწამს ის, რასაც აკეთებს, მისი რეჟისორული პოზიცია მაღალ მოქალაქეობრივ პრინციპებზეა აღმოცენებული. რეჟისორს შეუძლია მხატვრულად ამოხსნას ურთულესი სოციალური პროცესები, ფსიქოლოგიური მოტივაცია მოუძებნოს ყოველ სახეს, ყოველ სცენას. შექმნას განწყობილებათა უწყვეტობა. ამ მთლიანობის მაგალითია „ირინეს ბედნიერებაც". მეთოდოლოგიურად ზუსტად აწყობილ სპექტაკლში თავის აღვილს პოულობს ყოველი მსახიობი. შეუზღუდავია მათი შინაგანი აქტივობა და იმპროვიზაციული ინიციატივა. მსახიობები გრძნობენ წარმოდგენის მადლს, სიამოვნებას ჰგვრით იგი ღა გატაცებით თამაშობენ.

არტისტიზმით გამოირჩევა ნ. ცერცვაძის ფილიპე ბარბაქაძე. მსახიობი სცენის ოსტატის ნიჭიერებით ხატავს რეალისტურ სახეს. მისი მოძრაობა, ჟესტი იმის მანიშნებელია, რომ ფილიპეს სახლშიც შეიძლება დიდი წვეულების გამართვა, მისი მხარგაშლილობა, მოუსვენარი წრიალი და აქტიური ქმედება, ფილიპეს სახის ახალ მომენტებზე მიგვანიშნებს. იგი განსხვავებულია ფილიპეს როლის ტრადიციული შესრულებისაგან. მასში არ არის არავითარი „ფარსული" მანერა, იგი რეალისტურია თავით ფეხებამდე და ზომიერად სტილიზებულია. იგრძნობა სახის განვითარების პროცესი. არც ნ. ცერცვაძე და არც სხვა მსახიობები, იქნება ეს ბ. ხაფავა (ეკა), თუ სამსონი (შ. ქრისტესაშვილი), ა. მახარობლიშვილი, თ. ლოლაშვილი თუ სხვანი, არ იძლევიან რეზულტატებს. ისინი გვიჩვენებენ მათი გმირების შინაგან პროცესებს, ფსიქოლოგიურ ძვრებს და განწყობილებათა სიმართლეს. მეტად ეპიზოდურია ბ. ხაფავას ეკა, მაგრამ სავსეა შინაგანი სიმართლით, აზრიანია მისი სიტყვა და რეაქცია. მხატვრულ სიმართლეს აღწევენ მ. შარიქაძე (სოგრატი) და ვ. მექვაბიშვილი (ნესტორი). პატარა, მაგრამ ცოცხალი, ფსიქოლოგიურად ზუსტი დეტალებით ავსებენ სპექტაკლს ქ. შერვაშიძე, ნ. მამულაშვილი, ა. შარმანაშვილი, მ. აბაშიძე, მ. მაჩაიძე, ძ. კიკაჩეიშვილი, თ. თავართქილაძე. ეს არის სპექტაკლის ფონი, სადაც დიდი ადამიანური დრამა უნდა გათამაშდეს და ისინი წარმატებით ასრულებენ ამ ფუნქციას. გვამახსოვრებენ თავს ცალკეული ჟესტით, ცეკვის სტილით თუ სიარულის მანერით. წარმოდგენაში რთული ფუნქცია ხვდა ტილად თ. შამათავას, მაგრამ დამაჯერებელია-იქ, სადაც საამისოდ პირობები ექმნება. ჩანს, რეჟისორ ო. ბაღათურიას გულმოდგინე მუშაობის კვალი. ეს არის სპექტაკლი, სადაც ერთობ ფასეულია ყველას წვლილი. აქ მიღწეული მხატვრული მთლიანობა, რომელიც სრულქმნილების რანგშია აყვანილი — თეატრის ჭეშმარიტად დიდი გამარჯვებაა. იგი, ამასთანავე, იმაზე მეტყველებს, რომ შ. გაწერელიასთვის დ. კლდიაშვილის შემოქმედებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მწერალი დიდ ეკვლენას ახდენს თეატრის სადღეისო მხატვრული პოზიციის შემუშავებაზე.

ის გარემოება, რომ შ. გაწერელიას სპექტაკლში არის სადავო მომენტები, სრულიადაც არ ამცირებს მის საერთო მხატვრულ ღირსებებს. წარმოდგენას თითქოს მოუხდა კიდეც ძველი რუსული რომანსები თუ სხვა ამგვარი ტექსტუალური ჩანამატები, რათა სცენურად უკეთ გამოვლინდეს პროვინციული სამყაროს არისტოკრატული პოზა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დავით კლდიაშვილისთვის სრულიად უცხოა გმირის დახასიათების ამგვარი მეთოდი. თავის არცერთ პიესასა თუ მოთხრობაში არ მიმართავს იგი რუსულ სიტყვებს. გადამეტებულად გვეჩვენება ირინეს სრული გაშიშვლება. აზრობრივად გასაგებია რეჟისორის ჩანაფიქრი (აბესალოს ეჩვენება ირინე ბოლომდე შიშველი), მაგრამ სპექტაკლში აზრი უამისოდაც ნათელია, ამიტომ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს ეს „კადრი".

... მწუხარედ მთავრდება „ირინეს ბედნიერება", სოფელი ისევ მხიარულობს, თითქოს არაფერი მომხდარა. სავარძელში განმარტოებული ზის აბესალო, წამიც და... მკლავები ჩამოუვარდება. ხალხი უცებ შეკრთება. ფარდა ნელ-ნელა ეშვება. სეზანის პატარა სურათში მოელი ზღვა ეტევაო, უთქვამთ. ასეა აქაც. შალვა გაწერელიას ერთაქტიან სპექტაკლში მთელი ცხოვრებაა დატეული.

დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებით" შ. გაწერელია კვლავ შეგვახსენებს, რომ მოზარდთა თეატრში დიდი ხელოვნება იქმნება. მისი ხელმძღვანელი კი ღრმა კვალს ავლებს თანამედროვე ქართული თეატრის განვითარებაში.

ნათელი, უძლეველი და ჩაუქრობელი

ნადეჟდა შალუტაშვილი

ათას წლის წინათ საბჭოთა ხალხმა იზეიმა თავისი მრავალეროვანი სახელმწიფოს არსებობის 50-ე წლისთავი და წელს კვლავ ვზეიმობთ საბჭოთა დიდი ძმური ოჯახის მე-60-ე წლისთავს, ახალ ნიშანსვეტს ჩვენი პლანეტის საზოგადოებრივ განვითარებაში.

ამ საერთო ზეიმში, ცხადია, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის, ჩვენი თეატრის მოღვაწენი.

ქართული თეატრი, დღიდან თავისი დაარსებისა, ვითარდებოდა რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების თეატრალურ კულტურებთან მჭიდრო კავშირში.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შექმნილ სასულიერო სასწავლებლებში — თბილისსა და თელავში — უკრაინული და რუსული სასკოლო თეატრების გამოცდილების გამოყენებით იდგმებოდა თარგმნილი დრამები, ხოლო საერო თეატრმა, გ. ავალიშვილის მეთაურობით, თავის რეპერტუარში შეიტანა რუსული დრამატურგიის ფუძემდებლის ა. სუმაროკოვის პიესები „დედა რაყიფი ქალისა“, „ბუნება მკვდართა“ და „რქოსანი წარმოდგენით“, თარგმნილი იყო იმავე ავტორის ტრაგედია „სინავი და ტრუვორნი“.

იმავე საუკუნეში დიდ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდნენ რუსეთში ემიგრაციაში მყოფი ქართველები, მათ შექმნეს თავიანთი სტამბა, სადაც გამოსცემდნენ ქართულ წიგნებს. იქ მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ისეთი გამოჩენილი პირნი, როგორიც იყვნენ ვახუშტი ბაგრატიონი, სულხანსაბა ორბელიანი, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, რომელმაც თავის შემოქმედებაში ბრწყინვალედ შეადუღაბა ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების შემოქმედებითი გამოცდილება. XVIII საუკუნის რუსული თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი იყვნენ ცნობილი პროფესორი, მეცნიერი-იურისტი, დრამატურგი, შილერის რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელი ნიკოლოზ ზანდუკელი-სანდუნოვი და მისი ძმა, გამოჩენილი რუსი მსახიობი, იმ დროის რუსული სცენის ვარსკვლავი, რომელიც თანამედროვეებმა „რუს ბომარშედ“ და „რუს ფიგაროდ“ მონათლეს — სილა (სილოვან) ნიკოლოზის ძე ზანდუკელი-სანდუნოვი.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ინტერესი საქართველოსადმი, ქართული კულტურისადმი უფრო გაიზარდა. საქართველოს, მისი ისტორიისა და ყოფის თემატიკა აისახა არა მარტო რუს კლასიკოს პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაში, არამედ რუსულ თეატრშიც. კერძოდ, გასული საუკუნის პირველი ნახევრის სახელგანთქმული რუსი ტრაგიკოსი, ჰამლეტის როლის ბრწყინვალე შემსრულებელი პ. მოჩალოვი უდიდესი ნიჭიერებით ასრულებდა ქართველი თავადის როლს ბეკლემიშევის რომანტიკულ დრამაში „მაიკო“. თანამედროვენი აღაფრთოვანა ამ მსახიობის მიერ ქართული ეროვნული ხასიათის შესანიშნავმა წვდომამ, მღელვარე ტემპერამენტმა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისი ამიერკავკასიის მთავარ კულტურულ ცენტრად იქცა. თბილისში 1818 წლიდან 1828 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი რუსი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელმაც შეირთო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ასული ნინო და ბიოგრაფიულად მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს. ჩვენს პოეტურ მხარეში დაიწერა მისი გენიალური „ვაი ჭკუისაგან“, აქ მუშაობდა ტრაგედიაზე „საქართველოს ღამე“. ალ. გრიბოედოვი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი მხარის კულტურულ ცხოვრებაში, დიდი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში და მისივე ანდერძის შესაბამისად აქ ჰპოვა მან სამარადისო საყუდარი მთაწმინდაზე.

ალ. გრიბოედოვის გენიალური ქმნილება კი მტკიცედ შევიდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მის თარგმნაზე მუშაობდნენ გ. ერისთავი, გრ. წინამძღვრიშვილი, ა. ყაზბეგი, დ. მდივანი (განდეგილი), საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი თარგმნა პოეტმა ს. ფაშალიშვილმა.

ამ კომედიის დადგმა საქართველოში დაიწყეს ქართველმა, რუსმა და სომეხმა სცენისმოყვარეებმა. 1832 წ. იგი რუსულად ითამაშეს რომან ბაგრატიონის სახლში, შემდეგ კი, უკვე ქართულად ქუთაისსა და თბილისში თამაშობდნენ პროფესიონალი მსახიობები, რომელთა შორის ვ. აბაშიძემ (ფამუსოვი), მ. საფაროვა-აბაშიძემ (ლიზა), კ. მესხმა (ჩაცკი) დიდ წარმატებასა და აღიარებას მიაღწიეს.

XIX ს. პირველი ნახევრის თბილისში, გრიბოედოვის გარდა, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ აქ გადმოსახლებული რუსი დეკაბრისტი პოეტები, მწერლები, პოლონელი რევოლუციონერები.

თბილისში დაიწყო თავისი დრამატურგიული მოღვაწეობა დიდმა აზერბაიჯანელმა მწერალმა მირზა ფათალი ახუნდოვმა, რომელმაც 1854 წელს გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი სატირული კომედიები „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი“, „მოლა, იბრაჰიმ ჰალილი“. „ლეხქორანის ხანის ვეზირი“, „ყაჩაღის დამჯაბნელი დათვი“, „ჰაჯი ყარა“, „აღმოსავლელი ადვოკატები“, რომლებშიაც, ისევე, როგორც ახუნდოვის ქართველი თანამედროვის გიორგი ერისთავის კომედიებში, მხილებული იყო ფეოდალური ჩამორჩენილობა, უმეცრება, „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ძალადობა მშრომელ ხალხზე.

რადგანაც აზერბაიჯანელ ხალხს ჯერ არ გაჩნდა ეროვნული თანამედროვე თეატრი, ახუნდოვის პიესებს რუსულ ენაზე თბილისსა და პეტერბურგში დგამდნენ, ბაქოში კი მისი „ლენქორანელი ხანის ვეზირი“ მხოლოდ 1873 წელს დაიდგა. მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედება ქართველებს პირველად აკაკი წერეთელმა გააცნო, მან თარგმნა ახუნდოვის „თილისმის ხანი“, რაც სავსებით კანონზომიერია, რადგანაც ქართველი პოეტის ადამიანურ ბუნებაში, მის შემოქმედებაში, პატრიოტიზმთან ერთად, მთავარი იყო მოძმე ხალხებისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ცნობილი აზერბაიჯანელი მოღვაწე ფირდუნ ქოჩარლი აკაკის ამ თვისებას საგანგებოდ უსვამდა ხაზს, როცა 1908 წელს გაზეთ „თერგში“ წერდა: „აკაკი წერეთლისთვის მთავარ და ძირითად თემას წარმოადგენს მეგობრობა და ძმობა, ოცნება ხალხთა ურთიერთობასა და ძმურ კავშირზე შთამაგონებელია პოეტისთვის...თავისი ბასრი კალმით იგი ამხელს მეგობრობის, ძმობის და ხალხთა ერთიანობის მტრებს, მათ, ვინც სიძულვილის თესლს თესენ...წერეთლისთვის ყველა ერი თანასწორი ძმაა“.

საქართველოში მოღვაწეობდნენ სხვა გამოჩენილი აზერბაიჯანელი მოღვაწენი, საქართველოს უმღეროდნენ ხაყანი, ნიზამი განჯევი, ფალეკ შირვანი, ვილადი, ვაგიფი, ნ. ნარიმანოვი, მამედ ყული-ზადე და სხვანი. საქართველოში საგასტროლოდ ჩამოდიოდა დიდი მსახიობი ჰუსეინ არბალინსკი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ათეული წლების მანძილზე დიდი წარმატებით სარგებლობდა თბილისის აზერბაიჯანული თეატრი.

ქართველთა შორის პოპულარული იყო აზერბაიჯანული მუსიკა, განსაკუთრებით კი უზეირ ჰაჯიბეკოვის ცნობილი კომიკური ოპერა „არშინ მალ-ალან“, რომელსაც ბევრი ქართული ლასი დგამდა. საქართველოს ახლობელი იყო ბევრი სომეხი მოღვაწისთვისაც, აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ო. თუმანიანი, გ. სუნდუკიანი, ალ. შირვანზადე და სხვანი. თბილისში მოღვაწეობდა აგრეთვე აშუღური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არუთინ საიდიანი — საიათნოვა, რომელიც სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების სულიერი ერთობისა და დიდი, კეთილშობილი სიყვარულის მომღერლად არის ცნობილი.

ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში არსებობდა სცენისმოყვარეთა სომხური დასები. წარმოდგენები იდგმებოდა ნერსესიანის სემინარიაში და ავლაბარში, შერმაზანიანის დარბაზში.

საქართველო განსაკუთრებით უყვარდა გაბრიელ სუნდუკიანს, რომელსაც ქართველმა დედამ ჩვენი ენა ბავშვობიდანვე შეასწავლა. გ. სუნდუკიანის მთელი შემოქმედება თბილისურ ყოფას ასახავს, მისი შესანიშნავი ნაწარმოებების გმირები თბილისური ჰაერით სუნთქავენ. სუნდუკიანმა თბილისში დაწერა „ხათაბალა", „კიდევ ერთი მსხვერპლი", „პეპო" და სხვა. „პეპოს", სუნდუკიანის პიესების ამ გვირგვინს, ა. წერეთელმა „ობოლი მარგალიტი" უწოდა. თბილისის ქარგაზე გაშლილ ამ ნაწარმოებში, ისევე, როგორც მის სხვა პიესებში, გვხვდება ქართული გამოთქმები, ანდაზები, გ. ორბელიანისა და ა. ჭავჭავაძის ლექსები.

გ. სუნდუკიანის პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, იგი მეგობრობდა ქართული თეატრის მოღვაწეებთან, ორგანულად იყო შერწყმული ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურასთან. აკ. წერეთელმა მას სამი ლექსი უძღვნა.

თავის მხრივ, ქართველი ინტელიგენცია დიდ ინტერესს იჩენდა სომხური თეატრისადმი, არაერთგზის გამოსულან სცენაზე დიდი მსახიობები — პ. ადამიანი, სირანუიში, გ. ჩიმიშკიანი, ვ. ფაფაზიანი და სხვები, მათი შემოქმედება ამდიდრებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებას, შეჰქონდა მასში ახალი ფერები...

ქართული სცენის ოსტატები გულით მეგობრობდნენ სომეხ კოლეგებს. ქართული თეატრის თვალსაჩინო და გამოჩენილი მსახიობების ვ. აბაშიძის, ნ. გაბუნიას, მ. საფაროვა-აბაშიძის, კ. მესხის, ვ. გუნიას და სხვათა შემოქმედება წარმოუდგენელია იმ როლების გარეშე, რომლებსაც ისინი სომხურიდან თარგმნილ ღრმად რეალისტურ, სოციალურად მკვეთრ ნაწარმოებებში ანხორციელებდნენ.

რევოლუციამდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ რუსული და უკრაინული თეატრის მოღვაწეებს. 1845 წ. ჩამოყალიბდა რუსულ-უკრაინული დასი. პირველ სპექტაკლად, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა, ნაჩვენები იყო ი. კოტლიარევის კომედია „ნატალკა პოლტავკა". აღნიშნული დასის ჩამოყალიბების ორგანიზატორებს დახმარება აღმოუჩინა დიდმა რუსმა მსახიობმა მ. შჩეპკინმა.

გ. ერისთავის თეატრის ლიკვიდაციის შემდეგ, მალე დახურეს რუსული თეატრიც, მაგრამ თბილისის ფერადოვანი თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა — დიდად პოპულარული იყო იტალიური და რუსული ოპერები. XIX ს. მეორე ნახევარში სცენისმოყვარეთა დასებთან ერთად შეიქმნა რუსული „არტისტული წრე", რომელიც წარმოდგენებს მართავდა ე. წ. თამამშევის თეატრის (დაიწვა 1874 წ.) დარბაზში, ზაფხულობით გერმანელების კოლონიის და თავად ერისთავის კუთვნილ ბაღებში.

1855 წლიდან თბილისის რუსული დასი კერძო ანტრეპრენიორების ხელში იყო, მასში მოღვაწეობდნენ სხვადასხვა გასტროლიორები. 1866 წ. ჩამოვიდა ნემოვის დასი, რომელმაც დიდი წარმატებით დადგა ა. ოსტროვსკის პიესები.

1866 წლიდან იმართებოდა ანტრეპრენიორ ა. იაბლოჩკინას რუსული დასის წარმოდგენები, თეატრის რეპერტუარში ისეთი სერიოზული ნაწარმოებები იყო შეტანილი, როგორიცაა „ვაი ჭკუისაგან", „რევიზორი" და სხვ.

70-იან წლებში რუსულ დასში მოღვაწეობდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო თეატრების მსახიობები, მათ შორის ა. ლენსკი, ო. პრავდინი და სხვა. თბილისში რამდენიმე სეზონის მანძილზე თავისი ანტრეპრიზები ჰქონდათ პალმს, ფორკატის, ფახთუაშვილ-ფითოევს, ვოლგინას, ლიუდვიგოვას, სობოლშჩიკოვ-სამარინს და სხვა. რუსულ სცენაზე იდგმებოდა გრიბოედოვის, გოგოლის, ოსტროვსკის, სუხოვო-კობილინის, ლერმონტოვისა და სხვათა პიესები.

1879 წ. აღდგენილი ქართული თეატრის მოღვაწეობასთან ერთად აღსანიშნავია თბილისში ჩამოსული სხვადასხვა გასტროლიორები. დიდი წარმატება ჰქონდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ტრაგიკოსს ერნესტო როსის.

1883 წ. განსაკუთრებული მოვლენებით იყო აღსავსე — ამ წლის ზაფხულში თბილისში უდიდესი წარმატებით ჩატარდა მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლები, თეატრს რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერტუარში შექსპირის, შილერის, გუცკოვის, ოსტროვსკის საუკეთესო პიესები ჰქონდა. მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურეს ამ შესანიშნავი კოლექტივის კორიფეებმა გ. ფედოტოვამ, ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა, და სხვებმა.

მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობები (1900, 1901, 1903) კვლავ ეწვივნენ საქართველოს. 1900 წ. გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი" ამ თეატრის მსახიობთა შესახებ წერდა: „სულითა და გულით ვუსურვებთ მათ სხვაგანაც ისეთსავე წარმატებას, როგორც თბილისში. მაყურებლის სიმპათია მათ დაიმსახურეს თავიანთი შესანიშნავი ანსამბლითა და ნიჭიერებით".

მცირე თეატრის მსახიობთა შორის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, რომელიც ამ დასის არა მარტო მსახიობი, არამედ რეჟისორი, პედაგოგი და ამ თეატრის ხელმძღვანელიც იყო. ა. სუმბათაშვილმა საქართველოსთან დააკავშირა ბევრი რუსი თეატრალური მოღვაწე, მისი „ღალატი" არაქართველ მაყურებელს აცნობდა ქართველი ხალხის ავბედით ისტორიულ წარსულს. ეს პიესა 1902 წ. უდიდესი წარმატებით დაიდგა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე. სპექტაკლში განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს ისეთმა წამყვანმა ძალებმა, როგორიც იყვნენ — მ. ერმოლოვა (ზეინაბი), ა. სუმბათაშვილი (ოთარბეგი), ე. ლეშკოვსკაია (რუქაია), ა. ლენსკი (ანანია), ა. ოსტუჟევი (ერეკლე) და სხვ.

მ. ერმოლოვას თამაშით აღფრთოვანებული სუმბათაშვილი წერდა, რომ მისთვის შეუცნობელი შეიქნა თუ როგორ შესძლო ამ თავით ფეხებამდე სლავმა ქალმა, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოში, ასე კარგად გადმოეცა ქართველი ქალის, დედის სულიერი ტანჯვანი, მისი ფსიქოლოგია...მცირე თეატრის მსახიობთა გარდა, თბილისისა და ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ რუსული სცენის ისეთი სახელგანთქმული ოსტატები, როგორიც იყვნენ მ. სავინა, ვ. დავიდოვი, ვ. ვარლამოვი, მ. პეტიპა, მ. დალსკი, ძმები ადელგეიმები, ვ. კომისარჟევსკაია, პ. ორლენევი, ლ. ივორსკაია, ს. კუზნეცოვი, ნ. რაფინი და სხვა.

1883 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეწვია დიდი რუსი დრამატურგი ვ. ოსტროვსკი. მისი ჩამოსვლა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ა. ოსტროვსკიმ იმოგზაურა ქართლში, იყო ბათუმში, გაეცნო ქართველ მწერლებს, თეატრალურ მოღვაწეებს; ქართველი საზოგადოების მიერ მოწყობილმა საღამომ (20 ოქტომბერს), რომელზეც ითამაშეს ნაწყვეტები ა. ცაგარლისა და გ. სუნდუკიანის კომედიებიდან და ერთი სცენა „შემოსავლიანი ადგილიდან", სტუმრისთვის ტრიუმფად იქცა. ქართველი მსახიობების თამაშმა „შემოსავლიან ადგილში" ავტორი დიდად ააღელვა. დრამატურგმა შეაქო ვ. აბაშიძის იუსოვი, ნ. გაბუნიას კუკუშკინა. აღაფრთოვანა მ. საფაროვა-აბაშიძისამ, რომელსაც მიმართა ცნობილი სიტყვებით — „სანამ თქვენ ცოცხლობთ, ჩემი პოლინა არ მოკვდება".

საზეიმო საღამომ, რომელიც ასე საინტერესოდ და დაწვრილებით აქვს აღწერილი ი. გრიშაშვილს თავის „ლიტერატურულ ნარკვევებში", ვ. აბაშიძის ღრმა აზრითა და ემოციით სავსე სიტყვამ, ა. ცაგარლის ლექსმა, ვულგაშლილმა ქართულმა მასპინძლობამ დიდ რუს მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და სამშობლოში დაბრუნებულს მისცა სტიმული შეექმნა თავისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დრამატული ნაწარმოები „უდანაშაულოდ დამნაშავენი".

ქართველი მსახიობების შემოქმედებით ცხოვრებაში დამკვიდრდა გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ოსტროვსკის, სუხოვო-კობილინისა და სხვათა ნაწარმოებები, მათ არაერთი ღირსშესანიშნავი სახე შექმნეს რუს დრამატურგთა ნაწარმოებებში. რუსული რეალისტური დრამატურგია დიდ დახმარებას უწევდა ქართული თეატრის მოღვაწეებს ცხოვრებისეული სიმართლის, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის სასცენო ხელოვნებაში.

1888 წლიდან დაწყებული საქართველოს ხშირი და სასიამოვნო სტუმრები იყვნენ უკრაინელი მსახიობები. ამ დროისათვის ქართველი საზოგადოებრიობა კარგად გაეცნო უკრაინის ისტორიას, ამ ხალხის კულტურას, საქართველოში პოპულარული იყო დიდი კობზარის — ტ. შევჩენკოს ნაწარმოებები. საერთო აღიარება ხვდათ წილად მ. სტარიცკის (1889), მ. კროპივნიცკის (1890), გ. დერკაჩის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1892), ო. სუსლოვისა და ა. სუხოდოლსკის (1895, 1896, 1897), მ. სადოვსკისა და ვ. ზანკოვეცკაიას (1897), დ. ჰაიდამაკას (1915) და სხვათა უკრაინულ დასებს.

ამ დასების მსახიობთა ემოციური, ცეცხლოვანი თამაში, ეროვნული დრამატურგიის კორიფეთა მ. სტარიცკის, მ. კროპივნიცკის, ი. კარპენკო-კარისა და სხვათა პიესებში დასმული მტკივნეული სოციალური საკითხები, ყოველივე ის, რაც ცარიზმის ბატონობის პირობებში აუტანელს ხდიდა მცირე ერების ცხოვრებას და რასაც უკრაინელები წარმოადგენდნენ, გულზე ხვდებოდა ქართველ მაყურებელს. გასაგებსა და ახლობელს ხდიდა უკრაინელი ხალხის პროტესტანტულ განწყობილებებს, მის ოცნებებს უკეთეს მომავალზე.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელ მსახიობთა გასტროლები ხშირად ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დემონსტრაციად იქცეოდა. ასე მოხდა მ. ზანკოვეცკაიას ბენეფისზე 1890 წ. თბილისის ოპერის თეატრში.

1919 წელს სახალხო სახლში ჩატარებული დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს საღამო სხვადასხვა ერების მოწინავე ადამიანთა ძმური ერთიანობისა და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად იქცა. როგორც ი. გრიშაშვილი აღწერს, „უკრაინელები პარტერში მყოფ ქართველებს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ჭეშმარიტად, ეს იყო პროტესტი ცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც კრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი. ეს იყო ორი ერის ერთნაირი გრძნობებით გამსჭვალვა, თავისუფალი ამოძახილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დარაზმვა, სიყვარულით გაერთიანება“...

მოძმე ხალხთა საუკეთესო, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გასტროლები, მათი შემოქმედება გათავისებული ჰქონდათ ქართველებს და ამის დემონსტრაცია ხშირად თეატრში ხდებოდა.

საქართველოს ორჯერ ესტუმრა დიდი მწერალი და დრამატურგი ანტონ ჩეხოვი. იგი აღფრთოვანებით აღწერდა ჩვენს მხარეს, თავის მხრივ, მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები უმალვე ითარგმნა და ქართველებისათვის ხელმისაწვდომი შეიქმნა. ქართულ სცენაზე წარმატებით იდგმებოდა მისი „ძია ვანია“, „ივანოვი“, „ალუბლის ბაღი“, „ხელის თხოვა“, „დათვი“, მოთხრობა „ბავი ბერის“ ინსცენირება. როგორც მწერალი, საქართველოში დაიბადა „რევოლუციის ქარიშხალა“ მაქსიმ გორკი, მან აქ დაწერა და გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. მ. გორკის, ისევე, როგორც მაიაკოვსკის, ძლიერ უყვარდა საქართველო. თავის მხრივ, ქართულმა ლიტერატურამ, თეატრმა მათ სიყვარულითვე უპასუხეს. მის ნაწარმოებებს გატაცებით კითხულობდა ჩვენი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია. ქართულ სცენაზე წარმატებით იდგმებოდა მისი პიესები „ფსკერზე“, „მდაბიონი“, ხოლო ცენზურის მიერ აკრძალულმა პიესამ „უკანასკნელნი“, მ. ქორელის დადგმით, პირველად რამპის შუქი 1907 წ. ქუთაისში იხილა. საქართველო შთაგონების წყარო იყო ბევრი მწერლისა და პოეტისთვის, თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა საქართველოს ლესია უკრაინკა, რომელმაც ქუთაისში, ხონში, თბილისში, თელავში, სურამში დაწერა არა მარტო ლექსების მთელი ციკლი, არამედ პიესები და დრამატული პოემები „შემოდგომის ზღაპარი“, „ადვოკატი მარტიანი“, „ქვის მბრძანებელი“, „ტყის სიმღერა“. ლ. უკრაინკა მეგობრობდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებს შ. ჩიტაძეს, ზ. ფალიაშვილს, ს. ხუნდაძეს და სხვებს, მათ შეაყვარეს ქართული პოეზია, აგრძნობინეს ქართული სიმღერების მადლი და სიყვარული, რაც მან ქართული მიწიდან მარადისობაში წარიტანა.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის თეატრალური ცხოვრება ჩეხოვისა და გორკის ნოვატორული დრამატურგიის შექმნით, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ჩამოყალიბებითა და მოღვაწეობით აღინიშნა. ბუნებრივია, ქართული სცენის ოსტატებს ეს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მოვლენა არ გამოპარვიათ. კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრალურმა ძიებებმა საქართველოშიც ბევრი მომხრე გაიჩინა.

1920 წელს საქართველოს ესტუმრა სამხატვრო თეატრის მსახიობთა ჯგუფი ვ. კაჩალოვისა და ო. კნიპერ-ჩეხოვას მეთაურობით. მათ წარმოდგენებს, განსაკუთრებით „ალუბლის ბაღს“ და „ძია ვანიას“, უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ჟურნალი „თეატრი და

ცხოვრება“ წერდა იმის შესახებ, თუ რა დიდი, „კალმით აუწერელი“ შთაბეჭდილება მოახდინეს მოსკოველმა სტუმრებმა, მსახიობთა ხმამ, დიქციამ, დადგმის კულტურამ, „უსიტყვო თამაშმა“ პაუზებში, მოსკოველების სპექტაკლებში „ყოველივე ჭეშმარიტად დასრულებული სახით იყო წარმოდგენილი“.

ქართული თეატრი საერთოდ არასოდეს ცხოვრობდა იზოლირებულად, მისთვის შორი იყო ბრმა ეპიგონობაც, თუმცა, ხარბად ითვისებდა ყოველივეს, რაც მოსაწონი და მისაღები იყო. ქართული სცენის ოსტატებს საამისოდ ნიჭიც ყოფნიდა და განათლებაც, ისინი უკვირდებოდნენ ფრანგული, გერმანული, რუსული თუ სხვა თეატრების მიღწევებს და ყოველივე პროგრესულით ამდიდრებდნენ თავიანთ შემოქმედებას, აქართულებდნენ, თარგმნიდნენ. დიდი ვასო აბაშიძე ბევრს თამაშობდა რუსულ, სომხურ პიესებში, მაგრამ მისი გმირები განსხვავდებოდნენ სომეხი თუ რუს მსახიობთა მიერ შექმნილი სახეებიდან, ასევე, ლ. მესხიშვილის ნეზნამოვი, იუსოვი, ივანე მრისხანე სულ სხვა და თავისებური იყო რუსი მსახიობების მიერ შექმნილ სახეებთან შედარებით...

თუ ადრე ქართული თეატრი შემოქმედებითად მცირე თეატრთან იყო დაკავშირებული, შემდგომ, როცა შ. დადიანმა 1910 წ. წამოაყენა დებულება — „სინამდვილე უნდა იქცეს ჩვენს ცხოველმყოფელ ძალადო“, ახალგაზრდობა დაეწაფა სამხატვრო თეატრის გამოცდილების შესწავლას. მოსკოვის სამხატვრო თეატრში გაიწაფნენ როგორც რეჟისორები ვალერიან შალიკაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ფაღავა, მიხეილ ქორელი. მათ რუსეთიდან საქართველოში ჩამოიტანეს ევროპისა და რუსეთის თეატრების ნოვატორული მიღწევები, ახალი იდეებით დაიწყეს მათი განხორციელება ქართულ თეატრსა და კინოში, რომელიც ის-ის იყო ყალიბდებოდა. XX ს. დასაწყისიდან საქართველოში ჩამოყალიბებულ სახალხო თეატრებს შორის დიდ პოლიტიკურ და კულტურულ-სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მშრომელ მოსახლეობაში რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, ებრაული, ბერძნული და სხვა სახალხო დასები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართულ სახალხო თეატრებთან და ქართული სცენის მოღვაწეებთან, დიდ დახმარებას იღებდნენ მათგან.

მეორე სამშობლოდ იქცა რუსეთი დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისთვის. რუსეთის პროვინციის სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობდა იგი როგორც მსახიობი, სწორედ იქ განახორციელა თავისი პირველი დადგმა ა. ჩეხოვის „ძია ვანია“, შემდეგ, 1905 წ. რიგაში დადგა მ. გორკის „მოაგარაკენი“, რომელიც რუსეთის რევოლუციის აღმავლობის წლებში დიდ მოვლენად იქცა.

1907-09 წ.წ. კ. მარჯანიშვილს უდიდესი რეჟისორული წარმატებები ჰქონდა ხარკოვის, კიევისა და ოდესის რუსულ თეატრებში, სადაც დადგა მ. გორკის, ა. ჩეხოვის, ლ. ტოლსტოის, ლ. ანდრეევის და სხვა რუს და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები. კ. მარჯანიშვილის რეჟისორულმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ უკრაინაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. უკრაინელი მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ მისი დადგმების და განსაკუთრებით, რევოლუციურ კიევში 1919 წელს განხორციელებული ლეგენდარული სპექტაკლის „ფუენტე ოვეხუნას“ ცხოველმყოფელ გავლენას იმდროინდელ უკრაინული თეატრის განვითარებაზე.

დიდი სარეჟისორო სკოლა გაიარა კ. მარჯანიშვილმა სამხატვრო თეატრში, სადაც გ. კრეგთან და კ. სტანისლავსკისთან ერთად მუშაობდა შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმაზე, ხოლო ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად „პერ გიუნტზე“ და „ძმებ კარამაზოვებზე“; იმავე თეატრში მას ჰქონდა საკუთარი დადგმები — „ცხოვრების ბრჭყალებში“ და „სამეფოს კარიბჭესთან“. 1913 წელს, სამხატვრო თეატრიდან წასვლის შემდეგ, კ. მარჯანიშვილმა შექმნა საკუთარი, სინთეტური თეატრი — „თავისუფალი თეატრი“, რომელიც თავისი დადგმებით: „სოროჩინის ბაზრობა“, „ყვითელი კოფთა“, „მშვენიერი ელენე“ ნოვატორული ძიებებით ახლოს იდგა ცნობილი რეჟისორების ე. ვახტანგოვის, ვ. მეიერხოლდის ძიებებთან, რომლებმაც სამხატვრო თეატრთან შექმნეს საკუთარი სტუდიები.

როგორც რუსული, ისევე სხვა ეროვნული თეატრები რევოლუციის წინა წლებში უმძიმეს პირობებში იმყოფებოდნენ, არას ვამბობთ იმ ხალხზე, რომლებსაც ცარიზმის კო-

ლონიალური პოლიტიკის შემდეგ არც საკუთარი დამწერლობა და არც ეროვნული თეატრი გააჩნდათ. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ფართო გზა გაუხსნა ყველა ხალხების სულიერ შესაძლებლობათა განვითარებას, თეატრი მშრომელი ხალხისთვის ხშირად მიუწვდომელი დაწესებულებიდან მისი სულის მასაზრდოებელ საკუთრებად იქცა. საბჭოთა მთავრობის, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შრომითა და ინიციატივით ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი, რომლის პირველი საბჭოთა სპექტაკლი „ცხვრის წყარო" კ. მარჯანიშვილის დადგმით ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული კულტურის ისტორიაში.

რუსთაველის სახელობის თეატრს მოჰყვა მეორე სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელსაც მოგვიანებით მისი დამაარსებლის კ. მარჯანიშვილის სახელი მიეკუთვნა, შემდგომი განვითარება მიიღო თეატრალურმა ცხოვრებამ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, ფოთში, ჭიათურაში. თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება დაეტყო ყველა რესპუბლიკას, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით შეიქმნა თეატრები შუა აზიის რესპუბლიკებში, გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, ყალიბდებოდა დასები, სტუდიები, ანსამბლები. ეროვნული თეატრისთვის კადრების აღზრდა მიმდინარეობდა სამხატვრო თეატრის, მცირე და ვახტანგოვის თეატრების სტუდიებში, ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში.

რუსული თეატრის მოწინავე და უნიჭიერეს მოღვაწეთა შრომა სხვადასხვა ეროვნული თეატრების ჩამოყალიბება-განვითარებაში მართლაც რომ ფასდაუდებელია. გარდა ამისა, თეატრების ადგილებზე ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსულმა საბჭოთა დრამატურგიამ. ოციან წლებში, როცა ქართული საბჭოთა დრამატურგია ჯერ მხოლოდ ძალებს იკრებდა, ქართული თეატრის მესვეურებმა ხელი მოჰკიდეს ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის, ა. გლებოვის, ბ. ლავრენევის, ვს. ივანოვის, ვ. კირშონის და სხვა რუს საბჭოთა ავტორთა ნაწარმოებებს. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარმატებით დაიდგა „ზაგმუკი", „ბაბეკინი", „ხნივ", „ქართა ქალაქი" და სხვა. ამ წლებში საეტაპო და ისტორიული დადგმები განახორციელა სანდრო ახმეტელმა. მისი სპექტაკლებით „რღვევა" და „ანზორი" ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ თეატრში, რომელმაც შემოქმედებითად აითვისა რუსული დრამატურგიისა და თეატრის რევოლუციური იდეალები და ნათლად გამოკვეთა ქართული თეატრის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრის მოღვაწეებმა გააგრძელეს თავიანთი ურთიერთობები მოძმე ხალხების კულტურის წარმომადგენლებთან. 20-იან წლებში საქართველოში დიდი წარმატებით ჩატარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის, მეიერჰოლდის თეატრის და სხვა რუსული თეატრალური კოლექტივების გასტროლები, რომლებიც არა მარტო დიდ ინტერესს იწვევდნენ, არამედ ფართო მსჯელობის საგნად იქცნენ ქართულ პრესაში და საჯარო განხილვა-შეხვედრებზე.

ოცდაათიან წლებში ქართული სცენის ოსტატების ურთიერთობები მოძმე ხალხების თეატრალურ მოღვაწეებთან არა მარტო სისტემატური და მრავალფეროვანი გახდა, არამედ ამ კონტაქტებმა თვისობრივად ახალი სახე მიიღო.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ქართული თეატრის კავშირებს სპორადული ხასიათი ჰქონდა, უფრო დაახლოების, ურთიერთგაცნობისა და შემდგომ, რევოლუციური მოძრაობის გაღვივებასთან ერთად, სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთობლივ ჩაბმას წარმოადგენდა, რევოლუციის შემდეგ თეატრის მოღვაწენი ერთმანეთს ეხმარებოდნენ ახალი იდეოლოგიის, ახალი იდეების პროპაგანდის საქმეში, კომუნიზმის მშენებლობაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებაში.

ოქტომბრის რევოლუციამდე ქართული თეატრი, ქართული დრამატურგია ლოკალური და ჩაკეტილი იყო, ქართული დასები არცერთხელ არ გასცილებია სამშობლოს ფარგლებს, მხოლოდ ცალკეული მოღვაწენი (კ. მარჯანიშვილი, ლ. მესხიშვილი, გ. არადელიიშხნელი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.) თუ ახერ-

ხებდნენ პერიოდულად მუშაობას რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში.

1930 წელს მოსკოვში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრალურ ოლიმპიადაზე რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელსაც ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა, სპექტაკლებით „როვეკა", „ანზორი" წარსდგა რუსეთის მაყურებლის წინაშე და შემოქმედებითი მიღწევებით გაუტოლდა და ერთგვარ შეჯიბრებაშიც კი გამოიწვია ისეთი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ: კ. სტანისლავსკი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვს. მეიერჰოლდი, ა. თაიროვი, ლ. კურბასი და სხვ.

ს. ახმეტელმა თავისი საუკეთესო ეროვნული ტრადიციების გამოყენებით სრულიად განსხვავებული ფორმის, მაგრამ სოციალისტური შინაარსის მატარებელი წარმოდგენებით აღტაცება და გაოცება გამოიწვია. რუსთაველელთა სპექტაკლებს ხოტბას ასხამდნენ რეცენზენტები, უცხოელი სტუმრები. ამ თეატრის შემოქმედებით აღფრთოვანებული გაზეთი „იზვესტია" წერდა: „რუსთაველის სახელობის თეატრი, იმ სახით, რა სახითაც იგი ამჟამად არის, უეჭველია დიდ შემოქმედებით მოვლენას წარმოადგენს, რომელიც ნაციონალურ-რესპუბლიკურ ფარგლებს სცილდება". ხოლო „ლიტერატურნაია გაზეტა" წერილში „გავაძლიეროთ საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობა", ხაზს უსვამდა რა საბჭოთა ხალხების ოლიმპიადის მნიშვნელობას, ამტკიცებდა: რად ღირს თუნდაც „ანზორის" მაგალითი შ. რუსთაველის ქართულ თეატრში. „ანზორი" უბრალოდ ქართულ ნიადაგზე გადმოტანილი „ჯავშნოსანი" როდია, იგი წარმოადგენს ნაბიჯს წინ მოსკოვის სამხატვრო თეატრის „ჯავშნოსანთან" შედარებით და არც თუ პატარა ნაბიჯს. თუნდაც ეს ერთი მაგალითი საკმარისია, რათა დარწმუნებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახლა სსრკ ხალხთა შორის არა მარტო გამოცდილების გაზიარება, არამედ მათი ურთიერთგავლენა".

1930 წელს ხარკოვსა და მოსკოვს საგასტროლოდ ეწვია მეორე ქართული დრამატული თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი კოტე მარჯანიშვილი. ისეთი წარმატება, როგორც მაშინ წილად ხვდა მარჯანიშვილის თეატრს, იშვიათი მოვლენა იყო [illegible] მოსკოვის, ასევე მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებაში. გაზეთებში გამოქვეყნდა შესანიშნავი რეცენზიები, მოსკოვში მარჯანიშვილის თეატრს მიესალმნენ ლუნაჩარსკი, კოონენი, პეტროვი და სხვები და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრალურ კოლექტივად აღიარეს.

1931 წელს საქართველოში ჩატარდა უკრაინული ხელოვნების პირველი დეკადა. საქართველოს ეწვია „ბერეზილის" თეატრი ლ. კურბასის ხელმძღვანელობით, მასთან ერთად უკრაინელი მწერლები, კომპოზიტორები, კინემატოგრაფისტები, რადიოს მუშაკები. ეს დღეები უკრაინელი და ქართველი ხალხების ჭეშმარიტი ძმობისა და შემოქმედებითი კავშირის დემონსტრაციად იქცა.

ომამდელ წლებში საქართველოში სისტემატურად ჩამოდიოდნენ რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკათა წამყვანი თეატრალური კოლექტივები, სხვადასხვა ანსამბლები. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს მსოფლიოში სახელგანთქმულმა საბჭოთა მომღერლებმა, დირიჟორებმა, ბალეტის მსახიობებმა. ქართული თეატრი იბრძოდა თავის სცენაზე თანამედროვე თემის დამკვიდრებისათვის, დიდი წარმატებით ახორციელებდა ვ. კირშონის, ი. კოჩერგას, ა. კორნეიჩუკის, ბ. კულიშის, ი. ოლეშას, ნ. პოგოდინის, ი. მიკიტენკოს, ა. აფინოგენოვის, ნ. ზარხის, ძმები ტურების, ლ. შეინინის და სხვათა ნაწარმოებების დადგმებს. ამ სპექტაკლში ქართული სცენის წამყვანმა მსახიობებმა — უ. ჩხეიძემ, ვ. ანჯაფარიძემ, ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, ნ. ჩხეიძემ, შ. ღამბაშიძემ, ს. ზაქარიაძემ, გ. შავგულიძემ, გ. დავითაშვილმა, ს. თაყაიშვილმა, თ. ჭავჭავაძემ, ვ. გოძიაშვილმა, პ. კობახიძემ და მრავალმა სხვამ შექმნეს მაღალი ღირებულების სცენური სახეები, რომლებმაც შემოქმედებითად გაამდიდრეს საბჭოთა თეატრის საგანძური.

ომამდელ წლებში საქართველოში აქტიურად მოღვაწეობდნენ ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, ს. შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი და თბილისის აზერბაიჯანული დასი. მათ სცენებ-

ზე არაერთგზის დაიდგა ქართველი ავტორების შ. დადიანის, პ. კაკაბაძის, გ. მდივნის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები, ომამდელ წლებში რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში დადგეს ს. შანშიაშვილის „არსენა“, შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ და სხვა დრამატული ნაწარმოებები.

ქართული კულტურის დიდ ზეიმად იქცა მოსკოვში 1937 წელს ჩატარებული ქართული ხელოვნების დეკადა, რომელზეც ქართული საოპერო და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს არა მარტო თავიანთი ნიჭით, მაღალი პროფესიონალიზმით, არამედ ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნების განუმეორებელი, უმდიდრესი ტრადიციების დემონსტრაციით.

დიდ სამამულო ომს თითქოს უნდა შეეწყვიტა თეატრალურ ხელოვანთა შორის ეგზომ ბედნიერად განვითარებული ტრადიციები, მაგრამ მოხდა პირიქით — საქართველომ შეიფარა ცნობილი უკრაინელი და რუსი თეატრალური მოღვაწენი. ერთხანობას თბილისში იმყოფებოდნენ რუსული კულტურის „ოქროს ფონდის“ ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ — ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. ი. კაჩალოვი, ს. პროკოფიევი, სამხატვრო თეატრის, მცირე თეატრის წამყვანი მსახიობები. რუსული ხელოვნების ევაკუირებული მოღვაწენი აქტიურად ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში — მართავდნენ საღამო-კონცერტებს, რომლის შემოსავალს გამარჯვების ფონდს აბარებდნენ, ცნობილი მომღერლები მღეროდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრის სცენაზე. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპექტაკლმა „კიკვიძემ“, „ოტელომ“. იგი ფიქრობდა ა. ხორავას მონაწილეობით დაედგა შექსპირის „მეფე ლირი“. ვ. ი. კაჩალოვმა და ვ. ანჯაფარიძემ კონცერტში ერთად შეასრულეს ლედი ანასა და რიჩარდ III სცენა შექსპირის „რიჩარდ III-დან“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და ყველა აღტაცებული იყო არა მარტო ორი დიდი მსახიობის ჩინებული ნიჭით, არამედ იმითაც, რომ ქართველი მსახიობი ვ. ანჯაფარიძე გაუტოლდა და შესანიშნავი მსახიობის ი. კაჩალოვის ღირსეული პარტნიორობა.

საბჭოთა ქართულმა თეატრმა სამამულო ომის წლებში დადგა მთელი რიგი საბჭოთა ავტორების ანტიფაშისტური, პატრიოტული ხასიათის პიესები: კ. ფინისა და მ. ჰუსის „ბერლინის გასაღები“, კ. სიმონოვის „მელოდე“, ა. რეევსკისა და მ. კაცის „ოლეკო დუნდიჩი“, ი. სელვინსკის „გენერალი ბრუსილოვი“ და სხვა. თავის მხრივ, ვ. დარასელის პიესამ სამოქალაქო ომის გმირის, მხედართმთავარ ვ. კიკვიძის შესახებ შემოიარა მოძმე ხალხების არაერთი თეატრის სცენა.

ომისშემდგომ წლებში მოძმე ხალხების თეატრალურ მოღვაწეებთან კონტაქტები სისტემატური გახდა, საქართველოს არაერთგზის ეწვივნენ და შესანიშნავად ჩაატარეს თავიანთი გასტროლები აზიზბეკოვის სახელობის ბაქოსა და გ. სუნდუკიანის სახელობის ერევნის თეატრებმა, დნეპროპეტროვსკის თეატრმა, მოსკოვის მცირე და სამხატვრო თეატრებმა, ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრმა, საქართველოს სტუმრები იყვნენ თეატრები — „სოვრემენნიკი“, თეატრი მალაია ბრონნაიაზე და სხვა.

ჩვენი ხშირი სტუმრები არიან ლენინგრადის მ. გორკის სახელობის და კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრები, პანევეჟისის ლიტვური თეატრი და სხვ. თეატრალური კოლექტივებისა და ცალკეულ, ცნობილ მოღვაწეთა გასტროლები, შემოქმედებითი საღამოები თბილისში წესად დამკვიდრდა „მეგობრობის თეატრის“ შექმნის შემდეგ. ამ თეატრის ჩამოყალიბებამ, რომელიც სსრკ სახალხო არტისტის დ. ალექსიძის თაოსნობით შეიქმნა, ჩვენს მაყურებელს საშუალება მისცა გაიცნოს მოძმე ხალხების შემოქმედებითი მიღწევები, თვალი ადევნოს ყოველივე ახალს, რაც ხდება ჩვენი დიდი სამშობლოს თეატრალურ ცხოვრებაში.

ქართული თეატრი ყურადღებით უკვირდება სიახლეებს მოძმე ხალხების დრამატურგიაში. მის ბიოგრაფიაში საეტაპო გახდა ი. გალანის „სიყვარული გარიჟრაჟზე“, კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“, გ. მუხტაროვის „ოჯახის პატიოსნება“, ლ. ლეონოვის „შემოსევა“, ჰ. გორკის „ფსკერზე“ (კ. მარჯანიშვილის სახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი), ბ. ჩირკოვის „გამარჯვებულები“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“, ბ. ლავრენევის „ამერიკის ხმა“, ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, ვ. როზოვის „გზა მშვიდობისა“, ი. დვორეცკის „უცხო კაცი“, ა. გელმანის „პრემია“ (რუსთაველის სახ. თეატრი). სხვა თანამედროვე რუსი, სომეხი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების ავტორთა პიესებსაც სათანადო ადგილი უკავია რაიონული თეატრების რეპერტუარში.

ქართული თეატრი, თანამედროვე დრამატურგიასთან ერთად, მიმართავს კლასიკას, თეატრების რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ა. ოსტროვსკის, ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, გ. სუნდუკიანის, ა. პარონიანის და სხვათა ნაწარმოებებს. ისეთი სპექტაკლები, როგორიცაა „უდანაშაულო დამნაშავენი“, „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, „პეპო“, „მეუფება წყვდიადისა“ (რუსთაველის სახ. თეატრში), „უმზითვო“, „რევიზორი“, „ნიჭიერნი და თაყვანისმცემელნი“ (მარჯანიშვილის სახ. თეატრში) მართლაც და, ესაა კლასიკის თანამედროვეობის პოზიციებიდან წაკითხვისა და ათვისების მშვენიერი მაგალითი.

ომამდელ და ომისშემდგომ წლებში ქართული სარეჟისორო კადრების აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშეს რუსეთის უმაღლესმა თეატრალურმა სასწავლებლებმა. მოსკოვის სასწავლებელში აღიზარდნენ დ. ალექსიძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. თავზარაშვილი, შ. მესხი; მსახიობთა აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშა თეატრალურ ცხოვრებას თბილისში ნაზიარებმა, ამჟამად ლენინგრადის მ. გორკის სახ. დრამატული თეატრის ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა რეჟისორმა გ. ტოვსტონოგოვმა; დიდია, აგრეთვე, რუსული თეატრმცოდნეობის სკოლის როლი ქართული თეატრმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, განვითარების საქმეში. თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ცნობილი თეატრმცოდნე, პროფესორი ეთერ გუგუშვილი, რომელმაც განათლება მოსკოვში მიიღო. იქვე მიიღეს განათლება პროფესორებმა ნათელა ურუშაძემ, ელენე თოფურიძემ, თეატრმცოდნემ და რეჟისორმა მიხეილ გიჟიმყრელმა და კიდევ ბევრმა სხვამ.

შ. რუსთაველის სახ. თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტმა ათეული წლების განმავლობაში როგორც ქართულ, ისე მოძმე ხალხების დრამატურგიაზე აღზარდა მსახიობთა და რეჟისორთა თაობები, აღზარდა შემოქმედთა კადრები რუსული, აფხაზური, ჩრდილო-კავკასიის ხალხთა თეატრებისათვის, ოსეთისა და აჭარისათვის. ამ სასწავლებელს მჭიდრო კავშირი აქვს მოსკოვისა და ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებთან. ახალგაზრდობა იზრდება სტანისლავსკის სისტემის რეალისტურ პოზიციებზე, იზრდება ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით, ამიტომაა ასე ხშირი სტუდენტთა სპექტაკლების წარმატებით ჩვენება მოსკოვში, კიევში, სტუდენტთა და პედაგოგთა შემოქმედებითი მივლინებები, მონაწილეობა შემოქმედებით დისკუსიებში, კონფერენციებში.

რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების თეატრმცოდნეები ბოიაჯიევი, გოიანი, ფევრალსკი, დმიტრიევი, როსტოცკი, იუფიტი, კრიმოვა, კაიდალოვა, ძუიბინსკაია, აბალკინი და სხვანი ბევრსა და პირუთვნელად წერდნენ და წერენ ქართული თეატრის მიღწევების შესახებ. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და სხვაგან გამოიცა ქართველ მეცნიერთა შრომები და გამოკვლევები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლენინგრადის კომისარჟევსკაიას სახ. თეატრის რეჟისორის რ. აგამირზიანის როლი ქართული დრამატურგიის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ღღეს ქართული თეატრი თავისი განვითარების მაღალ წერტილზეა, დღეს, როგორც არასდროს, მთელს საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ენაზე იდგმება ა. ცაგარლის, მ. ბარათაშვილის, ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, კ. ბუაჩიძის, ა. ჩხაიძის, გ. ხუხაშვილის, თ. ჭილაძის, გ. ბათიაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

სხვადასხვა თეატრების სცენებზე არაერთი დადგმა განახორციელეს ქართველმა რეჟისორებმა: გ. ლორთქიფანიძემ, ა. ჩხარტიშვილმა, მ. თუმანიშვილმა, თ. ჩხეიძემ, გ. ჟორდანიამ, კ. სურმავამ, ლ. პაქსაშვილმა, რ. მირცხულავამ, თ. აბაშიძემ, ბ. კობახიძემ, გ. ჩერქეზიშვილმა, დ. ცისკარიშვილმა და სხვებმა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დიმ.

ალექსიძის ფასდაუდებელი წვლილი მოძმე ხალხების თეატრალური კულტურების განვითარებაში, მას ეკუთვნის საინტერესო და მნიშვნელოვანი დადგმები მოსკოვის სამხატვრო თეატრში და გოგოლის სახ. თეატრში, ლენინგრადის დრამატულ თეატრში, ტაშკენტის ხამზას სახელობის თეატრში, დადგმები მოლდავეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში. მთელმა რიგმა მისმა სპექტაკლებმა, განსაკუთრებით კი „ანტიგონემ" კიევის ფრანკოს სახელობის თეატრის სცენაზე, საერთო აღიარება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ დ. ალექსიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კიევის ფრანკოს სახელობისა და ლ. უკრაინკას სახელობის თეატრებს, სულ ახლახან მან კიევის ფრანკოს სახ. თეატრში წარმატებით დადგა კოლომიეცის პიესა „რუსის ქვა", რომელიც კიევის 1500 წლის იუბილეს მიეძღვნა. უკრაინაში ნაყოფიერი რეჟისორული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დ. ალექსიძეს მიენიჭა უკრაინის სახალხო არტისტის საპატიო წოდება და ტ. შევჩენკოს სახელობის პრემია.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ჩვენი ერის საუკეთესო წარმომადგენლები. სამხატვრო თეატრის ისტორიაში დიდი როლი ითამაშეს ვ. მჭედლიშვილის სტუდიაში აღზრდილმა ცნობილმა მსახიობებმა. მრავალი წლის განმავლობაში რუსეთში მოღვაწეობდა დრამატურგი და სცენარისტი გ. მდივანი, რუსეთის თეატრებში არაერთი მნიშვნელოვანი დადგმა განახორციელეს მხატვრებმა ს. ვირსალაძემ და ი. თუმანიშვილმა. ამ ორივე ხელოვანის ნაყოფიერი მოღვაწეობა ცალკე შესწავლასა და განზოგადებას მოითხოვს. სხვადასხვა დროს მოსკოვში მოღვაწეობდნენ ცნობილი მომღერლები — დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, ზ. ანჯაფარიძე, ზ. სოტკილავა, მ. ქასრაშვილი, ვლ. კანდელაკი; რეჟისორები — ა. გამსახურდია, ე. ეგაძე, ო. ჯანგიშერაშვილი და სხვანი.

ქართულმა თეატრმა, მისმა შემოქმედებითმა მიღწევებმა საერთო აღიარება ჰპოვა. დღეს არა მარტო წამყვანი აკადემიური თეატრები, არამედ რუსული და ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრები, ა. გრიბოედოვის სახელობის და ს. შაუმიანის სახელობის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, კინომსახიობთა სტუდია-სახელოსნოს თეატრები შეიყვარეს საბჭოთა ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქალაქებში.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ პირველ რიგში შ. რუსთაველის სახელობის თეატრის, მისი ხელმძღვანელის რ. სტურუას, სცენის აღიარებული ოსტატის რ. ჩხიკვაძის, თეატრის მთელი კოლექტივის მსოფლიო აღიარებით. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, მექსიკა, — აი, ამ თეატრის გასტროლების არასრული გეოგრაფია, გასტროლებისა, რომლებიც არნახულ ტრიუმფად იქცა და ქართული თეატრალური კულტურის უდიდესი აღიარების დემონსტრაციად წარმოგვიდგა.

შ. რუსთაველის სახელობის თეატრმა დიდი წარმატებით ჩაატარა გასტროლები შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ლენინგრადში.

დღეს, როგორც ყოველთვის, ქართული თეატრი კვლავ მსოფლიო თეატრალურ კულტურასთან მჭიდრო კავშირში აგრძელებს ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების პროცესს.

ქართული თეატრი თვითმყოფადი, საკუთარი, მყარი ეროვნული ტრადიციების ფენომენია, მაგრამ მისთვის, როგორც საერთოდ მთელი ჩვენი ერისათვის, უცხო და მიუღებელია თვითიზოლაცია, პროვინციული თვითგანდიდება და კარჩაკეტილობა. ქართული თეატრი, მისი მოღვაწენი და მესვეურნი მუდამ ძიებაში იმყოფებიან, ცდილობენ თავიანთი ნიჭის მადლი, საკუთარი შრომით მოპოვებული და მოძიებული გაუზიარონ სხვებს და, ამასთან, გამოიყენონ, გაითავისონ ყოველივე ის, რაც პროგრესს, წინსვლას, კაცობრიობის მაღალ ზნეობასა და მომავალს ემსახურება. ამას იზიარებდნენ ქართული თეატრის ფუძემდებლები და ამ გზას ადგას ნიჭიერი, მუდამ მაძიებელი, მიღწეულით დაუკმაყოფილებელი და მეგობრობისა და ძმობის იდეის მტკიცედ დამცველი დღევანდელი ახალგაზრდობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60 სსრკ

მეგობრობის ალბომები

კონა მიქაძე

„მთელი ჩემი ცხოვრება მივუძღვენი ხელოვნებას და არა მხოლოდ სომხურ ხელოვნებას“ — გვითხრა ამათუნი იაკობის ძე ბარსეღიანმა, როცა იგი სსრკ შექმნის 60 წლისთავის ზეიმის დროს საქართველოს ეწვია. ჩვენი მხრით დავძენთ: მან მთელი ცხოვრება ხალხთა მეგობრობის იდეის სამსახურში გაატარა.

ახალგაზრდობაში იგი ვლადიკავკაზის დრამატულ სტუდიაში სწავლობდა. აქ მისი მეგობრები იყვნენ რუსები, ქართველები, ოსები. ამ სასწავლებელში ჩაისახა მისი სიყვარული კავკასიელი ხალხების ხელოვნებისადმი. როსტოვის უნივერსიტეტში ხელოვნების ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლის დროს ესწრებოდა მოსკოვის, პეტროგრადის და რუსეთის საუკეთესო თეატრების საგასტროლო სპექტაკლებს. იმ პერიოდში როსტოვში სცენისმოყვარეებისგან ჩამოყალიბდა სომხური მუსიკალურ-დრამატული თეატრი, რომელმაც შემდგომ, თვალსაჩინო როლი შეასრულა სომხური თეატრის ისტორიაში. როსტოვში სომხურ ენაზე გამომავალი გაზეთი „ნამგალი და ურო“ ხშირად აქვეყნებდა ამათუნი ბარსეღიანის თეატრალურ რეპორტაჟებს და რეცენზიებს. ამათუნი ამავე დროს ხელმძღვანელობდა როსტოვის რადიოს სომხურ გადაცემებს. იყო ავტორი, რეჟისორი და შემსრულებელი. ოცდაათიან წლებში საბჭოთა ესტრადაზე ფეხს იკიდებდა ე. წ. „ერთი მსახიობის თეატრი“. ამათუნი მხატვრული კითხვის ცნობილი ოსტატების სურენ ქოჩარიანისა და ვლადიმერ იახონტოვის ხელოვნებას სწავლობდა, დაბოლოს, გადაწყვიტა ძალა ამ ჟანრშიაც ეცადა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიის მთელ ანთოლოგიას შეიცავდა მისი პროგრამა; აქ იყო: შოთა რუსთაველი, საიათნოვა, ოვანეს თუმანიანი, ავეტიკ ისაკიანი, ნაირი ზარიანი, ოვანეს შირაზი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიზამი, ფიზული, მირზა ალიკპერ საბირი, სამედ ვურღუნი, მამედ რაგიმი, აბდულა ტუკაი და სხვ. ამ რეპერტუარით შემოიარა მთელი კავშირი. ლექსს ჯერ რუსულად წაიკითხავდა, შემდეგ კი რამდენიმე სტროფს აუცილებლად ორიგინალში კითხულობდა — სულ თორმეტ ენაზე. მას შემდეგ ხუთ ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ა. ბარსეღიანი დღესაც ქართულად მშვენიე-

რად კითხულობს ნაწყვეტებს „ევფხისტყაოსნიდან“.

დიდი სამამულო ომის დროს მან ათასზე მეტი კონცერტი გამართა, არ დაუტოვებია არც ერთი ქალაქი ჯულფიდან ვიდრე ვლადივოსტოკამდე. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მრავალ საინტერესო პიროვნებას შეხვედრია. 1928 წელს გაზეთ „ნამგალი და ურო“ დავალებით ინტერვიუ ჩამოართვა მ. გორკის, რომელიც გავლით იყო როსტოვში. ა. ბარსელიანმა ალბომი გაუწოდა დიდ მწერალს და სთხოვა ჩაეწერა რამდენიმე სიტყვა სომხეთზე და სომეხ ხალხზე. გორკიმ სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა. ასე გაჩნდა ალბომში პირველი ავტოგრაფი. მას შემდეგ, სადაც არ უნდა იყოს ამათუნი, ყველგან დააქვს ყავისფერყდიანი მოზრდილი ალბომი. დღეისათვის ამ ალბომების რიცხვი თორმეტს აღწევს. ვის ავტოგრაფს არ ნახავთ აქ: ა. ლუნაჩარსკის, ა. ტოლსტოის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ა. ისაკიანის, ა. შირვანზადეს, პ. ტიჩინას, ა. ხაჩატურიანის, კ. ჩუკოვსკის, დ. შოსტაკოვიჩის, კ. ფედინის, ი. დუნაევსკის, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ...—ყველა გვარი რომ ჩამოვთვალოთ, ა. ბარსელიანის კიდევ ერთი ალბომი შეივსება.

ამ ალბომებში ბევრი ქართული ჩანაწერია და ამათუნისთვის ისინი განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან ქართული კულტურისა და ხელოვნების მრავალ თვალსაჩინო მოღვაწესთან მას ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებს. აქ არის ზ. ფალიაშვილის, კ. მელვინეთუხუცესის, ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას, ს. ზაქარიაძის, ვ. ანჯაფარიძის, მ. ჭიაურელის, დ. ალეკსიძის, ვ. გოძიაშვილის, ბ. ჟღენტის, გ. ლეონიძის, ვ. მურადელის, ი. ანდრონიკოვის, მ. თუმანიშვილის, რ. ჩხიკვაძის და სხვათა ჩანაწერები. ხალხთა მეგობრობის დიდ მომღერალს იოსებ ნონეშვილს თავისი ხელით თავიდან ბოლომდე ჩაუწერია თავისი ლექსი „ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება“.

მის ალბომებში ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების ჩანაწერებიც ბევრია.

1942 წ. ა. ბარსელიანი სამუდამოდ დასახლდა სომხეთში და კვლავ გააგრძელა ჟურნალისტური მოღვაწეობა. დააარსა ხელოვნების მუშაკთა სახლი, რომლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო პენსიაში გასვლამდე, კვლავ მართავს კონცერტებს პროგრამით „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია“, ამავე დროს მონაწილეობს სატელევიზიო სტუდიის გადაცემებში. „ვერასოდეს ვერ გავბედავ ირაკლი ანდრონიკოვს შევუდარო თავი, მაგრამ ყოველთვის მატყვევებდა მისი ხელოვნება, თითქოს უხილავი ძალა მიბიძგებდა მიმებაძა მისთვის და დამეწყო ზეპირი მოთხრობების კითხვა“— გვითხრა ა. ბარსელიანმა.

მართლაც, 70-იანი წლებიდან იგი გვევლინება ახალ ამპლუაში — ზეპირი მოთხრობების ავტორად და შემსრულებლად. ამ მოთხრობების თემას თვით მისი ალბომები ჰკარნახობს. ყოველი ავტოგრაფი მის მეხსიერებაში აღადგენს რომელიმე კონკრეტულ პიროვნებასთან შეხვედრის ეპიზოდებს. ასე შეითხზა მოთხრობები „მშვენიერი სომეხი ქალი“, რომელიც ეხება პეტერბურგში მცხოვრებ ანა აბამელიქს, რომლისთვის ლექსი თვით ა. პუშკინს მიუძღვნია. „სმოლნი“, „ლენინგრადული მინიატურები“, „არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული“, „ბრალდების მოწმე“, „ავეტიკ ისაკიანის 100 წლისთავი“, „ინტერვიუ ლუნაჩარსკისთან“, „შეხვედრა გორკისთან“, „სომხური რაფსოდია“ „სტუმრად ჩუკოვსკისთან“ და მრავალი სხვა.

თბილისში ყოფნისას ამათუნი შეხვდა სომხური კულტურის დიდ მეგობარს ვერიკო ანჯაფარიძეს. მუხლი მოიყარა საიათნოვას საფლავთან, პატარა ბავშვივით გახარებული, ოვალებგაბრწყინებული დააბიჯებდა ძველი თბილისის უბნებში, ხელით ეალერსებოდა ქართულ ჩუქურთმებს, ყველაფრის ნახვას ეშურებოდა, ყველაფერი აინტერესებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი შთაბეჭდილებანი „კომედი ფრანსეზის“ გასტროლებზე

აკაკი ვასაძე

9 აპრილი, 1954 წელი, მცირე თეატრი, პარტერი, 2 რიგი.

საბჭოთა კავშირში გასტროლებზე პირველად ჩამოვიდა საფრანგეთის უძველესი ნაციონალური თეატრი — კომედი ფრანსეზ. თეატრმა გასტროლებზე წამოიღო ფრანგული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებები, ყველასათვის ცნობილი მოლიერის კომედიები „ტარტიუფი“ და „გააზნაურებული მდაბიო“ და კორნელის შესანიშნავი ტრაგედია „სიდი“.

საფრანგეთის უძველესი თეატრის კომედი ფრანსეზის წარმოდგენას, მოლიერის „ტარტიუფს“ ვუყურებ, შვილდივით მოზიდული ვადევნებ ყველაფერს თვალყურს. ფარდა გაიხსნა, სცენაზე ჯერ არავინ ჩანს. სადა დეკორატიული მორთულობა, ტიპიური ფრანგული დარბაზი მე-17 საუკუნის, აგურისფერი კედლებით, შავი ხის კარებით, მუქი ნაცრისფერი ქვის ბუხრით, მოლიერისებური სადა სავარძლითა და პუფებით; ლუდოვიკოს ეპოქის სტილის მაგიდა დამცხრალი ოქროსფერი სუფრით ბოლომდე დაფარული, — უყურებ და გჯერა, აქ ცხოვრობენ. მხოლოდ სამსაფეხურიანი ნაცრისფერი თეატრალური კიბე შემთხვევითად მოჩანს, სხვა საგნებს სცენაზე არ შეესაბამება, მთლიანი ატმოსფეროდან და სტილიდანაც ამოვარდნილია.

სცენაზე ჯერ არავინ ჩანსო, რომ ვიფიქრე თავდაპირველად, თურმე შევცდი, — უცებ ვერ შევნიშნე კართან მიმჯდარი მსახური ქალი: იგი ისე ზის, ისეთის იერით, რომ ეტყობა, ამ ოჯახში არ უნდა მსახურობდეს და, ვიღაცას ელოდება. ვინ უნდა იყოს? ეგებ ქალბატონი პერნელის მსახური? ჰო, უთუოდ ის არის... და დაიწყო სპექტაკლი ქალბატონ პერნელის გამგზავრებით.

თეატრის უხუცესი აქტრისა ბერტ ბოვი გამოცდილი დირიჟორის მსგავსად მიუძღვება მთელ ანსამბლს. მაღალი რიტმი, ცოცხალი დიალოგი, ინტონაციების სიუხვე და ფერადოვნება ახასიათებს ქალბატონ პერნელის გამგზავრების ეპიზოდს. გრაციოზული, პლასტიკური, შეუბოჭავი სცენური მოძრაობა თან სდევს და ავსებს გამოკვეთილ, ბრწყინვალე სცენურ მეტყველებას, ასე ვირტუოზულად რომ ფლობს მსახიობი. ქალბატონმა ბერტ ბოვიმ, ჩვენს ენაზე რომ ვთქვა, „ტონი მისცა“ მთელ სპექტაკლს და თავიდანვე გაგვაცნო ფრანგი მსახიობის თამაშის მანერაც: დახვეწილი პროფესიული კულტურა, ბუნებრივისა და უშუალობის დონეზე გამართვა მოქმედების, დეკლარაციისა და პოზიორობის უარყოფა, მოლიერის ლექსის კითხვისას მუსიკალური მხარის შერწყმა სასაუბრო მეტყველების ცხოველ კილოსთან. ყველაფერი ეს სანაქებოა და, მაინც, სულ ეგ არის? დიახ, სულ ეგ არის! ახალი სცენური საშუალებები? არავითარი. მერედა, ეგ საკმარისია? არა მგონია. არ არის საკმარისი. ჯერჯერობით არ გამოიკვეთება საინტერესო მიზანსცენები. თავისებური თამაში და ბუნებრიობა, მოლიერის ბრწყინვალედ წაკითხვა, ეპოქის სურათის შექმნა — ნუთუ ეს მათი ერთადერთი სურ-

ვილია? ნუთუ, თეატრის მიზანია იყოს მოლიერის ტექსტის მხოლოდ ინტერპრეტატორი? მაგრამ, ეგებ ნაადრევია და ნაჩქარევიც ამგვარი დასკვნის გამოტანა. ვნახოთ სხვა ეპიზოდებიც და სხვა მსახიობებიც.

მარიანას მსახურის, დორინას როლს ასრულებს ბეატრისა ბრეტი, ბეატრისა ბრეტიმ მოლიერისეული განსაზღვრაც და ტრადიციული თეატრალური წარმოჩენაც დორინას სახისა დაარღვია, — მან დორინა მოსამსახურე ქალად კი არა, უფრო მეტად, ორგონის შვილების აღმზრდელ ძიძად წარმოგვიდგინა; და სახის მისეულმა განსაზღვრამ კიდეც გაამართლა: დამაჯერებელია დორინას მიერ ოთახში აღძრულ ყველა მოვლენაზე მეტისმეტად ოამამად მსჯელობა, ოჯახის ცხოვრებაში ჩარევა. მოსაწონი იყო ბეატრისა ბრეტის ცინცხალი თამაშიც და დორინას სახის თავისებური გააზრებაც.

რაც შეეხება ლუი სენიეს, — რომელიც, ეტყობა, ყოფითი ხასიათის, ჟანრის მსახიობია, — მისეული ორგონი ერთფეროვანი, შინაგანად არაშთამბეჭდავი აღმოჩნდა. შესაძლოა, ასეთი უკმარობის გრძნობა იმიტომ აღმეძრა, რომ უნებურად მახსენდებოდა ჩვენი ვასო აბაშიძე, ქართულ სცენაზე ორგონის როლის უბადლო შემსრულებელი. ლუი სენიემ ვერ შესძლო ეს სახე საკუთარი პიროვნული მნიშვნელობით აღევსო და შთამბეჭდავი ინდივიდუალური ძალა და შინაარსი მიენიჭებინა მისთვის. ვუყურებდი მას და თვალწინ კი ერთთავად მედგა ვასო აბაშიძე და, წამიწამ, ცხადად ჩამესმოდა განცდით აღსავსე, გაფერადებული ინტონაციებით მიმართული მისი შეკითხვები და პასუხები დორინასადმი, მის მიერ სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა შინაარსით წარმოთქმული „საწყალი კაცი“, მაგიდის ქვეშ სცენის გათამაშება (როდესაც ტარტიუფი სიყვარულს ეფიცება ელმირას) და, მერე, მისი მრისხანება ტარტიუფისადმი. მაინც რა ძალისაა დიდი ხელოვანის შთამბეჭდაობა! მიუხედავად იმისა, რომ ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა ვნახე ვასო აბაშიძე ამ როლში, როცა არა თუ ვუყურებ სცენაზე ორგონს, უბრალოდ რომ ახსენებენ ამ სახეს, თვალწინ წარმომიდგება არა მარტო ვასო აბაშიძე, — უნებურად მახსენდება ტოპორკოვიც: სამხატვრო თეატრის „ტარტიუფში“ მის მიერ შესრულებული ორგონი ხომ შედევრია აქტიორული ხელოვნებისა. ჰოდა, ორგონის როლის შესრულების ასეთი ტრადიციების ცოდნამ თუ დაჩრდილა ლუი სენიეს ეს თამაშის აღქმა? ეგებ, ამიტომ ვერ მოახდინა მან ჩემზე შთაბეჭდილება?

ერთი კი ცხადია — თითქმის ვერცერთი მსახიობის თამაშში სამსახიობო შესრულების ფიქსირებას ვერ ვახერხებ. ენის უცოდინარობის ასეთი სიძნელის წინაშე არ ასოდეს დავუყენებივარ, როგორც ეს ამ წარმოდგენაზე განვიცადე (თუმცა ზედმიწევნითი სიზუსტით ვიცი „ტარტიუფის“ შინაარსი). იმდენად ძუნწი ყესტით კმაყოფილდებიან კომედი ფრანსეზის მსახიობები და, ამასთანავე, იმდენად უბრალოდ, ყოველგვარი დაჭიმულობის გარეშე თამაშობენ, ისე შეუმჩნევლად გადადიან ერთი განწყობილებიდან მეორეზე, რომ, გარდა სიტყვიერი ზემოქმედებისა, მაყურებელს თითქმის არაფერი არ ეხმარება, მიუხედეს სცენაზე შინაარსობრივად განვითარებულ მოვლენათა ცვალებადობას. ბევრი რამ ასეთი თამაშის მანერაში, ასეთ საშემსრულებლო სტილში ნამდვილად შესაშურია, — ნამდვილად ოსტატობაა, პროფესიონალიზმია ეს, მაგრამ, ცალმხრივობისა და უკმარობის დაღიც ღრმად ამჩნევია.

და, აი, დასტურიც! ბედნიერ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენენ მსახიობები ჟან იონელი (ტარტიუფის შემსრულებელი) და ანნი დიუკო (ელმირას როლის შემსრულებელი). მათ თამაშში სამსახიობო ხელოვნების ზემორე ხსენებულ თვისებებს თან ერთვის ჟესტის მნიშვნელობა და პლასტიკა. მათი სიტყვა ქმედითია, მოძრაობაშია გამოხატული და ამ მსახიობთა „ქმედებაში აძრული სიტყვა“ ანუ „მოძრავი სიტყვა“ ერთ მთლიან სცენურ ამოცანას ემსახურება. ანნი დიუკო დიდის სინაზითა და გრაციით ასახიერებს ელმირას, ორგონის მეუღლის როლს: ქალური ალღო და გონიერება, იუმორი და კეთილშობილება ანნი დიუკომ მშვენივრად გადმოსცა ტარტიუფთან ჩატარებულ ეპიზოდებში და, რაც მთავარია, მომხიბვლელი იყო სცენაზე.

მრავლის მხრივ განსაკუთრებულია ჟან იონელის მიერ ტარტიუფის განსახიერება. თუ ანნი დიუკოს ბუნებრივი მონაცემები და მომხიბვლელობა ხელს უწყობდა ელმირას სახიერების შექმნაში, ჟან იონელის გარეგნობა სრულიად არ შეესაბამებოდა ტარტიუფის ისეთ სახეებას, რომელსაც ორგონის ოჯ-

ახის წევრები ჯერ კიდევ სცენაზე მის გამოჩენამდე გვაცნობენ (ღორმუცელა, გაბღენძილი, პირმოთნე, ღვთისმოსავი, ფარისეველი, გაიძვერა და სხვა). აი, ტანად გამხდარი და საკმაოდ მეტყველი სახის ნაკვთების კაცი შემპარავი ღუღუნით ეფოფინება ელმირას, როგორც „ღვთაებრივ ქმნილებას“. იგი ირჯება დახელოვნებული არშიყივით და მხურვალედ ქადაგებს მშვენიერი სქესისადმი სიყვარულის ყოვლისმომცველ ძალას. მართლაც დიდის ოსტატობით აქვს დამუშავებული ტარტიუფის შინაგანი სამყარო, მისი მთლიანი სახებაცა და თვით უმცირესი დეტალიც. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებს ეპიზოდებს ელმირასთან და, მაინც, არა და არ მაღელვებს, — ყურადღებას კი იპყრობს, მაგრამ არ მიტაცებს. სამსახიობო ხელოვნებას ფლობს ჟან იონელი, ნამდვილი ოსტატიცაა, მაგრამ გრძნობათა პოეზიას ვერ აღწევს და ვერ ჰქმნის, — დიახ, გრძნობათა პოეზია თან არ ახლავს მის ოსტატურ შესრულებას. სწორედ ამ მთავარ კომპონენტს მსახიობის მიერ სცენური სახის შექმნისა, ამ ძალას, რომელსაც არა ერთხელ აღუტაცივარ ქართულ და რუსულ თეატრებში, კომედი ფრანსეზის „ტარტიუფში“ ჯერჯერობით, რა ვქნა, ტყუილს ვერ ვიტყვი და, ვერ ვხედავ, ვერ განვიცდი.

ნამდვილი სცენური გარდასახვის ცდას წარმოადგენს ჟან მეიერის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული როლი სასამართლოს ბოქაულის ლოიალისა: ყანჩისებრ წვრილ, მაღალ მუხლებში მოღუნულ ფეხებზე შედგმული ტანი, მხრებზე მოფენილი ნაცრისფერი მოსასხამი, თითქოსო ფრინველის ბუმბულით დაფარული თავი და იმავ ხასიათის წვერულვაში, მშრალი გამოხედვა და ჟამი-ჟამ ცბიერი ღიმილი, რომელიც გამოაჩენს მოხუცის გამეჩხერებულ კბილებს. — ყოველი დეტალით მსახიობი ხაზს უსვამს სასამართლოს მოხელის, კანონის უსულგულო აღმასრულებლის ხასიათს და ქმნის მთლიან ტიპს. პაწია ეპიზოდია, მაგრამ ოსტატმა მსახიობმა შესძლო მისთვის თავისთავადი მნიშვნელობა მიენიჭებინა. მასში მე დავინახე ბევრი ახლობელი და ვცან მსახიობად, რომელიც თანამედროვე და ჭეშმარიტი სასცენო შემოქმედებითი პრინციპების მიმდევარია. ლოიალის როლის გარეგნული ნახატი სავსებით შეესაბამებოდა სახის შინაგან ცხოვრებს და, ამიტომ, ჩემი გულის კარიც მისთვის ფართოდ გაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენის შემდეგ (სხვადასხვა ოსტატური შესრულების, სპექტაკლის მთლიანობისა და დახვეწილობის მიუხედავად), უკმარისობის ღრმა კვალი ჩამრჩა ფიქრსა და გულში. იყო ნიჭი და ოსტატობა, მაგრამ არ იყო ტალანტის სიძლიერე და მასშტაბურობა, არ იყო შემოქმედებითი აღმაფრენა.

„გააზნაურებული მდაბიო“

10 აპრილი.

„გააზნაურებული მდაბიოს“ გმირი ჟურდენი მკვეთრი კომიკური სახეა. ჟურდენი მდაბიო წარმოშობის მდიდარი კაცია და, კარიერას დახარბებული, თავშეუკავებლად ცდილობს მაღალი წრის საზოგადოებაში მოხვედრას. ამისათვის იგი ყოველ ღონეს ხმარობს, თავის მხრივ არაფერს ზოგავს და არას დაუდევს, ოღონდ კი როგორმე დაუახლოვდეს სამეფო ტახტს.

„გააზნაურებული მდაბიო“ ერთ-ერთი სწორუპოვარი ნიმუშია ისეთი ჟანრისა, რომელიც მოლიერმა კომედია-ბალეტის სახით დაამკვიდრა პროფესიული კლასიკური თეატრის სცენაზე. მოლიერის ამ პიესისთვის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ლიულიმ და იგი დიდის წარმატებით დაიდგა 1670 წელს შამბორში.

ვზივარ პარტერში, ველოდები წარმოდგენის დაწყებას და ვიხსენებ კომედიის პირველ ეპიზოდებს: მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის მასწავლებლებს ბატონ ჟურდენის ბინაში მოუყრიათ თავი და მის მოლოდინში მასლაათით იქცევენ თავს; მუსიკის მასწავლებელი უყვება თავის კოლეგებს, თუ როგორ უბრძანა მან თავის მოწაფეს ბატონი ჟურდენის დაკვეთის შესაბამისი მუსიკა — სერენადა შეექმნა და რომ იგი ბედნიერია იმით, რომ ბატონი ჟურდენის სახით უაღრესად საჭირო და სასარგებლო კლიენტი იპოვნა, — ჟურდენი ხომ გააზნაურების იდეით არის შეპყრობილი, ცდილობს მაღალი წრის წარმომადგენლისთვის სავალდებულო ცოდნასა და ქცევას დაეუფლოს და, ამდენად, უაღრესად გემრიელ და სასარგებლო ლუკმას წარმოადგენს მისთვის. მეორე მასწავლებელიც იმავ აზრისაა, ოღონდ ჟურდენის სიტლანქით და უნიჭობით არის შეწუხებული.

ბოლოს, ყველა იმაზე თანხმდება, რომ ჟურდენის მოუხეშაობა მის მიერ სწავლებისთვის გაცემული გასამრჯელოებით ქარწყლდება. მერე, ჟურდენის გამოჩენა, სიმღერები, ცეკვები და...

ჩემმა მეხსიერებამ პიესის პირველი ეპიზოდის აღდგენა ძლივს მოასწრო, რომ კულისებიდან ძელის ცემის ხმა მოისმა, — ერთი, ორი, სამი. დირიჟორმა ხელი ასწია. კვლავ ძელის ცემა; შემდეგ, მოკლე ლუფტ-პაუზა და, დირიჟორის ხელის აქნევით იწყება უვერტიურა (ტრადიციულად თურმე ასე იწყებენ სპექტაკლებს კომედი ფრანსეზში — გონგის მაგიერ, ძელის იატაკზე ცემით). უვერტიურის ნათელი, მსუბუქი მელოდია, ბავშვური სიცელქითა და უშუალობით იზიდავს და ახალისებს მსმენელს, მომავალი სანახაობისთვის საჭირო განწყობილებას უქმნის პარტერში მყოფთ.

უვერტიურა დასრულდა თუ არა, ფარდა გაიხსნა და ჩვენს წინ აღმოჩნდა ჟურდენის ბინა: მარჯვენა მხარეს წინა პლანზე თითქმის ჭერამდეა აზიდული სახლის კედელი ფანჯრითურთ (აქ მთავარია ფრანგული სტილის ფანჯარა), იმავე მარჯვენა მხარეს, ოდნავ უკან, ხვეული კიბეა, რომელიც ბოლოვდება აივანზე; აივანი მარჯვნიდან მარცხნივ ვრცელდება და უერთდება მეორე კედელს; სიღრმეში და აივნის ქვეშ კი — ჟურდენის ბინის უზარმაზარი დარბაზია მოჩუქურთმებული კარებებით, სპილოს ძვლის სწორი კედლებით, მოხატული ჭერით, გემოვნებით განლაგებული ავეჯით (მხატვარმა სუზანა ლალიკმა დიდის გემოვნებით შექმნა სცენაზე მსუბუქი, განათებული, ხალისიანი მხატვრული ატმოსფერო). აი, მუსიკის მასწავლებელი (მსახიობი რ. მანუელი) თავს დადგომია თავის მოწაფეს, რომელიც კლავესინზე ასრულებს ჟურდენის დაკვეთით შეთხზულ სერენადას; მარცხენა კართან ცეკვის მასწავლებელი (მსახიობი ჟაკ შარონი) დგას და ესალმება ახლად შემოსულ მომღერლებსა და მოცეკვავეებს. მოქმედ პირთა ტანსაცმლის ფერიცა და ფაქტურაც დიდის გემოვნებითა და ზომიერებით არის შერჩეული, მათი თვით ჩაცმულობაც კი ახალისებს მაყურებლის თვალს.

პირველი ეპიზოდებიდანვე იგრძნობა, რომ, განსხვავებით „ტარტიუფისგან", აქ ტრადიციის ერთგვარ დაძლევასათან გვაქვს საქმე, — რეჟისორი ჟან მეიერი და მხატვარი სუზანა ლალიკი აღარ დაკმაყოფილებულან მოლიერის ტექსტის მარტო ინტერპრეტაციით, თანამედროვე სცენური გამოსახვის საშუალებებისთვისაც მიუმართავთ: მიზანსცენების მკვეთრი განლაგება, ფერისა და სინათლის გამოყენება ამა თუ იმ მოვლენის გასამძაფრებლად და მაყურებელზე მხატვრული ეფექტის ზემოქმედების მოსახდენად. უთუოდ აღსანიშნავია ცეკვის, მუსიკის, ფარიკაობის მასწავლებლებისა და ფილოსოფიის მასწავლებლის დავა-კამათის და, აგრეთვე, კლეონტის, ლუსილის, ნიკოლის და კოვიელის წაკიდებისა და შერიგების ეპიზოდები; მეტად მომხიბვლელი აღმოჩნდა მკერავისა და ჟურდენის ეპიზოდიც. ზემორე ჩამოთვლილ ეპიზოდებში ყოველი მიზანსცენა არა მარტო რიტმულ, პლასტიკურ და მუსიკალურ საფუძვლებზეა დაშენებული, არამედ აღმოცენებულია ხასიათის და პერსონაჟთა შინაარსეული დამოკიდებულების განვითარებიდან. ამიტომაც იყო, რომ ყველა ეს ეპიზოდი იწვევდა ცხოველ რეაქციას მაყურებელთა დარბაზში. ჩემთვის პირდაპირ დაუვიწყარია „რეჟისორული ნაკვეთი", დამაგვირგვინებელი ჟურდენის გათურქება-გასულთანების ეპიზოდისა: „მამამუშის" ხარისხში აყვანილი, მოქანცული ჟურდენი თავზე უზარმაზარი ჩალმით, თათრულ მოსასხამში, ფეხმორთხმით იატაკზე ზის ბნელ ოთახში და, რეჟისორი მას გამოჰყოფს მკვეთრი ვარდისფერი სინათლით! და, აი, მთელს სცენაზე ისე მოჩანს, თითქოს ხელისგულზე გიზისო. თვალებდაჭყეტილი, სიამოვნებით გაბრუებული და ბედნიერებისაგან დაღლილი ბავშვი, რომელმაც თავისი დიდი ხნის ოცნება ბოლოს და ბოლოს სინამდვილედ გადააქცია. რეჟისორისა და მხატვრის მიერ შექმნილმა სცენურმა სიტუაციამ და მსახიობის მიერ ჩატარებულმა უსიტყვო სცენამ ისეთი ეფექტი გამოიწვია, რომ მთელმა დარბაზმა ერთდროულად იქუხა — ტაშით დააჯილდოვა მსახიობიც, რეჟისორიცა და მხატვარიც. თუმცა, ასეთი ერთსულოვანი მოწონება სხვა ეპიზოდთა გათამაშებას არ ხვდომია წილად: დიდის გემოვნებით დადგმულ და გაფორმებულ, მთელ რიგ ეპიზოდებში მსახიობთა მიერ ბრწყინვალედ გათამაშებულ ამ სპექტაკლში, სამწუხაროდ, მრავალი სურათი მრავალი ეპიზოდი ვერ გასცილდა სასცენო ილუსტრაციისა და დივერტისმენტის ჩარჩო-

ებს. სადაც დეკორატული მორთულობა, სცენური მდგომარეობა, ინტერმედიები ისევე იფანტებიან და იხლიჩებიან, როგორც ჟურდენის ფილოსოფიის მასწავლებლის სახელმძღვანელო ვეება წიგნი (უნდა აღვნიშნო ეს გონებამახვილური ხერხი, რომელსაც მსახიობი ჟორჟ შამარა მიმართავს ფილოსოფიის მასწავლებლის როლის განსახიერებისას; ფილოსოფიის მასწავლებლის სიცრუე და უცოდინარობა რომ გამოხატოს, ერთერთ ეპიზოდში აიტაცებს სქელტანიან წიგნს, რომლის ფურცლები ნაწილ-ნაწილ ჩამოეკიდება ყდის ძაფებზე).

მიუხედავად სხვადასხვა ნაკლოვანებისა, სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა, რასაც უდავოდ ხელს უწყობდა მსახიობ ლუი სენიეს თამაში. მან ჟურდენის როლში ბრწყინვალე აქტიორული ტექნიკით მიიპყრო ყურადღება და ოსტატურად გამოხატა ჟურდენის ხასიათის მიამიტობა, მისი ბავშვური მოუფიქრებლობა, მიმნდობლობა. ჟურდენს იგი ისეთის ფერებით ხატავდა, რომ მაყურებელში არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა მისი გამასხარავების მიზეზები. სამი მოქმედების მანძილზე ლუი სენიემ უამრავი, საინტერესო ფერი გამოიყენა ჟურდენის სახის და ცხოვრების წარმოსადგენად, მაგრამ სპექტაკლის მეორე ნაწილში საკმაოდ მომაბეზრებელმა განმეორებებმა იჩინა თავი. რატომ? ჩემის აზრით, იმიტომ, რომ ამ სპექტაკლშიც, ისევე როგორც სხვა წარმოდგენებში, კომედი ფრანსეზის მსახიობი თავისი ინდივიდუალობის საზღვრებს არ სცილდება, უპირატესად თავის ბუნებას რომ არის მინდობილ-მინებებული მსახიობი, მისი პალიტრა ყოველთვის შეზღუდული აღმოჩნდება!

და მაინც, კომედი ფრანსეზის მსახიობებმა მოლიერის ამ ორი უკვდავი კომედიის შესრულებით ნათლად გვიჩვენეს თავისი, საკუთარი და განსხვავებული შემოქმედებითი გზა, რომელზეც პრიორიტეტს ინარჩუნებს დიალოგი, მონოლოგი, პლასტიკა და მუსიკალობა. ფრანგულ ხასიათთა განსხვავებას სცენაზე ფრანგ მსახიობზე უკეთ, ალბათ, ვერვინ შეასრულებს. ამ მხრივ, მართლაც, განუმეორებელნი არიან ფრანგი მსახიობები: თუმცა, ძალიან ხშირად, სწორედ ეს განუმეორებლობა უშლიდა ხელს თვით დიდ ფრანგ მსახიობებს, გასცილებოდნენ ეროვნულ ჩარჩოებს.

ვუსმენდი ფრანგ მსახიობებს და, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა გონიერად და სიღრმისეულად, რა გააზრებით კითხულობენ ისინი მოლიერის ტექსტს, დიალოგის და რეპლიკის ბრწყინვალე შესრულებით ისინი საოცარი სიმსუბუქით ხსნიან დიდ იდეებსა და მარადიულ ადამიანურ ვნებებს.

ასეთია ჩემი ზოგადი შთაბეჭდილება მოლიერის კომედიების შესრულებაზე კომედი ფრანსეზის თეატრში.

„სიდი"

17 აპრილი

კომედი ფრანსეზის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიიდან ვიცით, რომ მოლიერის ტრადიციებმა განსაზღვრეს ფრანგულ თეატრში კომედიის შესრულების ახალი მანერა: ნათელი იდეური გააზრება, ხასიათების ზუსტი და ღრმა ფსიქოლოგიური გამოკვეთა, მოქმედების დინამიური განვითარება, ზომიერი ნახევარტონები და სცენური მეტყველების ვირტუოზული სიმახვილე.

ფრანგული თეატრალური სკოლის მიერ კომედიის შესრულების სფეროში გამომუშავებული ეგ ღირსეული წესები და ნორმები გამომდინარეობდა მოლიერისეული რეფორმიდან, რომელიც მიმართული იყო ცხოვრების რეალისტური სცენური ასახვისკენ. ამ რეფორმამ ძირეული ცვლილებები შეიტანა ტრაგედიის თამაშის სტილშიც. მოლიერმა და მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა და მოწაფეებმა — ლაგრანჟმა და მიშელ ბარონმა გაკაფეს ის გზა, რომელიც გააგრძელეს წარმატებით და ახალ-ახალ შემოქმედებით მწვერვალთა დაპყრობით კომედი ფრანსეზის გამოჩენილმა, მსოფლიო მნიშვნელობის ტრაგიკოსებმა ლეკლენმა და ტალმამ. ეს იყო გზა — განცდათა სიღრმე-სიმძლავრისა და მათი მართლად გამოვლენისა სამსახიობო ხელოვნებაში, რომელმაც უკუაგდო კლასიცისტური სკოლის გაყინული ტრადიციები. ამ ტრადიციის მიხედვით აქტიორის ჟესტ-მიმიკა და მეტყველება უნდა დამყარებოდა მოძრაობით ჩვენების დადგენილ კანონებსა და პათეტურ დეკლამაციას. მიშელ ბარონი ყურადღებას ამახვილებდა კორნელისა და რასინის დრამატულ ქმნილებებში მოქმედების უშუალობაზე და ძირითად როლებში იცავდა აქტი-

ორის უფლებას — განცდათა ძალისხმევისთვის დაემორჩილებინა მეტყველებაცა და ქცევაც. ასეთმა გეზმა ბიძგი მისცა აქტიორის ფანტაზიას, ხელი შეუწყო ინდივიდუალობის სულ უფრო და უფრო მრავალფეროვნად გამოვლენას, ახალ-ახალ გამომსახველობით საშუალებების ძიებას. ასეთმა გეზმა აქცია მსახიობი ნამდვილ შემოქმედად და, კიდეც ამ დროიდან იწყება ახალ ევროპულ თეატრალურ ხელოვნებაში დიდ მსახიობ-ტალანტთა გამოჩენა. თანდათან ისტორიას ჩაბარდა და გაქრა აქტიორი-ინტერპრეტატორი, აქტიორი-დეკლამატორი, აქტიორი-ნიღაბი, აქტიორი-მასხარა და საერთოდ აქტიორი-მატყუარა, და გამძლავრდა აქტიორი-შემოქმედი-განმცდელი, მოაზროვნე და მართალი. ასეთი იყო ტალმა, ლეკლენი, სარა ბერნარი... და ასეთად მეგულვის დღეს ჟერარ ფილიპი საფრანგეთის თეატრალურ ხელოვნებაში.

„სიდი" მიეკუთვნება იმ იშვიათ დრამატულ ქმნილებათა რიცხვს, რომლებიც ნაციონალური ხელოვნების განვითარებაში ახალი ეტაპის მაუწყებლად და ფუძემდებლადაც გვევლინებიან. ამ ნაწარმოებში თავმოყრილია და სრულყოფილებული ყოველივე ის კარგი და ცხოველმყოფელი, რაც წარსულში გამოუმუშავებიათ თეატრალური ხელოვნების სფეროში და, აგრეთვე, მოცემულია ის ახალი თვისებები, ის ახლებური შემოქმედებითი მხარეები, რომლებიც მომავალ თაობათა შემოქმედებაში ასათვისებელი და გასაცნობიერებელი აღმოჩნდა.

კორნელის მაღალი გრძნობითა და აზრით განმსჭვალულ, ვაჟკაცური აღმაფრენით, სიმკაცრითა და რიტმით წარმოთქმულ სიტყვებში მოისმის ფრანგული აღორძინების ხანის საუკეთესო პოეტთა ხმები, რომლებიც უმღეროდნენ თავიანთი ხალხის გმირობას, მეგობრობას, სიყვარულს, და სახელოვანი წარსულის ეს ნახმევი ერთვოდა ახლებურ, კორნელისეულ ხმათა ძლევამოსილ მდინარებას. პირველმა რომ შეხსნა კარი დიდი ფრანგული გმირული თეატრისა, — ეს იყო ერა, ერთის მხრივ, კლასიცისტური ტრაგედიის გაფურჩქვნისა და, მეორეს მხრივ — რომანტიკული დრამის ჩასახვისა, კორნელი იყო კლასიცისტური დრამის ის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც, ვითარცა ჭეშმარიტი ხელოვანი, ვერ ჩაეტია ერთი მიმართულების კალაპოტში და თავისი „სიდით" მსოფლიო რომანტიკული დრამის განვითარებას ჩაუდგა სათავეში. პუშკინი სწორედ ამიტომ იყო აგრერიგ აღტაცებული კორნელის „სიდით", რომელსაც უფრორე დიდებულ რომანტიკულ, ვიდრე კლასიცისტურ წაწარმოებად თვლიდა.

და მართლაც. კორნელის „სიდი" მრავლის მხრივ საოცარი ქმნილებაა: თუ, ერთის მხრივ, მასში ფრანგული კლასიციზმისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები — მკაცრი კომპოზიცია, დაოკებული პოეტური მეტყველების სიწმინდე, შინაარსის სიცხადე, მოქმედების განვითარების გონიერად აწყობა და სხვა ამგვარი თვისება უმაღლეს დონეზეა აყვანილი, მეორეს მხრივ, მისი არსი გამდიდრებულია თანადროული სახელმწიფოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური იდეებით, გაცოცხლებულია ხასიათების ფსიქოლოგიური დახატვით, განცდათა სისავსით და ნატიფი ენერგიული ლექსით. მძაფრი სუნთქვა, მძლავრი მაჯისცემა და სულის სილაღე, რითაც აღსავსეა ეს ნაწარმოები, ცინცხალი დიალოგები და მოქმედებათა სისხარტე — ყველაფერი ეს უტყუარი ნიშანია ხალხურ საწყისებთან, ხალხის სულისკვეთებასთან ახლობლობისა. აკი კორნელიმ თავისი ნაწარმოებით კიდეც უმღერა უბრალო და დაბადებით ვაჟკაცური ბუნების ადამიანებს, რაც დაუპირისპირა არისტოკრატული წრის წარმომადგენელთა გაზვიადებულ სახელებს, მათ პატივმოყვარეობას და გაპრანჭულობას.

კორნელის „სიდი" — ეს სიმღერაა ვაჟკაცობაზე, ალალ-მართლობაზე, სილამაზეზე, მოვალეობასა და პატიოსნებზე. აკი ამიტომაც იქცა მოარულ თქმად საფრანგეთში — „სიდივით მშვენიერი", რაც გადაიქცა ცოცხალ განსაზღვრებად ყოველივე ჭეშმარიტად მშვენიერისა. არა მარტო თეატრმა, მთელმა ხალხმა აიტაცა სიდის სახება, რადგან დაინახა მასში ხალხისადმი შეურყეველი ერთგულება, პატრიოტული აღფრთოვანება, ზნეობრივი სიწმინდე და ნამდვილი ვაჟკაცობა. ამდენად შეიძლება ასეც ითქვას, რომ „სიდი" ხალხური ქმნილებაა; და იგი აღელვებს არათუ ფრანგს, არამედ ყველა ჯურის ადამიანს, ვის გულშიც ცოცხლობს იდეალები ზნეობისა, მამულიშვილობისა, სილამაზისა და მოვალეობისა.

„სიდს" საფუძვლად უდევს რაინდული სიუჟეტი, აგებული მოვალეობის შეგნებისა

და სიყვარულის გრძნობის დაპირისპირების კონფლიქტზე: დონ დიეგო თავისი გვარის ღირსების დასაცავად მოითხოვს შვილისგან, რათა მან (როდრიგომ) შური იძიოს გრაფზე, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა დიეგოთა ოჯახს. გრაფი არის როდრიგოს უსაყვარლესი ქალის, თავისი სასძლოს მამა; მას უჭირს ამ მოთხოვნის აღსრულება, მაგრამ, ბოლოს, იწვევს გრაფს დუელში და კლავს. ერთის მხრივ, საკმაოდ ბანალური, ტრადიციული სიუჟეტი და რომანტიკული სიტუაციაა, მაგრამ კორნელის ტრაგედიაში ყოველივე ამან ღრმად ჰუმანური მიმართულება მიიღო და ახლებური ხორცი შეისხა.

მაღალი კლასის წოდებრივი შეგნებიდან წარმოშობილი რაინდული ღირსების დაცვის ვალდებულება კორნელიმ გადააქცია ადამიანის ზნეობრივი და საზოგადოებრივი მამაცობის სიმბოლოდ. „სიდის“ სიუჟეტური ქარგა პირადი, საგვარეულო და რაინდული ღირსების დაცვას უპირისპირებს ცხოვრებისეულ მგრძნობელობას (მოვალეობას — სიყვარულს); მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კორნელი სიყვარულს აკნინებდეს მოვალეობასთან შეპირისპირებისას: მოვალეობის შეგნებისა და ღირსების დაცვის გამარჯვება, ერთის მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ვნების დათრგუნვა, — ასეთ აქტს ავტორი შეგნებული სიყვარულის გამარჯვებად აცხადებს. და მართლაც, როდრიგოს სისხლით რომ არ ჩამოერეცხა თავისი მამისა და მთლიანად თავისი გვარის სირცხვილი, იგი ხომ აღარც ღირსი იქნებოდა ხიმენას სიყვარულისა. როდესაც როდრიგომ თავისი მამის დასაცავად მოკლა გრაფი (ხიმენას მამა), ამით მან ხიმენაში მარტო სიძულვილი კი არ გამოიწვია. არამედ პატივისცემისა და სხვა ფარულ გრძნობათა მძლავრი აღგზნებაც. თავის მხრივ ქალიშვილური მოვალეობის აღმსრულებელი ხიმენა თუმც მოითხოვს როდრიგოს სიკვდილით დასჯას, მაგრამ იგი მაინც ვერ ერევა გულის სიღრმეში როდრიგოსადმი სიყვარულს, ხედავს მის კეთილშობილებას, მის კაცურ მიმართებას მოვალეობისადმი, მან იცის, რომ როდრიგომ ეს მკვლელობა რაინდულ კოდექსთა სავალდებულო აღსრულების ძალით ჩაიდინა და მის თვალში როდრიგო კიდევ უფრო ამაღლდა.

ფორმალურად როდრიგო და ხიმენა ერთი და იგივე მოტივით მოქმედებენ — ორთავე გვარის ღირსებას იცავს, მაგრამ არსებითად, შურისგება როდრიგოსი და ხიმენას შურისგება ატარებენ განსხვავებულ ეროვნულ-ზნეობრივ საზრისს.

პიესაში როდრიგოს მიერ გრაფის მოკვლა მარტო შურისძიების აქტს არ აღნიშნავს. — იგი უპირატესად გამოხატავს ადამიანური ღირსების დაცვის იდეას. როდრიგო იმიტომ კლავს გრაფს, რომ ამ უკანასკნელმა მძულვარებითა და ბოროტებით, უსამართლოდ დაამცირა როდრიგოს გვარი. ამისგან განსხვავებით, როდესაც ხიმენა მოითხოვს როდრიგოს სიკვდილით დასჯას, იგი ამით თავის პირად ინტერესსა და მიზანს გამოხატავს — ეს აქტი მხოლოდ შურისძიების გრძნობის აღმნიშვნელია. ხიმენა სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს როდრიგოს მხოლოდ ძველი ჩვეების აღსასრულებლად, ეს მხოლოდ სისხლის აღებაა. ხიმენას შურისძიება ზნეობრივ საფუძველს მოკლებულია, შეიძლება ითქვას, რომ ხიმენა იძულებითაც ასრულებს სისხლისაღების ამ წესს, რადგან გულის სიღრმეში მისი სიყვარული და პატივისცემა როდრიგოსადმი ამაღლდა და ეს სიყვარული, სხვასთან ერთად, რაინდული მამაცობის თაყვანისცემის იდეის გამომხატველიცაა! ხიმენას არ ძალუძს შეიძულოს როდრიგო, რადგან როდრიგოსადმი სიძულვილით ხიმენას უნდა გაელაშქრა არა მარტო თავისი გრძნობის, არამედ ყველა თავისი ზნეობრივი იდეალების წინააღმდეგაც. ეს კი მის ძალ-ღონეს აღემატება. ბრმა ვნების დათრგუნვას უთუოდ შესძლებდა ხიმენა, მაგრამ თავის ზნეობრივ იდეალებზე იგი უარს ვერ ამბობს — იგი ვერ უმკლავდება როდრიგოსადმი პატივისცემით განმსჭვალულ სიყვარულს მაშინაც კი, როდესაც ამ სიყვარულის დათმობას მოითხოვს ქალიშვილის მოვალეობა. პატიოსნებით, მამაცობით, მოვალეობის შეგრძნებით და სხვა ამაღლებული თვისებებით როდრიგო ხიმენასთვის ხომ ადამიანის ხასიათის, მისი ქცევის იდეალურ ნორმებს წარმოადგენდა. და ასეთი შეფასება მარტო ხიმენას როდი ეკუთვნოდა. „სიდის“ ჩვენების შემდეგ, — „მთელი პარიზი დღეს ხიმენას თვალებით უყურებს როდრიგოს“ — წერდა ბუალო, მაგრამ როდრიგოს ზნეობა და მამაცობა არ შეესაბამებოდა მაშინდელი მონარქისტული საფრანგეთის სახელმწიფო სამსახურის იდეას, რისთვისაც ეს პიესა იწვევდა კა-

რდინალ რიშელიეს უკმაყოფილებას, რომელსაც, სტენდალის სიტყვებით რომ ვთქვათ, სურდა პიესის მოქალაქეობრივი პათოსი ჩაეხშო. აი, ამგვარ ძალთა დაპირისპირების, ზნეობისა და მოვალეობის, სიყვარულისა და შურისძიების ასეთი იდეებისა და ასეთი მოქალაქეობრივი პათოსის გამომხატველია კორნელის „სიდი“.

გაისმის იგივე ძელის ხმა, წარმოდგენის დაწყების მაუწყებელი და ფარდა ნელა იხსნება. ჩემს ყურადღებას თავიდანვე იპყრობს სცენის დეკორატული მორთულობის სისადავე. დეკორაციები თითქოსდა ფერადი გრაფიკის პრინციპზეა შესრულებული. შეინიშნება ერთგვარი სტილიზაციაც, მაგრამ არაფერი არ აღღვევს ზომიერებისა და სისადავის საზღვრებს, სცენის მარჯვნივ და მარცხნივ ორი თაღიანი გამოსასვლელია (მუდმივი დეკორატული დანადგარი). იგი შეერთებულია მოედნით, რომელიც ერთი საფეხურით მაღლაა აწეული სცენის ბაქნიდან. ამ მოედნიდან კიდევ ერთი საფეხურით მაღლა სხვა მოედანია, რომლის სიღრმე მეოთხე პლანამდე აღწევს. მას იქით მოხატული ფარდაა, რომელსაც სხვა მოქმედებაში მეორე ფარდა ცვლის, მეორეს მესამე და ა. შ. იმისდა მიხედვით, თუ რა განწყობილებასა და ადგილმდებარეობას გამოხატავს მოქმედება. მოედნის შუაგული, რამპის პარალელურად, დაფარულია სისხლისფერი ქსოვილით. აი, ამ ფონზე გამოჩნდებიან შესანიშნავი გარეგნობის, თეთრ სამოსში დიდის გემოვნებით მორთული ხიმენა, გრაფ გომესის ასული (მსახიობი ტერეზა მარნე) და მისი აღმზრდელი ელვირა (გენრიეტა ბარო), რომლის კაბა მუქი აგურისფერი და შავი ხავერდით არის გაწყობილი. კომედი ფრანსეზის მსახიობთათვის ჩვეული კეთილშობილური მოძრაობითა და ტანსაცმლის ოსტატური ტარებით, ორივე მსახიობმა ქალმა დაიკავა თუ არა სურათის კომპოზიციით სწორად მიჩნეული ადგილი, ღრმა სუნთქვითა და მთელის ხმით დაიწყო საუბარი ელვირამ იმაზე, რომ გრაფი გომესი (ხიმენას მამა) მისი ხელის ორ მთხოვნელს — როდრიგოსა და დონ სანჩესს შორის უპირატესობას პირველს ანიჭებს. ხიმენა აღტაცებულია — სწორედ როდრიგოა მისი გულის რჩეული.

მომესმის ტერეზა მარნეს ღრმა, კონტრალტოსებრი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, მეტყველების მოქნილი ინტონაციები. — მისი ხმა ხან ნაზად დუდუნებს, ხან ზარივით გუგუნი გააქვს და ხანაც ნაპირიდან ფეხ[illegible] [illegible]ერებული ზღვის ტალღასავით ჩუხჩუხებს. ხიმენა გახარებულია მისი აღმზრდელის — ელვირას ნაამბობით, მაგრამ, ამასთანავე, რატომღაც არ ასვენებს ცუდი წინათგრძნობა. ამით მთავრდება პირველი ეპიზოდი, მთელი ეს სურათი სავსეა ხიმენასა და ელვირას დიალოგებითა და მონოლოგებით. სცენური დროის მიხედვით ეპიზოდი ისე სწრაფად დამთავრდა, რომ ხიმენას ყოფნა გაუნძრევლად ერთსა და იმავე ალაგას მოსაწყენად არც კი მომჩვენებია.

ოდნავი ჩაბნელების შემდეგ დაიწყო მეორე ეპიზოდი. უკანა ფარდა ახლა სასახლის ოთახის კედელზე დახატულ ფრესკას წარმოადგენს, რომელზეც აღბეჭდილია ქრისტეს იერუსალიმში სახედრით შესვლა. წინა მოედნის მარცხენა მხარეს დგას სავარძელი. მეორე მოედანზე მეფის ქალიშვილი ინფანტა დონია ურაკა (მსახიობი ჟენევიევა მარტინე), მისი აღმზრდელი ლენორა (მსახიობი ფრანსუაზა ანჟელი), მისი პაჟი (მსახიობი ჟან-პოლ რუსიონი). ისინი ისეთი ანგარიშით არიან განლაგებულნი სცენაზე, რომ ფარდაზე აღბეჭდილი ფიგურების კომპოზიციას შეესაბამებიან. მსახიობთა ტანსაცმლის ფერებიც კედლის მხატვრობის შესაბამისია: ინფანტას ცისფერი, ლენორას შავი და პაჟის მუქი ოქროსფერი ტანსაცმელი ორგანულად ერთვის მთელი სასცენო სურათის ძირითად მხატვრულ ტონს. ინფანტა თავის პაჟს ხიმენასთან აგზავნის და აღმზრდელს ეუბნება, რომ, თუმცა როდრიგო უყვარს, მაგრამ უთმობს მას ხიმენას, რადგან თავად არ ძალუძს დაარღვიოს მეფის ქალიშვილისთვის შესაბამი ქორწინების წესები და წოდებით უთანასწორო კაცს წაჰყვეს ცოლად. ღირსება და პატივი მისთვის ყველა გრძნობაზე მაღლა დგას და, ამიტომ, იგი შეეცდება ჩაახშოს გულში როდრიგოსადმი სიყვარული. ხიმენასა და როდრიგოს შეუღლება მას დაუბრუნებს სულიერ სიმშვიდეს.

მსახიობი ჟენევიევა მარტინე თავისი ენერგიული მეტყველებითა და ძუნწი, მაგრამ მკვეთრი მოძრაობით კარგად გადმოსცემს პატივმოყვარე, ნებისყოფიანი ინფანტას სახეს. მართალია, მეტყველების ოსტატობით იგი არ ჩამორჩება ტერეზა მარნეს (ხიმენას),

არც ნაკლებად პლასტიური და მუსიკალურია, მაგრამ ტერეზა მარნეს გულში ჩამწვდომი ტემბრის ხმა და კეთილშობილური მგზნებარება, რა თქმა უნდა, საგრძნობ უპირატესობას ანიჭებს მსახიობს. ტერეზა მარნეს მიერ წარმოსახული ხიმენას სახება ჩრდილავს დანარჩენ ქალთა როლებს. ყველას ერთად კი, როლის შესრულების ტრადიციული მანერა ოსტატურად შეუთვისებიათ.

მესამე ეპიზოდი (ისევ მცირე ჩაბნელების შემდეგ) წარმოადგენს მეფის სასახლის წინ გაშლილ მოედანს. სურათის ცვლილება აქაც უკანა ფარდის მეშვეობით ხდება: ფარდა მოხატულია კონტრასტული ფერებით — შავით, ნაცრისფერითა და მოყვითალო ფერებით შესრულებულია არქიტექტურული დეტალებით შენივთული პეიზაჟში. ნახატის შესრულების მანერა თანამედროვეა, იხრება სტილიზაციისკენ... შემოდიან გრაფი გომესი და დონ დიეგო (როდრიგოს მამა). დონ დიეგოს როლს ასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟან იონელი, ხოლო გრაფი გომესის როლს — ჟან დავი. ტარტიუფის შესრულების შემდეგ დონ დიეგოს როლში რომ ვიხილე ჟან იონელი, უთუოდ ვიგრძენი მისი შემოქმედების საკმაოდ ფართო დიაპაზონი და ოსტატობა. ჟან იონელმა მთელის სისავსით წარმოადგინა უსამართლოდ დამცირებული მოხუცი რაინდის — დონ დიეგოს სახება, რომელიც უფლისწულის დამრიგებლად აირჩიეს მეფის კარზე და რამაც შურითა და ბოროტი განზრახვით აღავსო მასზედ გაცილებით მაღალი წოდების წარმომადგენელი, ხიმენას მამა გრაფი გომესი. გრაფი გომესი აღშფოთებულია მეფის გადაწყვეტილებით და მასხრად იგდებს, კილავს და ამცირებს დონ დიეგოს. დონ დიეგო მაინც ცდილობს კეთილი დამოკიდებულება შეინარჩუნოს გრაფთან და სიტყვას ჩამოუგდებს როდრიგოსა და ხიმენას სიყვარულზე, მომავალში იმათ შეუღლებაზე. გრაფი აქაც განაგრძობს ქილიკს, — დიეგოთა გვარი მეტად კნინია იმისათვის, რომ უფლისწულის დამრიგებლად და გომესებთან დასანათესავებლად ვარგოდესო, გრაფი ყოველნაირად უთითებს მოხუც დიეგოს საკუთარ უპირატესობაზე და, ბოლოს, კეთილშობილ რაინდს სასახლეში დატრიალებულ ინტრიგასაც აბრალებს. ამაზე დონ დიეგო საკადრის პასუხს კი გასცემს, მაგრამ გრაფი სილას გააწნავს დიეგოს და თან დასძენს: ახლა ახალგაზრდა პრინცს, თქვენს აღსაზრდელს, შეუძლია ბრწყინვალე მამაცობა ისწავლოს თავისი დამრიგებლისგანო. დონ დიეგო სასოწარკვეთილი ნელი ისე ჩავა საფლავში, რომ ამ სირცხვილს ვერ ჩამოირეცხავს. სწორედ ამ დროს შემოდის როდრიგო (მსახიობი ანდრე ფალკონი), თეთრ სამოსში გამოწყობილი ახოვანი ვაჟკაცი... და აი, ასეთ სტილში, ერთგვარი კონცერტული შესრულების მსგავსად გაგრძელდა ბოლომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ითქმის: მათი სცენური საშუალებების არსენალი მკაცრად განსაზღვრულია (როგორც რეჟისორული, ასევე სამსახიობო ხელოვნების თვალსაზრისით). სასცენო ქცევა და მიზანსცენები უპირატესად ტექსტის ინტერპრეტაციას ემსახურება. იგივე ითქმის ტანსაცმელსა და დეკორაციებზე — ისინი უფრო ილუსტრაციის როლს ასრულებენ, ვიდრე ნაწარმოების იდეის გახსნას ემსახურებიან. რასაც ვუყურებ და ვუსმენ, უთუოდ ინდივიდუალურია, მაგრამ ინდივიდუალობის საზღვრებს ვერ სცილდება.

ვუყურებ, ვუსმენ, და ისეთი შთაბეჭდილება მებადება, თითქოს მათი ხელოვნება სხვა პლანეტიდან არის მოსული. ამ ხელოვნებას მიმქრალი მთვარის შუქი ანათებს, მაგრამ ამ შუქზეც ჩანს, თუ რაოდენი სილამაზე, გრძნობათა რა შესანიშნავი პოეზია შემოუნახავთ და ჩაუმწყვდევიათ საფრანგეთის დღევანდელ მმართველთ მუზეუმის ჩარჩოებში. თითოეული დეტალი ამ ძველი ხელოვნებისა ისე სათუთად შემოუნახავთ, ისე უფრთხილდებიან, თითქოსდა ეშინიათ თანამედროვე ფრანგმა ხალხმა, ერთადერთმა მემკვიდრემ თავისი მშობლიური კულტურისა, ცვალებადი ქარების ქროლვით უნებურად არ გაჰფანტოს ის საუკუნეობრივი მტვერი, რომელიც ნაციონალური კულტურის სიამაყეს, კომედი ფრანსეზის ხელოვნებას ზემოჰფენია.

თუმც უკმარობის გრძნობით გამოვემშვიდობე კომედი ფრანსეზის ამ სამ სპექტაკლს, მაინც უდიდესი სიხარულის გრძნობას და ესთეტიურ კმაყოფილებას განვიცდიდი. მე, როგორც ხელოვანმა, თვალსაჩინო, დამაფიქრებელი, ცოცხალი გაკვეთილიც მივიღე ფრანგი კოლეგებისგან. თუ როგორ უნდა უფრთხილდებოდე ნაციონალური თეატრის ისტორიას. დეე, რაც მე ვნახე, იყოს მუზეუმი, — ასეთი იშვიათი მუზეუმის ნახვა დიდად საამო, ჭკუის და გულის მასაზრდოებელია.

პუბლიკაცია მოამზადა **ი. ლომჯარიამ.**

ერთი პიესა ალმანახიდან

თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: გამოსვლა იწყო სსრკ კულტურის სამინისტროსა და სსრკ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრულმა ალმანახმა „Современная драматургия“. დიდი ხანია მკითხველი საზოგადოება, ჩვენი დრამატული თეატრები ელოდნენ ამგვარი ალმანახის გამოსვლას. მწერალთა კავშირის თუ თეატრალური საზოგადოების ყრილობათა ტრიბუნებიდან ხშირად გაისმოდა მოწოდება სპეციალური ორგანოს შექმნის თაობაზე. დრომ, საბჭოთა დრამატული და თეატრალური ხელოვნების განვითარებამ, უცილობელი გახადა „თანამედროვე დრამატურგიის“ გამოცემის საჭიროება.

მართალია, ორმოცდაათიან-სამოციანი წლების დასაწყისში გამოვიდა მრავალტომიანი სერია — „საბჭოთა დრამატურგია“ და „საბჭოთა მწერლების პიესები“, მაგრამ მას შემდეგ საბჭოთა დრამატურგიამ, საერთოდ, თანამედროვე დრამატურგიამ, მრავალი ახალი თვისება შეიძინა, ახალ ურთიერთობათა შესაბამისად შექმნა თვისობრივად განსხვავებული და დინამიური ხასიათი თანამედროვე ადამიანისა.

უეჭველად საგულისხმოა, რომ ალმანახი „თანამედროვე დრამატურგია“ დაბეჭდავს არა მხოლოდ საბჭოთა ავტორების პიესებს, არამედ პროგრესული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებსაც, თავის ფურცლებს დაუთმობს კრიტიკულ-მიმოხილვითი ხასიათის წერილებს, გამართავს დისკუსიებს თეატრალური ხელოვნების მწვავე პრობლემებზე და, ამით, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თეატრალური აზრის, თეატრალური კრიტიკის განვითარებას, თავის წვლილს შეიტანს იმ ამოცანების გადაჭრაში, რასაც სახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“.

ამ ალმანახიდან ჩვენ, რუბრიკით „სსრკ-60“, ვბეჭდავთ ალექსანდრე მიშარინის პიესას „ოთხ საფრანგეთს უდრის“.

რით მიიპყრო ამ პიესამ ჩვენი ყურადღება? ჯერ ორიოდე სიტყვა ავტორის შესახებ: ა. მიშარინი, ა. ვეიცლერთან ერთად, მრავალი საყურადღებო სცენარის ავტორია. რეჟისორ ანდრეი ტარკოვსკისთან შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა შესანიშნავი მხატვრული ფილმი „სარკეები“. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ სხვა ფილმებიც: „ცხენებს გადასასვლელზე არ სცვლიან“, „თებერვლის ქარი“ და სხვ.

ეს პიესა ა. მიშარინის პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მაგრამ აქ უკვე გამოცდილი ოსტატის ხელი იგრძნობა. პიესაში ძალიან მძაფრი, ექსტრემალური სიტუაციაა აღებული: ოკეანეში გასული „ჩელუსკინეცი“, რომელზედაც ძვირფასი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტვირთია, დიდ ქარიშხალში მოხვდება და მისი გადარჩენა სათუოა... ამ დრამატულ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენს თვალწინ იკვეთება ძლიერი ნებისყოფის, დამოუკიდებელი აზროვნების, დიდი მასშტაბის, მკვეთრად გასხვავებული ხასიათები.

სწორად შენიშნავს ცნობილი კრიტიკოსი ფ. კუზნეცოვი: „ცენტრალურ კონფლიქტს ავტორი აგებს არა ხელმძღვანელობის ამა თუ იმ კონკრეტული სტილისა და მეთოდის მიღება-უარყოფაზე, არამედ განიხილავს მას როგორც ადამიანის სულის პრობლემას, ადამიანის უმაღლესი დანიშნულების სამსახურს, ადამიანისა, რომელიც თავის ნიჭიერებას საზოგადოებას ახმარს“, ამაში ხედავს კრიტიკოსი რუსული მხატვრული ტრადიციების გამოვლინებას.

პიესის გმირები ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ღირსეული წარმომადგენლები არიან. თითოეული მათგანის ხელში თავმოყრილია დიდი ძალაუფლება, ყოველი მათგანი უდიდესი კოლექტივის ლიდერია, და, მიუხედავად ამა თუ იმ ფაქტთან მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულებისა, ყოველი მათგანის საქციელში, მსჯელობაში, შეფასებებში იგრძნობა ერთიანი ქვეყნის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილი ცხოვრება.

პრინციპულად ახალი სახეა შახმატოვი — პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, თანამედროვე ხელმძღვანელის ყველა საუკეთესო თვისებით აღჭურვილი. იგი ღრმად მოაზროვნე კაცია, ერუდირებული. შეუპოვარი, დიდი გაქანებისა და თამამი გონების პატრონი.

მისი დიალექტიკური გონება ღრმად სწვდება მოვლენებს, ხედავს პერსპექტივას, გრძნობს, რომ ქვეყნის, ხელმძღვანელობის მთელი სისტემის გარდაქმნა ადამიანის გარდაქმნიდან უნდა დაიწყოს. ეს არის გლობალური პრობლემა, რომელზეც პიესის კონფლიქტია აგებული...

ჩვენის აზრით, ეს პიესა ქართული თეატრების რეპერტუარსაც დაამშვენებდა...

დაბოლოს: შესანიშნავ, ღირსეულ საქმეს გააკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს გამომცემლობა „ხელოვნება“, ან თუნდაც საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თუ ისინი სერიოზულად მოეკიდებიან ქართული საბჭოთა დრამატურგიის ალმანახის გამოცემას. ამის გაკეთება სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება მათთვის დამტკიცებული საგამომცემლო ფორმათა რაოდენობის ხარჯზე.

საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმის სიყვარული.

(რედ.).

ალექსანდრე მიშარინი

ოთხ საფრანგეთის უღრის

დრამა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი

შახმატოვი მიხაილ ივანოვიჩი — პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი

სერებრენიკოვი ნიკოლაი ლეონტიევიჩი — პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი

კაშტანოვი პავლე სტეპანოვიჩი — სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე

სამარინი იური ვასილევიჩი — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ლიატოშინსკი გერმან ალექსანდროვიჩი — ქარხნის დირექტორი

რურუა რომან შალვას ძე — სანაოსნოს უფროსი

ლომოვა ნინა სერგეევნა — ამწეთა ბრიგადის ხელმძღვანელი

სინილკინი ვლადლენ სემიონოვიჩი — შახმატოვის თანაშემწე

პირველი მოქმედება

სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მიხაილ შახმატოვის კაბინეტი. საცაა საღამოს ცხრა საათი შესრულდება.

ეს-ესაა დამთავრდა ბიუროს სხდომა. კაბინეტში ჩვეული წესრიგი არ სუფევს, თამბაქოს ბოლი დგას, სკამები არეულად მიუდგამთ. ყურთამდე ღიაა სარკმელი — აფრასავით ტკაცუნობს დიდი, თეთრი ფარდა. ქარმა ქაღალდის ფურცლები გადმოყარა მაგიდიდან. ირხევა კედელზე ჩამოკიდებული სქემები და დიაგრამები. გრძელ მაგიდაზე დგას დიდი პორტის ნავთმისადგომების ტექნიკური მაკეტი — დიაგონალურად გაკვეთილი. ვიღაცას აქ პორტფელიც დარჩენია. მეზობელი ოთახის ღია კარიდან ისმის ლაპარაკი, სიცილი, ფუჟერების წკრიალი.

დიდხანს, შეუპოვრად რეკავს ტელეფონი. სამდივნოს ოთახიდან კაბინეტში ენერგიულად შემოდის სინილკინი. ტელეფონის მილის აღებამდე იგი სწრაფად, მაგრამ აკურატულად ჭრეფს დაფანტულ ფურცლებს, წესრიგს ამყარებს. ამას იგი მშვიდად, აუჩქარებლად აკეთებს. სავარძელთან მიდგმული მაგიდიდან ცურმილს იღებს.

სინილკინი. შახმატოვის თანაშემწე გისმენთ. სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი დაკავებულია. ეს წუთია დამთავრდა ბიუროს სხდომა. სანაოსნოს უფროსიც დაკავებულია.

წყნარად, ამხანაგო! გავიგე: ოკეანეში „ჩეპე“-ა. (პაუზის შემდეგ). **და საერთოდ, მე თქვენ ძალიან ძალიან გირჩევთ, ჯერ მე დამირეკოთ ხოლმე.**

შემოდის სერებრენიკოვი, წელში მოხრილი ჭაღარა კაცი. მისი მოძრაობა როგორღაც შენელებულია. თვალებში ირონია უკრთის. უკან ლომოვა შემოჰყვა. ამ კაბინეტში იგი თავს შეზღუდულად არა გრძნობს, მაგრამ არც ნამეტანი თავისუფლად იქცევა.

სინილკინი. ინებეთ თქვენი პორტფელი, ნიკოლაი ლეონტიევიჩ.

სერებრენიკოვი. მე ჯერ არ ვაპირებ წასვლას. როგორმე აგრძნობინე შენს შეფს — ბარემ დავამთავროთ ეს სხდომა. რაც არ უნდა იყოს, სამხარეო კომიტეტში...

სინილკინი (მაშინვე). **ნიკოლაი ლეონტიევიჩ, ძალიან გთხოვთ, ნუ უწოდებთ პირველ მდივანს შეფს. არ უყვარს, როცა შეფს ეძახიან.**

სერებრენიკოვი. **არ უყვარსო? თუ შენ არ გიყვარს?**

სინილკინი. **მაშასადამე, არც მე მიყვარს** (დასასვენებელი ოთახისაკენ გაეშურა).

კიდევ ერთ რამეს გთხოვთ — „შენობით“ ნუ მელაპარაკებით.

სერებრენიკოვი. **თუ კაცი ხარ, ნუ დაიბოღმები. შეუნდე მოხუცს. დამავიწყდა — ვლადლენ სემიონოვიჩ.**

სინილკინი (გადის). **არ მჩვევია ბოღმის ჩახვევა.** სერებრენიკოვი და ლომოვა მარტონი დარჩნენ.

ლომოვა. **კაცი კი არა, გამომთვლელი მანქანაა.**

სერებრენიკოვი. **მალე მოვიშორებთ თავიდან.**

ლომოვა (სერებრენიკოვს შეხედა). **უცნაური კია — შახმატოვი ასეთი გულღია კაცია, ოპტიმისტი... და ასეთი ფიტული კი ჰყავს გვერდით.**

სერებრენიკოვი. **მაგას კი არა, მე შახმატოვ-**

საც კი ვერ შევეგუე ამ ხუთი წლის მანძილზე.

ერთმანეთს თანაგრძნობით გადახედეს.

ლ ო მ ო ვ ა. სულ რომ მოვკვდე, ამ ვლადლენ სემიონოვიჩს შვილისათვის ვერ ვთხოვ ბინას. აღმასკომშიაც, კაშტანოვთან, ვერ გაჭაჭანდება კაცი ამ საკითხზე ჩემი ვალერი ახლა ზღვაშია გასული. მის დაბრუნებამდე მინდოდა ყველაფერი მომეგვარებინა. კაცს სახლი ხომ უნდა ჰქონდეს, ბოლოს და ბოლოს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. დიდი საქმეა, ძმაო, საკუთარი ბინა. ის შენი ბიჭი, მგონი, ცოტა ურევდა, არა?

ლ ო მ ო ვ ა. მოვრჩით ყველაფერს, მადლობა ღმერთს. გაამართლეს. მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენი მადლობელი ვიქნები.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მკვეთრად). მე რა შუაში ვარ? ბიჭმა თავისი კეთილშობილება გვიჩვენა. ხულიგნებისგან დაიცვა ქალიშვილი. ხოლო დასაშვები თავდაცვის ზღვარი — ხომ იცი, ისეთი რამეა, რომ...

ლ ო მ ო ვ ა. რაც არ უნდა იყოს, კაცი მოკლა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (უხეშად). კაცი კი არა, მხეცი მოკლა.

ლ ო მ ო ვ ა. ქორწილი შაბათსა გვაქვს. პარასკევს ბრუნდება „ჩელუსკინეცი". ასე რომ, გპატიჟებ ცოლიანად...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. რა სტუმარი ეთქმის ჩემს ცოლს.

ლ ო მ ო ვ ა. კიდევ ვერ დადის?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მეოთხე წელია უკვე (გაღიმა, სწრაფი მზერა შეავლო ლომოვას) ცოდვებმა ხომ არ მიწიეს?

ლ ო მ ო ვ ა. რა ცოდვები გაქვს ამისთანა!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. სად მეპატიჟები, რომ მეპატიჟები. შენთან? თუ შენი ვაჟიშვილის, ასე ვთქვათ, ჰიპოტეტიურ ბინაში? (გაიცინა). არავის წინაშე არ დაიმცირო თავი. იცოდე, ეს ჩემი საქორწილო საჩუქარია. მაღაზიებში წანწალის თავი არა მაქვს მე.

ლ ო მ ო ვ ა (ცხარედ). ყველა განცხადება თუ დოკუმენტი ერთი თვეა აღმასკომს ჩავაბარე. დეპუტატთა კომისიაც თანახმაა. მხოლოდ აი, ის სახლი, სანაპიროზე რომაა... იქ...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ჰო-ჰო-ჰო, რას გაწითლდა შვილის გულისათვის მთების გადაბრუნება ხომ შეგიძლია? (მოულოდნელად, თითქოს ლომოვას მოსცილდაო). დავვობლდით, ნინა სერგეევნა, დავვობლდით. მოსკოვში მიჰყავთ ჩვენი შახმატოვი. ფრთებსა შლის შევარდენი!

ლ ო მ ო ვ ა (აჰყვა) მართლაც რომ შევარდენია!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. დაობლებულნი როგორღა გავუძღვებით ამ მხარეს? რაც არ უნდა იყოს, ოთხ საფრანგეთს უდრის...

ლ ო მ ო ვ ა. ტერიტორიით?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მოიქუფრა). და პრობლემებიც ნაკლები როდი გვაქვს.

ლ ო მ ო ვ ა (პაუზის შემდეგ). თითქოს... სამარინიო...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ბევრი რამ უწყობს ხელს. სამი წელია ქალაქკომშია. სახაზავივით სწორი გზა აქვს გავლილი.

ლ ო მ ო ვ ა. არის... სხვა კანდიდატურები?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მოსკოვი გვეუბნება თქვენ თვითონ გადაწყვიტეთო. იციან ჩვენი მხარის სპეციფიკა, ჩვენი მაჩვენებლები — აუტკივარ თავს არავინ აიტკივებს. ფრთხილადაც რომ რამე გადაადგილ-გადმოაადგილო, კაცმა არ იცის, ამას რა... ერთიც ვნახოთ და... სამხარეო კომიტეტი — რთული ორგანიზმია.

ლ ო მ ო ვ ა. შახმატოვსაც დიდად ენდობიან მოსკოვში. ამხელა ადგილზე მიდის ჩვენგან, ვაცა! ამ ხნის მანძილზე, რაც ბიუროში ვარ, ბევრი რამ ვისწავლე.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. (კვლავ ხუმრობით). ისე ძალიან ნორჩი და აფეთქებული კი მოხვედი ჩვენთან. ო, რა ვარდივით გოგო იყავი. ჭორფლი რაღა უყავი? მოსპე?

ლ ო მ ო ვ ა. პარიზში ვიყავი, დელეგაციაში. იქ მირჩიეს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მიდი და ამის შემდეგ გააგზავნე ქალი პარტიულ ყრილობაზე! იქ თურმე ჭორფლის კრემისთვის წასულა... ჩვენს კლასობრივ ძმებთან!

იცინიან.

ლ ო მ ო ვ ა. ის წელი საერთოდ ჩემთვის ძალზე ბედნიერი წელი იყო. ჯერ იყო და გმირობა მომანიჭეს, მერე კი შახმატოვი ჩამოვიდა... (შეცბა) ო, რა მუშაობა გაჩაღდა მაშინ პორტის მშენებლობაზე. ნუ მეტყვით. ერთ წელიწადში იმდენი რამ გავაკეთეთ, რასაც სხვა დროს ხუთი წელი სჭირდებოდა. არა, ნამდვილად დიდი ძალაა ამ კაცში... რაღაც გაუსაკუთრებული, განსაცვიფრებელი ძალა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. (დაკვირვებით შეხედა). ადრეც ჰქონდა მიღებული ჩვენს მხარეს წითელი დროშები.

ლ ო მ ო ვ ა (მხურვალედ). ასეთი პორტი ჩვენში რომ არსად არ არის, ეს ხომ ცხადია. სამოცი ნავთმისადგომი აქვს... ეს ხომ... მეორე ფანჯარის გაჭრაა... მთელ სამყაროში და არა მხოლოდ ევროპაში.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. შენც იტყვი ხოლმე რა. ეს მარტო შახმატოვის დამსახურება ხომ არ გგონია? სამარინი დაგავიწყდა? ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ის იყო მშენებლობის უფროსი.

ლ ო მ ო ვ ა (ფიქრის შემდეგ). საცა შახმატოვია, იქ სამარინიც კარგად მოსჩანს. გინდა მშენებლობა იყოს, გინდა ქალაქკომი. აი, შახმატოვის გარეშე რა იქნება, ესაა საინტერესო.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. შენა გგონია, რომ სამარინის დაწინაურება ნაადრევია? ეჰ, რამდენი შენისთანა მინახავს ამ მაგიდასთან.

(თავი მოსასვენებელი ოთახისაკენ მიაბრუნა). ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი შახმატოვისთვის.

ლ ო მ ო ვ ა. თავს უნდა გაუფრთხილდე ცოტა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ყურადღებით შეათვალიერა). ვისთვის უნდა გავუფრთხილდე? (გაიმეორა) ვისთვის უნდა გავუფრთხილდე? შვილები მე არა მყავს და ცოლს კი სული ძლივს უდგას პირში.

ლ ო მ ო ვ ა. ჩვენთვის, ყველასათვის უნდა გაუფრთხილდე. შენც ხომ ხედავ, ახლა რა კარგად ვცხოვრობთ. ვინც არ უნდა გვეწვიოს — ნათესავი იქნება თუ დელეგაცია, ყველა განცვიფრებული რჩება.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (კმაყოფილია. იცინის). პარიზიც კი ბითურდება, არა?

ლ ო მ ო ვ ა (ესეც იცინის). არა, პარიზი — მაინც სხვაა! მაგრამ ის, რომ სოფლური, წვრილიანი, მოუწყობელი პატარა დასახლება, ამხელა, უზარმაზარ ქალაქად ვაქციეთ — ეს ხომ ნაღდია. ამისათვის ყოველმა ადგილობრივმა მოსახლემ მუხლები უნდა დაგიკოცნოთ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მე რა შუაში ვარ... არ გახ-

ხოვს აქ რა არწივები ისხდნენ? (პირველი მდივნის საკარძლისაკენ გაიშვირა ხელი). შკადოვი! ჩერნუსი!

ლ ო მ ო ვ ა. შახმატოვი ხომ არის და არის!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. არ უნდა ლაპარაკი. (წყნარად) ხანდახან ასეც მგონია, უკეთესია საკუთარი შვილები რომ არა მყავს. საქმეს მეტ ძალ-ღონეს ვალევ (მოულოდნელად). ტროიანს კი ზოგ-ზოგები, სანაოსნოს უფროსად უმიზნებენ.

ლ ო მ ო ვ ა. ისე ტროიანმა კი მაგრად დაიწყო საქმე. პარიზში ახალგაზრდობის ლიდერები ვნახე, სულ ჩვენი ვანჩიკა მაგონდებოდა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. აბა, რა გეგონა შენ? ხომ ხედავ, რა ექსპერიმენტი წამოიწყო. მთელი თავისი კომანდა ნაძირალებისგან ააწყო...

ლ ო მ ო ვ ა. მთლად ასე არაა საქმე...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (განაგრძობს). და სურს თავისი გემი სანაოსნოს სიამაყედ აქციოს! (სწრაფი მზერა შეავლო ლომოვას).

ლ ო მ ო ვ ა. კი მაგრამ. რურუას საქმე როგორღა იქნება?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. რომან რურუა მაინც გარედან მოსული კაცია. ამას გარდა, ძალიან ლამაზი მამაკაცია. არ შეიძლება, რომ ხელმძღვანელი ამხანაგი ასე ლამაზი იყოს. აი, შენც კი, მთელი ამ ბიუროს მანძილზე მისთვის თვალი არ მოგიცილებია.

ლ ო მ ო ვ ა. აბა, რას ლაპარაკობ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ?.. ისე კი, მართალია, ბუნების რაღაც სასწაულია.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. (წამოდგა). ჩვენ კი სასწაულები არ გვესაჭიროება. ჩვენ ჩვეულებრივი, მიწიერი ხალხი ვართ (სამდივნოს კარისკენ წავიდა, მრავლისმეტყველად გაიხედა იქით, საიდანაც ხმამაღალი ლაპარაკი მოისმის).

ლ ო მ ო ვ ა (გაუგო). იქნებ, დავუძახო?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ზედიზედ ორი მაცნეს გაგზავნა არა მჩვევია (გადის).

ერთხანს კაბინეტი ცარიელია, შემდეგ სწრაფად შემოდის შახმატოვი. ჩამოსხმული, მოსული კაცია. პირქუში, შორს მზირალი თვალებით. რაღაც უცნაურად იქცევა, რაც მის თანამდებობას არ შეშვენის. მოღუშული იმზირება. მისი სხეულის მოძრაობაში ხელები არ ღებულობს მონაწილეობას: წელგამართულია, თავაწეული. მაგრამ ბრაზიანი უფროა, ვიდრე პირქუში. ამავ დროს, თითქოს მორცხვიცაა. მასთან ურთიერთობას რაღაც უხერხულობა ახლავს, მანამდე, სანამ მას ცეცხლი არ წაეკიდება. და მაშინ, როცა, თითქოსდა საყრდენ წერტილს იპოვნის, მთლად გაიხსნება, ახლოს მიგიშვებს. შთაგონების უდიდეს ძალას ფლობს. ეს იმპულსური ძალმოსილებაა, გულგახსნილი. ამ გულგახსნილობით იგი ანცვიფრებს ადამიანებს, აოგნებს მათ და, ამავე დროს, თითქოს თავიდან იშორებს კიდეც. ერთად თავმოყრილი ყველა ეს თვისება მის ირგვლივ ქმნის დაძაბულობის თავისებურ ველს. ასეთი რამ შეიმჩნევა მხოლოდ ძალზე ნიჭიერი, თავდაჯერებული, ფიცხელი მოქმედების წყურვილით, ღირსებით სავსე ადამიანების ირგვლივ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მიმართავს სამარინსა და სინილკინს. რომლებიც მას კაბინეტში შემოჰყვნენ).

ერთდროულად თქვენი შემოსვლა არაა საჭირო.

სინილკინმა და სამარინმა ერთმანეთს გადახედეს.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე იქ ვიქნები... ამხანაგებთან. (გადის).

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ეწყინა?

პაუზა.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. „ჩელუსკინეცს" ჩვენი ნაოსნობის გემები მხოლოდ დილისთვის თუ აღმოუჩენენ ფულურ დახმარებას.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. შეამოწმეთ კავშირი ტროიანთან... ნახევარი საათის შემდეგ შემიერთეთ იგი.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ხომ სწორედ მოვიქეცი, არავისთვის რომ არაფერი მითქვამს. რურუა იმხელა სმაურს ატეხდა, რომ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (თავისთვის). მაშასადამე, კრეიტინგი[1] ჩვენი პორტისათვის მხოლოდ ჩემი გამგზავრების შემდეგ ჩამოვა? ეს ცუდია!

ს ი ლ ი ნ კ ი ნ ი. ცხოვრება...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. დიახ, დიახ... ცხოვრება. ჯერ ნუ დაიშლებიან (დასასვენებელი ოთახისკენ გადაიქნია თავი). შესაძლოა „ჩელუსკინეცთან" დაკავშირებული ისტორია ჩემი უკანასკნელი საქმე იქნეს ამ კაბინეტში. ნურავის დავუმალავთ ნურაფერს.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მე მხოლოდ ვცდილობდი თქვენთვის ზედმეტი ემოციები ამერიდებინა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არც ამ ემოციებისაგანაა საჭირო ჩემი დაზღვევა. (ფანჯარასთან მივიდა.) ბოდიში მოუხადეთ სამარინს, რომ მე... რომ მე ვალოდინებ.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. უკმაყოფილო ხართ ჩემით?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოულოდნელად, გულახდილად). დილას სახლიდან რომ გამოვედი, ახალგაზრდა მშვენიერი ქალიშვილი... ინვალიდი, ფეხები შეჭკვროდა თითქოს... ცდილობდა გადაესწრო შავი კატისათვის. უავარჯნებზე შემდგარი ცდილობდა ამას... კატამ არ გადამირბინოსო წინ. (პაუზა.) გასაგებია?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (პაუზის შემდეგ). მე კი მესმის.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მე ხომ ვიცი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. ასე რომ, საწყალობელი თვალებით ნუ შემომცქერით. (გაიღიმა). აქ რაღას უდგეხართ? სხვა სიჩქარე უნდა ჩავრთოთ. დღესასწაული დამთავრებულია.

სინილკინმა ეს რომ გაიგონა, კართან შემობრუნდა და მოხედა გაღიმებულ შახმატოვს, კაცს, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე ვერაფერი გაუგო.

მარტოდ დარჩენილმა შახმატოვმა სწრაფად აკრიფა ტელეფონის ნომერი.

(ყურმილში). ასია ვიჭტოროვნა ხართ? მიშა ვარ. არა, არა, ყველაფერი წესრიგშია. ლენოჩკა? „ჩელუსკინეცი"? ალბათ, პარასკევს. რატომ ალბათ? არ ვიცი... ასე მოხდა. ბოდიში. (სწრაფად დებს ყურმილს. თავჩაღუნული ზის).

შემოდის სამარინი. მან ჯერ არაფერი არ იცის. „ჩელუსკინეცი" პარასკევს არ იქნება.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რაღაც, მგონი, სერებრენიკოვი გაქრა!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. (გაკვირვებულია). თქვენ ყოველთვის ასე ყურადღებით ადევნებთ მას თვალს?

ს ა მ ა რ ი ნ ი. ჩვევაა. მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ მსგავსი რამეებისთვის არ მიგექციათ ყურადღება. ჩვენს მხარეში ყოველმა სულდგმულმა იცის, რომ სერებრენიკოვი ტყუილად არაფერს გააკეთებს. ვის ელაპარაკა, ვის გვერდით გადაიღო სურათი, ვისი დაბადების დღეზე იყო. არაფერი აქ უბრალოდ არ ხდება.

---

[1] პირობითი, გასაიდუმლოებული კოდი-სახელწოდება.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). მე თქვენ მებრალებით.

ს ა მ ა რ ი ნ ი (პაუზის შემდეგ). თქვენ თითქოს იმას ელოდებით, რომ თქვენს ამ ნათქვამს უარვყოფ. მე კი არ უარვყოფ. თქვენს... ნდობას. ვიცი, ჩვენს მხარეში რამე რომ მოხდეს, მოსკოვი მე უბრალოდ ვერც გამიგებს. აბა, როგორ! ოცი წლის მანძილზე მხარე მოწინავე, სიკეთით სავსე, ასე ვთქვათ, უტყუარი იყო და უცებ რა მოხდა? ხომ იკითხავენ, რაშია საქმე, რატომ სერებრენიკოვმა დროზე არ მოგვცა სიგნალი?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოიქუფრა). იქნება, არც ღირდეს საქმის ასე დრამატიზირება?

ს ა მ ა რ ი ნ ი. მიხეილ ივანოვიჩ... თქვენ სხვა გაქანების კაცი ხართ! ყველაფერი ეს თქვენთვის სასაცილოც კია. რამდენი რამაა თქვენს ზურგს უკან. აღმოსავლეთის უზარმაზარი სამთო წარმოება თქვენ ასწიეთ. ყველა დიდი საქმე აქ თქვენს სახელთანაა დაკავშირებული. უმაღლესი პრემიები, გმირობის ვარსკვლავი. და საერთოდ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რა საერთოდ?

ს ა მ ა რ ი ნ ი. გაგიგონიათ, ალბათ, რომ ამბობენ „ქუდბედნიერი კაციაო". დღესასწაული, სითამამე! წარმატების მომნუსხველი ძალა! ბედის ნებიერი! აი, თქვენ ხელი მოჰკიდეთ პორტ „შორეულის" მშენებლობას. და თითქოს ჯადოსნური ჯოხი გაიქნიესო...

ყველაფერი ათამაშდა, ყველაფერი გამოგვდიოდა..

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რა უსაგნო ლაპარაკია. (საფეთქლები დაიზილა).

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე სერიოზულად ვლაპარაკობ... ვიცი, მაინცდამაინც აღტაცებული არა ხართ ჩემი კანდიდატურით. მაგრამ საქმე ისე აეწყო, რომ მე თქვენი პირდაპირი მემკვიდრე ვარ ამ მხარეში.

ვიყავი პორტის მშენებლობის უფროსი. შემდეგ, თქვენ თვითონ, ქალაქკომის მდივნად დამაწინაურეთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. უსაგნო საუბარია, ამიტომაც მე არ შემიძლია საუბარი, როცა იგი საქმეს არ ეხება. (პაუზა). არ ვიცი. პარტიულ სამუშაოზე ახლახანს მოვედი. რა გნებავთ, მაგალითად, ახლა რომ მითხრათ?

ს ა მ ა რ ი ნ ი. თითქმის ხუთი წელია, რაც თქვენ ხართ პირველი...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წამოდგა). როცა თქვენ პორტის საქმეებზე ჩემთან მოდიოდით, ან როგორც ქალაქკომის მდივანი — გემთშემკეთებელი ქარხნისა თუ რადიოტექნიკური ინსტიტუტის საქმეებზე, მაშინ ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. ამიტომაც ვლაპარაკობდით ჩვენ ნათლად და სწრაფად. ახლა თქვენ რა როლში გამოდიხართ? მთხოვნელის როლში ხომ არა? თქვენ უარი გინდათ სთქვათ? იქნებ უფრო უბრალოდ გკითხოთ? თქვენ შეხლებთ? თქვენ გსურთ? თქვენ შეგწევთ იმის ძალა, რომ სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი იყოთ?

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე?.. რაღაც არ არი მიღებული. რომ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენი მემკვიდრე ვარო — სთქვით! მაშ მოჰკიდეთ საქმეს ხელი! ანდა ხვალ, პლენუმზე სხვა ვინმე იქნება არჩეული.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე ხომ უარი არ მითქვამს...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ყურადღებით შეათვალიერა). თქვენ კარგი, კარგი კაცი ხართ. კეთილი, კეთილშობილი, გონიერი... თქვენ მუშაობა შეგიძლიათ. გიყვართ საქმე, ეს მხარე, ადამიანები... თქვენ ეს გესმით?

ს ა მ ა რ ი ნ ი. საერთოდ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მერწმუნეთ, რომ, ეხ ასეა. უბრალოდ, ენდეთ ჩემს სიტყვებს.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რაღაც იხ გამოვდივარ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ნუ აჩქარდებით. მე შემიძლია ჩამოგითვალოთ თქვენი ნაკლოვანებანიც. თუ გსურთ. მაგრამ, თუ რას აირჩევთ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. რასაც თქვენ ირწმუნებთ, ხალხიც იმას ირწმუნებს. ხოლო ცხოვრება დაუსვამს ბეჭედს თქვენს დახასიათებას. ცხოვრება. მე კი არა, ანდა სერებრენიკოვი. წარმოიდგინეთ, არც თქვენი შვილები. მხოლოდ ცხოვრება! (უცებ დაჯდა, ქაღალდი მოისროლა). ყველას დაუძახეთ. „ჩელუსკინეცთან" დაკავშირებით რაღაც უნდა გადავწყვიტოთ. (სავარძლის ზურგს მიეყრდნო. თვალები დახუჭა).

სამარინი ერთხანს უყურებს მას, შემდეგ დამხმარე ოთახის კარს აღებს და კაბინეტში შემოდიან — სანაოსნოს უფროსი რომან რურუა, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე კაშტანოვი. მათ მოჰყვება, რაღაცის ღეჭვით, აწოწილი ლიატოშინსკი, გემშემკეთებელი ქარხნის დირექტორი. აშკარაა: კაშტანოვი და რურუა რაღაცაზე დავობენ, მაგრამ კაბინეტში შემოსვლისთანავე ხმას დაუწიეს.

დაჯექით... (რურუას). ეგ რა ქაღალდი გიჭირავთ, ხელში?

რ უ რ უ ა. რადიოგრამაა. ეს წუთია სანაოსნოდან გადმომცეს. ცხრაბალიანი ღელვაა ზღვაში. ხამანქანო განყოფილებაში ხანძარია. გემი მართვას აღარ ემორჩილება.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რამდენი კაცია გემზე? სამოცი?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოულოდნელად). სამოცდაერთი. ერთი ქალი დაემატათ. (ყველამ გაკვირვებით შეხედა) ჩემი თხოვნით.

რ უ რ უ ა. მაგარი ეკიპაჟი ჰყავს ტროიანს გემზე. მაგრამ იქ არიან ხელახლა აღსაზრდელები, შეიძლება ითქვას... (გაჩუმდა).

ს ა მ ა რ ი ნ ი (იმისათვის, რომ პაუზა გაწყვიტოს). სად არიან ახლა?

რ უ რ უ ა. ბანდენის ზღვაში (რადიოგრამა გადასცა).

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ასე, ოცი-ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით ორი უცხოელია.

რ უ რ უ ა. იაპონელი და ბერძენი. ამ ღელვაშიც შესძლებენ ისინი მიუახლოვდნენ ჩვენებს „SOS"-ზე.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ასე, ერთი საათი-საათნახევრის შემდეგ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. გთხოვთ, ერთმა რომელიმემ ილაპარაკოს. რა ბიმსა და ბომს ემგვანებით (საკუთარმა სიმკაცრემ შეაცბუნა). მაპატიეთ! (პაუზა). რურუა, ახლო-მახლო ჩვენიანი არაა?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ასე, უახლოეს ნაპირამდე შვიდასი კილომეტრია.

რ უ რ უ ა. მაგრამ ამ ნაპირზე ჩვენი მეგობრები არ არიან.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მე ხომ გთხოვეთ, ერთმა ილაპარაკოს-მეთქი. ეს, რაო, კოლექტიური პასუხისმგებლობის ფორმაა?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (გაიბღინძა). შესაძლოა, კოლექტიური პასუხისმგებლობაც დაგვჭირდეს. ათასნაირად შეიძლება საქმე შეტრიალდეს. პრაქტიკულად სამხარეო კომიტეტის ბიუროს მთელი შემადგენლობა აქაა. შეგვიძლია დავუძახოთ სერებრენიკოვს. ლომოვა ჯერ არ წასულა.

ს ა მ ა რ ი ნ ი. იქნებ, არცაა საჭირო გაზვიადება?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. „ჩელუსკინეცის" სიგრძე ასეთ

ღელვაში უკვე სერიოზული პრობლემაა.

რ უ რ უ ა. ამას ხანძარიც ემატება!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ამას ისიც ემატება, რომ გემი სულ ახლახანს შეაკეთეს.

რ უ რ უ ა. და იგი შეაკეთა ჩვენმა პატივცემულმა გემთშემკეთებელმა!..

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ლიატოშინსკის). გერმან ალექსანდროვიჩ, თქვენ რა, ჩაგეძინათ, თუ რა?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. რატომ? მე ვფიქრობ...

რ უ რ უ ა. იგი ოცნებობს... თუ როგორ აღმოჩნდება ხვალ დილით მოსკოვში და როგორ ისადილებს „არაგვში". (იცინის).

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. თქვი პირდაპირ: ხანძარი დაუმთავრებელმა სამუშაომ ხომ არ გამოიწვია?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. ხომ ვთქვი, ვფიქრობ-მეთქი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენ, გერმან ალექსანდროვიჩ, შაბათ-კვირას კვლავ მიფრინავთ ხოლმე მოსკოვში?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. დიახ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ხომ გაგაფრთხილეთ.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. მოსკოვში მე დედა მყავს, ოთხმოცდასამი წლის დედა. ხოლო ჩემს განცხადებას განთავისუფლების თაობაზე თქვენ ხელს არ აწერთ.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე ვფიქრობ, რომ თქვენს საკითხს მალე გადავწყვეტთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. (ღილაკს თითი დააჭირა).

იმ წამს კართან აისვეტა სინილკინი.

რატომ არ მაკავშირებთ „ჩელუსკინეცთან"? უკვე ნახევარი საათი გავიდა.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ზომები მიღებულია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. დაუკავშირდით „მორფლოტს", სთხოვეთ ჩვენი სახელით... ყველა ახლოს მცურავი გემი დაიძრას „ჩელუსკინეცის" დასახმარებლად. მაგრამ ყველაზე მთავარი ახლა — ტროიანია. ტროიანი მჭირდება მე!

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. იმ წამსვე მოგახსენებთ, როგორც კი დავამყარებთ კავშირს.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. გმადლობთ.

სინილკინი გადის.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რომ ვერ დაამყარონ?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. სინილკინი დაამყარებს.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გაიგო, მიხვდა). რურუა, თქვენ უკვე გაუგზავნეთ რადიოგრამა ტროიანს? ხოო?

რურუამ თავი დაუქნია.

ადრე იცოდით?

რ უ რ უ ა. ჯერ კიდევ დილას გადმომცა რადიოთი... მაგრამ მაშინ მდგომარეობა არ იყო ესოდენ კატასტროფული.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (შეუსწორა). მძიმე. (გამომცდელი მზერა მიაპყრო რურუას).

რ უ რ უ ა. მე ბრძანება მივეცი ეკიპაჟს ბოლომდე ებრძოლონ სტიქიას. პაუზა. კაბინეტში სწრაფად შემოდის აღგზნებული სერებრენიკოვი. მას ლომოვა მოსდევს, რომელსაც, როგორც ამბობენ ხოლმე, „სახე შეშლია".

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. რას გავს ეს, რომან შალვოვიჩ? „ჩელუსკინეცზე" უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობს.

რ უ რ უ ა (სახტად დარჩა). საიდან?..

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მოახსენეს... რაღაც უნდა გადავწყვიტოთ, ამხანაგებო!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. შეატყობინეთ სამინისტროს? მოსკოვს?

რ უ რ უ ა. საერთო კონტურებში. იცით რა, მინისტრი მე მანდობს ხოლმე ამგვარი საკითხების გადაწყვეტას.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მაშასადამე, თქვენ ვერ ხედავთ შაზეზს განგაშისათვის?

რ უ რ უ ა. პროფესიონალური... თავდაჭერილობაა, ასე ვთქვათ. ამას გარდა, მე უკვე მივეჩვიე იმას, რომ საპატიო დაფაზე გამოკრული ჩემი პორტრეტი ამ ხნის მანძილზე გადაყვითლდა. ბარემ ვიტყვი, იგი მოსკოვშიაც ჰკიდია, კოლეგიის დარბაზის გვერდით! მარცხნივ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). იქნებ დაგვდოთ პატივი და საქმეს დაუბრუნდეთ.

რ უ რ უ ა. უდროო დროს პანიკა რატომ ავტეხოთ: განა ცოტა რამ ხდება ოკეანეში?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ჩვენ ქალაქს არ იცნობთ? აქ ყოველი ოჯახი ზღვასთანაა დაკავშირებული.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. მე არ მესმის, რატომ ატყდა ასეთი პანიკა? და, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა გადავწყვიტოთ? ისე გადაარჩენენ, როგორც დაგიბარებიათ.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რომ ვერ მიასწრონ? რომ ვერ შესძლონ? იქ ხომ ხანძარია ახლა! იგი არ ყოფილა არც დილას და არც საკითხის შეთანხმების მომენტში!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. აბა, მე რაზე ვლაპარაკობ. ყველაფრისაგან გვიყვარს ხოლმე პრობლემის შექმნა! საერთოდ ვინ სვამს ახლა საკითხს ამგვარად; — გადავარჩინოთ თუ არ გადავარჩინოთ ხალხი? ბოდვაა ეს!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მარტო ხალხის გადარჩენაზე არ არის საქმე. კრეიტინგსაც ეხება ეს. ჩვენი მხარის უმნიშვნელოვანესი მშენებლობის დროულად ჩაბარების შესაძლებლობასაც. პორტი!!! ეს უკვე პოლიტიკური საკითხია.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (ჩვევად ექცა სერებრენიკოვთან მარადიული კამათი). შენ უპატრონო ძაღლების დაჭერაც პოლიტიკურ საკითხად მიგაჩნია.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ყველაფერი, რაც ეხება ადამიანებს, — ყველა საკითხი, პოლიტიკურია! თქვენ კი, ბატონო ლიატოშინსკი, ირონიებს მოეშვით. უმჯობესია იმაზე იფიქროთ, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ნინა სერგეევნას სულში (ლომოვას მიუტრიალდა). „ჩელუსკინეცზე" ხომ მისი ვაჟიშვილია.

ლ ო მ ო ვ ა (ცდილობს თავს მოერიოს). დიახ... ვალერიკა...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (რადიოგრამა აიღო ისევ, სათვალე გაიკეთა, ყურადღებით გადაიკითხა რამდენიმეჯერ. კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა. გვერდზე გადასდო რადიოგრამა. შახმატოვი ფიქრიანად, განდგომილივით გასცქერის სივრცეს. შემდეგ წყნარად ამბობს). ტროიანი მხოლოდ გემზე შექმნილი ვითარების კონსტატირებას ახდენს.

რ უ რ უ ა (წამოდგა, ფიცხლად). „ჩელუსკინეცის" გადარჩენა უცხოელების მიერ ჩვენი ნაოსნობისთვის— დიდი დარტყმა იქნება. გემის და ტვირთის ღირებულების ნახევარი გადამრჩენელებს უნდა გადავუხადოთ. კრეიტინგი კი ათობით მილიონი მანეთი ღირს. მე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გემი შემდეგ პორტში უნდა მიიყვანონ. ისინი კი ყველაზე შორეულ პორტს აირჩევენ. მე ამის გარანტიას გაძლევთ. ამას მიუმატეთ ხანძრით გამოწვეული ზარალიც...

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მხოლოდ კრეიტინგიც საკმარისია.. (ხელი ჩაიქნია).

რ უ რ უ ა (კვლავ აღელვებით ლაპარაკობს) რა გამოდის? ჩვენ გემის გარეშე ვრჩებით? არც ის ვიცით,

რა დღეშია კრეიტინგი. და ამ დამწვარი ჩონჩხის გამოსასყიდი სანაოსნომ უნდა გადაიხადოს...

სერებრენიკოვი. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დამწვარ ჩონჩხზე ადამიანები არიან!

კაშტანოვი. მიხაილ ივანოვიჩ? (შახმატოვი არ პასუხობს). მიხაილ ივანოვიჩ, გესმით? გადაწყვეტილება — თითქოსდა — უკვე ჩამოგვიყალიბდა.

შახმატოვი (თითქოს გამოფხიზლდაო) **რაო? რა გადაწყვეტილება?**

კაშტანოვი (წამოდგა, აღგზნებულია. ყველას ფართო ჟესტით მიმართა). **ჩვენ, ვგონებ, სხვადასხვა აზრი არა გვაქვს. ნინა სერგეევნა, რასაკვირველია, თანახმაა... სამარინი... მოდით, ესეც ჩავთვალოთ, რომ თანახმაა.** (ლიატოშინსკის)

მე შენი არ მესმის, გერმან ალექსანდროვიჩ? კონკრეტულად?

ლიატოშინსკი. (ხელი ჩაიქნია). **როგორც უნდათ, ისე გადაარჩინონ.**

კაშტანოვი (რურუას). **შენ რაღას გვეტყვი, რომან შალვოვიჩ?**

რურუა. ოოჰ! **ნუ მიაკრავთ ამ რურუას კაცთმოძულის დამღას. რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ფული. ფული — მტრედია, რაც უფრო ბევრს ააფრენ, უფრო მეტი დაგიბრუნდება!**

კაშტანოვი. **აი, ესეც... ყველა თანახმაა** (კმაყოფილი, თითქმის იცინის კიდეც).

შახმატოვი (მცირე ხნის შემდეგ). **„თანახმაო"? რას ეთანხმებიან?**

კაშტანოვი (ცხადზე უცხადესია მისთვის). **მივიღეთ თანხმობა იმის თაობაზე, რომ ეთხოვოს მორფლოტს რეკომენდაცია მისცეს „ჩელუსკინეცის" კაპიტანს ტროიანს, „SOS"-ის გაგზავნის თაობაზე. რეკომენდაცია მისცეს...** (თითი ასწია).

შახმატოვმა თვალი შეავლო ყველას. სდუმს.

სამარინი. **რაღაც ისე არ გამოგვივიდა, მგონი, არა, მიხაილ ივანოვიჩ?**

კაშტანოვი (თითქოს შესთხოვსო). **თუ კავშირის დამყარებას ეხებით... მაშინ სინილკინი შესძლებს ამას. ხომ იცით, რა კაციცაა!**

კვლავ დუმილი ჩამოწვა.

შახმატოვი. **ვთქვათ და მივიღეთ გადაწყვეტილება... აბა, რა შეიცვალა?**

კაშტანოვი. **როგორ თუ — რა?**

სერებრენიკოვი. **ხელ-ფეხი გავუხსენით ტროიანს!**

შახმატოვი. **კაპიტანს და მხოლოდ კაპიტანს აქვს „SOS"-ს გაგზავნის უფლება.**

რურუა. **ჩემი ბრძანება ისევ ძალაშია?**

შახმატოვი. **საზღვაო წესდება ნებისმიერ ბრძანებაზე მნიშვნელოვანია. ხოლო თქვენი ბრძანების გამო, თქვენ, ამხანაგო რურუა, სასამართლოს შეიძლება გადაგცეს კაცმა. იგი უკანონო ბრძანებაა.** (უცებ სწრაფად). **ვინ სთქვა აქ, რომ ჩვენ ტროიანს ხელ-ფეხი გავუხსენითო?** (დუმილია) **ვინ?**

სერებრენიკოვი. **მე.**

შახმატოვი. **განა ვინ შეუკრა?**

სერებრენიკოვი. **ასე რომ ვიმსჯელოთ, გამოვა, რომ...**

შახმატოვი (მოულოდნელად). **გთავაზობთ: რურუას გამოეცხადოს საყვედური. სასტიკი საყვედური.** (პაუზა). **რომან შალვოვიჩ, გესმით, თუ რატომ გადებთ სასჯელს?**

კაშტანოვი. **მიხაილ ივანოვიჩ! განა ახლა, ამის შესახებ...**

შახმატოვი (რურუას). **მე თქვენ გეკითხებით.**

რურუა (წყნარად). **მესმის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შახმატოვმა ხელი ასწია და მისმა ერთმა გამოხედვამ თითქოს ყველა ერთად აიძულა, იგივე ექნათ: ყველამ — ერთმანეთს მიყოლებით — თვალები დახარა და ნელა, მაგრამ მტკიცედ ასწია ხელი. არის რაღაც, მართლაც, ამ კაცში ჰიპნოზური. **შახმატოვი** მკვეთრად წამოდგა, სწრაფად გაიარ-გამოიარა კაბინეტში. სამდივნოს კარი გამოაღო და მუნჯურად რაღაც იკითხა. თავი დახარა, ნელა დაუბრუნდა თავის მაგიდას. სიჩუმე სუფევს კვლავ. ყველა თვალს **შახმატოვს** ადევნებს.

შახმატოვი. **კავშირი არ არის.** (ყველას.) **თქვენ რატომ ფიქრობთ, რომ ისინი... ტროიანსა და მის კომანდას თქვენზე ნაკლებად ესმის უბედურების მასშტაბი? იქნებ, იმათ სიცოცხლე არ უნდათ? ასე ჭკუამხიარული ქარაფშუტები არიან? მე მგონი, ღირს აქ დაფიქრება — რატომ... არ მისცა ტროიანმა უბედურების ნიშანი? რატომ? ესაა ახლა ყველაზე მთავარი!**

სერებრენიკოვი. **სიხარულით მისცემდნენ „SOS"-ს...**

ლომოვა. **მაპატიეთ, უნდა გავიდე.**

შახმატოვმა თავი დაუქნია. **ლომოვა** სწრაფად გავიდა. **შახმატოვი** მოსცილდა მაგიდას და მოჰყვა ბოლთის ცემას. **შემდეგ** სკამზე ჩამოჯდა, კუთხეში, და რაღაც უცნაურად შეიკეცა ფეხები, მოიკუნტა. **განდეგილის** პოზაა, ძაგრამ ძალიან მოსახერხებელი ღრმა ფიქრებისთვის.

რურუა (წამოდგა). **მე სანაოსნოში უნდა ვიყო. იქიდან დავამყარებ კავშირს გემთან.**

შახმატოვი (წყნარად). **იჯექით.**

რურუა სკამზე დაეშვა. პაუზა.

ლიატოშინსკი (შახმატოვს მიუტრიალდა). **თქვენ ისე მიყურებთ, თითქოს მე ვიყო დამნაშავე ამ ხანძარში** (იგი არც პასუხობს და არც მისკენ იხედება) **ხომ მოაწერა ხელი სანაოსნოს ხელმძღვანელობამ „ჩელუსკინეცის" მიღებას რემონტის შემდეგ?**

რურუა (წყნარად). **მოაწერა.**

ლიატოშინსკი. **დიახ! დიახ! დიახ! ალბათ, „ჩელუსკინეცზე" საჭირო იყო დაგვედგა ახალი გაზოგენერატორი. ამის ნაცვლად ის ძველი მივ..ერ-მოვკერეთ.**

კაშტანოვი (წყნარად). **შენ ფიქრობ, რომ ამის გამო გაჩნდა ხანძარი?**

ლიატოშინსკი. **სხვა ნაწილების რემონტზე მე ვარ პასუხისმგებელი. ჩემი ბიჭები ყველაფერს ძირისძირობამდე მიჰყვებიან. დღემდე არ მესმის, რატომ მიგდებენ მე ყურს.**

შახმატოვი (გამჭოლავი მზერა ესროლა) **თქვენ — მომხიბლავი კაცი ხართ!**

ლიატოშინსკი (ზე წამოიჭრა). **ჩვენ ვაკერებთ, ვაწებებთ და ვაკოწიწებთ გემებს. რათა მხარემ გაუძლოს თევზჭერის უფრო და უფრო მზარდ ტემპებს ტვირთის გადაზიდვის მილიონი კილომეტრები... როცა თქვენ მოხვედით — მიხაილ ივანოვიჩ — დაგვპირდით, რომ ასე მხოლოდ ერთი-ორი წელიწადი გაგრძელდებაო. ახლა კი თქვენ მოსკოვს მიემგზავრებით... ჩემი განთავისუფლების ქაღალდისთვისაც კი არ მოგიწერიათ ხელი.**

სამარინი. მე ხომ ვთქვი; გადავწყვეტთ, უსათუოდ გადავწყვეტთ შენს საკითხს.

ლიატოშინსკი. მართლა და მართლა, რაშია საქმე? დაზგებიხ პარკი მოძველდა! საკიდრები გაიცვითა! ათი წლის წინათ სამინისტრომ მომცა ფული, დოკუმენტაცია, კადრები. აქამდე კი ამის რეალიზაცია ვერ შევძელი! მაშინ მე ორმოცდახუთი წლის კაცი ვიყავი. ახალგაზრდა, ლამაზი, ენთუზიაზმით აღსავსე. ახლა კი რაღა ვარ?

კაშტანოვი. ნუ გაახურე, გერმან ალექსანდროვიჩ. გემთშემკეთებელი ქარხანა ჩვენი სიამაყეა. პროლეტარიატის ძირითადი რაზმი.

სერებრენიკოვი. და ასეთი, ნაპატიეთ... ნევრასტენიკის მეთაურობით. შესაძლოა, მთელს კავშირში არც იყოს მეორე ასეთი ლიატოშინსკი.

შახმატოვი (მოულოდნელად, ლიატოშინსკის). დავუშვათ: თქვენ წახვედით ქარხნიდან? (კაბინეტში უცებ სიჩუმე ჩამოვარდა). დავუშვათ? კარგი?

ლიატოშინსკი (ფრთხილად) ჰო!

შახმატოვი. არა, „ჰო" კი არა. (გულწრფელად დაინტერესებული) როგორ იცხოვრებთ მერე?

ლიატოშინსკი. წყნარად.

შახმატოვი (წინ გადაიხარა). როგორ, როგორ?

ლიატოშინსკი. წელს არ მოვიწყვეტ. წყნარად ვიქნები ჩემთვის. ყოველ საღამოს არ გამტანჯავს იმაზე ფიქრი, თუ როგორ ავამუშავო ხვალ დილით ჰიდრავლიკური წნეხი. როგორ გადავაკეთო საქვაბე. სადაც, დღეს თუ არა ხვალ, ავარიაა მოსალოდნელი. როცა მე თქვენ ჩემს სულიერ გეგმებზე მოგახსენებთ (შთაგონება ეწვია)... თქვენ ხომ გიყვართ, როცა სულს გადმოგიშლიან ხოლმე! ჩემთვის გაუგებარია, კაცი ასეთი კლასის ინჟინერი იყოს და ამავე დროს... თქვენ, ალბათ, უკვე დაგავიწყდათ კიდეც ...

სამარინი. საინტერესოა, საინტერესოა...

ლიატოშინსკი. იქნებ, იმ თქვენს ძველ პოსტებზედაც ძირითადად თეორეტიკოსი იყავით? იდეათა გენერატორი? და იქ იყვნენ ვინმე სამარინები, სინილკინები, რომლებიც ამ იდეებს ცხოვრებაში ახორციელებდნენ? ჰოდა, გემთშემკეთებელ ქარხანას თქვენ, მიხაილ ივანოვიჩ, ვერ გაუძღვებოდით! ჩვენთან დირექტორმა თვით უნდა იცოდეს თუ როგორ შეიძლება მავთულებისგან აიწყოს დისტანციური მართვის აპარატი და უჩვენოს კიდეც როგორ გაკეთდეს ეს — თუკი ამისი საჭიროება იქნება, და, ამავე დროს. მსოფლიოს სიახლეთა კურსშიაც უნდა იყოს, მაშინ პროლეტარიატის ძირითადი რაზმი, როგორც აქ ბრძანა სამხარეო აღმასკომის პატივცემულმა თავმჯდომარემ, მზად იქნება, შენი გულისათვის ქარ-ცეცხლში გადაეშვას! ორი ცვლა, სამი ცვლა იმუშაოს! არა, ბატონებო, „ჩელუსკინეცი" ჩვენი დანაშაულის გამო არ იწვის. (დაჯდა. ისევ წამოდგა). შესაძლოა, მე ცალმხრივი ვარ, მაგრამ მე მიყვარს ეს რკინეულობანი, ძალიან ვენდობი მათ! უმორჩილესად გთხოვთ მომიტევოთ... ტონის გამო... მხოლოდ ჩემი ტონის გამო! (დაჯდა, ქაღალდები აურ-დაურია, ვიღაცის სიგარეტი აიღო და უშნოდ გააბოლა).

კაშტანოვი (პაუზის შემდეგ, შემრიგებლურად) შენ რაო, განა თვითონ არ გესმის, გერმან ალექსანდროვიჩ, თუ რას ნიშნავს გემთშემკეთებლის გაჩერება.

შემოდის სინილკინი.

სინილკინი. დიდი ღელვის გამო გემები ვერ უახლოვდებიან „ჩელუსკინეცს", მხოლოდ დილით თუ შესძლებენ.

შახმატოვი. მაშასადამე, დაბეჯითებით ითხოვენ? (სინილკინმა თავი დაუქნია). მოსკოვმა რას ამბობს?

სინილკინი. ყოველ წუთს ველოდები მათს გადაწყვეტილებას.

კაშტანოვი. კი, მაგრამ სამხედროებს ხომ აქვთ სხვა შესაძლებლობანი.

სერებრენიკოვი. ნება მომეცით თავად... მო

დაწყვეტილებას ღებულობთ, თქვენ წინასწარ მზადა ხართ, ნახევარი საათის შემდეგ შეცვალოთ იგი?

ს ერ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. (წამოდგა). ჩვენ და არა სხვა სახავდა სანაოსნოს წინაშე კონკრეტულ ამოცანებს. რურუა კი მათ ასრულებდა, როგორც დისციპლინირებული კაცი. გემის ოკეანეში გასვლის წინ მან მომახსენა ვითარება! მე მივეცი ოკეანეში გასვლის თანხმობა. მე! ვითარების განსაკუთრებულობის გამო.

ს ა მ ა რ ი ნ ი. იგულისხმეთ, რომ პორტი ყველაფერს ჩამოსწერდა?

ს ერ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მშვიდად). წყნარად, იური ვასილევიჩ, მე მესმის, რომ მხარეს... ყველას ჩვენ... ახალი ერა მოგველის... მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ თქვენთან ერთად...

ს ა მ ა რ ი ნ ი. მე უბრალოდ იმის გაგება მწადია თუ რატომ მოხდა ეს ყოველივე. რატომ აღმოჩნდნენ ჩვენი ადამიანები ასეთი თავქარიანები? ბავშვები ხომ არ არიან? სულაც არ არიან ბავშვები! თვითეული მათგანის ხელში ათასიანი კოლექტივია. კოლოსალური ძალაუფლება! რა მოხდა მაინც? რა დაემართათ?

სამარინი ფიცხლად წამოდგა, მაგრამ შახმატოვის მზერას წააწყდა. პირველი მდივანი ფანჯარასთან, მოფარფატე თეთრ ფარდასთან იდგა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად. ყრუდ). სხვაგან უხვევთ, იური ვასილევიჩ. სხვაგან. რატომ ჩვენ „არ დაგვემართაო?" მთავარზე უმთავრესი არ მომხდარა, აი, ამაშია, საქმე.

ყველას მზერა შეავლო და ჩაჯდა.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მხოლოდ ნუ აღელდებით, მიხაილ ივანოვიჩ... გთხოვთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). ყოველმა თქვენგანმა თქვენი ცხოვრების უდიდესი მაწილი, კოლოსალური ენერგია, ნიჭი, მოთმინება, გამბედაობა შესწირეთ ამ საქმეს... და ჩვენი პორტი სამნახევარ წელიწადში აშენდა. გაუგონარი ვადაა! შეიქმნა! გაკეთდა! სახელმწიფომ მეორე სუნთქვა ჩაიდგა. უცხოელები შემოგვცქერიან როგორც სასწაულმოქმედებს! ჯადოსნებს! განა ხუმრობაა, რომ ჩვენი მხარე ოთხ საფრანგეთს უდრის და ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ შეგვწევს ძალა, უფრო ბედნიერ მხარედ ვაქციოთ იგი! იქნება მარტო ერთი სასწაული — მშენებლობის აწევა შეგვიძლია და მეტი არაფერი! ერთი ნახტომი ცხოვრებაში? რა მერე, შემდეგ? უკან დავიხიოთ, თუ რა? რატომ აღმოჩნდა, რომ ჩვენ საკუთარ თავზე ერთი თავით არ ავმაღლდით, უფრო მკაცრნი, უფრო პასუხისმგებელნი არ გავხდით? ყველანი ჩვენ, თვითეული ჩვენგანი? რატომ ჩვენში არ მოხდა ის სასწაული, რაც პორტის მშენებლობისას მოხდა? ესაა სწორედ საოცარი! რა მესმის მე დღეს აქ? ყველანი კარგად ცხოვრობთ, დალხინებულად? სწორედ თქვენ? ა? კაშტანოვ? ნიკოლაი ლეონტიევიჩ? რურუა? კმაყოფილნი ხართ საკუთარი თავისა? სინდისი არ გაწუხებთ? თქვენ... თქვენ..

Вам... вольготно, весело... свободно на Руси?

ს ა მ ა რ ი ნ ი. ნეკრასოვი უკუღმა ამბობს...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რას ამბობს უკუღმა? ა? (შეასწორა)

Свободно, весело, вольготно на Руси?

(სდუმან, ვიღაცამ ამოიოხრა. შახმატოვმა მკვეთრად დაიქნია თავი, თითქოს საყელო უჭერსო. სამარინმა დაძაბულად შეხედა მას, მაგრამ შახმატოვი თავს მოერია). არაფერია, არაფერი... მალე გამივლის.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (შახმატოვისა და სამარინის ნახევრადმუნჯური გადალაპარაკება ვერ გაიგო). მე იცი რა... ჩემი საქმე ჩვეულებრივი საქმეა. საერთოდ მე მაღალფარდოვან სიტყვებს არ ვენდობი. მე, რაც ინ კრეტულია, ყველაფერი აგერა მაქვს: ... ქალაქში წესრიგი და სისუფთავე უნდა იყოს... სახლები უნდა გადაიღებოს საპირველმაისოდ... უპატრონო ძაღლები უნდა შევიპყროთ... ამაზეც კი სერებრენიკოვთან მიხდება ჩხუბი... ...მეეზოვეებმა წესიერად უნდა იმუშაონ... კარტოფილი დროულად შემოზიდონ. დროულად ავკრიფოთ მარცვალი. კიდევ კარგი, რომ ჩვენს მხარეში ნაკლებია სათესი ფართობი... გეყოფათ რა, ეს თქვენი მაღალი მატერიები! მე ცოლი მყავს ახალგაზრდა. ბიჭი თექვსმეტისაა! ვის რაში სჭირდება ისინი, მე თუ არ ვიქენი? აი, მაღალი მატერიებიდან ინფარქტამდე რომ პირდაპირი გზაა, ეს ნაღდია!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (კაშტანოვს). თავს ნუ ისაწყლებთ. თქვენ, ძველებურად რომ ვთქვათ, ამ მხარის გუბერნატორი ხართ! და ისეთი გუბერნატორი, რომ ხანდახან ჩვენ თვითონ გვესმის ჩვენი ძვლების ჭახჭუხი.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (შეცბუნებული). კარგი ახლა, ცოტა დაუწიე, თორემ მართლა ვიღაცა რაღაცას იფიქრებს...

ს ერ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. პირდაპირობა ჯობია ყველაფერს. (წამოდგა.) არ მინდოდა ახლა, უკანასკნელად — მიხაილ ივანოვიჩ, მაგრამ მე შენ ველარ გცნობ. რატომ არ გინდა შენ, რომ... კატეგორიულად დასვა საკითხი „მორფლოტის" წინაშე: რეკომენდაცია მიეცეს ტროიანს გამოაცხადოს „SOS"-ი. რა საჭიროა ეს შეკითხვები, გადახვევები? შენ რა, გაკვეთილი გინდა, რომ ჩაგვიტარო ტროიანის მაგალითზე?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. ახლა მარტო ტროიანში არ არის საქმე.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ხალხო, ერთმანეთს ნუ დავერევით ახლა!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. „გმირობის, ნიჭის, მოთმინების სამი წელი. ცხოვრების უზარმაზარი ნაწილიო" იქნება გვკითხოთ, როგორ შევძელით ეს? კარგით?! თქვენ, მიხაილ ივანოვიჩ, მიზნის დასახვა ძალგიძთ. დიახ! თქვენს გვერდით მეც კი სტუდენტ-რომანტიკოსს ვემგვანები. თვით მეც კი შემიძლია დავიჯერო: „ყველაფერი ხვალ იქნება"... ხვალ თუ არა ზეგ მაინც. მაგრამ იქნება? თქვენ, ჩვენ მოგვიწოდებთ, ჩვენგან კი სერებრენიკოვი ითხოვს პასუხს და არა თქვენ! თქვენ წახვალთ, სერებრენიკოვი კი დარჩება ღა ახალი სასწაული-პორტის ყველა სიკეთეს მოიმკის. აი, აქ კი დაუმტკიცებს ყველას სერებრენიკოვი, თუ ვინ არის ჩვენი მხარის კეთილისმყოფელი. მეც. აი, დედაჩემთან მივდივარ მოსკოვში, რურუას დიდი ხანია საქართველოსაკენ მიუწევს გული. მაგრამ სერებრენიკოვის მუშტი ხომ რჩება აქ. აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ „არაფერი მოხდა ჩვენში!"

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. გაჩერდი, გერმან! პორტი აშენებულია. კრეიტინგს ჩამოვიტანთ. გავხსნით პორტს. გავაცილებთ მიხაილ ივანოვიჩს. შემდეგ გავარკვევთ ყველაფერს. ახლა კი საჭიროა „ჩელუსკინეცის" გადარჩენა, ვერტმფრენების გაგზავნა, კავშირის აღდგენა

ს ერ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ეს ნამდვილად სწორია. (ლიატოშინსკის). სიბრძნე ჩანს შენს სიტყვებში, სიბრძნე, ჭაბუკო.

კაბინეტში სწრაფად შემოდის აღელვებული ლომოვა, მას სინილკინი მოჰყვება, მდივანს უსიტყვოდ

უდებს წინ რადიოგრამას. მდივანი თვალდახუჭული ზის.

ლ ო მ ო ვ ა. ხანძარი ჩააქრეს, მიხაილ ივანოვიჩ.

რ უ რ უ ა. ვაშაა!

ლ ო მ ო ვ ა. მაგრამ გემი მართვას არ ემორჩილება მე გთხოვთ თქვენ...

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ხედავს, რომ შახმატოვი ისევ ისე ზის). ჯერ კიდევ ვერ დავამყარეთ ორმხრივი კავშირი. მხოლოდ ამ რადიოგრამის დაჭერა შევძელით.

შახმატოვს თავი არ აუწევია.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რაო რადიოგრამამ?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ღელვა მატულობს. დარჩენილი ორი მანქანა ტალღებს ვერ ერევა.

რ უ რ უ ა (შახმატოვის მაგიდიდან ფრთხილად იღებს რადიოგრამას). კიდევ ორი უცხოელი მიახლოვებია. „SOS"-ზე სიტყვაც არაა.

ს ა მ ა რ ი ნ ი. ხელს ვინ აწერს?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ხელმოუწერელია. (შახმატოვს შეხედა).

რ უ რ უ ა. პირველს კი ხელს ტროიანი აწერდა.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. აქაც მისი ხასიათი ჩანს! როცა შეიძლებოდა ჰეროიზმით თავის მოწონება, მაშინ არ დაუყოვნებია...

ს ა მ ა რ ი ნ ი. არ არის საჭირო.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რაა?

ს ა მ ა რ ი ნ ი (დამარცვლით). არ არის საჭირო ტროიანზე ასეთი ლაპარაკი, სხვა მის ადგილზე ყველაფერს ჩვენ გადმოგვაბრალებდა. (რურუას შეხედა).

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მოსკოვმა „ჩელუსკინეცის" ყველა მონაცემი გამოითხოვა. ახლა ყველა ღონეს ხმარობენ ტროიანის დასახმარებლად.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ოლქი შემიერთეთ.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ახლავე. ჯერჯერობით მე მოსკოვს ყოველ ნახევარ საათში ვატყობინებ შექმნილ ვითარებას.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. სულ ეგაა?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ოლქმა შეგვატყობინა: სამი ვერტმფრენი აფრინდაო. ცუდი ამინდის გამო ერთი უკან დაბრუნდა. დანარჩენ ორთან არარეგულარული კავშირია — ატმოსფერული შეფერხების გამო.

პაუზა.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მე თქვენი აღარ მესმის, ნიკოლაი ლეონტიევიჩ? (ყურადღებით შეხედა მდუმარე შახმატოვს. თავის ხელში აიღო ინიციატივა) ბოლოს და ბოლოს, ეს საქმე. რამდენადაც მესმის — სანაოსნოს უფროსის საქმეა. იგი როგორმე მოახერხებს ტროიანზე ზემოქმედებას — ყოველგვარი ბიუროს, სამხარეო კომიტეტის გარეშე, წუნარად, მშვიდობიანად...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გათამამდა). ვგონებ, მიხაილ ივანოვიჩს შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება სწადია. (ლიატოშინსკის.) თქვენც ასე?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. დრო რომ არა...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ვეღარ ჩერდება). სამარინს თავისი ტროიანის გადარჩენა უნდა, ლომოვა შვილის გამო ღელავს. მე და შენ კი, პაველ სტეპანოვიჩ, მთელი სიცოცხლე დანასისხლად ვართ, მაინც ერთ უღელში ვართ შებმულნი. მე და შენ რაღაზე ვზრუნავთ? პარტიის ავტორიტეტზე!

ლ ო მ ო ვ ა (მდუმარე შახმატოვს, ჩუმად). მიხაილ ივანოვიჩ, ძვირფასო, დაუჯერეთ სერებრენიკოვს. ეგ ხომ მამასახლისია, ძველი — ასე ეძახიან ქალაქში.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. რატომ მამასახლისი?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (იცინის). დედას თორმეტნი ვყავდით. მამა პირველ იმპერიალისტურში დაიკარგა. მიხვდებით, ალბათ... თუ რა გადაიტანა კაზანმა (ღიმა). კარგით, კარგით, გვეყოფა, არწივებო, შეცვლიდეთ? რასა ჰგავს ეს ბოლოს და ბოლოს — ასეთ შევარდენს ვაცილებთ! რაღაც კაცურად არ გამოგვდის... (მხიარულად). ისევ შენ, რურუა, დაატრიალე შენი ქართული სასწაულები, მაგრამ, გახსოვდეს, ტროიანს უნდა გაუგზავნო ტელეგრამა ყველა ფორმალურობის დაცვით, ყველა ბეჭედდასმული, სამინისტროს მიერ კურთხეული... ისეთი ტელეგრამა, რომ ტროიანი დაგემორჩილოს. ადამიანების გადარჩენას ეხება საქმე!

რ უ რ უ ა. მეც მოვაწერო ხელი?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ბუნებრივია! აბა, სხვამ ვინ უნდა მოაწეროს. გონივრულია? გონივრულია!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (დამარცვლით). არწივები თანახმანი ვართ, მაგრამ, ერთიც ვნახოთ და „ჩელუსკინეცი" დაიღუპა? მაშინ ხომ ყველაფერი ზევით ამოტივტივდება. ყველა გაიგებს თუ როგორ აუარა გვერდი რურუამ ყველა საკონტროლო სამსახურს და საერთოდ... (ხელები ფართოდ გაშალა. ლიატოშინსკი გაირინდა. ყველამ მას შეხედა).

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (სინილკინს). აქ რას დამდგარხართ? არ არის კავშირი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. იქნება.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ეს ერთხელ უკვე მოვისმინე.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. კავშირი თხუთმეტი წუთის შემდეგ იქნება — თუნდაც ერთი ვერტმფრენიც რომ შევიდეს „ჩელუსკინეცის" კვადრატში (წყნარად, შახმატოვს.) წამლის მიღება დაგავიწყდათ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ვერ მიხვდა, ვერ გაიგო, მაგიდაზე, ჯიბეებში აფათურებს ხელებს). მერე და სად არის?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ჯიბიდან ამოიღო). ორი აბი. (ჭიქა წყალი მიაწოდა).

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. გმადლობთ. საერთოდ, ყველას მადლობა. ძალიან დიდი ტვირთი კია, როცა ვინმეს ჯანმრთელობაზე ზრუნავს კაცი (დალია წამალი).

ს ა მ ა რ ი ნ ი. იქნებ მოგვეცადა? გადაგვედო?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (სწრაფად შეხედა მას). „ჩელუსკინეცს" თეთრ ტელეფონზე შეგიერთებთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზის შემდეგ). სელექტორზე შემიერთე.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (შახმატოვს). კარგით. სელექტორზე ტროიანი იქნება (სწრაფად გადის კაბინეტიდან).

რ უ რ უ ა (სინილკინის მისამართით). სამხედრო კადრია ეს კაცი თუ რა?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ხალხური სიმღერის გუნდიდანაა. იმ ანსამბლში პარტორგანიზაციის მდივანი იყო. ათი წლის წინათ. მას მერე, მიხაილ ივანოვიჩთან ერთად მოიარა, როგორც ამბობენ ხოლმე, ზღვა და ხმელეთი.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ახლა დისციპლინა თქვი... ოი, ოი, ოი... იგრძნობა!..

რ უ რ უ ა (იცის რასაც ამბობს). ყველაზე დიდი დისციპლინა ხალხურ გუნდებშია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოულოდნელად, რბილად). მე ჩემი დისწულის წაყვანა ვთხოვე ტროიანს. ჩვენს ოჯახში იზრდებოდა. აქ პრაქტიკაზე ჩამოფრინდა ლენინგრადიდან. პროფესიით გემის ექიმია. სათადარიგოდ წაიყვანეს. ამას ისე ვამბობ, თქვენ რომ იცოდეთ. იგი ჩვენს ოჯახში... ერთადერთი შვილია, მოხუცები ბევრი გვყავს. ყველა ცოცხალია. ჩემი და ჩემი მეუ-

ლის მშობლებიც კი. ეს გოგო კი ასეთი... ლენოჩკა...

ლ ო მ ო ვ ა. ერთ დღეში ვყოფილვართ მე და თქვენ.

ს ა მ ა რ ი ნ ი (მკვახედ). რაო? რაიმე ცნობაა მათი დაღუპვის შესახებ? ნინა სერგეევნა, რა მოგვიდათ, შეიკავეთ თავი.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (რბილად, მაგრამ მტკიცედ). გვაპატიეთ და, რაღაც უნდა გავარკვიოთ, მიხაილ ივანოვიჩ. თქვენ კი რაღაცნაირად... არც ჰოს ამბობთ, არც არას. თუ რამ იცით, გვითხარით ბარემ. გვენდეთ!

ლ ო მ ო ვ ა (უცებ, გულიანად). არ შეიძლება ასე გულქვა იყოს ადამიანი.

პაუზა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ფრთხილად). ეს რომ ტროიანი არ ყოფილიყო და სხვა ვინმე... მე კარგა ხანს...

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (მოულოდნელად მიხვდა). მიხაილ ივანოვიჩ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რა იყო?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. მაინც იყო თქვენთან, არა?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ვინ?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. ტროიანი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. იყო (პაუზის შემდეგ, სწრაფად). იყო, იყო...

ს ა მ ა რ ი ნ ი (ფრთხილად). ეს რამეს ცვლის ჩვენს გადაწყვეტილებაში?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გულწრფელად). თქვენ გგონიათ საქმე გადაწყვეტილების მიღებაშია? ყველაფერი უფრო სერიოზულია. (გაჩუმდა. ბიუროს წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. რურუა წამოდგა).

რ უ რ უ ა. მინისტრს დავურეკავ! ბოლოს და ბოლოს, მას ვემორჩილები მე.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. (ხმას აუწია). ბოლომდე არ მითქვამს სათქმელი.

ს ა მ ა რ ი ნ ი (სწრაფად). დაჯექით, რომან შალვოვიჩ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (სერებრენიკოვს). თუ „ჩელუსკინეცი" დაიღუპება... თუ სამოცი მეზღვაური დაიღუპება, მათი სიცოცხლე — ჩვენი, ჩემი და შენი, ნიკოლაი ლეონტიევიჩ, შეცდომების მსხვერპლი იქნება.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რა შეცდომებისო? ჩვენ აქ, ბოლოს და ბოლოს, რა შუაში ვართ? ოკეანეა. ტალღები ბობოქრობს!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. (გადაწყვიტა). სიკვდილზე წავლენ თუ თავის გადარჩენას ეცდებიან — ამის გადაწყვეტა, მხოლოდ მათ შეუძლიათ. მათ არჩევანის თავისუფლება უნდა ჰქონდეთ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მათ თავიანთი მამლაყინწობის გამო თავი დასდონ და მთელი ეს აურზაური, ეს პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვატყდეს? ეს ხომ სახელმწიფოებრივი საკითხია? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ჩავაბაროთ პორტი. იგი სახელმწიფო გეგმაშია უკვეა ჩართული, როგორც მოქმედი ერთეული. თქვენი სიტყვა?! თქვენი სახელი?!

ლ ო მ ო ვ ა (წამოიჭრა). ჯერ ბიჭები უნდა გადაარჩინოთ... მერე კი საქმე გაარჩიოთ!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (თავისთვის). თუ ფრონტზე სარდლობა მერყეობს, მართვა დაკარგულია, ფრონტი შემდრკალია... და აქ მთავარია, რომ ვინმე დარჩეს თავის პოსტზე.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (აღშფოთებულია). ჩვენი მხარე შედრკა?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ამდენი წელია მოწინავე ვართ!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ოდნავ აუწია ტონს, მაგრამ ესეც საკმარისია). მე აქ წმიდანებს ვერ ვხედავ. გგონიათ — ჭკუას გასწავლით? თქვენც მასწავლით მე! ცუდსაც და კარგსაც. მაინც რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? სახელმწიფოს მასშტაბით კერძო შემთხვევაა. ჩ-ეა, ოცსტრიქონიანი შენიშვნაა გაზეთში. და რამდენი რამ გახდა ნათელი. შორს გავიმზირეთ. თვითეულმა ჩვენთაგანმა რაღაცა, სადღაც დათმო. მდგომარეობას ვერ შეელია. სისულელეს უარი ვერ უთხრა. ყველაფერი ეს კი სამოცდაერთმა კაცმა უნდა იწვნიოს თავის თავზე. ტროიანი... და მე მსურს, რომ ყველას მისი გვრცხვენოდეს. თვითეულ ჩვენთაგანს — მცირედ თუ დიდად დამნაშავეებს.

ხელისგული დაჰკრა მაგიდას. კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. რურუა წამოდგა და ისევ დაჯდა. უკვე დაშლის დროა, მაგრამ არავის აღარა აქვს საამისო ძალა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წყნარად). შენ გესმის თუ არა, რას იღებ შენს თავზე?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ხალხი არ გვაპატიებს.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მეც არავისთვის არაფერი მიპატიებია. დაიღუპებიან — პასუხს ვაგებ. გადაარჩენენ გემს და ტვირთს — ყველას მოგთხოვთ პასუხს. „ჩ-ს" გულისათვის.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (წყნარად). შენგან მოგვიწევს დაწყება!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გაშალა მხრები). რაღაც იმასა ჰგავს, რომ ჩვენ დღესვე მოვთხოვთ პასუხს მიხაილ ივანოვიჩს.

წამოდგა, კარისკენ გაეშურა, სინილკინს შეეჩეხა.

ლ ო მ ო ვ ა. უკვე? ტროიანი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. არა, კიდევ სამი წუთი... (მიუახლოვდა შახმატოვს, ფრთხილად და ხმადაბლა) აი! მოსკოვის გადაწყვეტილება. სრულის უფლებით აღგვჭურვეს. „მორფლოტის" სამინისტროსთან შეთანხმებულია. შეგვიძლია ვისარგებლოთ ფლოტით, ავიაციით. ყველა საშუალებით. ისინი თქვენს განკარგულებას ელოდებიან.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ნათელია!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მიხაილ ივანოვიჩ! ძვირფასო...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. არაფრის წინაშე უკან არ დავიხევთ!

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ერთ-ერთმა ვერტმფრენმა „ჩელუსკინეცის" კვადრატში შეაღწია... წუთი-წუთზე გვექნება კავშირი. ახლავე, ახლავე...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ერთი ვერტმფრენი არაფერია!

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (აგრძელებს შეუპოვრად). გემშემკეთებელი ქარხნის პარტკომიდან დარეკეს. მუშები შეკრებილან. რომელიმე მდივანი მოვიდესო.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მე მთხოულობენ?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (სამარინს). იური ვასილევიჩ, ისინი თქვენ გთხოულობენ.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. მეც უნდა ვიყო ქარხანაში.

ს ა მ ა რ ი ნ ი. წავიდეთ ერთად.

რ უ რ უ ა. რადიოთი და ტელევიზიით უნდა გამოვაცხადოთ — „ჩელუსკინეცის" შესახებ.

ყველამ შახმატოვს შეხედა. ჟესტით ყველას მაგიდისაკენ მოუხმო.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზა). მოვიცადოთ, რას იტყვის ტროიანი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წყნარად). ჩვენ რას ვეტყვით მას?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ფანჯარაში იყურება). ოჰ, რა ქარია... წყალი მიჰქრის, როგორც ელვარე ხმალი...

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (ჩაიღიმა, სერებრენიკოვს). განა დრო არ არის ჩვენი პენსიაზე გასვლისა? ჰა?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ესეც ცდილობს გაღიმებას). მხოლოდ ლომოვას შვილს მივცეთ ბინა. სანაპიროზე...

ლ ო მ ო ვ ა (თვალები დახუჭა). რაღა დროს ბინაა. ცოცხალი დამიბრუნდეს ოღონდაც (თავს ვერ ერევა. ტირის). ოჰ, ღმერთო ჩემო!

სელექტორი ჩაირთო. მიუხედავად იმისა, რომ ტროიანი რადიოს მიკროფონში ლაპარაკობს, მაინც ისმის დარტყმის ყრუ ხმები, ქარის ღმუილი და კივილი. მაგრამ „ჩელუსკინეცის" კაპიტანის მშვიდი ხმა გარკვევით ისმის.

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. აქ „ჩელუსკინეცის" კაპიტანი ტროიანია. ვიმყოფებით ტანარიის კუნძულების ტრავერსისაგან თექვსმეტ კაბელტოზე...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (აწყვეტინებს). აქ შახმატოვია.

ტ რ ო ი ა ნ ი (ზრდილობიანად). გამარჯობათ, მიხაილ ივანოვიჩ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ძალიან უბრალოდ და ჩვეულებრივად). გამარჯობათ, ივან მაქსიმოვიჩ, რას შვება ამინდი?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა (იმავ მშვიდი ტონით). ნორმალურია.

რ უ რ უ ა (თავი ვერ შეიკავა). როგორ თუ ნორმალურია? აბა, ათი ბალი!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ტროიანს ეთანხმება). რაკი ნორმალურია — იყოს ნორმალური. ხანძარი თუ ჩააქრეთ?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. ჩავაქრეთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მანქანები როგორ მუშაობენ?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. არა უშავს. ვარემონტებთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ოთხიდან რამდენი მუშაობს?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. ერთი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. წყალი შემოგდით?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. აღარ შემოდის.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. უცხოელები შორს არიან?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. კიდევ მოსჩანან.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოკლე პაუზის შემდეგ). ვიღუპებით, მაგრამ „SOS"-ს არ ვიძლევით?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა (უცებ არ უპასუხა). „SOS"-ს არ ვიძლევით.

დუმილი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ჩემთან აქ ამხანაგები არიან... თითქმის მთელი ბიუროა. გვირჩევენ, რომ „SOS" გაავგზავნოთ. (თითქმის მხიარულად) გესმის, პორტი გვაქვს ჩასაბარებელი. კრეიტინგია, გესმის, საჭიროა.

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. გვირჩევენ „SOS"-ის გაგზავნას?..

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). გვირჩევენ.

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გაქვავდა, დაჭიმულია). მსხვერპლი არის?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა (მცირე ხნის შემდეგ). არა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წყნარად). იქნება!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). ეს რა დარტყმებია?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. ტალღებია. თუ თქვენ ყველაფერი მოათავეთ, მაშინ მე დაგტოვებთ. საქმე მაქვს

რ უ რ უ ა (სელექტორის მიკროფონთან მიირბინა). აქ რურუაა. მიდი მიეცი „SOS"-ი. გესმის, ტროიან? ტროიან? გესმის?

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. უარს ვამბობ.

რ უ რ უ ა. შენ პასუხს აგებ....

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა (მშვიდად). გემზე როგორც თქვენთვის ცნობილია, ბრძანებას კაპიტანი იძლევა. მხოლოდ მისი უფლებაა უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღება.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. სწორედ უკანასკნელისა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გვერდზე გასწია რურუა). ვანია. მე მახსოვს ჩვენი საუბარი. მე შენ გთხოვ...

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. რას მთხოვ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (თავს მოერია). გთხოვ...

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა. მე ცუდად მესმის. აქ საშინელი ხმაურია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. გთხოვ, ვანია (თავს აჯობა, ყვირის), გაუძელი, ვანია, გაუძელი!

ტ რ ო ი ა ნ ი ს ხ მ ა (მცირე ხნის შემდეგ. ხმა ხმაურში იკარგება). გავიგე! გავიგე!

სელექტორმა დაიტაცუნა. კავშირი მკვეთრად გაწყდა — მხოლოდ ქარის ღრიალი ისმის, მორზეს ბშფოთვარე კაკუნი, ხრიალი და წივილი, რომელსაც ტალღების ხმაური ენაცვლება, კაცმა არ იცის, საიდან იფეთქა ახლა მუსიკამ.

ლ ო მ ო ვ ა (უცებ ყვირის). ენა როგორ მოგიტრიალდათ!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ლომოვას). გაიგეთ... თქვენ, მხოლოდ გაიგეთ...

შახმატოვი რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ ამ დროს სახე რაღაც უცნაურად დაეღმიჭა, მკერდზე იტაცა ხელი. თითქოს მიწიდან ამოძვრაო სინილკინი და ზურგით დაფარა სავარძელში გადაქცეული შახმატოვი. ყველა გაოგნებულია, ყველა გაშეშდა. ვიღაცა მიშველებას ცდილობს, ვიღაცამ წყლიან გრაფინს წამოავლო ხელი.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (მკვეთრად შემობრუნდა). გთხოვთ გაბრძანდეთ აქედან! (თითქმის ყვირის) გესმით! გადით აქედან... (ხელში აიტაცა შახმატოვი). ახლავე მიხაილ ივანოვიჩ, ახლავე. მე აქა ვარ... აქა.

ყველამ უნებურად კარისკენ დაიხია.

ფარდა.

მოქმედება მეორე

შახმატოვის კაბინეტი. იგი სავარძელში ნახევრად წამოწოლილია. სინილკინი ჩაის აყენებს. ამას იგი აუჩქარებლად აკეთებს, ამ საქმით ერთობაო თითქოს. მის სასწაულმოქმედებას შახმატოვი უყურებს ყურადღებით და დაკვირვებით. სინილკინმა იგრძნო ეს გამოხედვა, მიუახლოვდა და ბალიში გაუსწორა. შახმატოვმა თავის მექანიკური დაკვრით მადლობა გადაუხადა. აიღო ჭიქა ჩაი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მე ხომ მაგარი გთხოვე.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. უფრო მაგარი თქვენთვის არ შეიძლება (ფანჯარას მიუახლოვდა).

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. სარკმელი გამოაღეთ.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ქარი მაგრად აჯახებს. კონდიშენი ჩავრთე.

შახმატოვმა შეხედა თავის თანაშემწეს და გაჩუმდა. იგი მისგან ზურგშექცევით დგას, ფანჯარასთან.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არის კავშირი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მუშაობენ.. ჯერჯერობით არცერთ

ტალღაზე არ ისმის „ჩელუსკინეცის“ ხმა. დიდი ღელვაა. (სელექტორი ჩართო).

(კვლავ აფორიაქებულია ეთერი. სანაოსნოს თუ უცხოელთა რადიოხმები. მხოლოდ „ჩელუსკინეცი“ სდუმს).

ვერტმფრენები ბაზებზე დაბრუნდნენ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მსხვერპლი არის?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. არა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). კარგია.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ტროიანს რომ SOS-ი გამოეცხადებინა, ჩვენ ამას უმალვე შევიტყობდით. (პაუზა). თვითმკვლელი ხომ არ არის?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ქალაქში იციან, რომ „ჩელუსკინეცთან“ კავშირი გაწყდა?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. იციან ისიც, რომ მძიმე მდგომარეობაა. მოკლედ, ყველაფერი იციან, რაც ცნობილია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. და მაინც, სამხარეო კომიტეტში მოდიან.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (დაყოვნებით). სჯერათ!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ელოდებიან. (გაპედა და ფრთხილად, როგორღაც მორცხვადაც კი) ყველანი გავაოცე დღეს, არა? არ გამოვიდა ლამაზად?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (მხრები აიჩეჩა). ბავშვი არცერთი არაა. გეგონათ, არ იცოდნენ თქვენი ავადმყოფობის ამბავი?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ერთია, როცა იცი და მეორე, როცა, აი, ასე... ცხადად...

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (საუბრის თემა გამოსცვალა). ლიატოშინსკი და სამარინი ქარხანაში წავიდნენ, დანარჩენები აქ არიან, სამხარეო კომიტეტში. თუ საჭიროა, დავუძახებ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არა, შენ ეს მითხარი...

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ოდნავ აუწია ხმას). ასეთია ეს ცხოვრება. სამხარეო კომიტეტი როგორღაც ამ ცხოვრების მწვერვალზეა წამომართული. ყველას თვალი შენსკენა აქვს მოპყრობილი. მშენებლობის უფროსს, კომბინატის მთავარ ინჟინერს, მთავარი სამმართველოს უფროსს, თვით მინისტრის მოადგილეც კი — ჩრდილშია. ასე თუ ისე, რასაკვირველია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ხომ არ შეიძლება ავადმყოფობა კაცს ბრალდებად წამოუყენო.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ამ თანამდებობაზე ყველაფერი ბრალეულია, გარდა გამარჯვებისა. თვით ნახევარი გამარჯვებაც ამ სავარძელში — უკვე დანაშაულია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. და ისიც, რომ ლენოჩკა „ჩელუსკინეცზეა“...

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ესეც დანაშაულია! ცუდი ნიშანია ქალი გემზე...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. კარგი ერთი, უამრავი ქალი დაცურავს ახლა. მებუფეტეები, ექიმები, ოფიციანტები.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ოდნავ აუწია ხმას). მხოლოდ არა პირველი მდივნის დისწულები.

(სინილკინმა წინ ქაღალდი დაუდო შახმატოვს).

რადიოგრამაა ვჩ-თი. მოსკოვიდან.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (კითხულობს). „...ჩვენის მხრივ ყოველგვარ ზომებს... გთხოვთ მოგვახსენოთ... თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ...“

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მოსკოვთან შეგაერთოთ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზის შემდეგ). არა... დილით.

დუმილი.

ნანობ, რომ აქ წამომყევი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ეს ჩემი პროფესიაა. (მოულოდნელად წყნარად და უბრალოდ). მე მიყვარს ძალაუფლება.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ასევე უბრალოდ). მეც.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ამიტომაც გაქვთ თქვენ და ეჭირვებ მაქვს მე.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. დამოუკიდებელ სამუშაოზე რატომ არ წახვალ? ხომ შეგთავაზე.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ხომ ვთქვი — ძალიან მიყვარს. მეთქი ძალაუფლება, ხოლო ხელებს არ უნდა ჰქონდეთ იმის პრეტენზია, რომ თავად იქცნენ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (იფიქრა). საინტერესოა.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ჩემთვისაც (უცებ ცხარედ). იცით თუ რატომ ვიყავი ყოველთვის თქვენი ერთგული? და სამარის კარამდე ვიქნები? (პასუხს არ დაელოდა) იმიტომ, რომ თქვენ ჩემთვის გაუგებარი ადამიანი ხართ, მომავლის კაცი. მე ხომ ადამიანები ხელისუფლების ყველა სართულზე მინახავს.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (განრიდებული). და ყველაფერი გაიგე?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (გამომწვევად). თითქმის. მე ხომ მემკვიდრეობის მეშჩანურ დინასტიაში გავიზარდე. ყასაბის შვილი ვარ. ბაბუაც ყასაბი იყო. დედა ოფიციანტად მუშაობდა. ჯარშიც ხან სამზარეულოში ვიყავი შეყუყული, ხან უფროსებს მიკედლებული. შოფრობაც ვისწავლე და მანქანაზე ბეჭდვაც. სტენოგრაფიაც კი ვიცი. ჰაუ, რას ვაუთოვებდი გენერლის შარვლებს...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მაინც ვერსად გასძელი, ხომ?! შენი შრომის წიგნაკის ოთხი გვერდია ჩაწიკწიკებული. ხალხური გუნდიც იქაა.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (მოიღუშა). გუნდი — სხვა ამბავია... ვგონებ, დღემდე ვნანობ... (უცებ) სადღაც წამიკითხავს რომ ადამიანს სურს სიამით იცხოვროსო ამ ქვეყნად. ისინი ცხოვრებაზე შეყვარებულნი არიან.. ცხოვრება კი სულაც არაა სიამოვნება... ცხოვრება — ძლევაა! სუსტია კაცი, ზარმაცია! თითქოსდა სწამს კიდეც, აკეთებს კიდეც, ცდილობს... სულის სიღრმეში კი ეშინია... ვაითუ იმას არ ვაკეთებო. შემდეგ ცოლი... ექიმები... სტრესებით გვაშინებენ... რატომ? რაც მეტს აკეთებს კაცი, მით უფრო ემატება დარდი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). ადამიანების სიძულვილი — ვერაა კარგი საქმე.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. სწორედაც... (მხურვალედ.) მაგრ ამოშანთვას ვცდილობ მეც... (გულწრფელად) როგორც ამბობენ ხოლმე, — „ჩრდილოვანი მხარეების“ ამოშანთვას. თქვენ უნდა იჯდეთ ჩემს მაგიდასთან. თუ რამ გამოხტა — ყველა თანაშემწესთან გამორბის. ამიტომაც არ შემიძლია მე დამოუკიდებელ თანამდებობას შევეჭიდო. ვერ ამოვშანთე მე ეს... ეს, მეშჩანური... ბაგეებზე ზიზღნარევი ღიმილი ყოვლისმცოდნე კაცის...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (კინაღამ გაიცინა). შენს სახეს ადევნე მაშინ თვალყური.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (თითქოს ჩაავლეს რაღაც სათაკილო საქციელში. გულწრფელად, ბიჭურად). რა! მეტყობა? როო... (გუნება წაუხდა). როგორც ჩანს, ამ სიფათით მოვკვდები! (მოულოდნელად გაცოფდა.) თქვენ რა გგონიათ, ყველანი გალმერთებენ? ხომ? ყურადღებით დაუკვირდით ხალხს. არიან, რომელთაც ერთი სული აქვთ, სანამ მოსკოვში წაბრძანდებით. თქვენისთანები არ უყვართ ჩვენში (ხელი ჩაიქნია).

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გაოგნებული). **შენ რა... ვლადლენ სემიონოვიჩ? მე არ მეხმის.**

ხ ი ნ ი ლ კ ი ნ ი (პასუხს გაექცა). **თქვენ მხოლოდ მწვერვალებიხკენ, წინ სწრაფვიხაკენ მიგვიწოდებთ და ადამიანების გარდაქმნა გწადიათ. თქვენ გგონიათ ვინმე გაპატიებთ „ჩელუსკინეცის" ამბავს? გაპატიებენ იმას, რომ პორტი ხამ წელიწადში „აშენეთ"? გაპატიებენ იმას, რომ ყოველ ნახაზში, ყოველ კონსტრუქციაში პირველი თქვენ პოულობთ შეცდომას? და პირველივე პოულობთ მათს გადაწყვეტას?** (ხმას აუწია). **თქვენ ავადმყოფობასაც კი არ გაპატიებენ!**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წამიერად შეხედა თანაშემწეს. გაჩუმდა. შემდეგ წყნარად, მაგრამ მკაცრი ტონით) **გადით აქედან.**

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (გაიცინა, კარისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მოიხედა და თავი დახარა) **თქვენ... თქვენ უნდა გამიგოთ მე. უნდა გამიგოთ! მე თქვენ ძალიან... პატივს გცემთ. რა ბედნიერება მხვდა წილად... თქვენ რომ შეგხვდით.**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (სასტიკი გულცივობით). **დიდად მოხარული ვარ, მაგრამ ახლა დასტოვეთ კაბინეტი.**

(სინილკინი მიხვდა, რომ ახლა ბოდიშის მოხდა ან კამათი უაზრობაა. სწრაფი მზერა მოაელო იქაურობას — ხომ არაფერი სჭირდებაო შახმატოვს და გავიდა. შახმატოვი მარტოა. იგი ზის და თითქოს თავის თავს გვერდიდან აფასებს. შემდეგ დგება, იღებს ბალიშს სავარძლიდან. როგორც იქნა იგრძნო, რომ მზადაა შემდგომი მოქმედებისათვის. მიუახლოვდა ფანჯარას, გამოაღო სარკმელი. კაბინეტში ქარი შემოიჭრა, წვიმა და ოკეანის ღრიალი შემოჰყვა მას. ჰაერში ფურცლები აფრიალდა, აფარფატდა ფარდები. შახმატოვი ამას ყურადღებას არ აქცევს, დგას და სახე წვიმიანი ქარისათვის შეუშვერია. მან ვერც კი გაიგო, რომ კაბინეტში სერებრენიკოვი შემოვიდა და მის ზურგს უკან დადგა.

მკეთრად შემობრუნდა). **თქვენა ხართ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ?**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ფანჯარაში იყურება). **ცოლები, დედები, ბავშვები, მამები, მეზღვაური ქალები... ასეთი ქალაქია... ასწლოვანი ტრადიციაა.... შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებულ ყოველ ხომალდს უნდა დახვდნენ თუ „ჩპ"-ეა ზღვაში — მთელი ქალაქი თითქოს ყალუზე დგება.** (უყურებს შახმატოვს. რაღაცას ელოდება)

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ჩაის ხომ არ ინებებთ?

სერებრენიკოვმა გამოართვა ჭიქა ჩაით. ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. სდუმან იმის მოლოდინში, თუ პირველი ვინ იტყვის სათქმელს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მაინც უნდა წავსულიყავი გემთშემკეთებელ ქარხანაში.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რატომ?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ახალგაზრდაა ჯერ სამარინი.

(ცვლავ გაჩუმდნენ. ერთმანეთს შეხედეს. ჩაის სვამენ).

რატომ არაფერს გვეტყვი, მიხაილ ივანოვიჩ, რაზე ილაპარაკეთ შენ და ტროიანმა?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, დაბრუნდა. მაგიდასთან გაჩერდა). **ოკეანეში გასვლის წინ ტროიანმა სიტყვა ჩამომართვა. ლიატოშინსკიმ კაპიტალურად შეაკეთა გემი. ესმოდა, რეისში „ჩპ" — რომ მომხდარიყო, რად დაუჯდებოდა ეს. ამიტომაც ჩამომართვა სიტყვა.**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (აღარ სუნთქავს). **მერე?**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი სდუმს.

რა სიტყვა?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მას მივანდობდი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გულწრფელადაა გაოგნებული). **მაშასადამე, სამხარეო კომიტეტი მისთვის მხოლოდ ხელის შემშლელია? ჩვენ ყველანი? და შენც, მიხაილ ივანოვიჩ?**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზის შემდეგ). **თქვენ ხომ გონიერი კაცი ხართ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ. ნუთუ ვერ მიხვდით?**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გულწრფელად). **ვერა.**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ჩვენ დავაჟკაცებულ ადამიანებში ვცხოვრობთ, მათ სურთ თავისებურად განვლონ თავიანთი ცხოვრების გზა. თავიანთი, და არა ის, რასაც მათ გადაუწყვეტენ. და აი, რუსი ადამიანი წინ მიისწრაფვის, ყოველთვის ყველაზე რისკიან საქმეს მიელტვის. იმიტომ, რომ აქ იგი თავის ძალას ხედავს — ბედისწერაზე ამაღლებულს. სტიქიაზე აღმატებულს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ერთობ ადვილად ლაპარაკობთ ამაზე.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (თავი გადაიქნია). **უნდა გვიხაროდეს თითქოს! კაცი დამოუკიდებლობას გვთხოვს!**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. როგორც ვატყობ, მაინც-დამაინც გახარებული არ უნდა იყო, იმ საუბრის დავიწყებაც გინდა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მაშასადამე, არც მე წავსულვარ შორს. ესეა ჩვევა: „ულეველად ვინ იმღერეთა?".

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (აიტაცა). **შენ მართლაც არ წასულხარ შორს. ერთი ფესვიდან ვართ ორივენი ამოსულნი! ხომ არ გგონია, აქაოდა დოქტორი ვარო, სამი უცხო ენა ვიცი, ეს ბევრ რამეს ცვლის? ჩვენ რეკომენდაცია მივეცით გაეშვა „SOS"-ი. მან უარი გვითხრა. მაშასადამე, მან, ტროიანმა, ყველაფერზე მე ვაგებო პასუხს. ხალხის წინაშე! პლენუმის წინაშე!**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). **კი, მაგრამ მე ხომ... მე ხომ ვთხოვე მას — გამაგრდი-თქო?**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წამოიჭრა). **არ ყოფილა ეგ! არავის მოუსმენია!**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ფრთხილად). **არც ლიატოშინსკის?**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (სწრაფად, გულწრფელად, დაჯერებით). **იმასაც! შენ, რა, გგონია, ტყუილად გაატარა მან აქ თხუთმეტი წელიწადი? ყოველ სამხარეო კომიტეტში საკუთარი კრიტიკანი უნდა იყოს.** (იცინის). **შტატით გვერგება.**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პირდაპირ, მოულოდნელად მიახალა). **თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?**

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ვერ მიხვდა). **ლიატოშინსკიზე ამბობ?**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ჩემს თავზე ვამბობ.

პაუზა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მშვიდად). **ბოლომდე ვიბრძოლებ და არავის დავანებებ სამხარეო კომიტეტს, რომ მიაკერონ... ასეთი რამ.**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. კი, მაგრამ...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. არავითარი „კი, მაგრამ" (როგორც ბალღს). **სამხარეო კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა! ტროიანმა უარი თქვა! დამნაშავე ტროიანია. გასაგებია?**

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გაჩუმდა, მოსცილდა მაგიდას, წაიჩურჩულა). გასაგებია.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. თქვენ კი ამ დროს შეტევგქონდათ აი, ეს კი ყველამ დავინახეთ!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზის შემდეგ). სხვა პირველ მდივნებთან უკეთ გრძნობდით თავს?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ყურები ცქვიტა). ხან ისე, ხან ასე. მხოლოდ ერთი მოვიდა განსვენების წინ. ძალიან მაღალი თანამდებობიდან. თქვენ კი პირიქით — მაღლა მიიწევთ. მაღლა და შორს.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გულწრფელად დაინტერესებული). დიდად თუ გენდობოდნენ?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ფიქრიანად, თითქმის ნაღვლიანად). კარგი მოხუცები იყვნენ. ახირებულნი, ბუზღუნები. ახლა კი უკვე მე მოვხუცდი. ვფაციფუცობ ნამეტანს. (გაიღიმა). შენ ახლა, ალბათ, უკვე თავში მოსკოვური პრობლემები გიტრიალებს, ა? დიდი საქმეები გელოდება!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოულოდნელად). მოსკოვში არ წამოხვიდოდი ჩემთან?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გადაიხარხარა). რაზე უნდა ვიმუშავო იქ. უფროს ვახტიორად? წვერი მოვუშვა და კარებთან დავდგე? არა, აი, ჩავაბარებთ პორტს და...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. უკრეიტინგოდ ჩაბარება ნახევარი წლით გადაიწევს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (სიტყვა შეაგება). რაშიღა გაინტერესებთ ეს თქვენ. მოსკოვში საქმეები თავზე საყრელი გექნებათ. რაც შეეხება ორდენს... ყველა ქაღალდი მზადაა, მიხაილ ივანოვიჩ, მოგეხსენებათ, ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო.

შახმატოვს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეჩერდა, არ იცის როგორ დაიწყოს საჭირო აუცილებელი ლაპარაკი. შემდეგ კი გაბედა. თითქოს მორევში გადაეშვაო.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მაშასადამე, მართალია? ძალიან ელოდებიან, თუ როდის წავალ აქედან?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (დაუფასა გულახდილობა. მაგრამ არ მიიღო გამოწვევა). მარტო მე არა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (უფრო მკაცრად). თქვენს თავზე ილაპარაკეთ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ყველაფერი ვთქვი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არა, ყველაფერი არ გითქვამს! მე, თურმე, არ მითხოვია ტროიანისათვის? მე ხომ ვთხოვე მას, გამაგრდი-მეთქი, გადაარჩინე ხალხი, კრეიტინგი! გადამირჩინე ქალიშვილი! ჩვენი ღირსება! დაუხმარებლად, უცხოელების გარეშე-მეთქი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მშვიდად). იქნებ, თქვენც გადაგარჩინოთ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. დიახ, მეც!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. თუმც დროულად ზრუნავთ საკუთარ თავზე, პასუხის გაცემა მაინც მოგიწევთ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. დააშინოთ ადამიანი... ჩაუნერგოთ ძრწოლა და შიში...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. შიში კი არა, რწმენა იმისა, რომ ვალდებულია მორჩილი იყოს. რომ იგი არაა სამყაროს ჭიპი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მაინცდამაინც თქვენ უნდა გმორჩილებდეთ?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მიუახლოვდა შახმატოვს). აი, ამ „დამოუკიდებლობას", ხელმიშვებულობას მე თქვენ საუკუნოდ არ გაპატიებთ! გახურებული შანთით ამოვბუგავ! ვიდრე აქედან არ გამასვენებენ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. უფრო ადრე გაბრძანდებით, ბაკუთარი ფეხით.

ს ე რ ე ბ რ ე ნ კ ო ვ ი.. ძველთაგანვე ასე მოდის რუსეთში. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რაზმი წინამძღოლს ირჩევდა, ამბობდნენ: „ახლა შენ წინამძღოლი ხარ, ჩვენ კი — მონები შენი".

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. შორს იმზირებით, ღრმად ჩახვედით.

ს ე რ ე ბ რ ე ნ კ ო ვ ი. ასე იყო ძველად. ასე იქნება სამარადუამოდ. მიზანი ნათელია, გეგმა გარკვეული ცხოვრება კი განუხრელია, მოუდრეკელი, მკაცრი, თქვენ სულ ადამიანის გარდაქმნაზე ფიქრობთ! ისინი კი კაეიგით უცვლელნი არიან! სწორედ ეს მათი სიმტკიცე უნდა გამოვიყენოთ. ამაშია ჩვენი ძალა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. კი მაგრამ, ახალი და ახალი პრობლემები? მოთხოვნები. პარტიაში?.. ცხოვრებაში? ეს თქვენთვის გახვრეტილი გროშია... გამტყვრალი ჭკუის ნაყოფი? ინტელიგენტშჩინაა?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. სიმართლე გნებავთ? ასეა! საქმეში არაფერში არ წაგვდგომია ის... მერე და სადამდე დავეშვით? ტროიანმა ვიღაც ნაბიჭვრები შეკრიბა პორტში, ჩვენ კი, გულაჩუყებულნი, ლამის ცრემლად დავიღვაროთ! შეხედეთ, შეხედეთ, ამათგან რა ხალხი დადგაო!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენ რა, ნიკოლაი ლეონტიევიჩ, მთელი ცხოვრება განვლეთ და ვერ გაიგეთ, რომ ხშირად ადამიანი არ არის დამნაშავე საკუთარი ცხოვრების აუწყობლობაში?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მაშ ვინ არის დამნაშავე? ჩვენ ხომ არა?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ჩვენც! ჩვენც — აგრეთვე! ადამიანი ხშირად თავისთავს ოცდაათი წლის ასაკამდე ეძებს, რაღაცის იმედი აქვს, უკვირდება ირგვლივ ყველაფერს, სხვებს სჯობია თუ სხვაზე უარესია. ეკუთვნის თუ არა ცხოვრებაში დაკავებული ადგილი? არის თუ არა რაიმე აზრი მის ცხოვრებაში?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ნამეტანი ხომ არ არის ოცდაათ წლამდე ძიება?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენ ის გნებავთ, რომ ახალი ადამიანი უცებ დაიბადოს, როგორც ინკუბატორში? უცებ და სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. (მაგიდას დაარტყა ხელი). ზედმეტად მომომენებად, ზედმეტად კეთილ ძიებად ხომ არ ვიქეცით?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენის აზრით, ტროიანი კეთილი ძიაა, რომელიც ახლა იმ ბიჭებთან ერთად ამ ღელვაში უკანასკნელ ძალ-ღონეს ალევს ტალღებთან ბრძოლას?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ... და დაიღუპება!

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არა, არ დაიღუპება. მაგრამ ბიჭები ამ ერთად ბრძოლას სამუდამოდ დაუმახსოვრებენ! როგორც ხელმეორედ დაბადებას!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. არა, მაინც რომ დაიღუპონ? ძალიან ძვირი არ დაგვიჯდება მათი ხელმეორედ დაბადება?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ვალებს გადახდა უნდა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. რა ვალებს?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. აი, იმათ... ტროიანის ბიჭებს...

ვიღაცამ რომ აწყენინა. ალბათ, მე და შენაც ვატკინეთ გული! თქვენ! და ...მეც!

სერებრენიკოვი. ხო, ჩვენ! ისინი კი ცხოვრების ყვავილები არიან! თავით-ფეხამდე ჩაეფლნენ — ნამუსიც კარგი საქონელია. კაცებად იშვნენ თუ პრანჭია ქალებად.

შახმატოვი. ბალღებად დაიბადნენ! და როგორები გახდნენ მერე, რა ხელს ეჭირა, რა ხელი ჰკვეხავდა, ზრდიდა, აძლევდა მიზანს... აზრს! აი, ამაზე ვაგებთ მე და შენ პასუხს! კარგად იციან, რომ მათი უბედურება ჩვენი უბედურებაა. მათი ცხოვრება ჩვენი ცხოვრებაა. გაიგეთ ეს და შეაფასეთ. მეტი სიმდიდრე, მეტი ძალა მე და შენ არა გვაქვს. აი, ხედავთ, რა პასუხისმგებლობა გვაწევს მხრებზე. მათ წინაშე და იმათ წინაშეც... ტროიანთან ვინცაა!

სერებრენიკოვი (პაუზის შემდეგ). მგონია, ძველადაც ასე იყო, (გაიღიმა). და ყოველგვარი ინკუბატორების გარეშე.

შახმატოვი (მშრალად, გულცივად). იყო, არის, იქნება. უნდა იყოს!

სერებრენიკოვი. მაგრამ, რაღაც იკლო ძლიერთა რიცხვმა. ძლიერი ხალხი გვჭირდება ჩვენ.

შახმატოვი (ყურადღებით შეხედა სერებრენიკოვს) მარტო ძლიერები გვჭირდება, განა? მაშასადამე, ადამიანები ძლიერებად და სუსტებად უნდა დავყოთ?

სერებრენიკოვი. ასეა საჭირო.

შახმატოვი (დაყოვნებით). დანარჩენებს რაღა ვუყოთ? (პაუზა) სად გავგზავნოთ. იქ? რას გაჩუმებულხართ? იცით, ასეთნაირად სადამდე მიხვალთ?

სერებრენიკოვი. ამის გადაწყვეტაც შეიძლებოდა...

შახმატოვი (სათანადოდ შეაფასა მისი გულახდილობა). იცით, თქვენ ვინა ხართ?

სერებრენიკოვი. ჩემს თავზე ასჯერ უფრო გულახდილად მე თვითონ გეტყვით. დიახ, მე ამ მხარის ჯაჭვიანი ნაგაზი ვარ!

შახმატოვი. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ამ მხარეს სჭირდებით თქვენ?

სერებრენიკოვი. დიახ! დიახ! დიახ! ეს, ჩემო ჭაბუკო, ისეთივე შრომაა, როგორიც მიწისმთხრელის, ასენიზატორის, მეზღვაურის შრომა. ეს პარტიული მუშაობის შავი პურია. და ამ პურს მე ბარე ორმოცი წელია ვჭამ. ამის გარეშე არ იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ჩემისთანების გარეშეც არ იქნებოდა იგი.

შახმატოვი. მაშ, ჩემი ადგილი სადღაა?

სერებრენიკოვი (თავს მოერია, თითქმის რბილად). მოსკოვში. თქვენ იქ გაგზავნიან. იქ! (კარისაკენ წავიდა) არ დაგავიწყდეთ, ჯერჯერობით ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ხართ აღრიცხვაზე.

შახმატოვი (თითქმის ყვირის). შესდექით. (სერებრენიკოვი შეჩერდა) იცით თქვენ რამე?

სერებრენიკოვი (ვერ მიხვდა). რა? (დამცინავად). თქვენ ნუ აღელდებით, თორემ კიდევ...

შახმატოვი. რა „კიდევ"?

სერებრენიკოვი. წამალი რა უყავით?

შახმატოვი (ალმაცერად შეხედა, მშვიდად). დაუძახეთ ყველას და არასოდეს არ შემოხვიდეთ აქ წინასწარი მოხსენების გარეშე.

სერებრენიკოვი. შეკეთება გესაჭიროებათ, გვარიანი შერემონტება. დიდი წარმატებები აქვს ამ ბოლო დროს მედიცინას.

შახმატოვი. ეგ ჩემი საქმეა.

სერებრენიკოვი. თორემ ხომ შეიძლება ეს კითხი სამხარეო კომიტეტის ბიუროზე გავატაროთ?

შახმატოვი (დიდხანს უყურებს). მე ვუბრძანებ თქვენი ტელეფონი გათიშონ მოსკოვთან. (მშვიდად, თავისუფალი ხართ.

(შემობრუნდა, სერებრენიკოვი გავიდა. იმ წამსვე შეშფოთებული სინილკინი შემოვიდა). დაიღუპნენ?

სინილკინი. ვინ გითხრათ? მოსკოვი ეს წუთია თვით ითხოვდა...

შახმატოვი (პაუზის შემდეგ. გარკვევით). მოსკოვთან, ამ წუთიდან, სამხარეო კომიტეტიდან ვილაპარაკებ მხოლოდ მე. ეს ბრძანებაა.

სინილკინი (გაიგო). გვიანაა. სერებრენიკოვი უკვე ელაპარაკა... თქვენთან შემოსვლამდე.

იღება კარი. შემოდიან სამარინი და ლიატოშინსკი, ქარხანაში გამოსვლის შემდეგ აღგზნებულნი. მოჰყვებიან: ლომოვა, სერებრენიკოვი და რურუა. ბოლოს კაშტანოვი შემოდის.

სამარინი. თქვენ ფანჯრებს, მიხაილ ივანოვიჩ, მგონი, ახლა მთელი ქალაქი უყურებს. (სავარძელში ჩაჯდა).

ყველანი რაღაც გაუბედავად შემოუსხდნენ მაგიდას, იმიტომ, რომ შახმატოვი სდუმს.

კაშტანოვი. აბა...

სამარინი. რა „აბა"? სახლებში წავიდნენ. ბევრი დილის ცვლაშია გამოსასვლელი.

სერებრენიკოვი. ჩვენი პოზიცია ხომ გააცანი?

ლიატოშინსკი. რა პოზიციაზე მელაპარაკებით?

სერებრენიკოვი (შახმატოვს შეხედა). ის, რომ ჩვენ ტროიანს მივანდეთ თვით გადაეწყვიტა საკითხი.

სამარინი. საერთო ხაზებში... ვუამბე.

ლიატოშინსკი (სერებრენიკოვს). იური ვასილევიჩი თქვენი საუკეთესო ტრადიციების სტილში გამოვიდა.

სერებრენიკოვი. ირონიისთვის საბაბს ვერ ვხედავ.

სინილკინი (შახმატოვს). არ გჭირდებით ახლა? მოსკოვმა რომ გამოგვიძახოს?

შახმატოვი. დილას მე თვითონ მოვახსენებ. წადით. თუ სულ მცირე ცნობაც კი...

სინილკინი (აწყვეტინებს). მოგახსენებთ. (მიდის).

სერებრენიკოვი (კაშტანოვს). პაველ სტეპანოვიჩ, რაღას უდგეხარ, დაჯექი. ფანჯარასთან რას დაყუდებულხარ.

კაშტანოვი. მე კი დავჯდები, მაგრამ რას უშველის ეს?

ყველამ თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა, პაუზა.

სერებრენიკოვი (შახმატოვს). აბა, მიხაილ ივანოვიჩ... თვითონ დაიწყებთ? თუ მე დავიწყო. (შახმატოვი სდუმს) მაშინ დავიწყებ... (ადგა). საერთოდ, სამწუხარო ამბავია, მაგრამ ნათელია ყოველივე. იყო შესაძლებლობა გემისა და ადამიანების გადარჩენისა. ნებისმიერი საშუალებებით! ეს უნდა ეკარნახა ჩვენთვის კომუნისტურ სინდისს.

შახმატოვმა შეხედა სერებრენიკოვს, ჩართო სელექტორი. ეთერი სავსეა ხმაურით, ბრძანებებით. ეძებენ

„ჩელუსკინეცს“, ცდილობენ დახმარებას. მორზეს კაკუნი, ქარიშხლის ღრიალი... მოულოდნელად ამოხეთქილი მუსიკა.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). ახლა ჩვენი სინდისი — ტროიანია. მთელი მისი კომანდა. თვითეული მისი წევრი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (დაყოვნებით, მაგრამ მაიხც თავისას აგრძელებს). და ჩვენ ეს მაინც არ გავაკეთეთ. ხომ უნდა აგოს ვინმემ ამაზე პასუხი? ხოლო თუ ვინ— ეს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ. აქ, ახლა, რათა ხვალ პლენუმზე ერთიანი გადაწყვეტილებით გამოვიდეთ.

ლ ო მ ო ვ ა (შეშინებულია). ნიკოლაი ლეონტიევიჩ... ნუთუ ყველაფერი...

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რურუა! შენ მეზღვაური ხარ, რას გვეტყვი?

რ უ რ უ ა. თეორიულად...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ნამეტანი ბევრი ვილაპარაკეთ დღეს აქ თეორიებზე. უფრო მეტი, ვიდრე საჭირო იყო. (კაშტანოვს) პაველ სტეპანოვიჩ, დამფრთხალი კრავივით ნუ მიყურებ. პასუხი ხომ უნდა აგოს ვინმემ?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. უნდა აგოს.

ლ ო მ ო ვ ა. ქვორუმი რომ არ არის... ღმერთო ჩემო, რას ვლაპარაკობ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მრისხანედ). ჩვენ თუ არ მოვთხოვთ ვინმეს, აქეთ მოგვთხოვენ ჩვენ. ასე რომ, საკითხი, ჩემის აზრით, ნათელია. (გამბედაობა მოიკრიფა) ამხანაგმა შახმატოვმა ბიურო გაქელა, კოლექტიური აზრი არად ჩააგდო. მისმა ვოლუნტარისტულმა გადაწყვეტილებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ „ჩელუსკინეცი“ იღუპება. ოკეანეში, დიდ ღელვაში. ჩვენ კი უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლია.

ს ა მ ა რ ი ნ ი. არა, არა! უნდა დაველოდოთ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ლოდინით კი სწორედ არავის დაველოდებით!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. შენ ახლა ზედმეტს... მაინც საკითხი უბრალო როდია...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ხმას აუწია). როცა ხალხი გვკითხავს, გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი „ჩელუსკინეცის“ გადასარჩენად? მაშინ? რას ვუპასუხებთ? არაფერიც არ გაგვიკეთებია!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (აფეთქდა). რა დაგიყენებია ეს გადაწყვეტილებანი? რას უშველის ეს საქმეს?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ხვალ პლენუმია. წინადადება შემომაქვს განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ტრაგედიისადმი...

რ უ რ უ ა. ჯერ არ არის ტრაგედია.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ჩვენ სირაქლემები კი არა ვართ, სილაში რომ წავრგოთ თავი.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. თქვენ რა ყვავებივით დაგეჩხავით თავს!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. გერმან ალექსანდროვიჩ, თქვენ მაინც უნდა იყოთ მწყერივით გატრუნული! არის კიდევ ერთი გარემოება...

ლ ო მ ო ვ ა. რა გარემოებაა?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მიხაილ ივანოვიჩს, როგორც თქვენც გაიგეთ, არ სურს დილამდე მოსკოვთან ლაპარაკი. იქ კი ღელავენ, გვეკითხებიან...

ს ა მ ა რ ი ნ ი. რა ახალი ამბის შეტყობინება შეგვიძლია?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მოსკოვმა დილისათვის უნდა იცოდეს ამ ამბისადმი ჩვენი დამოკიდებულება. შესაძლოა, მთლად დაწვრილებით არა, მაგრამ მე ეს შევატყობინე. ჩვენს უთანხმოებაზეც...

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (მაგიდაზე დაარტყა ხელი). ეს ერთადერთი სწორი ხომ?! შენ ოღონდ პირველმა მოახსენო ლენინს...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ჯიუტად). ჩვენ უნდა ვუთხრათ ხალხს, თუ ვინ არის დამნაშავე „ჩელუსკინეცის“ დაღუპვაში.

ს ა მ ა რ ი ნ ი. კი, მაგრამ აქ... ერთი რომელიმე, კონკრეტულად არ არის.

რ უ რ უ ა (წამოიჭრა). დამნაშავე დიდი ღელვაა! სტიქიაა! დაიმახსოვრეთ, დახრჩობა შეიძლება გუბეშიაც კი! ეს ყოველმა მეზღვაურმა იცის! საჭირო არაა ამგვარი ტონის მიცემა. ჩვენ საქმიანი ხალხი ვართ! დიახ, ხდება შეცდომებიც! ობიექტური გარემოებანი! გეგმა! ნაკლოვანებანი. ჰეროიზმი! კონკრეტული ამოცანები. ეს ჩვენი ცხოვრებაა. ყველა თავისი კარგი და ცუდი თვისებებით. რა საჭიროა ერთის წინ გამოჯგიმვა და მეორეს მიჩქმალვა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ჰეროიზმი — კარგი რამაა, როცა მას სხვებისაგან ითხოვ. მე კი ისა მსურს, შევხედო ერთი, ეყოფა თუ არა ძალა მიხაილ ივანოვიჩს იმისათვის, აღიაროს, რომ არ იყო მართალი. ჰა, მიხაილ ივანოვიჩ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მშვიდად). მე დიდი ხანია რაც მართალი არ ვარ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. მერე! მერე! რას გაჩუმდი?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. არა ვარ მართალი იმ დღიდან, როცა დავთანხმდი სამხარეო კომიტეტში შენს დატოვებაზე.

პაუზა.

რ უ რ უ ა (წყნარად). ოჰო, ყოჩები დაეტაკნენ ერთმანეთს.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რატომ ბრძანებთ ასე, მიხაილ ივანოვიჩ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მშვიდად). რაღაც არ მგონია, რომ სხვა პირველ მდივნებს ხელს ვუშლიდი... შენ კი, თურმე, პირველი დღიდანვე ჩემთვის დანას ლესავ.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. მე არ შემიძლია... დანების ლესვა. თქვენ ხომ ის კაცი არა ხართ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ, რომლის გატაცება, გულაჩუყება, დარწმუნება შეიძლება.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წამოხტა, თავს ვეღარ მოერია). კაცი არა ხარ, ვაუკაცი? მაშ რა გულისამაჩუყებელ სიტყვებს ამბობ!. პარტიამ, ხალხმა შენ ამხელა მხარე ჩაგაბარეს! ოთხ საფრანგეთს ვუტოლებთ მას! შენა ხარ ყველაფრის ბატონ-პატრონი. შენ კი ვიღაცა სერებრენიკოვი გინდა სიტყვაზე დაიჭირო? აი, მე შენს ადგილზე...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მშვიდად). არ შეიძლება თქვენ რომ ჩემს ადგილზე იყოთ. არ შეიძლება!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ეგ სულერთია, მე მოსკოვში უფრო მენდობიან.

რ უ რ უ ა. „სერებრენიკოვს უჭირავს მთელი ეს მხარეო“ — ხშირად გაგვიგონია.

ს ა მ ა რ ი ნ ი. მადლობა ღმერთს, რომ მარტო მაგას არა!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (ესეც აფეთქდა. სერებრენიკოვს). ჩვენ ხომ ვიცით, რა და რით გიჭირავს. „არ შეიძლება! არ შეესაბამება“ — აი, მთელი შენი წესდება. შენ იცი, ვინა ხარ? იეზუიტი! ოღონდ გათქმევინა: „არ დავუ-

შვებთ"! ოღონდ არაფერი შეიცვალოს! ვერ გამიგია, როგორ გასძელი კაშტანოვთან ხუთი წელი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. გავუძელი, პავლუშა, გავუძელი! მეტსაც გავუძლებ. ჩვენი მხარისათვის ხაჭირო იყო ასეთი შახმატოვი! ასეთი კაცი სასარგებლოა გარკვეულ დრომდე...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (გულწრფელად ვერ გაიგო). მე ვარ საჭირო? სასარგებლო?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (პასუხს თავი აარიდა). მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, ყველა ამ წითელ დროშას დიდი ხნის წინ დავკარგავდით, მთელ ამ მხარეს უწყებრივად დააწაწალიკებდით.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (მკვახედ). ცოტა წყნარად შენ... ლეონტიჩ! მიხაილ ივანოვიჩი, შესაძლოა თავისი ახალგაზრდობის გამო, ჯერ არ შეხვედრია შენისთანას. მე კი ძველი ვარ, გამოჯეჯგილი და შენ მაგ ფანდებით ვერ გამაცურებ. აქ მე — საბჭოთა ხელისუფლება ვარ! და ამ მხარის გაგლეჯის უფლებას კაციშვილს არ მივცემ! მათ შორის შენც! შენ რამდენჯერ შემოგვთავაზე თუთიის, ვერცხლის ამოღების გადადება. ჩვენი მხარის ამ უმთავრესი სიმდიდრისა? რა სიკეთეს, რა ვარდისფერ პერსპექტივებს არ აღგვითქვამდი? — გაგივიდა მერე ეს? არ გაგივიდა! და არც გაგივა, ვიდრე ჩვენ აქა ვართ. სანამ აქ საბჭოთა ხელისუფლებაა. არა, ბატონო, ნიჩბებით როდი მივხვეტავთ ყველაფერს, რაც ცუდად ძევს! მარაგი გათავდება? რას შვები მერე? სად აფრიალდება მერე ჩვენი წითელი დროშები? ხალხს რაღას ვეტყვით?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. თვითონ მოგეხსენება! ქვეყნის საარსებო საჭიროებანი!.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. რა ყოველთვის ყველაფერი საარსებოა!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წამოიმართა). შენ რა სთქვი?

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (გარკვევით). მე ვთქვი, რომ ქვეყნის საარსებო საჭიროებანი არსებობს დღეს, იქნება ხვალ და იქნება, შესაძლოა, ყოველთვის. და კაცმა არ იცის როდის უფრო იქნება საჭირო ჩვენი თუთია, დღეს, თუ ზეგ!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. დიდ პოლიტიკას ნუ ეტმასნებით, გერმან ალექსანდროვიჩ, თქვენ ამ საქმეში პროფანი ხართ.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (მშვიდად). შესაძლოა. ეკონომიკა ხელზე მოსამსახურე როდია. ერთ დღეს მას შეუძლია შური იძიოს ჩვენზე. ამას ლენინი...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (გულწრფელად). როგორც კი გაიჭედა, მაშინვე ლენინს სტაცა ხელი!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. რატომ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ თქვენი პროვოკატიავაა? მე, სხვათა შორის, ლენინგრადში შევედი პარტიაში, ბლოკადის დღეებში. და იმ საშინელ, შიმშილიან ზამთარს ლენინს ვკითხულობდი. შესაძლოა, დღეს მე რომ ცოცხალი ვარ, ეს მხოლოდ მისი სიკეთეა...

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. შენებურად, გამოდის, რომ საქმე ჩვენ უყაირათოდ მიგვყავს.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. გვეყო ყოველი ჭანჭიკის ცენტრიდან ზიდვა! ყოველი სასოფლო მანქანისა! დროა გარდავქმნათ ცხოვრება ჩვენს მხარეში. პორტის გაშვების შემდეგ ჩვენ გვექნება მრეწველობის მკვეთრად გაზრდის შესაძლებლობა. დაუშვებელია, რომ აქ ხალხი ჯიბის გასასქელებლად ჩამოდიოდეს.

რ ო ბ ე რ ტ ა (ისიც წამოდგა). და საერთოდ!.. განა ეს საქმეა, რომ ნაპირზე დაბრუნებულმა ხალხმა ფული დილამდე რესტორნებში ჰფანტოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. რესტორნები დილამდე არ მუშაობენ.

რ ო ბ ე რ ტ ა (ცხარობს). დილამდე თუ არა, სამ საათამდე ხომ!..

ს ა მ ა რ ი ნ ი. შენ რაებს ლაპარაკობ? რა შუაშია აქ რესტორნები?! დღეს ყოველმა კაცმა უნდა შეიგნოს, რომ იგი სწორედ აქაა საჭირო. არა მარტო მისი ხელები, მისი სიმარჯვე, მისი შრომა, არამედ თვით იგია საჭირო, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ამაშია სწორედ ხელმძღვანელობის მეცნიერული მეთოდი. და თუ ჩვენ ვერ გავიგებთ, რომ ეს მოწოდება, დირექტივა, კამპანია კი არ არის, არამედ უცილობელი, უწმინდესი აუცილებლობაა, მაშინ ჩვენ წინ ვერასოდეს დავიძვრებით. გზა მოჭრილია. არ შეიძლება ადამიანებს მხოლოდ ვუბრძანოთ. სასაცილოა, მაგრამ ეს უბრალოდ ეკონომიკურად არ არის სასარგებლო. არაეფექტურია! ძვირადღირებულია! უშედეგოა! უნდა გაიმართოს გულღია, სერიოზული... ვაუკაცური საუბარი! რა არის ცუდი? რა არის კარგი? რისი გაკეთება შეგიძლია შენ? რისი მე? რისი გაკეთება შეგვიძლია ყველას ჩვენ ერთად. სამხარეო კომიტეტს, ბიუროს, ქარხანას, სანაოსნოს, საბჭოთა მეურნეობას, საპარიკმახეროს, მეფრინველეობის ფაბრიკას... თვითეულ ჩვენგანს. აქ, აი, ამ მაგიდასთან უნდა გაიმართოს ეს საუბარი. და იქ... (ფანჯრის მიღმა მიუთითა) თითოეული, რომელიც მოედანზე დგას...

რ ო ბ ე რ ტ ა (იფეთქა). მეც სწორედ ამ ვაუკაცურ საუბარს ვემხრობი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ავად). რაო? რაო? ხედავი, საით მიექანება ეს რომან შალვოვიჩი.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. შენ რა, მაგას პირზე აფარებ ხელს, თუ რაა ეს?

რ ო ბ ე რ ტ ა (უკან არ იხევს). მე თქვენ პატიოსნად გეტყვით. ჩემს თავზე ვიტყვი. მე ყველაფერი მაქვს. ჩემი შურთ!... შვილები!... საცაა შვილიშვილებიც მეყოლება. კარგი შვილები მყავს! კარგი შვილიშვილებიც მეყოლება. სჯერათ, რომ მათი მამა ძლიერი კაცია. მე კი მჯერა ეს? მე თვითონ! აი, ახლა, თუნდაც! მეეჭვება! რა არის კაცისათვის ყველაზე მთავარი? პატივისცემა! პატივს უნდა სცემდე ადამიანს! და თვით უნდა სცემდე პატივს საკუთარ თავს. ასე აი... ახლა... დღეს... მე ჩემს თავს პატივს არა ვცემ. არა! რას არ მივცემდი ახლა მე... ოღონდაც ისინი გადარჩნენ!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ფიცხლად მიტრიალდა ლომოვასაკენ). შენ, ლომოვა, შენ რა სულ სდუმხარ? შენ რაღას ფიქრობ?

ლ ო მ ო ვ ა (წყნარად). მე არ ვფიქრობ. მე ველოდები.

ყველა უნებურად მისკენ მიტრიალდა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. რაო, რას ლაპარაკობენ?

ლ ო მ ო ვ ა (გულს გარეთ). არაფერსაც არ ლაპარაკობენ.

ს ა მ ა რ ი ნ ი. როგორ თუ არაფერს?

ლ ო მ ო ვ ა. თქვენ იყავით ქარხანაში?

ს ა მ ა რ ი ნ ი (დაიბნა). კი. სიტყვით გამოვედი. ლიატოშინსკიმაც რამდენიმე სიტყვა სთქვა...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. შემდეგ დაიშალეთ?

ს ა მ ა რ ი ნ ი. დავიშალეთ.

შახმატოვი ადგა. ფანჯრისკენ წავიდა. მთელი შემდგომი საუბრის დროს იგი ფანჯარასთან დგას.

ს ერ ებ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ხმას აუწია). მე შენ გეკითხები, შენ, ლომოვა!

ლ ო მ ო ვ ა (შეკრთა). მე რა? რა ჭკვიანურს მე ვიტყვი? თუნდაც რამე რომ ვთქვა. რას მიყურებთ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ? (თვალები აენთო) იქნებ ვეფ მიცანით. ლომოვა ვარ მე, ლომოვა. დღეს თქვენ მეუბნებოდით: „შენისთანა ბევრი მინახავსო ამ მაგიდასთან". აი, მე კი სხვანაირი ვარ. ჩემი გვარიც კი პაპის პაპისაგან მოდის, ცხოვრებამაც ბევრჯერ დამჯეჯგვა, გეგმის ასორმოცი პროცენტი აქ ჯდომისთვის კი არ გამოჭყავთ, არამედ მუშაობისთვის! მოდი, ერთი და შენ დაჯექი ჩემს კაბინაში, ორმოცი მეტრის სიმაღლეზე, სიცხეში, როცა ნზე თვალებს ბუგავს; ზამთარში, როცა ექვს-შვიდ ბალიანი ქარი გრიალებს და თოვლქუაპი სახეში გცემს. ამწე კრანი კი შენს ქვეშ ცეკვავს... მე ხომ ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოს. ხელებს კიდევ არაფერი უშავთ, ეშმაკმა წაიღოს ისინი. მაგრამ ქალს კიდევ რომ სხვა რამეც აქვს.

ს ერ ებ რ ე ნ ი კ ო ვ ი (წყნარად, მაგრამ მუქარით). შენ სად გგონია თავი?

ლ ო მ ო ვ ა. ვიცი სადაცა ვარ. არ დამვიწყნია! და არც უსაქმურებს ავურჩევივარ აქ მე. რას ვეტყვი მე ხვალ, ამ თავდაუზოგავ მშრომელებს? შენს ზურგს ხომ არ ამოვეფარები, ნიკოლაი ლეონტიევიჩ? „სამხარეო კომიტეტმა ასე გადაწყვიტაო". ჰოდა, ამასაც გეტყვი, შენ ჯერ არა ხარ სამხარეო კომიტეტი. შენ უბრალოდ სერებრენიკოვი ხარ. ერთ-ერთი მდივანი. რომელიც ამ მხარეს უნდა უგდებდეს ყურს. ჩვენ კი რასაც ვიტყვით, იმას შეასრულებთ, ხალხსაც ანგარიშს ჩააბარებთ. შეეკითხებით კიდეც — კარგად გავაკეთეთ საქმე და თუ კიდევ რამე არისო საჭირო?

ს ერ ებ რ ე ნ ი კ ო ვ ი (თითქმის დამშვიდდა). აი, ეს კი ველარ გავიგე. შენ რა გინდა?

ლ ო მ ო ვ ა (მოულოდნელად, გამგმირავად). მე ის მინდა, რომ შენ ჩემი გჯეროდეს. პატივს მცემდე, შეიგნო, მე შენზე ნაკლები არაფრით არა ვარ. არა ვარ შენზე უჭკუო. გგონია, მე არ ვიცი, რომ შენ ჩემი ხმის იმედი ყოველთვისა გაქვს, როცა ვინმე თავის ადგილზე უნდა დავსვათ! ხმათა უმრავლესობისათვის გვჭირდები. შენ შეგიძლია ყველას თავზე ხელი გადაუსვა! კაშტანოვი და ლიატოშინსკი ჯერ კიდევ გიწევენ წინააღმდეგობას, არ გაძლევენ განავრდების საშუალებას. ისეთები კი, როგორიც რომან რურუაა, ყველაფრისათვის მზად არიან. როგორც იტყვიან ხოლმე: „რას ინებებთ, ბატონო!", იციან, რაც არ უნდა მოხდეს, ხელს დააფარებ, გადაარჩენ. ისინი კი — შენ გადაგარჩენენ! თქვენ ხომ უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება ხართ! შეხედე — ვანკა ტროიანი თავის თავსაც და გემსაც სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე აგდებს, ცდილობს იხსნას ხალხის სიმდიდრე, ღირსება. შენ კი მხოლოდ იმას ცდილობ, პრესტიჟი დაიცვა! როგორ არა — ტროიანს უბრძანეს გადაარჩინეო გემი, ის სულელი, კი, თავქარიანი, უარს ამბობს. „ჩპ"-ეა. აღმაშფოთებელია! ურჩობაა სამხარეო კომიტეტის წინაშე! ახლა კი შენ ტროიანის უბედურებით გსურს შახმატოვი დაასამარო. შენ ხომ არ გიცნობს იგი, არც იცის რისი გამკეთებელიცა ხარ. სხვებზე საკუთარი თვის მიხედვით მსჯელობს. ხოლო რა კაციცაა ის, ეს არც კი გესმის შენ. ნუთუ სულში არაფერი წმინდა არა გაქვს? მიიხედ-მოიხედე, თვალები გამოიფშვნიტე. სად ხარ? ვინ ხარ? ვინ არის შენს გარშემო? იქნებ ჭკუასუსტები არიან? მხოლოდ ამის მერე გკითხავ — ვინ ააშენებს ჩვენს სამყაროს. ამის სამყაროს, ლიატოშინსკის, ტროიანის სამყაროს. ყველას სამყაროს. ეს სამყარო ჩვენს სულებში იწყება. როგორიცაა ეს ხული, ისეთივე იქნება ჩვენში მომავალი! აი, ამაზე დაფიქრდი, ჩვენს სულებზე და შენს სულზედაც! დროა! დროა უკვე! (შებრუნდა, დაჯდა, შემდეგ თავი ველარ შეიმაგრა და კაბინეტიდან გავიდა).

ყველანი სერებრენიკოვს უყურებენ. იგი თავჩაღუნული ზის. ადგა, ფანჯარასთან მოვიდა.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (პაუზის შემდეგ). მიხაილ ივანოვიჩ, გითხრათ თუ არა ვანია ტროიანმა... ჩვენ მთელი ღამე ვსაუბრობდით. მანამდე, სანამ თქვენთან მოვიდოდა. გითხრათ მან, რომ თქვენი მოსვლის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა ხალხმა ჩვენს მხარეში? რომ ადამიანებს გულზე აღარ ჰკიდებენ იარლიკს „კრიტიკანია", „მოუთოკავია", „თავნებაა".

შ ახ მ ა ტ ო ვ ი (არ შემობრუნებულა). მითხრა...

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. მაშინ თუ ვენდობით კაცს, ბოლომდე უნდა ვენდოთ. ასეა ხომ? თორემ ისე გამოდის, როგორც ძველ არმიაში. ფელდფებელმა იყვირა — „ერთ" და „ორ"-ის თქმა დაავიწყდა — ფეხაწეული ჯარისკაცი კი იდგა გაქვავებული...

შ ახ მ ა ტ ო ვ ი. რა... რა... (მკვეთრად შემობრუნდა აღზნებულია).

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (გაღიმებას ცდილობს). არის ასეთი ხუმრობა.

შ ახ მ ა ტ ო ვ ი. მე კი ხუმრობა არ მიყვარს! საქმეში იუმორი არ მიყვარს.

რ უ რ უ ა (სიტუაციის შერბილებას ცდილობს). ეეჰ, კარგია ხუმრობა, თუ უადგილო არაა...

შ ახ მ ა ტ ო ვ ი. ახლა უადგილოა! (სწრაფად მიუახლოვდა თავის მაგიდას) დიახ, დიახ, პორტი სამ წელიწადში ავაშენეთ. გამარჯვება, სიხარული, მიღწევები! ყველაფერი ეს კარგია, სწორია, ლამაზია. მხოლოდ ეს ცოტაა. გესმით, ცოტაა! შინაურული ზეიმია! ამ კაბინეტში საჭიროა სხვანაირი... სხვანაირი საზომებით ცხოვრება! რომელი საუკუნეა ფანჯრებს მიღმა? რა წყდება? კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი! ჩვენ კი ელემენტარულ საკითხებში, როგორც სამ ნაძვს შორის, ისე ვიბნევით. ...(ხმას აუწია) თქვენ რა, მართლა ვერ ხედავთ, რომ ჩვენ კვლავინდებურად გუშინდელი დღით ვცხოვრობდით? ბუნებრივი სიმდიდრეებით! მაგრამ როგორ ვიყენებთ და ვუვლით მათ? რა დონეზეა შრომის ორგანიზაცია? საკმარისი იყო უმცირესი, უპრიმიტივესი დაძაბვა და პორტის მშენებლობა წინ გავარდა. რა არის ეს? აღმოჩენაა? ასეთი მეთოდები ხომ ამ ოცი წლის წინათ არსებობდა. (ფანქარი დააგდო მაგიდაზე). ოდესმე თუ გიფიქრიათ. რომ ლენინი ეკონომიკურ პოლიტიკას მტკიცედ სცვლიდა, როცა ეს აუცილებელი იყო? დაბნეულობისგან ხომ არ მოსდიოდა ეს? არა, იმიტომ, რომ იგი არაფრის წინაშე თვალს არ ხუჭავდა. მას მამაცი ადამიანის თვალი თუ გული ჰქონდა.

ს ერ ებ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მოიხედა, წყნარად). კარგი, ერთი შენც, მიხაილ ივანოვიჩ. ლენინამდე სადა ვართ ჩვენ, მაგრამ უფრო უარესიც ხდება...

შ ახ მ ა ტ ო ვ ი. უარესის ნება არა გვაქვს ჩვენ! თქვენ ნუ ღელავთ, ნიკოლაი ლეონტიევიჩ. მე ვიცი თქვენი ფასი. თქვენ იდეური ადამიანი ხართ. თუმცა, თქვენი იდეების წინააღმდეგ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (თავისთვის). ეს ზუსტია. იდეურია... ჩვენ კი ყოველთვის არა ვართ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. თქვენ გგონიათ, ყველა ჩვენი ნაკლოვანება ეკონომიკაშია? მოსავლიანობაშია? ისინი იმაშია, რომ მე და თქვენ ყოველთვის არ გვესმის, რა შეუძლია ჩვენს ადამიანს. როდის ერთხელ გვიმტყუნა ჩვენმა კაცმა. ომში? ნგრევისას? ყამირზე? ატომის პოლიგონზე? არ ყოფილა ეს. ადამიანი სრულყოფილია! და თუ რომელიმე სუსტია — მისი ცხოვრება შოკლებულია აზრს, მაგრამ ამაში დამნაშავენი ჩვენა ვართ. ჩვენ! არ უნდა გვეშინოდეს ამის თქმის! ჩვენ სიმართლის არასოდეს არ გვეშინოდა! ჩვენ! ჩვენ თვითონ, ჩვენივე ნება-სურვილით ავიღეთ პასუხისმგებლობა ხალხის წინამძღოლობისა. იმისა, რომ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პარტია ვყოფილიყავით. (შემორბის სინილკინი. ლომოვა შემოჰყვა. ყველა მათ მიაჩერდა).

ხ ი ნ ი ლ კ ი ნ ი. არსებობს ბერძნულ ტრაულერთან დაკავშირების საშუალება. იგი ორმოცი კილომეტრითაა დაცილებული „ჩელუსკინეცს". გვიბრძანებთ სთხოვოთ ბერძნებს ტროიანის გადარჩენა?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (ისე უყურებს, თითქოს ვერც იცნოო). რა სთქვით? ვთხოვოთო? ტროიანის გადარჩენაო?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (კარისკენ დაიხია). გავიგე. ყველაფერს მივხვდი. სამაგიეროდ, მათი ადგილსამყოფელი განვსაზღვრეთ.

პაუზა. მომდევნო ლაპარაკი მიმდინარეობს წყნარად, მძიმედ, უენებლად. ელიან. დაძაბულნი არიან. სხვაზე ფიქრობენ. დრო გადის.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ჩაგიდას ; დაუბრუნდა. სდუმს. ამოიოხრა). დიდი ხანია მხურდა ჩემს პირდაპირ მსხდარიყვნენ ნამდვილი, კაჟივით ვაჟკაცები. იყვნენ ასეთებიც ჩემს ახალგაზრდობაში. ამ კედლებს შორისაც იყვნენ. თუ რამ ვიცი, მათით ვიცი. ძალიან ძვირად უჯდებოდათ ეს დამოუკიდებლობა.

... შეხედა შახმატოვს. იგი სდუმს.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მეც მახსოვს ისინი. შენ მათ არ უყვარდი.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ძალად არ მივაჩნდი და იმიტომ. შემდეგ კი უკვე გვიანღა იყო. ყველაფერი პირში მომახალეთ აქ, ყველა უბედურებაში მე დამდეთ ბრალი. ამის განსჯა ჩემი საქმე არაა. დიდი ძალა ჩაიგდეთ ხელში? შესაძლოა... მაგრამ საიდან მოდის ეს ძალა? თქვენ მომეცით მე იგი! თქვენ ხომ ყველანი, ცალ-ცალკე მე შეგარჩიეთ. თქვენ, ბატონო, ოსტატები ხართ. ტალანტები! მოსკოვში თვითეული თქვენგანი ასეთსავე მანქანაში ჩაჯდებოდა, ფულიც გექნებოდათ, მდგომარეობაც... ყველაფერი! (პაუზა). მე ცოლის გამო სახლში ვერ გეპატიჟებოდით. ერთი განახათ როგორ ვცხოვრობ. ჩემს შოფერს ეცინება კიდეც — „იქნებ, გარნიტური მაინც გეყიდათ, ნიკოლაი ლეონტიევიჩო? თქვენ, როგორმე, გიშოვნიანო!" მე კი ვიცი, რომ კალენკორის დივანზე ამომძვრება სული. იმიტომ, რომ სხვა რწმენა არა მაქვს. არ შემიძლია — აქ ერთი ვილაპარაკო, სახლში მეორე. აქ მსოფლიო რევოლუციისაკენ მოვუწოდო ხალხს და იქ ხარა-ხურით, ჭინჭებით ავავსო სახლი და აგარაკი. შვილიკოებს „ყიგული" მივართვა საქორწილო საჩუქრად!

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (წამოიჭრა). იმაზე გადამიკარი, ჩემს ალიოშას მანქანა რომ ვუყიდე? ცოდვილი ვარ, მაგრამ შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ თუ რა გრძნობაა, როცა მოხუცებულს შვილი შეგეძინება.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. აი, აი, ხალხი ხედავს! ხალხი ყველაფერს ხედავს...

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მე და შენ აქ მონასტერს კი არ ვაშენებთ! ტკბილ კვერს კი არ ვღებულობთ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ნაღვლიანად). თქვენი მარტო დატოვება საშინელებაა. დიახ... ცოტა ხანს თუღა ვიცოცხლებ. კარგია, რომ სიკვდილის წინ მაინც შევიტყვე ყველაფერი დაფარული ჩემს შესახებ. თქვენს ბაგეთაგან... მე, შესაძლოა, მთელს ამ მხარეში, მხოლოდ ერთი კაცის ვერა გავიგე რა, არა, შენ არა, მიხაილ ივანოვიჩ. შენ — დღეს აქა ხარ, ხვალ იქ. მე ტროიანზე ვამბობ! შესაძლოა მასთან კამათის გამო არ შემიძლია მე აქედან წასვლა. ვერ დავამთავრეთ ჩვენ ეს კამათი. არ მჯერა მისი ამ სოციალური ექსპერიმენტებისა. პორტის ნაძირალთა კრებულისგან ნაოსნობის საუკეთესო ეკიპაჟის შექმნა — არა და არ მჯერა. მე შენს შვილს არ ვგულისხმობ, ლომოვა. პრინციპზე ვლაპარაკობ.

ლ ო მ ო ვ ა. ახლა კი, ვგონებ, დაასრულეთ კამათი...

ხ ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. სულერთია, მაინც არ მჯერა.

ს ა მ ა რ ი ნ ი. რატომ გაჩუმდით?

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (თითქოს ამოსუნთქაო, გაახალგაზრდავდა, ფანჯარასთან მივიდა). ნუთუ ქალაქშიც ასევე ფიქრობენ? (პაუზა). პარტიისგან რა ძალაუფლება გვაქვს მონიჭებული! აქ კი ასიათასობით ადამიანი დგას... ყველას თავისი სამყარო აქვს, ცხოვრების აზრი... (წყნარად). ჰო, რამხელა პასუხისმგებლობა... ხალხის წინაშე! თუნდაც იმავ ლომოვას წინაშე!

ლ ო მ ო ვ ა. შენ თვითონ არ დაიწყე, ნიკოლაი ლეონტიევიჩ!.. მე ხომ ვიცი!

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (შეაწყვეტინა თითქმის მრისხანედ). არაფერიც არ იცით თქვენ! მე დავიღალე! მე დავიღალე! რამდენი სახე მიდგას თვალწინ. ასე მგონია, საკმარისია ხელები გაიწვდინო და ისინი ცოცხლებივით... გარდასულნი, ცოცხლები, მომავალნი. სიცოცხლეს კი მხოლოდ მიწა აგრძელებს. ჩვენი მხარე... ნათელი, ამწვანებული. ძლევამოსილი. რა საფრანგეთი, რის საფრანგეთი! (მკვეთრად შემობრუნდა). ტროიანი შეასრულებს თავის მოვალეობას და თუ დაიღუპება, გმირულად დაიღუპება!

(შახმატოვი ყურადღებით აკვირდება ბიუროს წევრებს)... (წყნარად) თქვენ — განათლებულნი... ჭკვიანნი... ახალგაზრდები... თქვენ ჯერ კიდევ ყველაფერი უბრალოდ გეჩვენებათ. არც შეცდომები, არც ცოდვები არ იმალება თქვენს ზურგს უკან. მაშ, მიდით, მიდით, რაღას უყურებთ. მხოლოდ ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე რომ მოხდეს. მაშინ მხოლოდ ზეგმირობა თუ გიშველით... ხომ გკითხავენ ხალხი პირდაპირ: „განა თქვენა ხართ ის ხალხი? ამ მრისხანე დროში ჩვენ რომ გვბრძანებლობდითო?" რას უპასუხებთ მაშინ? თუ კიდევ დაუწყეთ ძებნას ვინმეს ზურგს ამოსაფარებლად? ვის გადააბრალებთ დანაშაულს?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მოულოდნელად). არა...

ს ა მ ა რ ი ნ ი (ყურები ცქვიტა). რა „არა", მიხაილ ივანოვიჩ...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (პაუზის შემდეგ საოცრად გულგახსნილია). არაფერსაც არ ამოვეფარებით. (შეხედა სერებრენიკოვს). მე არ მქონდა უფლება თქვენთვის

მეუვირა, ნიკოლაი ლეონტიევიჩ. დიახ, დიახ. ყველას ცხოვრების თავისი აზრი აქვს... თავისი სამყარო... განსხვავებული, მოუწყობელი თუ განურჩეველი. ხანდახან საოცარ ადამიანს წააწყდებით. მაგრამ ვიღაც ხომ არის ვალდებული უყვარდეს ეს ხალხი. ყველა... ყოველნაირი. ცოცხლები (წყნარად, თითქმის თავისთვის) უყვარდეს. ეს წარმოუდგენლად ძნელია. მაგრამ ეს არის უმთავრესი, უმაღლესი შრომა პარტიის წევრისა. მაგრამ თუ არ შეგიძლია? მაშინ, მართლაც, საქმე მხოლოდ უსულგულო რკინასთან უნდა დაიჭირო. მე მივხვდი, გავიგე, გმადლობთ... მაპატიეთ, მომიტევეთ.

ლ ო მ ო ვ ა. რა გემართებათ, მიხაილ ივანოვიჩ? რა არის ეგ? ცრემლები?..

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). როგორღა შემოგხედავთ მე თქვენ თვალებში, თუ...

სწრაფად შემოდის სინილკინი. შახმატოვის მაგიდაზე რადიოგრამას უდებს.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ეს წუთია გადმოსცეს...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (კითხულობს. სდუმს). სად მიეშველნენ? სად არიან ბერძნები?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ახლა უკვე თხუთმეტი კილომეტრით დასცილდნენ ძველ ადგილს.

ლ ო მ ო ვ ა. გადარჩნენ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (მექანიკურად პასუხობს). ბერძნულმა თევზსაჭერმა „ბეიკოსმა" გემბანზე აიყვანა ერთადგილიანი სამაშველო კარპაჭით სტაჟიორი—ექიმი ქალი.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი. ცოცხალია? ლენა?

ს ა მ ა რ ი ნ ი. ცოცხალია. იგი ნავში ჩასვეს და სასმელი წყლის სრული მარაგი მისცეს.

ლ ო მ ო ვ ა. დანარჩენნი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ხედავს, რომ შახმატოვს პასუხის გაცემა არ შეუძლია. პაუზა). კარპაჭი ერთადგილიანია. მხოლოდ რამდენიმე წუთით მოვიდა გონს ლენა.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. თუნდაც მხოლოდ ქალის გადარჩენა... ეს ტროიანია!

ს ა მ ა რ ი ნ ი (წყნარად). ეს ტროიანია.

პაუზა.

ლ ო მ ო ვ ა. ესეც ასე, რა უბრალოდ დამთავრდა...

რ უ რ უ ა. წამოდით, ნინა სერგეევნა.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მე ექიმს გამოვუძახე.

ლ ო მ ო ვ ა. მე კი...

რ უ რ უ ა. ნინა. მე შენთან ვიქნები... (კარისაკენ მიდიან).

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მოსკოვმა გადმოსცა (მაგიდაზე ფურცელი დაუდო).

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (შახმატოვის მაგიდიდან ფურცელი აიღო. ჯერ ჩუმად კითხულობს, მერე ხმამაღლა). მოსკოვი იწონებს შახმატოვის გადაწყვეტილებას... „ჩელუსკინეცთან" დაკავშირებით. (სინილკინს). თქვენ გამოიხმეთ მოსკოვი?

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. მე.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (შეაფასა). გასაგებია (ქაღალდში იცქირება). იწონებს... ანდობს ბიუროს.. კადრების საკითხსაც, აგრეთვე...

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი. ამის შესახებ ტელეფონოგრამაში არაფერია თქმული.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ყველაფრის დაწერა არ არის საჭირო... რაც იგულისხმება...

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (წყნარად). აქ საგულისხმებელი სხვა არაფერია.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (ყველას მიმართავს. ცდილობს არ შეხედოს შახმატოვს). ხალხს რაღაც უნდა ვუთხრათ.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. ახლავე გადავწყვეტთ. წადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინილკინი გადის. კაშტანოვი წამოდგა.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ასეა მიღებული და... პატივი ვცეთ...

ერთმანეთის მიყოლებით დგებიან სხვებიც. შახმატოვის გარდა, რომელიც თითქოს ვერავის ამჩნევს.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი. დაჯექით, ამხანაგებო.

ს ა მ ა რ ი ნ ი (თავისთვის). არა. არ შემიძლია წარმოვიდგინო... მე ხომ სბავშვო სახლიდან ვმეგობრობდი ვანკა ტროიანთან. ომის დროს ფლოტში იუნგებად ვმსახურობდით. თქვენ არ იცით რას ნიშნავს უფროსი ძმის ყოლა სბავშვო სახლში!

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი. შემდეგ გაიხსენებთ, იური ვასილევიჩ.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. მე პირადად მზად ვარ პასუხისათვის. თვით პლენუმის წინაშეც კი.

ს ი ნ ი ლ კ ი ნ ი (შემოდის). მიხაილ ივანოვიჩ, იქ, მოედანზე... მშფოთვარებაა. რას გვიბრძანებთ?

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი (სწრაფად შეხედა, შემდეგ სხვებსაც მოავლო თვალი. მოულოდნელად, წყნარად). მე წავალ მათთან...

(წავიდა კარისაკენ. უკან შეშფოთებული სინილკინი მიჰყვა. ყველამ შახმატოვს გაადევნა თვალი. იგი ზღურბლზე შემოტრიალდა). მე თქვენ გენდობით... (კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა და სწრაფად, დიდი მტკიცე ნაბიჯებით გავიდა).

სინილკინი მიჰყვა. პაუზა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (მიუხედავად იმისა, რომ ბიუროს წევრები სდუმან, ადგა). აქ, რასაკვირველია. ყველა არაა... მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებიც ჩვენ დაგვჭერენ მხარს. საუბარს პლენუმზე გადავიტანთ. მოვახსენებთ მოსკოვს. მაგრამ საერთო აზრი ახლა უნდა გამოვიმუშაოთ. (უცებ ჩაიცინა). თურმე, მოსკოვი ბრძნულად მოქცეულა, როცა უფლება მოგვცა ჩვენ თვითონ გადაგვეწყვიტა. (ამოისუნთქა). პირველი: — წინადადება შემომაქვს, ამხანაგებო, სამხარეო კომიტეტის ბიუროსადმი დაპირისპირებისათვის, „ჩელუსკინეცის" გადარჩენისათვის დაგვიანებით მიღებული ზომებისათვის, მიხაილ ივანოვიჩ შახმატოვს გამოეცხადოს... სასტიკი საყვედური. სააღრიცხვო ბარათში შეტანით. (დუმილი). რას გაჩუმებულხართ, ეს ხომ, პირდაპირ ღვთის წყალობაა (დუმილი. პაუზა).

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (მკვეთრად წამოიმართა, კინაღამ სკამი წააქცია. ფანჯარას მიუახლოვდა). ჩართეთ სელექტორი... შესაძლოა, კიდევ რაიმე შევიტყოთ...

ლიატოშინსკიმ სელექტორი ჩართო. გაუგებარი ლაპარაკი ისმის. ხანგრძლივი პაუზა.

ს ე რ ე ბ რ ე ნ ი კ ო ვ ი (ლიატოშინსკის). ჩართე! მაშ კენჭს ვუყრით?

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი (თავისთვის). შეხედეთ ერთი, როგორ მიდის მოედანზე შახმატოვი. თითქოს ოცი წელი ჩამოიბერტყაო მხრებიდან.

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (მიუახლოვდა). რთული კაცია მიხაილ ივანოვიჩი.

კ ა შ ტ ა ნ ო ვ ი. ამ ქვეყნის არაა. (ამოისუნთქა).

ლ ი ა ტ ო შ ი ნ ს კ ი (მტკიცედ). არა, სწორედ ამ ქვეყნისაა. სწორედ ჩვენი ქვეყნისაა.

სერებრენიკოვი. თუნდაც რომ გადარჩენენ, ვფიქრობ, რომ ამ ადგილზე, სულერთია, სხვა დაჯდებოდა. არა, შენ არა, სამარინ. არა, შენ, იური ვასილევიჩ, მისი უმცროსი ძმა ხარ. და მთელი შენი ცხოვრება ასე გაგრძელდება.

კაშტანოვი. შენ?

ლიატოშინსკი. ტროიანი!

სერებრენიკოვი (გაღიმა). ჭკვიანი ხარ, შენ, გერმან ალექსანდროვიჩ.

პაუზა.

კაშტანოვი (ფიქრიანად). რა კაცი ხარ შენ, მაინც...

სერებრენიკოვი (მშვიდად). მე მიწიერი, ცხოვრებისეული კაცი ვარ.

სამარინი (გონს ვერ მოსულა, სერებრენიკოვის წინადადების შემდეგ).

ვანკა ტროიანი... იმას თავშიაც კი არასოდეს მოუვიდოდა, რომ სერებრენიკოვი... მას...

კაშტანოვი. შეხედეთ როგორ იქნევს ხელს შახმატოვი. თითქოს ხმალს იქნევსო!

ლიატოშინსკი (წყნარად). მაინც რა ძალაა ამ კაცში.

სერებრენიკოვი. არა, შახმატოვი, რასაკვირველია, დაეხმარა ჩვენს მხარეს... დაეხმარა!..

კაშტანოვი. შეხედეთ, ქუდიც კი მოიხადა. მერე და, რა ქარი უბერავს...

სამარინი. როგორ უსმენენ! როგორ უგდებენ ყურს!..

ლიატოშინსკი. სადაა სინილკინი! მარტო გაშვება არ შეიძლებოდა...

სამარინი. რა არის ე? შეხედეთ, ხალხი სამხარეო კომიტეტისაკენ გამორბის.

კაშტანოვი. ნუთუ? შეხედე...

სერებრენიკოვი (სელექტორთან მიირბინა). სინილკინ! ფუი ეშმაკს! სადა ხარ?

კაშტანოვი. შახმატოვი წინ გადაუდგა ხალხს.

ლიატოშინსკი. არა! აქ რაღაც სხვა ამბავია.

სერებრენიკოვი სწრაფად გაეშურა კარისაკენ. ამ დროს შემოირბინეს ლომოვამ და რურუამ.

ლომოვა. ცოცხლები არიან, ცოცხლები! ეს წუთია გადმოსცეს...

რურუა. ეს წუთია ფლოტიდან გადმოგვცეს, „ჩელუსკინეცი" გადარჩენილია...

იგი ტივტივებს. არემონტებენ. დინებამ ტანაგრის კუნძულებისაკენ გარიყა.

სერებრენიკოვი. შეუძლებელია!

ლომოვა (გადაეხვია მას, გაოგნებულს, შეშინებულს). ცოცხლები არიან, მადლობა ღმერთს.

კაშტანოვი (წყნარად). ვაშა! ვაშა, ამხანაგებო! არსადაც არ გავუშვებთ მიხაილ ივანოვიჩს.

სამარინი. ვანკა? ვანკა ტროიანი რა ბიჭია, ჰა?

კაშტანოვი. ასეთ დიდ ღელვას გაუძლო...

ლიატოშინსკი. ახლა რას იტყვით, ნიკოლაი ლეონტიევიჩ, მოათავეთ დავა ტროიანთან?

სერებრენიკოვი. ხო! (დაჯდა) ხო, ადამიანს, თურმე... შეუძლია... შეუძლია...

ლიატოშინსკი (ყვირის, უხსნის, როგორც ბავშვს). ოდესმე ვიღაცამ... უნდა... და არავინ არ იცის, ვინ არის ბოლო და ვინ პირველი!

სერებრენიკოვი (უკანასკნელ იმედს წაეპოტინა). ორდენზე კი არა, გმირობაზე უნდა წარვადგინოთ ტროიანი!

ლომოვა. ჩემი ვალერკა?

რურუა (ცეკვავს). ისეთ ქეიფს ვკისრულობ, რო!..

სამარინი (ფანჯარასთან მდგარი, ყვირის). შეხედეთ! შეხედეთ! რა დაემართა?

რურუა. წაიფორხილა!

კაშტანოვი. ცუდად გახდა, ალბათ!? გაუვლის...

სამარინი (ყვირის). მიშაა... დაეცა! მიშაა...

ლიატოშინსკი. ექიმი!

სინილკინი გარბის ოთახიდან, სხვებიც მიჰყვებიან. სერებრენიკოვი მარტო დარჩა. თავზარდაცემულია, ამ ამბებისაგან განადგურებულია. ცდილობს თავს მოერიოს. სელექტორიდან ისმის დაუსრულებელი რადიოტელეფონური საუბარი სანაოსნოსთან, სამხარეო კომიტეტთან. სერებრენიკოვმა გამორთო სელექტორი. პაუზა. მარტობა. შემოდის სინილკინი. არაბუნებრივად მშვიდი სახე აქვს.

სინილკინი. მწვავე კორონარული უკმარისობაა (პაუზა)

სერებრენიკოვი (პაუზა. ძლივს გასაგონი ხმით). გაეცით განკარგულება.

სინილკინი (სერებრენიკოვის წინ მაგიდაზე დააწყო გასაღები, დოკუმენტები). თქვენ თვითონ გაეცით განკარგულება. მე მივდივარ.

სერებრენიკოვი (გაოგნებული. მარტო დარჩენისა ეშინია). ლაწირაკი! ჯერ ორმოცდაათიც არ შესრულებია...

სინილკინი. (კარებთან. მშვიდად). როგორც ბებიაჩემი იტყოდა... ღმერთმა დაგწყევლოთ თქვენ... ნიკოლაი ლეონტიევიჩ!

გადის. სერებრენიკოვი მარტოა ამ დიდსა და ცარიელ კაბინეტში. ადგომას ცდილობს. როგორც იქნა წამოდგა. ჯერ ერთ ტელეფონის მილს იღებს, შემდეგ მეორეს. ისევ სდებს. შემდეგ სელექტორს რთავს. იქიდან კი, მოულოდნელად ხმამაღლა, აფეთქებასავით ისმის ტროიანის ბედნიერი, ჩახლეწილი, თითქმის ჭაბუკური ხმა.

ტროიანის ხმა. აქ კაპიტანი ტროიანია. მიხაილ ივანოვიჩი ხართ? თქვენ გესმით ჩემი? „ჩელუსკინეცი" არა მხოლოდ ტივტივებს, არამედ უკვე მუშაობს ორი მანქანა. ხანძარი ჩავაქრეთ! საკუთარი სვლით შეგვიძლია ცურვა! გმადლობთ ნდობისათვის. მიხაილ ივანოვიჩ. ხალხმა დიდი გმირობა გვაჩვენა! გესმით ჩემი, მიხაილ ივანოვიჩ?.. ჩვენ საკუთარი სვლით მივცურავთ.

სერებრენიკოვი უსმენს ტროიანს, მაგრამ არ პასუხობს. დაჭრილი, ბებერი ჩიტის სახე აქვს. ვერ შენიშნა, რომ კაბინეტში შემოვიდნენ სამარინი, ლომოვა, კაშტანოვი, ლიატოშინსკი, რურუა. ისინი მდუმარედ დგანან კართან და მას უყურებენ. სერებრენიკოვმა თავი ასწია და ყველანი დაკვირვებით, თითქოს სწავლობსო, შეათვალიერა... და მიხვდა... ბევრს. შემდეგ ნელა, ძლივს ადგა. რამდენიმე წამს დგას ასე დაფიქრებული, შემდეგ სცილდება მაგიდას, მის მწვანე მაუდს ხელის გულს გადაუსვამს და თავდახრილი, ისე, რომ არავის არ შეხედოს, გადის სამხარეო კომიტეტიდან. გადის სამუდამოდ.

ტროიანის ხმა. მიხაილ ივანოვიჩ... თქვენ გესმით ჩემი... სამი დღის შემდეგ ჩვენ სახლში ვიქნებით.

(ფარდა ნელა ეშვება)

ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის გრიგოლ კოკაიას ინიციატივით ომის შემდგომ წლებში საფუძველი ჩაეყარა ოცკილომეტრიან ჭადრის ხეივანს, რომელიც ფოთისა და სოფელ ჭალადიდის დამაკავშირებელ გზას გასდევს.

ახლახან ამ უნიკალურ ხეივანს გ. კოკაიას ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიენიჭა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ხეივნის თავსა და ბოლოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალები. ფოთის მხარეს აღმართული მემორიალი — დეკორატიული კომპოზიცია წარმოადგენს მცენარის სტილიზებულ კოკორს, რომელიც ნაზად უპყრია ადამიანის ხელებს, კვარცხლბეკზე დადგმულია მემორიალური დაფა.

სოფელ ჭალადიდის მხრიდან, ასევე, ბეტონის მაღალ კვარცხლბეკზე, სტილიზებული კოკორია გამოსახული, აქვეა მემორიალური დაფა. მომავლისათვის გათვალისწინებულია ამ ადგილების შემდგომი კეთილმოწყობა.

მემორიალების ავტორები არიან არქიტექტორი ვ. დავითაია და მოქანდაკე რ. ხასია.

● ოქტომბერში მეშვიდედ ჩატარდა ტრადიციული ფესტივალი „ამიერკავკასიის მელოდიები", რომელიც ყოველწლიურად, მორიგეობით იმართება თბილისში, ბაქოსა და ერევანში. ამ ფესტივალის მიზანია გააცნოს მსმენელებს მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრების მიღწევები და ხელი შეუწყოს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მუსიკოსების დაახლოებასა და შემოქმედებით თანამშრომლობას. ამჯერად, ჩვენს დედაქალაქს ესტუმრნენ და ქართველ მსმენელთა წინაშე წარსდგნენ სახელოვანი მუსიკოს-შემსრულებლები და შემოქმედებითი კოლექტივები. მათ შორის ბაქოს სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლი „აზერბაიჯანული მელოდიები", რომელმაც წარმატებით შეასრულა ხალხური შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშები თბილისში, გარდაბანსა და მარნეულში. თბილისელების მოწონება დაიმსახურა სახელოვანმა აზერბაიჯანელმა მომღერალმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ნ. იმანოვმა.

ქართველი მუსიკისმოყვარულნი ინტერესით შეხვდნენ ისეთ სახელგანთქმულ შემოქმედებით კოლექტივს, როგორიცაა სომხეთის სახელმწიფო კაპელა, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ო. ჩიკიჯიანი, ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად იქცა საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელშიც სომეხ მუსიკოსებთან ერთად გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კაპელა (ხელმძღვანელი გ. მუნჯიშვილი). ფესტივალზე სომხეთის სახელმწიფო კაპელისა და უკრაინის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით წარმატებით აუღერდა ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე" (სოლისტი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ბ. ბურჭულაძე, დირიჟორი ო. თაქთაქიშვილი). საფესტივალო პროგრამაში შეტანილი იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლები — რ. ლაღიძის „ლელა", ო. თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული" და აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ფ. ამიროვის ბალეტი „ათას ერთი ღამე".

● ფინეთსა და შვეიცარიაში დიდი წარმატებით ჩატარებული გასტროლების შემდეგ თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტი გამართა საქართველოს კამერულმა ორკესტრმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელოვანი მევიოლინე, საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებისა და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ლიანა ისაკაძე. ამჯერადაც საქართველოს კამერული ორკესტრი მსმენელთა წინაშე წარსდგა ახალი პროგრამით. ლ. ისაკაძის დირიჟორობით მაღალმხატვრულად შესრულდა ჰაიდნისა და როსინის ნაწარმოებები. კონცერტის დასასრულს კი საბჭოთა კავშირში პირველად ახმოვანდა მენდელსონის „შვეიცარული სიმფონია". ამ კონცერტმა მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

● საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ბორის წიფურიას მიენიჭა საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია.

ეს მაღალი ჯილდო მან დაიმსახურა „მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და მასობრივი ახალგაზრდული ზეიმების დადგმებისათვის".

ამ დღეებში რუსთაველის თეატრში მოვიდა დეპეშა, სადაც ვკითხულობთ: „ძვირფასო ბორის მიხეილის ძევ, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, მთელი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის სახელით მხურვალედ და გულწრფელად გილოცავთ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდებას. თქვენმა მაღალმა ხელოვნებამ, ნათელმა ტალანტმა და მიზანსწრაფულმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ აღიარება ჰპოვა საბჭოთა ჭაბუკებსა და ქალიშვილებში. დიდია თქვენი ღვაწლი ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდის საქმეში. გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს — ჩვენი უსაყვარლესი სამშობლოს საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ" — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. პასტუხოვი.

ყარნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ბორის წიფურიას ამ აღიარებას და კვლავაც ახალ წარმატებებს უსურვებს.

● 1982-83 წლის საკონცერტო სეზონის გახსნისათვის საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით, მოამზადა მრავალფეროვანი რეპერტუარი და მსმენელთა წინაშე წარსდგა სამი სიმფონიური კონცერტით. ამ კონცერტების პროგრამა შედგებოდა ქართული, რუსული და დასავლეთევროპული მუსიკის ნაწარმოებებიდან. კლასიკოსთა გვერდით ეღერდა თანამედროვე მუსიკა.

პირველ საღამოს გაიმართა ს. ნასიძის „ფრესკის" პრემიერა. ს. ნასიძის ეს ახალი ნაწარმოები დაწერილია დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. შემდეგ შესრულდა რახმანინოვის რაფსოდია პაგანინის თემაზე (სოლისტი — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ე. ანჯაფარიძე) და რ. შტრაუსის სიმფონიური პოემა „გმირის ცხოვრება" (სოლოს ვიოლინოზე ასრულებდა საქართველოს დამსახურებული არტისტი ვ. კონიაევი).

მეორე საღამოს მსმენელებმა მოისმინეს ჩაიკოვსკის ელეგია, სიმებიანი ორკესტრისათვის დაწერილი სერენადიდან, ბ. კვერნაძის სიმფონიური სურათი „მოლოდინი", გ. ყანჩელის სიმფონია № 6. ამავე კონცერტზე თბილისში პირველად გაიხმოვანა რესპიგის ტოკატამ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (სოლისტი ა. სკავრონსკი).

მესამე საღამო კი მიეძღვნა ჩვენი დროის გამოჩენილი კომპოზიტორის ი. სტრავინსკის დაბადების 100 წლისთავს. შესრულდა სტრავინსკის „სამხედრო სიმფონია", საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი რ. აგარონიანი) და მუსიკა ბალეტიდან „პეტრუშკა".

● ამ რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა თვალსაჩინო მუსიკისმცოდნე არჩილ მშველიძე. ამ საინტერესო მკვლევარს ქართველი მუსიკალური საზოგადოებრიობა, ძირითადად, იცნობს მისი წიგნით „სამუსიკო განათლება საქართველოში" და კრებულით „ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები", რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს და აღიარება მოუტანეს ავტორს. შედარებით ნაკლებ ცნობილია მისი სხვა ნაშრომები, რაც ალბათ, იმით აიხსნება, რომ მან თავისი ცხოვრების ბოლო 35 წელი საქართველოს გარეთ გაატარა.

ა. მშველიძის გამოკვლევები და ნარკვევები გაბნეულია პერიოდულ გამოცემებში, მთელი რიგი ნაშრომებისა კი გამოუქვეყნებელი დარჩა. ეს ჩუმი, მოკრძალებული ადამიანი შრომაში ხედავდა თავის მოწოდებას.

ა. მშველიძე დაიბადა 1906 წ. გორში, სადაც გაატარა ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები. მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა და, პირნათლად მოიხადა თავისი ვალი მის წინაშე. 60-70-იანი წლების ქ. გორის სარაიონო გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ა. მშველიძის წერილები მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე და, მათ შორის, ძველი გორის მუსიკალურ ცხოვრებაზეც.

ა. მშველიძე 1929 წ. შედის და 1934 წ. ამთავრებს თბილისის კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტს.

ჰეშმარიტ მუსიკალურ აკადემიად იქცა მისთვის ლენინგრადის სახელგანთქმული კონსერვატორიის ასპირანტურაში სწავლების წლები (1935-1938), სადაც მისი ხელმძღვანელი იყო ცნობილი საბჭოთა მუსიკისმცოდნე პროფ. ი. ტიულინი, 1939-1946 წლებში ა. მშველიძე მუშაობს თბილისის კონსერვატორიაში, სადაც ასწავლის მუსიკალურ-თეორიულ დისციპლინებს. 1946 წლიდან კი იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს მოს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოვში, ძირითადად. მუსიკალურ გამომცემლობაში. აქ დაიწერა მისი შრომების უმთავრესი ნაწილი.

ა. მშველიძის მთავარი ნაშრომი, რომელზეც იგი მრავალი წლის მანძილზე ბუშაობდა, გახლავთ „სამუსიკო განათლება საქართველოში". იგი ორგზის გამოვიდა — პირველად რუსულ ენაზე მოსკოვში (1971 წ.) და მეორედ — ქართულად, საგრძნობლად შევსებული და გაფართოებული სახით თბილისში (1976 წ.). იგი სამაგიდო წიგნად იქცა ყველასათვის, ვინც კი დაინტერესებულია სამუსიკო განათლების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხებით. აქ თითქმის ენციკლოპედიური სისრულით არის მოცემული საქართველოში სამუსიკო განათლების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. დაწყებული მე-19 ს-ის 20-იანი წლებით და დამთავრებული 1921 წლით, გაშუქებულია თბილისის (უმთავრესად), ქუთაისის, აგრეთვე ბათუმისა და სოხუმის მუსიკალური ცხოვრება. ავტორს მიკვლეული აქვს მრავალი ახალი საინტერესო ცნობა (მოღვაწეთა გვარები, ფაქტები), დაზუსტებული აქვს თარიღები. დიდი ადგილი ეთმობა რუსი მუსიკოსების მოღვაწეობას საქართველოში. ეს არის წიგნი, ურომლისოდაც ამიერიდან ვერ დაიწერება XIX და XX (რევოლუციამდელი პერიოდის) საუკუნეების ქართული მუსიკალური კულტურისადმი მიძღვნილი ვერცერთი ახალი შრომა.

ქართული მუსიკის ძვირფასი შენაძენია მშველიძისეული „ქართული ქალაქური ხალხური სიმღერების" ფუნდამენტური კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს მისივე ფრიად შინაარსიანი და საინტერესო გამოკვლევა. ეს კრებულიც ორგზის გამოვიდა მოსკოვში (1961) და ერთხელ — შევსებული სახით თბილისში (1970), კრებულში თავმოყრილია ძველთბილისური სასიმღერო ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები (145 სიმღერა), რომელთა დიდი ნაწილი მანამდე არ იყო გამოქვეყნებული. გარდა წმინდა ფოლკლორისტულ-მეცნიერული მნიშვნელობისა, კრებულს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. მას სისტემატურად მიმართავენ ქართველი კომპოზიტორები, ვითარცა ფრიად სანდო და ესთეტიკურად ფასეულ წყაროს (საკმარისია დავასახელოთ ი. კეკელიძის შესანიშნავი საგუნდო ციკლი — „ძველი თბილისის სიმღერები"). კონცეფციის სიახლითა და არგუმენტირებულობით გამოირჩევა წინდართული გამოკვლევა.

არჩილ მშველიძეს ეკუთვნის კიდევ ერთი კრებული „ქართული ხალხური სიმღერები" (მოსკოვი. 1958) და ამავე სახელწოდების ნარკვევი. ამ კრებულის სიმღერათა ნაწილი მან თვითონ ჩაიწერა ფოლკლორისტული ექსპედიციების დროს. გარდა ამისა, ა. მშველიძე ავტორია ისეთი საინტერესო ნარკვევებისა, როგორებიცაა „ხარლამპი სავანელი", „ალექსანდრე რაზმაძე" (პირველი ქართული მუსიკისმცოდნე), „საქართველოს რევოლუციური სიმღერები", „დ. გურამიშვილი და სლავური მუსიკა", „ქართული და რუსული საეკლესიო მუსიკის ისტორიიდან" და სხვ. ყველა მათ გამოარჩევთ მასალის მრავალფეროვნება და სიახლე, კვლევის მეცნიერული სიზუსტე, პირველწყაროების შესანიშნავი ცოდნა.

ცხოვრების ბოლო წლებში ა. მშველიძე გატაცებით მუშაობდა დიდტანიან წიგნზე „რუსულ-ქართული მუსიკალური ურთიერთობანი" (ნარკვევები). სამწუხაროდ, მკვლევარმა ვერ შეძლო მისი ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ის ნაწილიც, რომლის დაწერაც მან მოასწრო, ფრიად საინტერესოა და უდავოდ ამსახურებს გამოცემას.

ა. მშველიძის შრომებს იცნობენ საზღვარგარეთაც. ამიტომ იყო, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, მას პრაღიდან წერილი მოუვიდა, რომელშიც სთხოვდნენ ცნობები მიეწოდებინა ქართულ-ჩეხურ მუსიკალურ ურთიერთობათა ისტორიიდან. ეს იყო უკანასკნელი დავალება, რომელიც მან მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებითა და პუნქტუალობით შეასრულა.

არჩილ მშველიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მუსიკის მატიანეში.

გულგათ ტორაძე

● **თბილისელი** მსმენელება ყოველთვის სიხარულით ხვდებიან ცნობილ პიანისტს, საქართველოს სახალხო არტისტს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს ელისო ვირსალაძეს, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს დედაქალაქში სოლო კონცერტი გამართა. პროგრამაში იყო მოცარტის, შოპენის, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები. შემდეგ კი ე. ვირსალაძე ესტუმრა ქუთაისს, სადაც ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ბეთჰოვენის საფორტეპიანო კონცერტი № 5. კონცერტს დირიჟორობდა ქუთაისის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი რევაზ ხურცილავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1982 წლის ნომრების საძიებელი

მარქსიზმ-ლენინიზმის ესთეტიკის საკითხები
თანამედროვეობა და ხელოვნება, ფილოსოფია, სარედაქციო სტატიები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს 11

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ 11

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა . . . 11

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა 11

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი 11

„ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“. ვ. ი. ლენინი (მოწინავე) 3

ახალი ეტაპის დასაბამი: აღორძინების ათი წელი (სკკპ ცკ დადგენილების „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შეასასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ ათი წელი) 5

გმირული ცხოვრების გზა (ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავი) 2

დრაიდენი სიმონ — კრემლის კედელთან . . 11

ელიოზიშვილი ლამარა — მეგობრული თანადგომით (ბეჭდვითი სიტყვის დღე) 5

ლენინური პრემია ოთარ თაქთაქიშვილს . . 5

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის მაღალი მისია (საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში) 7

ლიხაჩოვი დმიტრი—ბაღი და ევროპის კულტურა 8

მერმისის გზის გასაკვალავად (სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა) 9

მოგონებებში გაცოცხლებული ჭეშმარიტება (ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი საკითხი ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა მიხედვით) . . 3

ნოზაძე შოთა — საბჭოთა მასობრივი სახალხო დღესასწაულები (ვეხმაურებით საქართველოს კომპარტიის ცკ დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“) . . 7

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის პრემიების—„ხუთწლედის მატიანე“ — მინიჭების შესახებ 1

საქართველოს დედაქალაქს — ლენინის ორდენი 11

საქართველოს მხატვართა X ყრილობას (საქ. კპ ცკ მიმართვა) 12

საქინფორმი-60 12

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რ. რ. სტურუასათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ 9

სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მ. დ. ჩუბინიძისა და შ. ა. ფაჩალიასათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ 2

ფრუიძე ლევან — ქალაქ ქუთაისის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი საკითხი (ვეხმაურებით საქართველოს კომპარტიის ცკ დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“) 8

ხელოვნების, ლიტერატურისა და არქიტექტურის დარგის 1982 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები (ე. ამაშუკელი, ვ. დავითაია, ზ. წერეთელი) 12

ჯანბერიძე ნოდარ — კულტურის ოსტატებთან მუშაობის სწორი ტონი 7

ჯაში ნიკოლოზ — ამაღლებული (შემოქმედებითი ინტელიგენციის პარტიული სწავლება) . . 6

ჯაში ნიკოლოზ — ძირითადი ესთეტიკური კატეგორიები (შემოქმედებითი ინტელიგენციის პარტიული სწავლება) 2

ჯაში ნიკოლოზ — გმირული (შემოქმედებითი ინტელიგენციის პარტიული სწავლება) . . . 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაპოვი ბორის — თვითმყოფადი კომპოზიტორი (შ. მშველიძე) 9
ახმეტელი მანანა — საბჭოთა კავშირის დიდი თეატრი თბილისში 8
ბალანჩივაძე ანდრია — ყოველთვის მემახსოვრება 8
გროშევა ელენა — მშობლიური მიწის მომღერალი (შ. მშველიძე) 9
გუგუშვილი ეთერ — მშობლიური სახლი (თბილისის შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი) 11
გუგუშვილი ეთერ — ტრადიციები და ოსტატობა (ს. ჭანბას სახ. აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში) 9
გურაბანიძე ნოდარ — ახალგაზრდული სპექტაკლების პირველი საკავშირო ფესტივალი . . 7
დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა . 10
ეგაძე ოთარ — ლენინური ეპოქის დარად . . 4
ვილენკინი ვ. — მოგონებანი კომენტარებით (მ. ბულგაკოვის პიესა „ბათუმი“) 10
ვოლოშინი ივანე — დიადი მეგობრობის მემატიანე (ნ. შალუტაშვილი) 5
ზარუდნი მიკოლა — მაესტრო, ტუში (პიესა, თარგმნა ჯაბა ასათიანმა) 9
იბრაგიმბეკოვი რუსტამ — დაკრძალვა კალიფორნიაში (პიესა, თარგმნა გურამ გოგიაშვილმა) . . 7
ინასარიძე შუქურა — მეგობრობის კინოქრონიკები 6
მაკაიონოკი ანდრეი — გადაბუგულნი (პიესა, თარგმნა ჯუმბერ თიმერიამ) 11
ნატი უნტი — Good-bye, baby!
ანუ ათი განშორება (პიესა. თარგმნა ამირან კალაძემ) 5
მეიტუსი იული — გამოჩენილი ოსტატი (შ. მშველიძე) 9
მირზა ფათალი ახუნდოვი 12
მიქაძე კონა — მეგობრობის ალბომები 12
მიშარინი ალექსანდრე — ოთხ საფრანგეთს უდრის (პიესა) 12
როზოვი ვიქტორ — შეუცვლელი (პიესა. თარგმნა აკაკი გეწაძემ) 8
რომი მიხეილ — ნიკოლოზ შენგელაიას სადღეგრძელო (თავი წიგნიდან „საკუთარი თავის, ადამიანებისა და ფილმების შესახებ“) . . . 10
შალუტაშვილი ნადეჟდა — ნათელი, უძლეველი, ჩაუქრობელი 12
შალოვა ირინე — ვასილ შუკშინი — რეჟისორი 11
ჩეთითი რუბენ — ოსური კულტურის კერები თბილისში 8
ხმელიკი ალექსანდრე — ის მაინც ბრუნავს? (პიესა. თარგმნა გურამ ცაავამ) . . . 3
ხუნდაძე ჯიბსონ — მხატვარი, პედაგოგი . . 10

თეატრი, დრამატურგია, სახალხო თეატრები

არველაძე ნათელა — დიდ გზაზე (რეზო ჩხიკვიშვილი) 3
არველაძე ნათელა — კინომსახიობთა თეატრი . 7
გამრეკელი ია — თეატრი დღეს და ხვალ . . 11
გამოვიტანოთ სწორი დასკვნები დიდმნიშვნელოვანი დადგენილებიდან (შ. დადიანის სახ. ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი) . . . 8
გეგია მერაბ — შეშლილი, შეშლილი ახალი წელი (რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი) . . 3
გეგეჭკორი მანანა — ზინა კვერენჩხილაძე . . 3
გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი (საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) 9
გურაბანიძე ნოდარ — თეატრი ადამიანებისათვის (ჯ. სტრელერის წიგნის შესახებ) 6
გურაბანიძე ნოდარ — ნოდარ ჩხეიძე (გარდაცვალების გამო) 2
გურაბანიძე ნოდარ — „რაინდი უმწიკვლო და უშიშარი“ (ვ. გუნიას დაბადების 120 წელი) . 4
გურაბანიძე ნოდარ — „სერვანტინო — 82“ (რუსთაველის თეატრის გასტროლები მექსიკაში) . 8
გურაბანიძე ნოდარ — ჩვენი ეროსი (გარდაცვალების გამო) 3
დიკოვა ვალენტინა — ახალი მიჯნებისაკენ (რაიონული და საქალაქო თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) 4
თუმანიშვილი მიხეილ — რეჟისორი თეატრიდან წავიდა . . . . . 1—10
კიკნაძე ვასილ — დავით კლდიაშვილის თეატრალური სამყარო 12
კობიძე რამაზ — მობრძანდი ვანო! (პიესა) . . 6
მაღულარია გივი — ახალმოსახლე თეატრის პირველი სპექტაკლი (ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ სოხუმის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში) 5
მეიერჰოლდი ლაპარაკობს (ალ. გლადკოვის წიგნის „თეატრი—მოგონებები, ფიქრები“ ორი თავი) 1, 3, 4, 5
მიქაძე კონა — სახელოვანი თეატრის 225-ე წლისთავი (პუშკინის სახ. ლენინგრადის აკადემიური თეატრი) 2
რუსთაველის თეატრის დიდი იუბილე . . 1
სტრელერი ჯორჯო — თეატრი ადამიანებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფრაგმენტი წიგნიდან) 6
ტატიშვილი გიორგი — ვახტანგ ნინუა (გარდაცვალების გამო) 2
უაილდერი ტორტონ — ჩვენი პატარა ქალაქი (პიესა, გადმოაქართულა რევაზ გაბრიაძემ. შესავალი წერილი მ. თუმანიშვილისა) . . . 10
ურუშაძე ნათელა — დრამატურგი ლალი როსება 12
ფანჯიკიძე გურამ — თენგიზ ჩანტლაძის ნიღბები ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო ოეატრი (საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) . 6
ფურცხვანიძე მურმან — ქუთაისის თოჯინების თეატრს — სათანადო ყურადღება! (საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) 2
ღვინეფაძე ნანა — აი, ახალი თეატრიც (თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი) . . . 4
ჩეხოვი ანტონ — ალუბლის ბაღი (პიესა. თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ) 4
ჩიგოგიძე ვასილ — პრობლემები, პრობლემები (საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) . . . 2
ჩხაიძე ალექსანდრე — თეატრალური ცხოვრების პარადოქსები (საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე) 2
ძველი ტრადიციებით ნასაზრდოები (ე. კრატოხვილი თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის შესახებ) 5
წულუკიძე ანტონ — მხატვრული კითხვის საღამოებზე (მედეა ჯაფარიძე) 2

სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა, არქეოლოგია

აბრამიშვილი გურამ — ატენის სიონის მოხატულობის ქტიტორთა იდენტიფიკაცია . . . 5
ალადაშვილი ნათელა — ქართული სცენოგრაფიის დიდოსტატი (დ. თავაძის გამოფენის გამო) 7
ამაშუკელი ელგუჯა — ამოუხსნელი ფენომენი (რუსუდან ფეტვიაშვილი) 6
ამაშუკელი ელგუჯა — არქიტექტურული გარემო და მხატვარი (მოხსენება საქ. არქიტექტორთა და მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე) 7
ამაშუკელი ელგუჯა — ქართველ მხატვართა მიღწევები და ახალი ამოცანები (მოხსენება საქართველოს მხატვართა X ყრილობაზე) 9
ბარამიძე გივი — ოგიუსტ როდენი . . . 8
ბერიძე გივი — კურორტებისა და ტურიზმის განვითარება საქართველოში 11
ბერიძე ვახტანგ — უკვდავი ხელოვნება (საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დავით კაკაბაძის გამოფენის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა. 1981 წ. 20 ოქტომბერი) 1
ბერიძე ვახტანგ — ქართული ხელოვნება შუა საუკუნეებში 2
ბერიძე თეიმურაზ — თბილისური სამეფო სასახლეების ისტორიისათვის 11
გამოსვლები (საქართველოს მხატვართა X ყრილობა) 12
გაბუნია გივი — ვაშენოთ უფრო უკეთ . . 2
გოგია გურამ — ხალხური ხელოვნების ასაღორძინებლად 9
დავითაშვილი გია, ელოშვილი დემურ — ტრადიცია და არქიტექტურა 4
ენუქიძე გურამ — დღევანდელობის, ხალხის დიადი მიზნების სამსახურში (საქართველოს მხატვართა X ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა 12
ზაქარაია პარმენ — პეტრიწონი — ბაჩკოვო . 10
თაბუკაშვილი ლეილა — ალდე კაკაბაძის ნატიფი ხელოვნება 7
თაბუკაშვილი ლეილა — მხატვრის მშვენიერი სამყარო (მ. მალაზონიას გამოფენის გამო) . 5
თაბუკაშვილი ლეილა — რობერტ სტურუა (გარდაცვალების გამო) 3
თაბუკაშვილი ლეილა — შთაგონებული პეიზაჟისტი (ლეო ძაძამიძის გამოფენის გამო) . 8
თბილისი თბილისელის თვალით — დისკუსია არქიტექტურის საკითხებზე 2
თუმანიშვილი ირინე — მუდამ ძიებაში (ლალი ზამბახიძე) 4
კამათი არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზის საკითხებზე (საქ. არქიტექტორთა და მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე) 7
კერესელიძე მარინე — მარადიული დღესასწაული (ელ. ახვლედიანი) 8
კერესელიძე მარინე — გივი ნარმანიას ლირიკული სამყარო 9
კვირკველია თენგიზ — ეკლექტიკისა და მოდერნისადმი დამოკიდებულების შესახებ . . . 9
კვირკველია თენგიზ — ძველი თბილისის რეკონსტრუქციის გაკვეთილები 7
კიკვაძე ნოდარ — იტალია: შუქმფენი ხელოვნება და ჩრდილოვანი სინამდვილე 10
კობახიძე თამარ — ქართული ეროვნული კოსტუმის ისტორიიდან 8
ლაპიაშვილ ფარნაოზ — ფერწერის ენაზე (გურამ ქუთათელაძე) 4
მარჯანიშვილი გიორგი — ძველი თბილისი — მხატვრული მოვლენა 2
მაჩაბელი კიტი — ხელოვნების ისტორიკოსთა შეხვედრები პატმოსზე 1
მგალობლიშვილი ნოდარ — არქიტექტურული გარემო და მხატვარი (მოხსენება საქ. არქიტექტორთა და მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე) 7

ნიჟარაძე ზურაბ — ფიქრები ხელოვნებაზე . 2
რუსთაველის მოედნის მომავალი (რეკონსტრუქციის გამო) 4
სამსონაძე ვაჟა — „გუნბათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი (მოსე ხონელის სადაურობისთვის) 8
სვეტლოვი იგორ — გაბედული აზრი, ხორცშესხმის სილამაზე („ხსოვნის ტაძარი“ ს. მუხრანში და შრომის დიდების მემორიალი ქუთაისში — არქიტექტურა) 4
სირაძე რევაზ — სახისმეტყველება (საუბარი ქართულ ესთეტიკაზე) 1, 2, 4, 5, 6, 8
სუმბაძე ლონგინოზ — გადაგარჩინოთ ქართული ხითხუროთმოძღვრების ძეგლები 11
ყიფიანი ნანა— ქართული გობელენის ხელოვნება 10
ყიფშიძე ირაკლი — შემოქმედებითი სიმწიფის მიჯნაზე 11
შავგულიძე ეთერ — კერამიკის ხელოვნება მხატვრული მოღვაწეობის სისტემაში 9
შავგულიძე ეთერ — ქართული კერამიკის გამოფენა 10
ძუცოვა ირინე — ძველთბილისური მოტივები კერამიკაში 10
ხიდაშელი მანანა — ლორეს ციხესთან აღმოჩენილი სარტყელი 3
ხუსკივაძე იუზა — გვიანი შუასაუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი ასპექტი 11
ხუციშვილი გიორგი — დიდების მემორიალი ქუთაისში 9
ჯანდიერი მარიამ — მთიანი საქართველოს კოშკურა საცხოვრებლის ძველი სამყარო . . . 10

მუსიკა, ქორეოგრაფია

აბაშიძე ირაკლი — დიდებული ანსამბლი (ფირფიტების კრებულის „მღერის ანსამბლი „რუსთავი“ გამოსვლის გამო) 2
ავაზაშვილი მანანა — ქართული საბავშვო მუსიკის პრობლემები 8
აზარაშვილი ვაჟა — მუსიკალური აღზრდის ამოცანები (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) . . 10
ახმეტელი მანანა — ერთი მუსიკოსის უნივერსალური თეატრი (ლიანა ისაკაძე საქართველოს კამერული ორკესტრის დირიჟორი) . . . 4
ბარსოვა ინა — გია ყანჩელის მეოთხე სიმფონია 4
ბერგერი ლიდია — ძიების გზით (ფ. ღლონტის მეექვსე სიმფონია) 11
გვარამაძე ლილი — ცეკვა „სამაია“ . . . 10
გია ყანჩელის VI სიმფონიის პრემიერა „გევანდჰაუზში“ 10
დემიჩევი პ. ნ. — საბჭოთა კულტურის მაღალი ბისია (საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში) 1
ვარდელი კონსტანტინე, ბათიაშვილი თამაზ, ჟვანია ნოდარ, ჩუბინიშვილი ოთარ — გამოსათხოვარი (გ. ბარბანიშვილის გარდაცვალების გამო) . 6
ინტერვიუ გია ყანჩელთან 5
ისაკაძე ელდარ — შესანიშნავი მუსიკოსი, პედაგოგი, ადამიანი (გ. ბარნაბიშვილის გარდაცვალების გამო) 6
კეცხოველი ნიკო — მღერის ანსამბლი „რუსთავი“ (ფირფიტის გამოსვლის გამო) 2
კვირიკაძე თამარ — თამარ შავერზაშვილი . . 6
კოპლენდი არონ — მუსიკა და წარმოსახვა . . 5
მალიშევა ელენა — სტრავინსკის მესის ქართული საწყისები 2
მამისაშვილი ნოდარ — როცა მუზა არ სდუმს (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) . . . 6
მუშკუდიანი თენგიზ — „ვერდის ხმების ლაურეატი“ (პ. ბურჭულაძე) 3
ნასიძე სულხან — ტრადიციები და ვითარება (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) 5
ორჯონიკიძე გივი — საბჭოთა მუსიკის ჰუმანური პათოსი 1-5
ულენტი ნატო — სულხან ნასიძის სამი სიმფონია 3
„გონიერების პესიმიზმს ნებისყოფის ოპტიმიზმმა უნდა აჯობოს“ (პაოლო გრასის წერილები) . 11
საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში 1
საუბარი კომპოზიტორ ალფრედ შნიტკესთან (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) 9
საუბარი ოლივიე მესიანთან (კლოდ სამუელის წიგნის ფრაგმენტები) 7
ქეცბა სვეტლანა — სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი 6
ქუთათელაძე ლარისა — ქართული საბჭოთა პროფესიული მუსიკის სათავეებთან 7
ყარანგოზიშვილი ელენე — მუსორგსკი და XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნება . . . 10
შავერზაშვილი ალექსანდრე — გადასაწყვეტი საკითხები (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) . 8
შევარდნაძე ედუარდ — მუსიკა ადამიანებს ანათესავებს, მუსიკა ხალხებს აახლოებს (სიტყვა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებულ პლენუმზე 1981 წლის 26 ოქტომბერს) 1
შთაბეჭდილებები — საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში 1
შილაკაძე შავლეგ — ფიქრები თბილისის საკონცერტო ცხოვრებაზე (დისკუსია „მუსიკა და მსმენელი“) 7
ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატები (პ. ბურჭულაძე, ნ. კერესელიძე, ა. ხომერიკი) . . . 9
წულუკიძე ანტონ — დიდმა მირცხულავა . . 4
წულუკიძე ანტონ — ქართული ბელკანტოს ფუძემდებელი 10
ხელოვნების ახალი კერა (ქუთაისის ხალხური სიმ-

ღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი) . 6
ხრენიკოვი ტიხონ — საბჭოთა მუსიკის სადღეისო ამოცანები (საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში) 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო, ფოტოხელოვნება

აბაშიძე ზურაბ — პირველი ნაბიჯები (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაერთიანება „დებიუტის“ შესახებ) 3
ბალაბუევი ალექსი — „ჩვენი ფოტოვერნისაჟი“ 3
გვახარია გიორგი — თანამედროვე ქართული ფილმების სახვითი გადაწყვეტა 5
თვალჭრელიძე ტატა — „შემოდგომის სონატა“ 11
კერესელიძე მარინე — მთანი მაღალნი („ვიტორიო სელლა“, „მიხეილ ხერგიანი“. საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია. 1981 წელი) 2
კერესელიძე მარინე — ქართველ მულტიპლიკატორთა ძიებები 6
კუჭუხიძე ირინე — თანამედროვე ქართული კინოს სტილის თავისებურებათა საკითხისათვის . . 9
კუჭუხიძე ირინე — ოთარ იოსელიანის კინოპოეტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ . . 2
ნატროშვილი ნინო — ვუდამაყრელი „ადგილის დედა“ ობერჰაუზენში (გ. ჩოხელის ფილმს მოკლემეტრაჟიანი ფილმების 28-ე საერთაშორისო კინოფესტივალის „გრან-პრი“) 9
ნატროშვილი ნინო, დროზდოვი ნიკოლოზ — სიმართლის ძალა (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია. 1981 წელი) 5
ოკუჯავა ეთერ — სიმართლის ქომაგი („XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“) 3
ფელინი ფედერიკო — თქვენ გახსოვთ ტოტო? (ნაწყვეტები წიგნიდან „ფილმის შექმნა“) . 4
ჩვენი ფოტოვერნისაჟი 8
ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში (დიალოგი დოკუმენტური კინოს პრობლემებზე) 10
წერეთელი კორა — ალექსანდრე დიღმელოვი 6
წერეთელი კორა — ლანა ღოღობერიძე . . 1

ტელევიზია, რადიო

ლაფაური სოლომონ — ტელეეკრანი და ხალხური შემოქმედება 2
ოკუჯავა ეთერ — ტელეეკრანზეა ჩვენი თანამედროვე 7
შამათავა პეტრე — რადიოს ფენომენი (რადიოს დღე) 5
წიფურია ლელა — მიხეილ ჯავახიშვილის პროზა ტელეეკრანზე (ვიდეოფილმი „თეთრი კურდღელი“) 3

ახალი წიგნები, ბიბლიოგრაფია, ჩვენი პუბლიკაცია

ვასაძე აკაკი — შთაბეჭდილებები „კომედი ფრანსეზის“ გასტროლებზე 12
„თქვენი ოტელოსათვის თავს გიხრით მიწამდე“ (რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წერილები აკაკი ხორავასადმი) . . 8
მეტრეველი როინ — ნათელი წარმოჩენა დიდი ღვაწლისა (ს. ჯორბენაძის მონოგრაფია „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა) . . 8
მეფისაშვილი რუსუდან — ახალი გამოკვლევები ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე (ბ. ზაქარაიას სამტომეული „ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა“) 9
მოგზაურობა მთათუშეთში (სერგო ზაქარიაძის მოგონებები) 6
მოგონებათა რვეულიდან (სერგო ზაქარიაძის მოგონებები) 1

სხვადასხვა, ქრონიკა

ბედიანიძე დალილა — პასტორალური საწყისები გურამიშვილთან 3
ვათეიშვილი ჯუანშერ — ნაკიფორე ირბახი — ავტორი პირველი ქართული ნაბეჭდი თარგმანისა (ქართული ნაბეჭდი წიგნის 350 წლისთავისათვის) 9
ზედგინიძე ნანა — ოლივერ უორდროპი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები 6
თვარაძე რევაზ — ერისკაცის სიდიდებელი (პავლე ინგოროყვა — 85) 2
თვარაძე რევაზ — „მთელი თემაა თვალწინ გაშლილი“ (გ. ტაბიძე — 90) 11
ლორთქიფანიძე მარიამ — ექვთიმე თაყაიშვილი 8
მახარაძე კოტე — ტელევიზია, ფეხბურთი, მაყურებელი (ნ. გურაბანიძის შესავალი წერილით) 10
მეგრელიძე იოსებ — გალაკტიონის გახსენება (გ. ტაბიძე — 90) 11
პატარიძე რამაზ — „დღისაღ ჩანს ნასამალი“ (თავი წიგნიდან „მხატვრული მზე „ვეფხისტყაოსანში“) 7
ქრონიკა 1-12
შალამბერიძე ოთარ — ჭადრაკი სიჩუმის თამაშია (ნ. გაფრინდაშკილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავის გამო) . . . 3
შკლოვსკი ვიქტორ — მეგობარი (ბესარიონ ჟღენტის გახსენება) 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 12, 1982

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

X СЪЕЗД ХУДОЖНИКОВ ГРУЗИИ

16-17 сентября текущего года в Тбилиси проходил X съезд художников Грузии. В отчетном докладе председателя Правления Союза художников ГССР, народного художника Грузии Э. Амашукели и в других выступлениях была проанализирована проделанная за пять лет большая творческая и организаторская работа, состоялся обширный разговор как вокруг достигнутого, так и о проблемах будущего.

В номере печатается выступление секретаря Центрального Комитета КП Грузии Г. Енукидзе, председателей союзов художников Абхазии, Аджарии, Юго-Осетии, Кутаисского отделения Союза худсжников Грузии, руководителей творческих секций и др. (стр. 2).

ЛАУРЕАТЫ ГОСУДАРСТВЕННОЙ ПРЕМИИ СССР 1982 ГОДА В ОБЛАСТИ ЛИТЕРАТУРЫ, ИСКУССТВА И АРХИТЕКТУРЫ

Постановлением Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР Государственные премии 1982 года в области литературы, искусства и архитектуры присуждены: народному художнику Грузии, скульптору Э. Амашукели, заслуженному архитектору республики В. Давитая — за монумент Победы в г. Гори и мемориал Славы героям-морякам в г. Поти; народному художнику Советского Союза, художнику-монументалисту З. Церетели — одному из авторов архитектуры гостиничного комплекса «Измайлово» в Москве.

Редакционная коллегия и редакция журнала «Сабчота хеловнеба» поздравляют грузинских художников с этой высокой наградой и желает им новых творческих успехов (стр. 62).

ГРУЗИНФОРМ — 60

Государственному информационному агенству при Совете Министров ГССР исполнилось 60 лет. В связи с этой датой в журнале печатается информация об юбилейном вечере (стр. 65).

Гиви Магулария

МИРЗА ФАТАЛИ АХУНДОВ

Исполнилось 170 лет со дня рождения великого азербайджанского просветителя, основоположника азербайджанской драматургии Мирзы Фатали Ахундова. Статья, посвященная этой дате, рассказывает о жизни и творческой деятельности выдающегося сына азербайджанского народа (стр. 72).

Натела Урушадзе

ДРАМАТУРГ ЛАЛИ РОСЕБА

В статье дан анализ творчества молодого грузинского драматурга Л. Росеба, три пьесы которой с успехом идут на сцене театра им. Марджанишвили (стр. 77).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Василий Кикнадзе

ТЕАТРАЛЬНЫЙ МИР ДАВИДА КЛДИАШВИЛИ

Исполнилось 120 лет со дня рождения классика грузинской литературы Д. Клдиашвили, пьесы и инсценированные прозаические произведения которого обрели вторую жизнь на современной грузинской сцене. В статье речь идет о тех спектаклях по произведениям Д. Клдиашвили, которые числятся в сегодняшнем репертуаре грузинских театров (стр. 92).

Надежда Шалуташвили

СВЕТЛОЕ, НЕПОБЕДИМОЕ, НЕГАСНУЩЕЕ

Статья посвящается 60-летию создания СССР. Автор освещает исторические и культурные связи братских культур в области театрального искусства (стр. 107).

Кона Микадзе

АЛЬБОМЫ ДРУЖБЫ

Печатается статья о многогранном творчестве армянского театрального деятеля и мастера художественного чтения Аматуни Барсегяна (стр. 118).

Акакий Васадзе

ГАСТРОЛИ «КОМЕДИ-ФРАНСЕЗ» В ТБИЛИСИ

В публикации известный грузинский актер А. Васадзе делится впечатлениями от гастролей всемирно известного французского театра «Комеди-франсез», который показал тбилисскому зрителю «Тартюф», «Мещане во дворянстве» и «Сид» (стр. 120).

Александр Мишарин

РАВНЯЕТСЯ ЧЕТЫРЕМ ФРАНЦИЯМ

Под рубрикой «60 лет СССР» печатается перевод пьесы известного русского драматурга А. Мишарина «Равняется четырем Франциям» (стр. 129).

გადაეცა წარმოებას 19. 10. 1982 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 12. 1982 წ.
საბეჭდი ქაღალდი 5.25
ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 10,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,75.
შეკვეთა № 2499. უე 12884. ტირაჟი 6000,

ჟურნალში დაბეჭდილია მ. ბაბოვის, პ. შევჩენკოს, ი. კვაჭანტირაძის ფოტოები.

ფასი 1 მან. 70 კაპ
6/127

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი 76177